# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 15 (260) ◆ 10-16 აპრილი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




### წინასწარი შედეგებით ჩვენ კვლავ „ძველი" პრეზიდენტი გვყავს

... ოპოზიციის შემოთავაზებულ ბოიკოტს ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა და საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები მაინც ჩატარდა.

...აჭარის ლიდერის კანდიდატურის მოხსნით რეგიონის ამომრჩეველი დაიბნა.

...ასლან აბაშიძემ ხმა საკუთარ თავს მისცა.

...ქვემო ქართლის მოსახლეობამ პირველობა არავის დაუთმო — რეკორდსმენი რაიონი გარდაბანია.

...რიგ რაიონებში უცნაური „ეპიდემია" შეინიშნება.

გვ.2

### „ჩვენ ვირჩევთ მომავალს!"



მომავლის ძიებაში გავილახეთ...

8 აპრილი... გადაჭედილი სპორტის სასახლე შიგნით და გარეთ... ომონი და პოლიცია — მზადყოფნაში... ამოქმედებული „დუბინკჩურჩხელები" და უმოწყალო ცემა-ტყეპა...

„კვირის პალიტრის" ფოტოკორესპონდენტს გულზე პრესის თანამშრომლის მოწმობით, თავში „დუბინკას" ურტყამენ...

გვ.4

### მს რა კარგი „ბიჭები" გვყოლია



— ილია თუ აკაკი, მარჯანიშვილი თუ ახმეტელი, მესხი თუ მეტრეველი, შევარდნაძე თუ გამსახურდია, ახლა — შევარდნაძე თუ აბაშიძე... შევარდნაძემ და აბაშიძემ ეროვნული ტანდემი შექმნეს და იმის ნაცვლად, გვეხაროდეს — ეს რა კარგი „ბიჭები" გვყოლიაო, გავიძახით — ან ერთი უნდა იყოს, ან მეორეო. ეს „ანან"-ი დაღუპავს საქართველოს.

გვ.3

### რას ველით ახალი პრეზიდენტისგან

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

გვ.27

### გუშინ არჩეული პრეზიდენტი ორ-ნახევარ წელიწადში სავარძელს დატოვებს...

...ამ აპოლიტიკური კაცის პროგნოზები ყოველთვის მართლდება:

...ეროვნული მოძრაობა რომ აგორდა — ბევრ უბედურებას მოუტანს ჩვენს ხალხსო;

...უფრო ადრე გამაფრთხილა — ომი იქნება საქართველოშიო;

...ორ წელიწად-ნახევარში ხალხი ახალგაზრდა პრეზიდენტს აირჩევს და ისიც დიდხანს შეუცვლელად მართავს ქვეყანასო...

გვ.23

### აბესალომ ლორიამ მიცვალებული „გააცოცხლა"

— დავიწყე: „შეუნდე უფალო მხევალსა შენსაა..." და ასე გავაბი. თან ვცდილობ, მიცვალებულს არ შევხედო... მაინც გამექცა თვალი და ისეთი რამ დავინახე! — წამომჯდარა, დაუჭყეტია თვალები და მომჩერებია — შენ რაღაც არ გევხარ მღვდელსაო.

გვ.26



1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან სულ 40-50 კაცმა მოიყარა თავი... რუსთაველის გამზირი თითო-ოროლა მოლიცლიცე სანთლით ეგებებოდა არჩევნების დილას...

გვ.4

### წერეთელი შევარდნაძისაგან მილიონ დოლარს ითხოვს...

— ჯანმრთელობა შემერყა, ღირსება შემელახა და ნასესხები 2000 დოლარიც დავკარგე;

— გამოააშკარავოს დამნაშავე და მოვუხსნი პრეზიდენტს ბრალდებას.

გვ.7

### პოლიტპატიმრები გადარჩნენ...



ელიზბარ ჯაველიძე ასევე სტუმარს საქეიფოდ იწვევს;

...ქართველმა ერმა საცხრააპრილოდ კიდევ ერთი ტრაგედია აიცილა...

...დოდო გუგეშაშვილი შეწყალების კატეგორიული წინააღმდეგია;

...აპრილის შუა რიცხვებში სავარაუდოდ ჯაბა იოსელიანიც გათავისუფლდება.

გვ.8

### თბილისელი ბეჰემოთი



— მე უკვე თბილისელი ვარ... თქვენს ზოოპარკში ვცხოვრობ და როგორც ხედავთ (ამას სხვებიც ამბობენ), ძალიან საყვარელი და მიამიტი ვარ...

გვ.12

### ბათუმური ბლოკი იშლება?!

— ტრადიციონალისტების და სოციალისტების ალიანსი დიდხანს ვერ გასტანს — *აკაკი ასათიანი*;

— მთავარი ბზარი მაინც პატიაშვილის ფაქტორია — *ვახტანგ რჩეულიშვილი*;

— პატიაშვილი და რჩეულიშვილი ან ბლოკიდან გავიდნენ, ან ისე მოიქცნენ, როგორც ვიტყვით — *ვახტანგ ბოჭორიშვილი*;

— პირველი ბლოკს ნამდვილად არ დავტოვებ — *ჯუმბერ პატიაშვილი.*

გვ.5-8

### როგორ აიყვანეს ლეგენდარული აბრაგი

— თუ ჩემს აყვანას შეეცდებიან, მომხდურებს ორას კბილებამდე შეიარაღებულ ვაჟკაცს დავახვედრებ და ბოლო ტყვიას ჩემთვის შევინახავო...

„კვირის პალიტრის" სტუმარია თადარიგის პოლკოვნიკი, ლეგენდარული ჩეკისტი, რომელმაც თავად განახორციელა საქვეყნოდ აღიარებული აბრაგ აფრასიძის დაკავების ოპერაცია.

გვ.10


### ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


### საკვირაო ტელე-კინოგიდი

10-16 აპრილი



გვ. 14-15

*ახალი რუბრიკა:*

### შტრიხები საკუთარი პორტრეტისთვის...

— ჩემს ოჯახში ოთხი თაობა იყრიდა თავს...

— ყოველთვის ელიტურ უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდი;

— ჩემს შვილს ედუარდი ჰქვია...

პირველი სტუმარი

გვ.20

Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
stern
СЕГОДНЯ
КЛЮКВА
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
иностранец
Le Figaro magazine
PARIS MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
Le nouvel Observateur
ИТОГИ

18 აპრილს „კვირის პალიტრა" 5 წლის ხდება

## პრეზიდენტი კვლავ შევარდნაძეა

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია მოსახლეობას ბოიკოტისკენ მოუწოდებდა, 9 აპრილს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ცსკ-ს მიერ რეგისტრირებული 7 კანდიდატიდან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა 6 პრეტენდენტმა მიიღო. გამართლდა მოარული ხმა, რომ აჭარის ლიდერი არჩევნების წინ სიურპრიზს გაგვიკეთებდა. ასლან აბაშიძემ 8 აპრილს ცსკ-ს განცხადებით მიმართა თავისი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე. დღის ბოლოს ანალოგიური მოთხოვნით მივიდა ცსკ-ში თენგიზ ასანიძის წარმომადგენელიც, მაგრამ განცხადების წარდგენის დაგვიანების გამო ასანიძე ისევ პრეტენდენტთა სიაში დარჩა.

როგორც ჩანს, არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე აბაშიძის კანდიდატურის მოხსნამ ამომრჩეველი დააბნია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 20%-მა ხმა ისევ თავისი რეგიონის ლიდერს მისცა. ასლან აბაშიძემ კვლავ ტაქტიკური სვლა გააკეთა: გული არც შევარდნაძეს დასწყვიტა და არც პატიაშვილს, — „გინდ გეწყინოთ, გინდ ნუო", — და ხმა საკუთარ თავს მისცა.

18 საათისათვის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში უკვე ჩატარებული იყო. 3 მილიონ 300 ათასი ამომრჩევლიდან 64,69%-ს არჩევნებში მონაწილეობა მიღებული ჰქონდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვემო ქართლის ამომრჩეველმა პირველობა არავის დაუთმო. რეკორდსმენი რაიონი კი გარდაბანი გახდა, სადაც მოსახლეობის 94,53% მივიდა საარჩევნო უბანში. საპარლამენტოსთან შედარებით პრეზიდენტის არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდა, თუმცა დარღვევები ამჟამადაც იყო.

მარტვილში ეუთოს მისიის გერმანელმა წარმომადგენელმა „დააწიოკა" რამდენიმე საარჩევნო უბანი. როგორც გვაცნობეს, მან პროცედურულ საქმიანობაში მოინდომა ჩარევა. ახმეტის რაიონის უტოს უბანში, როგორც ჩანს, ამომრჩევლის 24%-ს ეპიდემია შეეყარა, რადგან 2000 ამომრჩევლიდან 600 ავადმყოფი დაფიქსირდა, რომელთაც საარჩევნო ურნით მიაკითხეს შინ. ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" ინფორმაციით, ქარელის რაიონის სოფელ დვანის №18 საარჩევნო უბანში არცერთი დამკვირვებელი არ დაუშვეს.

საარჩევნო უბნებში კანონის დარღვევის ფაქტების შესახებ ზეპირი განცხადება გააკეთა ცსკ-ში ჯუმბერ პატიაშვილის წარმომადგენელმა გია მჭედლიძემ, მაგრამ ეს განცხადება ცსკ-მ რეგისტრაციაში არ გაატარა.

არჩევნები ჩატარდა საქართველოს მოქალაქეებისათვის გახსნილ უბნებში საზღვარგარეთის 21 ქვეყანაში. ალსანიშნავია, რომ განსაკუთრებული აქტიურობით თურქეთში მყოფმა ჩვენმა თანამემამულეებმა გამოიჩინეს თავი.

ცსკ-ში არსებული წინასწარი შედეგებით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ედუარდ შევარდნაძემ გაიმარჯვა. იმ საარჩევნო უბნებში, სადაც 50%+1 რაოდენობის ამომრჩეველი არ მივიდა, მეორე ტური 2 კვირის შემდეგ ჩატარდება.

## ...ერთი კაცის გარდა

შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ პრეზიდენტ შევარდნაძესა და მის გუნდზე, მათ მიერ წარმართული შინაპოლიტიკური თამაში და, რაც მთავარია, მისი შედეგი, ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას. დიახ, სხვას ვერაფერს ველარ ვიტყვით იმ მოვლენების ფონზე, რაც არჩევნებამდე რამდენიმე დღის მანძილზე ვითარდებოდა. ჯერ ჟვანია-აბაშიძის შეხვედრა-შერიგებამ ბათუმში, ხოლო შემდეგ ამ შერიგება-თანხმობის პროცესში შევარდნაძის ჩართვამ ისეთი აჯაფსანდალი მოხარშა ბლოკ „აღორძინების" წევრ პოლიტიკურ პარტიებსა და მათ წარმომადგენლობაში, რომ ვფიქრობთ, მათ კიდევ დიდი დრო დასჭირდებათ ყველა ნიუანსში გასარკვევად. ერთი რამ კი ცხადია — ბლოკი „აღორძინება" იმ შემადგენლობით, რომლითაც შივიდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ალარ და ველარც იარსებებს. ასლან აბაშიძემ მიიღო ხელშეუხებლობისა და ავტონომიის სტატუსის დაფიქსირების გარანტია, შევარდნაძემ გაიმარჯვა დემოკრატიულ არჩევნებში და შედეგად ყველა კმაყოფილი დარჩა... ერთი კაცის გარდა!

## „ლექსო ამოგთქომ, ოხერო..."

ბლოკ „აღორძინებისაგან" განწირულმა და მოქკავშირისაგან შერისხულმა ჯუმბერ პატიაშვილმა საბოლოოდ აირჩია მომავალი პოლიტიკური მოვლენების ასპარეზი და „სახალხო პარტიის" ლიდერის პოსტზე განაცხადა თანხმობა (პარტიის თავმჯდომარე კვლავ მამუკა გიორგაძეა). ამომრჩევლებთან გამართულ და წინასაარჩევნო კამპანიის გამოსათხოვარ თავყრილობაზე პატიაშვილის მხარდამჭერებმა „გააანალიზეს" მთელი ეს წინასაარჩევნო ბაქანალია და, ბუნებრივია, არც ნასროლი კვერცხებისა და დაშვებული საბურავების ისტორიები დავიწყებიათ. აი, ავთო მარგიანმა კი „ლექსადა თქო" ყველაფერი: „თუ არც ქართველი იქნება, თუ არც მამული გვექნება, რა ჭირად გვინდა მასონის ინტელექტი და შეგნება?!" შემდეგ კი მქუხარე ოვაციისგან ნახალისებულმა სტრატეგიული განცხადებაც გააკეთა სამომავლო ბრძოლებისათვის, რა თქმა უნდა, კვლავ „ლექსადა":

„ვამზობ ლექსს, თუმცა ლექსს კი არა მრავალ ხვაშიადს გამხელილს,
წინ, მეგობრებო, წინ, ქრისტეს და პატიაშვილის სახელით!"

## რუსეთი „რკინის ფარდით" იმუქრება

ოფიციალური მოსკოვი ნერვიულად და აგრესიულად გამოეხმაურა ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ თუ რუსეთი პოლიტიკური გზით არ გადაწყვეტს ჩეჩნეთის კონფლიქტს, ივნისში რუსეთს კინწისკვრით გააგდებენ ევროსაბჭოდან. ქართველმა დეპუტატებმა, ლანა ღოღობერიძის თავკაცობით (ევროსაბჭოს ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი მიშა სააკაშვილი ამ სხდომებს თავმჯდომარეობდა და რეგლამენტის გადაცილებისათვის თვით ჟირინოვსკისაც ჩაანყვეტინა ხმა მიკროფონის გამორთვით...), კენჭისყრისას თავი შეიკავეს, რათა რუსების გაცოფება არ გამოეწვიათ! არადა, ცნობილია, რომ იანვრის სხდომაზე სწორედ ქართული დეპუტაციის ხმებმა გადაარჩინა რუსეთი. მოსკოვი იმუქრება, რუსეთსა და დასავლეთს შორის ახალი „რკინის ფარდა" ჩამოეშვებაო. მაგრამ თუ მიშა სააკაშვილს დავესესხებით, რაც არ უნდა იხტუნოს რუსეთმა, ამგვარი „რკინის ფარდის" შესაქმნელად, ელემენტარულად, არც რკინა ეყოფა, არც ფული და არც პოლიტიკური ნება! ხოლო მოსკოვის ტრაბახი, — რუსეთი ევროპის გარეშეც კარგად იცხოვრებსო, მართლაც რომ არ ექვემდებარება არანაირ კომენტარს!

## მუშტი-კრივი ცივილიზებულ სტრასბურგში

მაშინ, როცა ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით ენაჩავარდნილი რუსეთის დეპუტაცია (ხმა რუსების დასაცავად ერთმა დაღესტნელმა რუსმა პარლამენტარმა ამოიღო, რომელიც იქვე, ასამბლეის სხდომათა დარბაზში მიბეგვა ჩეჩნეთის წარმომადგენელმა და ამით გააოგნა ცივილიზებული ევროპის პარლამენტართა კორპუსი) გამწარებული პროტესტის ნიშნად ხან გარბოდა დარბაზიდან, ხანაც უკან შემორბოდა, ქართული დეპუტაცია თავის საქმეს აკეთებდა და გია ბარამიძის პირით ამაყობდა, რომ საქართველომ თავშესაფარი მისცა ათასობით ლტოლვილს მაშინ, როცა თავად ჰყავს აფხაზეთიდან ასიათასობით ლტოლვილი! შედეგიც ადეკვატური იყო: ევროპის საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად საქართველო დიდ ჰუმანიტარულ დახმარებას მიიღებს!

## ევროსაბჭო დაგვეთანხმა

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დააყენა საქართველოს დელეგაციამ და სრულიად გაიზიარა ევროპის საბჭომ, ის იყო, რომ სამხრეთ კავკასიაც უნდა ჩაჯდეს საერთო ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში! რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპა და, საერთოდ, დასავლეთი აღარასოდეს დარჩება განზე აქ შესაძლო კონფლიქტების კვლავაც გაღვივების შემთხვევაში და როგორც ბალკანეთში, სამხრეთ კავკასიაშიც განახორციელებს მშვიდობის განმტკიცებისათვის საჭირო აუცილებელ ზომებს. კიდევ: ევროსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროსაბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს რუსეთს! ასე რომ, საქართველოსაც შეუძლია გამოიყენოს ეს მძლავრი ბერკეტი, მით უფრო, რომ საამისო საბაბი და მიზეზი საკმარისზე მეტი აქვს!

## ჭუბურხინჯში შეტაკება მოხდა

სოფელ ჭუბურხინჯში შეიარაღებული შეტაკება მოხდა ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომლებიც თხილის ბიზნესში იყვნენ ჩართულნი. დაიღუპა ერთი ქართველი და, როგორც ამბობენ, არც აფხაზებს დასდგომიათ კარგი დღე. რამდენიმე მძიმედ დაჭრილი „ბიზნესმენი" სასწრაფოდ გააქანეს სოხუმში. მათი შემდგომი ბედი გაურკვეველია...

## პუტინმა შევარდნაძეს გამარჯვება უსურვა

**(გეა)** 8 აპრილს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ტელეფონით დაუკავშირდა ედუარდ შევარდნაძეს და წარმატება უსურვა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. სახელმწიფოთა მეთაურებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა და ურთიერთობა ორი ქვეყნის, ორი ხალხის საკეთილდღეოდ განვითარდება.

## თურმე სობჩაკის ქვრივს ემუქრებოდნენ!

ანატოლი სობჩაკის წიგნის „სისხლიანი კვირის" პრეზენტაციისათვის თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა მისი ქვრივი ლუდმილა ნარუსოვა, რომელმაც განაცხადა, რომ მას თურმე ტელეფონით ემუქრებოდნენ და უკრძალავდნენ წიგნის პრეზენტაციაზე ჩამოსვლას... ცერემონიაზე ლუდმილა ნარუსოვას მასპინძლობდა ნანული შევარდნაძე და ქართული ისთებლიშმენტის წარმომადგენლები; ხოლო, როცა მიკროფონთან ჟურნალისტი ირაკლი გოცირიძე მიბრძანდა და თავის სიტყვაში ბრძანა, რომ 9 აპრილის ტრაგედია პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შედეგად დატრიალდა (აქ, რა თქმა უნდა, პოლიტბიუროს მაშინდელი წევრი ედუარდ შევარდნაძეც მოიაზრებოდა), ჩვენმა ისთებლიშმენტმა ტაშისცემით ჩააწყვეტინა ხმა გაზეთ „იბერია-სპექტრის" რედაქტორს. სხვა მხრივ, პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა!

## ლეიბორისტებს 7%-იანი ბარიერი გადაულახავთ

სენსაციური დასკვნა გააკეთა ეუთოს დამკვირვებელმა კომისიამ, რომლის თანახმადაც 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტებს ნამდვილად აქვთ 7%-იანი ბარიერი გადალახული, ე. ი. იმის ნაცვლად, რომ დღეს ამ პარტიის ოცამდე წარმომადგენელი პარლამენტში იჯდეს, პარლამენტგარეთ არის დარჩენილი და, როგორც ჩანს, სრულიად უსამართლოდ! ყველაზე დიდი უსამართლობა კი ალბათ ის არის, რომ ეს დასკვნა ველარ იმოქმედებს პარლამენტში მანდატების განაწილებაზე, ანუ ლეიბორისტთა 17-20 კაციანი ჯგუფი ვერ დაიკავებს წართმეულ სადეპუტატო ადგილებს. ნათელაშვილის თქმით, რომც შესულიყვნენ, პირადად იგი არავითარ შემთხვევაში არ მივიდოდა ამ პარლამენტში და მხოლოდ გარედან უხელმძღვანელებდა ფრაქციის მუშაობას. საინტერესო ის არის, რითი იმართლებს თავს ცსკ და, შესაბამისად, მმართველი ძალა, რომელსაც იმ დროს უმრავლესობა ჰყავდა ცსკ-ის შემადგენლობაში. მაგრამ, როგორც არ უნდა იმართლონ თავი, ადრე თუ გვიან, კვერცხების სროლა გარანტირებული აქვთ და სავსებით სამართლიანადაც!

## პანტელეიმონ გიორგაძე ტრიბუნალის წევრი გახდა

**(მეილ-ექსპრესი)** ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე იუგოსლავიაში შექმნილი სამხედრო ტრიბუნალის წევრი გახდა.

ტრიბუნალის წევრები სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ცნობილი ადამიანები არიან.

საერთაშორისო ტრიბუნალმა იუგოსლავიელი ხალხის მიმართ ნატო-ს მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების სამართლიანობა უნდა გაარკვიოს.

## ალექსანდრეს კვარტეტი ქართულ მუსიკას უკრავს

შაბათს, მუსიკალურ ცენტრში, თბილისელი კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლები აღტაცებულნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს სან-ფრანცისკოს სიმებიან კვარტეტს, რომელიც მთელ მსოფლიოში ალექსანდრეს კვარტეტის სახელითაა ცნობილი და უამრავი ჯილდოსა და პრემიის ლაურეატია.

— მართალია, მუსიკოსი ვერ გავხდი, მაგრამ როგორც კარგი მსმენელი, სიამოვნებით წავუძღვები ამ კონცერტს, — ბრძანა პარლამენტარმა მიხეილ სააკაშვილმა და ღირსეულად ალასრულა დანაპირები. კონცერტის დაწყებამდე აშშ-ის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ამ მსოფლიოში გამორჩეული ორკესტრის სტუმრობა მიულოცა ქართველ მსმენელს, ხოლო პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ჩვეული იუმორით განაცხადა, — ამ პრეზიდენტობაში ბოლო კონცერტს ვესწრები, ხოლო თუ ისევ ამირჩევენ, სან-ფრანცისკოში დავესწრები კონცერტსო.

აქ თითქოს უჩვეულო არაფერია... მაგრამ უჩვეულო ის არის, რომ კვარტეტს მკაცრად განსაზღვრული პროგრამა აქვს და მაინც, XXI საუკუნის რეპერტუარში პირველად შეიტანეს ქართული მუსიკა, რომლის შესრულებაც განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს კვარტეტის წევრებს, რაც სცენაზეც იგრძნობოდა და დარბაზშიც. ეს გახლავთ კომპოზიტორ რამაზ გახოკიძის „გაზაფხულის ცეკვა".

## კოტე მახარაძემ პროცესი მოიგო

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ კოტე მახარაძის სასარგებლოდ გადაწყვიტა მის წინააღმდეგ ქეთევან წამებულის საზოგადოების მიერ აღძრული სარჩელი. საზოგადოება, ქართველ წმინდანთა შეურაცხყოფის გამო, რაც მათი მტკიცებით, მახარაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში იკადრა, კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ცნობილ მსახიობს და სპორტულ კომენტატორს საჯაროდ მოეხადა ბოდიში! მახარაძე არც ერთ სხდომას არ დასწრებია, შესაბამისად, არც სასამართლო პროცესს მისცემია სკანდალური ხასიათი.

## ბოდბედან იერუსალიმამდე — მუსიკის თანხლებით

ქალბატონი ლიანა ისაკაძე კლასიკური მუსიკის კონცერტებით პილიგრიმივით მოილოცავს ევროპის იმ რელიგიურ ცენტრებს, სადაც ქრისტეს მოციქულებმა იქადაგეს.

ეს მშვენიერი გზა დაიწყება ბოდბის მონასტრიდან. 2000 წლის 14 აპრილს წმინდა ნინოს საფლავთან აჟღერდება პირველი აკორდი. შემდეგ მუსიკოსები გაემგზავრებიან გერმანიის ქ. ეიხტატში, სადაც გერმანელმა წმინდანმა ვილი ბალდმა იქადაგა ქრისტიანობა, ორკესტრი დაუკრავს ვენეციაში, წმინდა მარკოზის მოღვაწეობის ადგილზე, რომში, სადაც წმინდა პეტრე ჯვარზე გააკრეს, საბერძნეთის ქალაქ პატრასში, სადაც მოღვაწეობდა ანდრია პირველწოდებული, ათენში. იქ პავლე მოციქულმა სიტყვით მიმართა არეოპაგს, თურქეთის ქალაქ ესუსში, სადაც იოანე მოციქულმა ააშენა ცნობილი ბაზილიკა და, ბოლოს, დამაგვირგვინებელი აკორდი იქნება 27 აპრილს, იერუსალიმში! პროგრამაში ძირითადად შეტანილია ჰაიდნის, ვივალდის და ბახის ნაწარმოებები.

გიხაროდენ! ბოდბეში წმინდა ნინოს საფლავთან აიღო სათავე წმინდა გზამ იერუსაალიმისაკენ.

## ერთკაციანი საპროტესტო აქცია

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პარლამენტის შენობის შესასვლელში რამდენადმე უჩვეულო აქცია დაიწყო. ციხისძირელი გოგიტა მურცხვალაძე თავის ჰიდროცეფალიით დაავადებულ, ხუთჯერ ნაოპერაციებ 8 წლის ჯაბასთან ერთად მოითხოვს: 1. პრივატულ შეხვედრას ქ-6 ნანული შევარდნაძესთან; 2. ფულადი კომპენსაციის დაკისრებას იმ პირთათვის, ვისი გულგრილობითაც მკვეთრად გაუარესდა ბავშვის მდგომარეობა; 3. ფინანსთა სამინისტროსგან — ავადმყოფის აწგარდაცვლილი ბაბუის 15 თვის გაუცემელ პენსიას.

პატარა ჯაბას სიცოცხლე საფრთხეშია. მას სასწრაფოდ ესაჭიროება რადიკალური ოპერაცია უცხოეთის სპეციალიზებულ კლინიკაში. აქცია არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება.




## დემალეს, მაგრამ ადგილსამყოფელი გათქვეს

ჩეჩენი ქაალიშვილის გაუპატიურებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლკოვნიკი ბუდანოვი, რომელსაც ჩეჩნები მოკვლით ემუქრებიან, 6 აპრილის საღამოს, გაძლიერებული დაცვის თაანხლებით, ვლადიკავკაზის წინასწარი დაკავების საკნიდან დონის როსტოვში გადაიყვანეს.

ეტყობა, პროკურატურამ იფიქრა, პოლკოვნიკი აქ უფრო უსაფრთხოდ იქნებაო, მაგრამ მისი ახალი ადგილსამყოფელი მაინც მაშინვე გახდა ცნობილი. საკითხავია, თუ ბუდანოვს ჩეჩნებს უმალავენ, მაშინ რაღად აცხადებენ — აქა და აქ მიგვყავსო?!

უშიშროების სამსაახურის ინსტრუქტორები ამტკიცებენ, — ჩეჩნებმა ბუდანოვის მოკვლა თუ გადაწყვიტეს, კიდევაც მოკლავენო. ანდა იქნებ, ინფორმაციის გაჟონვა ოპერატიული გეგმის ნაწილია და ითვალისწინებს იმ საველე მეთაურის გამოტყუებას, რომელზეც რუსებს თვალი უჭირავს.

იტარ-ტასის ცნობით, ჩატარდა ჩეჩენი ქალიშვილის გვამის ეგსჰუმაცია. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მსხვერპლი არ იყო გაუპაატიურებული. იმასაც ამბობენ, ვლადიკავკაზიდან გადაყვანისას ბუდანოვმა თითქოს განაცხადა, — საქმეს სასამართლომდე არ მივიყვან, თავს მოვიკლავ, რადგან არ მინდა, ჩემმა ვაჟმა პატიმრის შვილის დამღით იაროსო.

## დეპუტატი გაიქცა

სომხეთის ეროვნული კრების დეპუტატი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო სირადეღიანი, რომელსაც ბრალად ედება მრავალი დაკვეთილი მკვლელობა, იმავე დღეს გაქრა, როცა პარლამენტმა მისი დაპატიმრების სანქცია გასცა. გამოცხადებულია ეჭვმიტანილის ძებნა.

## ჯორჯიის შტატში ჯოჯოხეთი დატრიალდა

ქარიშხალი შუაღამისას დაატეხა თავს მძინარე ხალხს. მანქანებსა და სახლების სახურავებს ხმელი ფოთლებივით აფრიალებდა, ძირფესვიანად გლეჯდა ხეებსა და ტელეგრაფის ბოძებს... ულმობელმა ტორნადომ არ დაინდო არავინ და არაფერი. დაიღუპა 18 ადამიანი, ასზე მეტმა მძიმე ტრავმა მიიღო, უამრავი დარჩა უსახლკაროდ. ზარალმა 25 მლნ დოლარი შეადგინა.

## რუსეთს პოლიტიკურად სცემენ

ამერიკელებმა სპარსეთის ყურეში რუსეთის კუთვნილი მეორე „კონტრაბანდისტი" ტანკერი დააკავეს, რომელსაც ერაყის ასევე კონტრაბანდული ნავთობი გადაჰქონდა. გაეროს რეზოლუციის თანახმად, ერაყის ნავთობზე დიდი ხანია, ემბარგოა დაწესებული, რომელსაც რუსები ისევე უგულებელყოფენ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს და მოწოდებებს — შეწყვიტოს ხოცვაჟლეტა ჩეჩნეთში! მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს გამუდმებით უტევენ და პოლიტიკურად სცემენ ევროპაში, ამერიკასა თუ აზიაში! თავად რფ პრეზიდენტი პუტინი კი, როცა ევროსაბჭოში მის ქვეყანას ლანძღავდნენ, ის... ახალი ბალისტიკური რაკეტის გამოცდას ესწრებოდა!

## ეგვიპტელმა 200 ქალი მოკლა

**(გეა)** ეგვიპტელი აბდელ ლატიფ სარიფი, რომელსაც გასულ წელს 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, 17 წლის ელიზაბეტ გარსია კასტროს მკვლელობისათვის კვლავ წარდგება სასამართლოს წინაშე.

კასტრო ერთ-ერთი იყო თითქმის 200 ქალიდან, რომლებიც შარიფმა 90-იან წლებში გააუპატიურა და მოკლა. სამხილების უქონლობის გამო იგი ყველა დანაშაულისათვის ვერ გაასამართლეს. გამოძიება განახლდა მას შემდეგ, რაც კიდევ 4 ქალის გვამი აღმოაჩინეს. ციხეში ყოფნისას შარიფმა თავის თანამზრახველებს სთხოვა, გაეგრძელებინათ ქალების ხოცვა, რათა მისთვის ბრალდება მოეხსნათ. შარიფი მექსიკაში 1993 წელს ჩავიდა ქიმიკოსად სამუშაოდ.

## დაველოდოთ მოვლენებს

**(კავკას-პრესი)** ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი არ აპირებს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების შესრულებას და გააგრძელებს რუსეთთან თანამშრომლობას. ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო კომიტეტის რიგგარეშე სხდომამ, რომელიც ევროპის საბჭოს მუდმივი წევრების წარმომადგენელთა დონეზე ჩატარდა. საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპული თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო მიიღებს და, როგორც კომიტეტის სხდომაზე ითქვა, შექმნილი ვითარების განსახილველად, შესაძლოა შედგეს შეხვედრა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან იგორ ივანოვთან.

# შევარდნაძეც და აბაშიძეც ისტორიის ცნობიერი აქტიორები არიან!

მართალი გითხრათ, ბევრი არ მიფიქრია, თუ როგორი შესავალი გამეკეთებინა წინამდებარე პუბლიკაციისათვის, რადგან ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების პროგნოზირება ჩემს რესპონდენტებთან ერთად კარგა ხნით ადრე მქონდა დაფიქსირებული „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე... და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის შეურაცხმყოფელი და ალმაშფოთებელი ბევრი რამ გაიშიფრა და გამოიხატა წინასაარჩევნო პერიოდში, ერთადერთი მთავარი, რისი კმაყოფილნიც უნდა ვიყოთ, არის ის, რომ მთელი ეს თამაში დამთავრდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც... და არა მხოლოდ იმის გამო, რომ შევარდნაძეა კვლავ პრეზიდენტი, არამედ იმიტომ, რომ საქართველომ და მისმა დასავლელმა პარტნიორებმა ერთობლივი ძალისხმევით აჯობეს ჩვენდამი მტრულად განწყობილ გარეშე ძალებს... თუნდაც იმავე რუსეთში, თუკი ვინმე საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ გარკვეულ იმედს ამყარებდა ასლან აბაშიძესა და მის ირგვლივ გაერთიანებულ პოლიტიკურ ძალებზე, პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ... სხვა საქმეა თავად ასლან აბაშიძეს რა ჰქონდა გულში, ან რა „ჩამოიტანა“ ახლახან მოსკოვიდან, სადაც იგორ სტროევთან ჰქონდა შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში, ბატონ ასლანისგან რომ გაცურებულნი დარჩნენ რუსები, ესეც ფაქტია! აქვე მახსენდება შარშან რუსულ პრესაში გამოქვეყნებული რუს პოლიტოლოგთა მიერ აჭარის ლიდერის მიმართ გამოთქმული სიტყვები: „Мы знаем что он сукин сын... Но он наш сукин сын!“

არ ვიცი, დღეს რას ფიქრობენ ეს სტრატეგები აბაშიძესა და საერთოდ, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მეეჭვება, რომ ევროსაბჭოს გადაწყვეტილებისაგან და ამ ორგანიზაციიდან რუსეთის გამოპანღურების პერსპექტივით თავლაფდასხმულ რუსულ ისთებლიშმენტს ამჟამად ჩვენთვის ეცალოს, მაგრამ, აი, რას ფიქრობენ პატიაშვილი და მისი მხარდამჭერნი მთელი ამ ამბების მიმართ, ძნელი გამოსაცნობი არ არის... ვესაუბრები პოლიტოლოგს, პროფესორ **გიორგი გაჩეჩილაძეს,** რომელიც, ვფიქრობ, ბევრ საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს ჩვენი უახლოესი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. ეს მით უფრო უპრიანია დღეს, როცა საქართველოს ახალი, მაგრამ „კარგად ნაცნობი“ პრეზიდენტი ჰყავს კვლავაც:

— საერთოდ, სოციალური ფსიქოლოგია ძალიან რთულიცაა და პრიმიტიულიც. ჯერ კიდევ გოეთე წუხდა: „იმის ნაცვლად, რომ ეს დალოცვილი გერმანელები იმით ამაყობდნენ — რა კარგი ბიჭები (გოეთე და შილერი) გვყავს, დგანან და ერთმანეთს ეჩხუბებიან — გოეთე სჯობია თუ შილერიო?!“ საუბედუროდ, ასეთი აზროვნება განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოში: აკაკი თუ ილია; მარჯანიშვილი თუ ახმეტელი; მესხი თუ მეტრეველი; გამსახურდია თუ შევარდნაძე; შევარდნაძე თუ აბაშიძე... ვნებათაღელვის ამ პარადოგმებში გაიფლანგა ჩვენი ეროვნული ენერგიის დიდი ნაწილი! ანან, აი პრიმიტიულ და არაპრინციპულ საკითხებზე პრინციპული ვნებათაღელვის საგანი, მასში ჩაფლულებმა გავაჰაიჰარეთ ჭეშმარიტი პრინციპული მნიშვნელობის საკითხები...

ნუ მიწყენთ და ეს დალოცვილი ქართული მასმედიაც იმის ნაცვლად, რომ გახარებული იყოს მომხდარით, რადგან რუსეთის დაზვერვის ცდების მიუხედავად, საბოლოოდ განახორციელოს საქართველოს დემონტაჟი, რაც შავით თეთრზე უწერიათ საქართველოსადმი სტრატეგიულ გეგმებში — შევარდნაძემ და აბაშიძემ ეროვნული ტანდემი შექმნეს და რომ თქვან, „ეს რა კარგი ბიჭები გვყოლიანო“, ისევ აგრძელებენ: რას ნიშნავს შევარდნაძე-აბაშიძის შეთანხმება, ან ერთი უნდა იყოს, ან მეორეო! სიგიჟე და საკუთარი თავის მტრობა ამაზე შორს ვერ წავა... მე თუ მკითხავთ, საქართველოს მომავალს იმ დღეს დაესვა ჯვარი, რა დღესაც ოპოზიციამ პირველად აიტაცა ლოზუნგი: „ძირს გამსახურდია—შევარდნაძის ალიანსი!“ რაც საქართველოს ამ ანტიალიანსურმა სტრატეგიამ მოუტანა, დეკემბერ-იანვრის შედეგებით დავინახეთ. ნუთუ გალებული მსხვერპლი არ არის საკმარისი ჭკუის სასწავლად? 10 წელი იმიტომ კი არ გავყვირით ეროვნული თანხმობის ლოზუნგებს, რომ თავი სათნოების სიმბოლოდ მოგაჩვენოთ, არამედ იმიტომ რომ საქართველოს პრობლემების გამკლავების ყველა სხვა ბერკეტი არის ბლეფი. ამიტომ შევარდნაძე-აბაშიძის ალიანსში მე ვხედავ კულტურის გამარჯვებას უმეცრებაზე!

— **დიდი ხანია ქართულ საზოგადოებაში ისმის კითხვა — ვინ არის ედუარდ შევარდნაძე? ბოლო წლებში ასევე აქტუალური იყო კითხვა — ვინ არის ასლან აბაშიძე? მაგრამ ამ კონტექსტში არასოდეს დასმულა კითხვა — ვინ არის ჯუმბერ პატიაშვილი? ვფიქრობ, უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა სამივეს მიუჩინა ადგილი...**

— ჩემი აზრით, შევარდნაძის აღქმა ეთიკური კრიტერიუმებით, რომელსაც საზოგადოება მოითხოვს, მეტყველებს ჩვენი საზოგადოების დილეტანტობაზე. შევარდნაძე არის პროფესიონალი პოლიტიკოსი. პოლიტიკა კი არის კულტურის დარგი, მისი ნაწილი. ასევე ეთიკაც. ამასთან, არსებობს ეთიკური სიმართლე, პოლიტიკური სიმართლე, ზნეობრივი სიმართლე, იურიდიული სიმართლე და პოლიტიკაც იმიტომაა ყველაზე რთული დარგი ადამიანის მოღვაწეობისა, რომ საკუთარ თავში იკრებს და ითვისებს სიმართლის ყველა ასპექტს! დიახ, შევარდნაძემ იცის პოლიტიკური თამაშის წესები. ამიტომ, მისი ოპონენტები არიან ამ თამაშის უფრო მოყვარულები, ვიდრე პროფესიონალები. შედეგად, შევარდნაძესთან პაექრობაში ყველა აღმოჩნდა დამარცხებული. ყველაზე განსაცვიფრებელი თვისება, რაც შევარდნაძეს გააჩნია არის ის, რომ იგი მუდმივად ზის სათამაშო მაგიდასთან, სულერთია, მარცხდება ის თუ იგებს! აქვე გავიხსენებ ერთ ისტორიულ ფაქტსაც. ლუდოვიკო მეცამეტის და ცოლად ჰყავდა ინგლისის მეფე ჩარლზ პირველს და როდესაც დაიწყო კრომველის რევოლუცია, ამ ქალმა წერილი მისწერა ძმას, საფრანგეთის მეფეს: რევოლუცია მზადდება, შეიძლება დაგვხოცონ და წაგვიყვანე აქედანო...“ ლუდოვიკოს დავალებით კი, კარდინალმა რიშელიემ პასუხად მისწერა: „ის, ვინც ტოვებს სათამაშო მაგიდას, როგორც წესი, ყოველთვის მარცხდება!“ აი, შევარდნაძეს არასოდეს მიუტოვებია სათამაშო მაგიდა და იგი დღესაც „ფორმაშია“. ვალიაროთ, რომ ეს ის თვისებაა, რომელიც ისე, ჰაერიდან არ მოდის...

— **მაგრამ ამ თამაშს ფასი მაშინ აქვს, როცა მოგებული რჩება მოთამაშეც და ისიც, ვისი მანდატითაც თამაშობს იგი.**

— რამდენად პროფესიულად შეძლებს შევარდნაძე გაუმკლავდეს თამაშის მეორე ეტაპის მოთხოვნებს, ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული მისი პიროვნული და ქართველი ხალხის ბედიც! შევარდნაძის ცხოვრებაში დადგა ეტაპი, როდესაც მისი პირადი ინტერესები და საქართველოს ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს.



აქ ისტორიის ირონიის დოზაცაა, რადგან იყო პერიოდები, როცა შევარდნაძის პოლიტიკური კარიერა და მისი ერის ინტერესები ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. გარკვეული შინა და გარეშე ძალები დაინტერესებულნი არიან — არავითარ შემთხვევაში არ შედგეს ეს თანხვედრა! დასავლეთი კი, რომელიც წარმართავს გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს, დაინტერესებულია შევარდნაძისა და ქართველი ხალხის ინტერესთა ერთობლიობით და ამ ფონზე, რა დონეზე შეძლებს შევარდნაძე პროცესების წარმართვას, ანუ იქნება ეს კოსმეტიკური ხასიათისა თუ ფუნდამენტალური, დამოკიდებული იქნება ქვეყნის მომავალი.

რაც შეეხება საკითხს — ვინ არის ასლან აბაშიძე, ასე გიპასუხებთ: ისტორიას ჰყავს ცნობიერი და არაცნობიერი აქტიორები. ცნობიერია ის აქტიორი, რომელსაც გააზრებული აქვს მის მიერ ჩადენილი მოქმედების მნიშვნელობა მოვლენათა განვითარების საერთო სიუჟეტში! ხოლო არაცნობიერია აქტიორი, რომელიც ყველა კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებს იმპულსურად, გაუაზრებლად და არ იცის რა შედეგები მოჰყვება მის მოქმედებას მოვლენათა განვითარებაში. ამიტომ, თუ საქართველოს ბოლო ათწლიან პერიოდს ამ კუთხით შევაფასებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ ასლან აბაშიძე თავისი ქმედებებით მკაცრად ჩამოყალიბებული ცნობიერი აქტიორია, ისევე როგორც შევარდნაძე და ისევე, როგორც ზვიად გამსახურდია! გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური თამაშის კაზინოში შესულ მონაწილეს სხვა დეფექტები ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა ამ თამაშის საიდუმლოებების ნაკლებადმცოდნეობაში, მაგრამ სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში იგი უბადლო პროფესიონალი გახლდათ... ასლან აბაშიძეს მაშინ, როცა საზოგადოება ერთმანეთს აქეზებდა სამოქალაქო ომისაკენ, აღმოაჩნდა ისეთი ეროვნული თვითშეგნება, თვითდისციპლინა, საკუთარ ემოციებსა და მიკერძოებებზე მაღლა დგომის უნარი ერთიანი საქართველოს ინტერესების თვალსაზრისით, რომ ამის დაუნახაობა დიდი უმადურობა იქნება!

— **მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენი ისთებლიშმენტის პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების ნაწილი თავიანთი გეგმებიდან, პოზიციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მშრალზე დარჩა, რაც ძალზე ნოყიერ ნიადაგს ქმნის საიმისოდ, რომ უკვე ამ ძალებმა, ანუ შევარდნაძის მოწინააღმდეგეებმა დაიწყონ აბაშიძის კომპრომეტირების კამპანია და შეიძლება ბრძოლაც კი მის წინააღმდეგ...**

— ვფიქრობ, პირიქით მოხდება, რადგან ეს გამოიწვევს სწორედ იმ პოლიტიკური ისთებლიშმენტის კომპრომეტირებას და მისთვის ნილბის ჩამოხსნას, რომელიც მღვრიე წყალში თევზის დაჭერას გეგმავდა! თუ არ აღიარებენ, რომ სწორედ თავად ცდებოდნენ, ხოლო ეს „ბიჭები“ — შევარდნაძე და აბაშიძე — ქვეყნის ინტერესებისთვის იღვწოდნენ, მით უარესი ქართული ისთებლიშმენტისთვის, რადგან ისინი წარმოჩინდებიან სწორედ ისტორიის არაცნობიერ აქტიორებად.

ჯუმბერ პატიაშვილი ძალზე საინტერესო პიროვნებაა, მაგრამ ურთულესი პროცესების შედეგად იგი აღმოჩნდა ისტორიის არაცნობიერი აქტიორი, არადა, თავის დროზე მან ხელიდან გაუშვა ბედისგან, ისტორიისაგან შემოთავაზებული შანსი — ყოფილიყო ასეთი აქტიორი! როგორც ადამიანმა, ვერ გაუძლო ამ დატვირთვას და ამიტომ, გარკვეული აზრით, ისტორიამ იგი — დასაჯა! უნდა გვქონდეს ადამიანური თანაგრძნობის განწყობა. როგორც მდინარის წყლის ჩავლილ ნაკადში მეორეჯერ ვეღარ შეხვალ, სამწუხაროდ, პატიაშვილისთვისაც ამ პოლიტიკურმა ნაკადმაც უკვე ჩაიარა!

— **ფაქტია, რომ ბათუმსა და თბილისს შორის დაპირისპირება ხშირ შემთხვევაში უკიდურესად გამაღიზიანებელი და შეურაცხმყოფელი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის, მით უმეტეს, რომ აშკარად ჩანდა გარიგებათა მთელი კასკადი, მაგრამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ამ თამაშისა არის გარეშე ძალთა გეგმებისა და იმედების ჩაფლავებაც.**

— არ გამოვრიცხავ, რომ ისინი მართლაც რეალურად უპირისპირდებოდნენ და არ თამაშობდნენ. თავად ვითარების ლოგიკა მოითხოვდა, რომ ეს ასე ყოფილიყო, რადგან შევარდნაძე ეყრდნობოდა ისთებლიშმენტის ისეთ ნაწილს, რომელსაც სძულდა ასლან აბაშიძე. თავის მხრივ, აბაშიძე განახორციელებდა ფასეულობების იმ სისტემას, რაც შევარდნაძის დასაყრდენი ძალისთვის იყო მიუღებელი, ხოლო ეს ძალაც და საზოგადოებაც მიუღებელი იყო აბაშიძისთვის. აი, მათ დაპირისპირებაში რომ აქტიურად მოქმედებდნენ შინა და გარეშე მტრული ძალები, ესეც ფაქტია და თუ დღეს რეალობაა შევარდნაძე-აბაშიძის ალიანსი, ეს არის ამ მტრული ძალების დამარცხების დასაწყისი. სხვა ამოცანა კი ამ ეტაპზე საქართველოს არ აქვს!

— **შევარდნაძის პრეზიდენტობის მომავალი 5 წლიანი პერიოდის მანძილზე, როგორც მისსავე სამოქმედო პროგრამაშია დაფიქსირებული, საშინაო პოლიტიკაში მთავარი პრიორიტეტები იქნება კორუფციის აღმოფხვრა, სოციალური თანასწორობისა და ეროვნული თანხმობის მიღწევა. თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს, რომ ქართველთა გათიშულობას ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი...**

**ერის ტრაგედიაა, როცა მას უცხო ერი იპყრობს, მაგრამ ჩვენი ერისთვის უარესი ოკუპაცია, უფრო დამანგრეველი და ბოროტი გახლავთ სწორედ საკუთარი ბიუროკრატიის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოკუპაცია, ანუ კორუფცია! ამას კი მოაქვს ნიჰილიზმი, გაბოროტება და მთავრდება ბრძოლით ყველა ყველას წინააღმდეგ!**

— უტოპიაა, როდესაც ვიღაცა ფიქრობს, რომ ეროვნული თანხმობა გამოიხატება ფორმულაში „ჩავეხუტოთ ერთმანეთს“. ეს არის ადამიანის გონების უცოდინრობის შედეგი. როცა მიგვაჩნდა, რომ თავისუფლებას ალტერნატივა არა აქვს, გაჩნდა საქართველოში ხალხი, რომლებმაც დაიწყეს მოძრაობა ლოზუნგით: ჯერ დემოკრატია, შემდეგ თავისუფლება! საკმარისია ამ ფორმულის ანალიზი, რომ დავინახოთ რას ნიშნავს ეს, ნიშნავს კი იმას, რომ — სჯობს ჯერ ვიყოთ მონები, შემდეგ თავისუფლები... რომ, ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სამშობლო; რომ სოციალური და პოლიტიკური რეფორმის საშუალება არის პუტჩი, რევოლუცია, მტრის ჯარი, თუ მაგალითად, ჩემთვის არასასურველი ადამიანი აირჩია ხალხმა პრეზიდენტად, მე ვიბრძოლებ ჩემი ხალხის წინააღმდეგ! არადა, როგორ შეიძლება ებრძოლო შენს ხალხს, თუ შენი ხალხის, ქვეყნის მტრების რიგებში არ ჩადექი? აი, ეს არის ფასეულობების შეჯახების პროცესი, რისი ათწლიანი დეკადაც გავიარეთ. დღესაც ვდგებით ახალი განსაცდელის წინაშე, კერძოდ, ძალიან მახარებს შევარდნაძის განზრახვა ეროვნული თანხმობის იდეის განსახორციელებლად, მაგრამ მეორე მხრივ ძალიან მაშინებს, რომ ეს იდეა არ გამოდგეს ისეთი ფარსი, დეკლარაცია, პარტიული წინასაარჩევნო მანევრი, რომელთა უკან რეალური შინაარსი არ დგას. დღეს ჩვენ ვართ ერთმანეთის მოძულენი, ერთმანეთისაგან შეურაცხყოფილნი, ერთმანეთისაგან პატივაყრილი საზოგადოების ნაწილები და იმავდროულად ჩვენ გვაქვს საერთო ენა, კულტურა, სამშობლო, რომელსაც ვერსად გავექცევით, ამ ერთიანი ნიადაგის არსებობის საფუძველზე ჩვენ მივაღწევთ ეროვნულ თანხმობას ადამიანის უფლებების დაცვით, საზოგადოების დისკრიმინირებული ნაწილის რეაბილიტაციით, ბოდიშის მოხდით, მონანიებით და არა დეკლარაციით. გავიხსენოთ ხალხური ლექსი: „ჩავუხტეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანია...“ და მღერიან ქართველები ამ სიმღერას! მამა გიცხონდა, შენი აშენებულია ის ბანი? მას აშენება არ უნდა? ის ხომ მთელი საზოგადოების კუთვნილებაა და რას ჰქვია „თავს დავანგრიოთო?“ დაფიქრდა ქართველობა, რას მღერის და რას უკმევს გუნდრუკს? რომ დაუშინეს მთავრობის სასახლეს ჭურვები ჰაუბიცებიდან, რომლის აღდგენასაც მილიონები დასჭირდა და ეს მაშინ, როცა მათხოვრულ ხელფასს ვერ აძლევდნენ ხალხს, რა უფლებით გააკეთეს ეს? აი, ეს მომენტია შესაფასებელი და კეთილი ინებოს მმართველმა ელიტამ და შეაფასოს!

— **ეს მით უფრო აქტუალურია, რადგან მმართველი ელიტისადმი ჩვენი საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას, განწყობას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რბილად რომ ვთქვათ სახარბიელოს...**

— ახლახან, ერთ-ერთ რადიოში გადმოსცემდნენ ხალხში შემუშავებულ სამეტყველო ფორმულებს: „ელიტა-ბნელიტა“, „ჩვენ, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს მართალია ეკონომიური სახსარი არა გვაქვს, მაგრამ განათლება და კულტურა შეგვრჩა ისეთი, იმის დედა...“ ჩვენ, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს ვაზელინი არა გვაქვს, თორემ ხმას ვისაც გინდა იმას „მივცემთ“ და ა.შ. გესმით, რა ხდება? ეს დამოკიდებულება ელიტისადმი ჯერ სიტყვებითაა გამოხატული, მაგრამ საშუალო დონის განათლებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს მაინც, რომ, რაც დღეს სიტყვით ითქვა, ხვალ განხორციელდება საქმით! რევოლუცია და გადატრიალება ჯერ ტვინში მწიფდება და შემდეგ იქცევა ხოლმე რეალობად! ამ განწყობილებას ნოყიერად კვებავს კორუფციაც, ანუ რვაფეხა, სიმსივნე და საკმარისია გავყვეთ მის მეტასტაზებს, რომ მივალთ სახელისუფლო ელიტასთან, ბიუროკრატიასთან. ერის ტრაგედიაა, როცა მას უცხო ერი იპყრობს, მაგრამ ჩვენი ერისთვის უარესი ოკუპაცია, უფრო დამანგრეველი და ბოროტი გახლავთ სწორედ საკუთარი ბიუროკრატიის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოკუპაცია, ანუ კორუფცია! ამას კი მოაქვს ნიჰილიზმი, გაბოროტება და მთავრდება ბრძოლით ყველა ყველას წინააღმდეგ!

ეს არის ქაოსი და მასში გადავარდნილი ერი სხვისი იოლი ლუკმა ხდება.

— **საქართველოში წინასაარჩევნო მოვლენებისა და პრეზიდენტის არჩევის ფონზე, საერთაშორისო თანამეგობრობამ არათუ მართლაც მაგარი და უპრეცედენტო სირცხვილი აჭამა რუსეთს, არამედ პოლიტიკური სილაც გააწნა და ხმის უფლება შეუჩერა ევროსაბჭოში. შეიძლება საშიშ პროცესებსაც მიეცეს გასაქანი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში...**

— დიახ, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არის ევროსაბჭოს მიზანი და შეიძლება თუ არა, რომ ევროპული უსაფრთხოების სისტემა განვითარდეს რუსეთის გარეშე. ვეჭვობ, ეს იყოს ევროსაბჭოს სტრატეგიული მიზანი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის დროებითი პროცედურა, რათა აგრძნობინონ მოსკოვს, თუ რა შედეგებს მოუტანს რუსეთს ცივილიზებული სამყაროდან იზოლაცია. საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა კი არის საბედისწერო აუცილებლობა, რადგან ჩვენ უშუალო მეზობლები ვართ. დასრულდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თითქმის ოთხი და აქედან, ერთ სახელმწიფოში თანაყოფნის ორი საუკუნე. ეს დრო კი საკმარისზე მეტია დასკვნების გამოსატანად: ორი ქვეყნის ურთიერთობათა ნორმალიზება კი ნიშნავს ამ პროცესის სრულ გამჭირვალობას, რათა გამოირიცხოს იმისი გაკეთების შესაძლებლობაც კი, რასაც რუსეთი დღემდე აკეთებდა, ანუ: ერთ დღეს რუსეთმა საქართველოსთან დადოს მეგობრობის ხელშეკრულება, მეორე დღეს კი ირანის, ან სხვა ქვეყნის ხელით დაანგრიოს ქართული სახელმწიფოებრიობა; მესამე დღეს ხუთი მხრიდან შემოგვისიოს თავისი ჯარი და რაც დაუნგრეველი დარჩა, თვითონ მოუღოს ბოლო; მეოთხე დღეს საქართველოს ტერიტორიაზე შექმნას მეხუთე კოლონა. მეხუთე დღეს ჩვენი დაპყრობა-დამონება გამოაცხადოს საქართველოს გათავისუფლებად და მეექვსე დღეს ქართველი ერის შეურიგებელი ნება მონობისადმი ჩაახშოს სისხლში!

სანამ რუსეთი არ აღიარებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შედის რუსეთის ინტერესებშიც, რადგან რაც უფრო დასუსტებული იქნება საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიკურად უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ისეთ ძალებზე, რომლებიც არ არიან რუსეთისადმი კეთილგანწყობილნი, სანამ რუსეთი არ აღიარებს, რომ ორმხრივ ურთიერთობებში საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა არის ხელშეუხებელი, მანამდე რაიმე წინსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია და ეს უწინარესად, კარგად უნდა შეიგნონ რუსეთში!

— **გმადლობთ.**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# თითო-ოროლა მოლიცლიცე სანთელთან...



11 წლის წინანდელი 9 აპრილი შესაძლოა ისტორიის კუთვნილება გამხდარიყო, რომ არა წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ზუსტად ამ რიცხვში იყო დანიშნული. წინა წლებისაგან განსხვავებით წელს ყველზე მეტად იხსენებდნენ იმ ავბედით ღამეს. ის კი არა, ანატოლი სობჩაკის არქივიც ჩამოიტანეს და მასზე დაყრდნობით სახელდახელოდ წიგნიც გამოსცეს. ეს წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ნაწილი იყო. პრეზიდენტობის არცერთ კანდიდატს არ გახსენებია ის ახალგაზრდები, რომლებმაც საქართველოს თავისუფლებას შესწირეს სიცოცხლე. არცერთი მათგანი არ მისულა მათ საფლავთან და მუხლი არ მოუდრეკია.

მათგან განსხვავებით დღესდღეობით კიდევ არსებობს საზოგადოებაში ის ნაწილი, რომელთაც 11 წლის შემდეგ კიდევ სტკივათ მაშინდელი იარა. 1989 წლის შემდეგ, თითქმის ყოველწლიურად მთავრობის სახლის წინ საზოგადოების ნაწილი იკრიბება, რომლებიც თავიანთ პატივისცემას და ტკივილს გამოხატავენ. ზოგჯერ რუსთაველის გამზირზე ბევრი ხალხი იყრის თავს, ზოგჯერ კი სულ ორ ათეულს თუ აღწევს მათი რიცხვი.

წელსაც შეგროვდა ხალხი 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის წინ. მართალია 40-50 კაცი, მაგრამ მაინც...

ყველაზე ადრე მთავრობის სახლთან სპეცდანიშნულების რაზმი გამოჩნდა, მეთაურის თემურ მღებრიშვილის ხელმძღვანელობით. დაახლოებით 9სთ-დან ხალხმაც იწყო მოსვლა. ძირითადად, უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრები იყვნენ. ის წევრები, რომლებიც ერთ დროს ერთად იდგნენ, დღეს კი ერთმანეთს გამარჯობასაც არ ეუბნებოდნენ და თვალს ვერ უსწორებდნენ. მათ შორის იყვნენ ვაჟა ადამია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, რევაზ შავიშვილი, ნოდარ ნათაძე და სხვანი. 3,30სთ-თვის მთავრობის სახლთან სამხედრო ნომრებიანი სამი „ჯიპი“ გაჩერდა, საიდანაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე გადმოვიდა მიხაკებით ხელში. დაცვის თანხლებით მემორიალს მიუახლოვდა, ყვავილებით შეამკო, მიცვალებულთა სულებს სანთელი აუნთო და დაუჩოქა.

**— ბატონო დავით, რას ნიშნავს თქვენთვის 9 აპრილი?**

— ტრაგედიას, — მოკლედ მიპასუხა სიტყვაძუნწმა მინისტრმა და მანქანაში ჩაჯდა.

ცოტა ხანში მეორე მანქანა გაჩერდა, საიდანაც პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივი, მანანა არჩვაძე-გამსახურდია გადმოვიდა კოჭლობით (მოგეხსენებათ ცოტა ხნის წინ იგი ავტოკატასტროფაში მოჰყვა). მანაც მემორიალთან სანთლები დაანთო და „კვირის პალიტრას“ ექსკლუზიური ინტერვიუს უფლება მოგვცა.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია: — 9 აპრილი ქართველი ერისთვის უმძიმესი დღეა. მოგეხსენებათ, 11 წლის წინ ამ ადგილას საქართველოს თავისუფლებას ახალგაზრდები შეეწირნენ. თუმცა ეს დღე მეორე მხრივაც არის აღსანიშნავი. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

**— ქალბატონო მანანა, წელს 9 აპრილს საპრეზიდენტო არჩევნებია...**

— ეს პრეზიდენტის არჩევნები კი არა, დანიშვნაა. ყველამ კარგად ვიცით, ვინ გახდება პრეზიდენტი ამ ე.წ. არჩევნებში. დაახლობითი პროცენტებიც ცნობილია უკვე. ქართველი ერის უფრო შეურაცხყოფა რა არის, როცა 9 აპრილის ტრაგედიის ორი უდიდესი დამნაშავე შევარდნაძე და პატიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიან კენჭს. ისინი ამას კი არა, რუსთაველზე გავლასაც ვერ უნდა ბედავდნენ.

**— თქვენი აზრით, რომელს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ტრაგედიაზე?**

— პატიაშვილი ცკ-ს პირველი მდივანი იყო, შევარდნაძე კი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. თავისი თანამდებობრივი შესაძლებლობები ორივემ მაქსიმალურად გამოიყენა.

**— როგორ შეაფასებდით პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრას პოლიტპატიმრებთან. როგორც ისინი ამბობენ, გადაიდგა პირველი ნაბიჯი ეროვნული შერიგებისკენ.**

— ამაში ისინი შევარდნაძესთან შერიგებას არ გულისხმობენ, ეს უბრალოდ ხალხთა შერიგება შეიძლება იყოს.

**— და ბოლოს, უნდა ველოდოთ თუ არა პრეზიდენტ გამსახურდიას ნეშთის გადმოსვენებას საქართველოში?**

— სანამ საქართველოს შევარდნაძე მართავს, მისი გადმოსვენება არ მოხერხდება. აი შემდეგ კი, შესაძლოა.

**— თქვენი პროგნოზით, მაინც როდისთვის უნდა ველოდოთ ამას?**

— მე პროგნოზებს არ ვამხელ. ეს თქვენ, ჟურნალისტებმა უნდა გააკეთოთ.

ქალბატონი მანანა ამის შემდეგ თითქმის ნახევარი საათი დარჩა მთავრობის სახლთან, შემდეგ კი თანამოაზრეებს დაემშვიდობა და წავიდა.

კომენტარი ვთხოვეთ ნოდარ ნათაძესაც:

— მე მივედი ერთადერთ დასკვნამდე. 9 აპრილის ტრაგედიაზე ყველა პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ საბჭოთა კავშირის მაშინდელ პრეზიდენტს, გორბაჩოვს. იმ დროს გაცემული თითქმის ყველა ბრძანება მისგან მოდიოდა.

**— ბატონო ნოდარ, საპრეზიდენტო არჩევნებზე რას იტყვით?**

— რაც აქამდე არაერთგზის განვაცხადე. ერთადერთი სწორი გზა ბოიკოტია, თუმცა დღევანდელი ხელისუფლება მაქსიმალურად ეცდება გააყალბოს შედეგები, რასაც წინა არჩევნების შემდეგ შევეჩვიეთ კიდეც.

5სთ-ის შემდეგ ხალხი ნელ-ნელა დაიშალა და ნახევარ საათში სამიოდე ჟურნალისტიღა დავრჩით მთავრობის სახლთან, მემორიალის წინ ანთებულ სანთლებთან ერთად. თუმცა, ამოვარდნილმა ნიავმა ყველა ერთიანად ჩააქრო და ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა იქაურობა დაგვეტოვებინა.

აი, დაახლოებით ასეთი იყო 2000 წლის 9 აპრილის დილა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ამ ადგილას კიდევ შეიკრიბება საზოგადოება. კიდევ დაანთებენ სანთლებს და მიცვალებულთა სულებს მოიგონებენ... და კიდევ ერთი, იმედია მომავალ წელს მაინც აღიმართება მემორიალი იმ ადგილას, სადაც ახლა მხოლოდ მარმარილოს ქვა დევს წარწერით: „აქ აღიმართება 9 აპრილს დაცემულ მამულიშვილთა მემორიალი“.

# საქართველოს „მომავლის არჩევა“ ცემა-ტყეპითა და ქვების სროლით...

გასულ საპრეზიდენტო კვირას, უფრო ზუსტად კი 7 აპრილს, დედაქალაქში ნულოვანი არჩევნები მოეწყო. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისულ ახალგაზრდას იქ ბიულეტენი დახვდებოდა, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატთა გვარები იყო ჩამოწერილი.

„... აიღებ ამ ბიულეტენს, შემოხაზავ შენთვის სასურველ კანდიდატს, მოახევ ქვედა ნაწილს, რომლითაც 8 აპრილს მოხვალ სპორტის სასახლეში...“ — იუწყებოდა სარეკლამო კლიპიდან ქეთი მერკვილაძე. მის გარდა აქციაში — „აირჩიე მომავალი“, სხვა მომღერლებიც მონაწილეობდნენ — სოსო პავლიაშვილი, „ქუჩის ბიჭები“, „ფლეში“...


დარბევის დასაწყისი

მართლაც, უამრავი ახალგაზრდა მივიდა 7 აპრილს უნივერსიტეტში, გაცილებით მეტი, ვიდრე სპორტის სასახლე იტევდა. შემოხაზეს (თუ შემოახაზინეს) სასურველი კანდიდატი და საგულდაგულოდ შეინახეს ბიულეტენის ქვედა ნაწილი...

8 აპრილს კი, საღამოს ექვსი საათიდან დაიწყო ახალგაზრდობამ სპორტის სასახლესთან მოსვლა. მათთან ერთად პოლიციელთა რიცხვიც იზრდებოდა. აშკარა იყო, რომ კონცერტის სანახავად მოსული მაყურებელი ერთი-ორად ჭარბობდა სპორტის სასახლეში არსებულ სკამებს.

მალე პოლიციას ომონიც შეუერთდა და ერთობლივი ძალებით იცავდნენ შენობის კარს. კონცერტის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, სპორტის სასახლე მაყურებლით იყო გადაჭედილი. დაახლოებით იმდენივე გარეთ იდგა ბილეთით (ანუ ბიულეტენის ქვედა ნაწილით) ხელში და შესვლას ლამობდა. პოლიციელები ადგილების უქონლობის გამო, ამ უკანასკნელთ შენობაში არ უშვებდნენ, რამაც ახალგაზრდების სამართლიანი გაღიზიანება გამოიწვია და ძალით ცდილობდნენ შეღწევას. პასუხი არც პოლიციას და ომონს დაუყოვნებია, გოგო-ბიჭების გაძალიანებას ხელკეტებით და ე.წ. „ელექტროშოკებით“ დახვდნენ და ატყდა კიდეც ცემა-ტყეპა. კარებიდან ყვირილით გამოქცეული ბავშვები პოლიციისგან თავდაცვას ცდილობდნენ, ზოგმა ქვებიც მოძებნა... გაწევ-გამოწევას სპორტის სასახლის საკმაოდ ბევრი შუშა შეეწირა.


რესპუბლიკურ საავადმყოფოში

პოლიციელების მიერ დასისხლიანებული 15-18 წლის ბიჭები უკან არ იხევდნენ და ყველა საშუალებით ცდილობდნენ დარბაზში შეღწევას...

— ვინც საცემია, უნდა იცემოს. მოდიან ეს ნაბიჭვრები, ყვირიან, წივიან... ისვრიან ქვებს, ბოთლებს... — ბრაზობდა ომონის შეფი თემურ მღებრიშვილი და მუზარადიან თანამშრომლებს ამხნევებდა. არ დაგავიწყდეთ, ეს ყოველივე არჩევნების წინა ღამეს, 8 აპრილს ხდება(!)

გარეთ დარჩენილი გოგონები გაკვირვებას ვერ მალავდნენ — გვეუბნებოდნენ, შევარდნაძე შემოხაზეთ და წინა რიგებში დაგსვამთო. მართლაც შემოვხაზეთ, მოვედით, მაგრამ წინა რიგებს ვინ ჩივის, საერთოდ ვერ შევდივართ.

„ეშხში შესული“ პოლიციისა და ომონისთვის სულ ერთი იყო, ვის დაარტყამდნენ „დუბინკას“ (როგორც მღებრიშვილი უწოდებს, ჩურჩხელას), სპორტის სასახლესთან გავლილი ნებისმიერი ადამიანი დამნაშავედ მიაჩნდათ.

სისხლგაყინული „წესრიგის დამცველები“ არც ჟურნალისტებს ინდობდნენ. მათი „ვაჟკაცობის“ გამო, „კვირის პალიტრის“ ფოტოკორესპონდენტმა გიორგი აბდალაძემ ტვინის შერყევა და სხეულის დაზიანება მიიღო. მისი ფოტოაპარატი კი პოლიციის პოლკოვნიკმა დაამტვრია წიხლებით (რადგან აბდალაძე მას იმ დროს უღებდა ფოტოს, როდესაც იგი 16-17 წლის ბიჭს უმოწყალოდ სცემდა), დამტვრეული აპარატიდან ფირი ამოიღო და ერთი კარგად „შესდგა“ ჟურნალისტსაც (აბდალაძეს ამ მომენტში გულზე პრესის თანამშრომლის მოწმობა ეკიდა) და სიტყვებით მე შენ გაჩვენებ როგორ უნდა სურათის გადაღებაო, იქაურობას გასცილდა ისე, რომ არც უცდია დაზარალებული (გათიშული) ფოტოკორესპონდენტის წამოყენება. წაქცეულ რეპორტიორს ახლა ომონელები „დაესივნენ“ და რეზინის ხელკეტები ურტყეს. დამეთანხმებით ალბათ, ნამდვილად „ვაჟკაცური“ საქციელია.

სხეულის დაზიანება მიიღო რედაქციის მეორე, მანდილოსანმა თანამშრომელმაც. სპორტის სასახლესთან გავლისას, იგი პოლიციელებისგან გამოქცეულ ბრბოში მოყვა და სანამ მიხვდებოდა რაში იყო საქმე, მიწაზე აღმოჩნდა.

ომონელები თავიანთ მეთაურებთან ერთად სასტუმრო „აჭარამდეც“ კი მისდევდნენ „მსხვერპლს“, ანუ კონცერტზე მისულ ახალგაზრდებს. ბოლოს, როგორც ჩანს სამართალდამცავებმა „გული მოიოხეს“ და მათმა ნაწილმა შენობის მიმდებარე ტერიტორია დატოვა. ამით ახალგაზრდებმა ისარგებლეს და მინებჩამტვრეული კარებიდან დაიწყეს დარბაზში შესვლა. შიგნით, ლაზერული სხივებით განათებული სცენის უკან კი დიდი ასოებით ეწერა — „ჩვენ ვირჩევთ შევარდნაძეს!“ თუმცა, როგორც ჩანს, აქციის ორგანიზატორებმა ვერ გათვალეს, რომ წესრიგისდამცველთა „მისევა“ გოგო-ბიჭებისადმი, თავად პრეზიდენტობის კანდიდატ შევარდნაძეზე იმოქმედებდა უარყოფითად, რადგან თავისთავად ცხადია, რომ ათასობით დარბეულ-შეურაცხყოფილი ახალგაზრდა და მათი ოჯახის წევრები, წყევლაგინებით აიკლებდნენ ხელისუფლებასა და აქციის ორგანიზატორთ. აქცია კი, როგორც მოგახსენეთ, პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდასაჭერი იყო. გამორიცხული არცაა, ხელისუფლების „ყოჩ“ პოლიციელებს კარგი საქმის(?!) გაკეთება უნდოდათ ბატონი ედუარდისთვის, მაგრამ თავიანთი არაპროფესიონალიზმით (თუმცა, ცემა-ტყეპაში „დახელოვნებულნი“ არიან) პირიქით გამოუვიდათ. მართალია სპორტის სასახლესთან რამდენიმე სახანძრო მანქანა იდგა, მაგრამ არავის გახსენებია ახალგაზრდებისთვის წყლის ჭავლი მიეშვათ და ისე დაეშალათ. ალბათ არ ჩათვალეს საჭიროდ, მსოფლიოში აპრობირებული და ჰუმანური მეთოდის გამოყენება, თუმცა გამორიცხული არაა წყალიც არ ჰქონდათ(!). არაფერი არა გვაქვს და რა გასაკვირია...

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ნიუანსი (თუ შეიძლება, რომ მას ასე ეწოდოს) — აქციის მომწყობთა განცხადებით საღამო არ იქნებოდა რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად გამართული და იგი ზოგადად არჩევნებს მიეძღვნებოდა. სწორედ ამიტომ ერქვა კიდეც — „აირჩიე მომავალი“. ასე რომ, 8 აპრილს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე (იმ დროს, როცა საარჩევნო კანონით აგიტაცია-პროპაგანდა აკრძალულია), ახალგაზრდობის ერთი ნაწილი საქართველოს მომავალს ირჩევდა(„ჩვენ ვირჩევთ შევარდნაძეს!“), მეორე კი კუნთმაგარ „წესრიგისდამცველთა“ ცემის ობიექტი ხდებოდა.

საინტერესოა, ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა 8 აპრილის ფაქტზე, პოლიციას, ომონს თუ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას? თუმცა ამის იმედი, რომ ვინმე პასუხს აგებს, თითქმის არ არსებობს. რადგან გასულ შაბათს მომხდარი ინციდენტი მხოლოდ გაგრძელებაა იმ სერიალისა, რასაც საქართველოში ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევა ჰქვია. ხოლო რასაც ჟურნალისტთა ცემა ჰქვია, მოგეხსენებათ ბატონო „ჩურჩხელიანებო“, რომ ჟურნალისტის პრეფესია ყველა დანარჩენისგან განსხვავდება და მათ მთელ მსოფლიოში ერთადერთი ფუნქცია აკისრიათ, — ობიექტურად წარმოაჩინონ ყოველივე, რაც მათ თვალწინ ან თუნდაც ზურგს უკან ხდება.


„ჩურჩხელის“ კვალი გ. აბდალაძის ზურგზე

ამასთან, თუ ჩვენს პრეზიდენტს ყურადღებით მოვუსმენთ: „დამოუკიდებელი და თავისუფალი მასმედია, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ მას“. ხოდა, ბატონო „ჩურჩხელიანებო“, თუ თქვენ დემოკრატიის მომხრეები ბრძანდებით, ანუ გინდათ რომ სიმართლე გაიგოთ ყველაფრის შესახებ, ნუ გვცემთ(!)

არავის ვემუქრებით, ან როგორ დავემუქრებით, ჩვენთვის „ჩურჩხელები“ ხომ არავის დაურიგებია!

ჭეშმარიტების დასადგენად და დასაცავად განგებას ჩვენთვის ყოველგვარ „ჩურჩხელაზე“ ბასრი იარაღი მოუცია — კალამი და მართალი სიტყვა.

ხელისუფალნო, როდემდე ველოდოთ დროს, როცა კალამიც იკალმებს და მართალი სიტყვაც გაქრის!

ზემოთაღნიშნულმა ფაქტმა დამსწრეთ 11 წლის წინანდელი 9 აპრილი გაგვახსენა. ღმერთმა დაგვიფაროს, მსგავსი ტრაგედიისგან, მაგრამ უნებლიედ წამოტივტივდა მსგავსება — 1989 წელს, 9 აპრილის გამთენიისას, მთავრობის სასახლესთან, რუსეთის ჯარმა უდანაშაულო ახალგაზრდები დაარბია, რომლებიც მომავალი საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ... 11 წლის შემდეგ, სპორტის სასახლესთან, ქართულმა პოლიციამ კონცერტისთვის მისული ახალგაზრდები სცემა, რომლებიც „საქართველოს მომავალს ირჩევდნენ“...

გვაცალეთ, — „ჩვენ ვირჩევთ მომავალს!“

***გვერდი მოამზადა ზურა ქაჩლიშვილმა***




ხუთშაბათს, 13 აპრილს გამოვა ჟურნალი "გზა" №2

მეთერთმეტე ცოლი ისე მოვიყვანე ძველ ცოლებზე არაფერი მითქვამს. 62 წლის ვიყავი, თვითონ 38-ის, სხვათაშორის ქალიშვილი იყო.

*ინტერვიუ ქართველ კაზანოვასთან*

„უპატრონო ქვეყანა“ ხენწელით შემოვიარე

— რა ქენი გოდერძი იშოვე სპონსორი?
— საგიჟეთში რას იშოვი ძმა?
კიდე რა შეგიძლიაო მკითხეს, სხვა რა უნდა შემეძლოს, 15 კილომეტრზე მანქანის „მატორი“ „დასტუკავს“, „ზადნით“ რომ იაროს და მე ფეხით გავდივარ, თანაც კენწვლით...

*ინტერვიუ გოდერძი მახარაძესთან*

**...ძალიან უნდოდათ, როგორმე არჩევნებამდე ნოდარ ჯავახიშვილი დაეჭირათ...**

**...მე კი არანაირი სურვილი აღარ მქონდა ყოველდღე მიმეცა ახსნა-განმარტებები გამომძიებლისათვის, ამიტომ კარელიაში წავედი.**

*ნოდარ ჯავახიშვილი*

ჯონ როკფელერი

მან მიზნად დაისახა გამდიდრება და ყველა გრძნობა, სურვილი, აზრი და მთელი სიცოცხლე ამ მიზანს შესწირა...

...და სხვა მრავალი საინტერესო!

# „ვფიქრობ, მთავარი ბზარი მაინც პატიაშვილის ფაქტორია...“

## ბათუმური ბლოკი იშლება?!

გასული კვირა საარჩევნო მარათონში ჩაბმული პოლიტიკური წრეებისთვის განსაკუთრებით „ცხელი“ და მღელვარე აღმოჩნდა. ნომერ პირველმა ტრადიციონალისტმა ცოტა ხნის წინ არჩევნების ბოიკოტირებასთან დაკავშირებით სკანდალური განცხადება გააკეთა და მისი პარტიის მიერ ბათუმური ბლოკიდან შესაძლო გასვლის საფუძვლად შევარდნაძესა და აბაშიძეს შორის არსებული გარიგება დაასახელა. აღნიშნულ განცხადებას, ცხადია, შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. თუმცა შემდგომ ასათიანმა განაწყენებულ თანაგუნდელებს „გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას“ პრინციპით ვალი იქით დასდო — რა გულუბრყვილოები ხართ, ხუმრობას ვერ მიმიხვდითო. ამის მიუხედავად, „ხუმარა“ ტრადიციონალისტის „არასერიოზულმა“ განცხადებამ ბათუმური ბლოკის ლიდერთა სავსებით სერიოზული გულისწყრომა გამოიწვია. „ასეთ თემაზე დღეს ხუმრობაც კი საშიშია“, — განაცხადა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საზოგადოებისთვის მოულოდნელად ცნობილი ხდება ისიც, რომ თურმე ბათუმური ბლოკის მეორე კანდიდატს, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ ჯუმბერ პატიაშვილს, ასლან აბაშიძესთან შეუთანხმებლად გადაუწყვეტია გაპრეზიდენტება(!). ამის შესახებ განცხადებას თავად აბაშიძე აკეთებს. თავის მხრივ, პატიაშვილი ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილების შესახებ აჭარის ხელმძღვანელი ინფორმირებული იყო. ასეა თუ ისე, ასლან აბაშიძის განწყობილების ცვლილება გარეგნულად ყველასთვის ნათელი ხდება. აჭარის ლიდერი პატიაშვილს არამდგრადი ორიენტაციის პოლიტიკოსს უწოდებს და მის მიმართ არცთუ სასიამოვნო განცხადებებს აკეთებს. მოკლედ, მონასტერი აირია, ბათუმურ ბლოკში დენთის სუნი ტრიალებს. ბათუმური ბლოკის შესაძლო დაშლის პერსპექტივებზე ახლა უკვე თავად ბლოკის ლიდერებიც ალაპარაკდნენ. თუ აქამდე ისინი დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ბლოკს დაშლის საფრთხე არ ემუქრებოდა, დღეს, მართალია, მკვეთრი განცხადებებისგან თავს იკავებენ, მაგრამ ასეთ შედეგს აღარ გამორიცხავენ და თავისებურ გამართლებასაც უძებნიან იმ მოტივით, რომ ბუნებაში მუდმივი არაფერი არსებობს. რაც შეეხება თავად ასლან აბაშიძეს, იგი უკვე ხმამაღლა გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ბლოკის შიგნით მიმდინარე არცთუ სახარბიელო პროცესების მიმართ. აჭარის ლიდერი პერმანენტულად აკეთებს დამანგრეველ განცხადებებს ბლოკის ზოგიერთი წევრის მისამართით. დღეს უკვე თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ბათუმური ბლოკი უახლოეს ხანში დაიშლება და სავარაუდოდ „პირველი“ ანუ დაშლის ინიციატორი თავად ასლან აბაშიძე და აღორძინების კავშირი იქნება. თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ესეც მორიგი პოლიტიკური თამაში იყოს. „კვირის პალიტრა“ ბათუმური ბლოკის ყველა ლიდერს გაესაუბრა.

**აკაკი ასათიანი, საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე:**



— ეს ალიანსი, საერთოდ, წინასაარჩევნოდ შეიქმნა. ბლოკი გარკვეულ სახეცვლილებას შეიძენს, ალიანსი კი — არ ვიცი, რა მოგახსენოთ. უახლოეს დროში მოხდება ძალთა გადაჯგუფება. ისე, როცა ბლოკი შეიქმნა, მაშინაც ყველასთვის ცხადი იყო, ასეთ არაერთგვაროვან პარტიებს მხოლოდ საარჩევნო ციებ-ცხელება რომ აერთიანებდათ. ბუნებრივია, ტრადიციონალისტების და სოციალისტების ალიანსი დიდხანს ვერ გასტანს, ასევე, განსხვავებული წარმოდგენები აქვთ პატიაშვილს და აბაშიძეს.

**— ე.ი. ალიანსი შეკრებას აპირებს და ძალები ერთმანეთს „კბილს მოუსინჯავენ“?**

— შეკრება დაგეგმილია აპრილის არჩევნების შემდეგ. დაიწყება სერიოზული პროგრამული ბრძოლა, აზრთა გადახარისხება, შეჯერება. ტრადიციონალისტები ვთვლით, რომ თუ ბლოკი ჩვენს შეხედულებებს არ გაითავისებს, ასეთ ბლოკს სიამოვნებით დავტოვებთ. თუმცა, რატომ მაინცდამაინც ტრადიციონალსტები?! შეიძლება თვითონ აღორძინება გავიდეს ალიანსიდან. ვნახოთ. ალიანსის გაფორმებისას აბაშიძემ იცოდა კიდეც, რომ ჩვენ ჩვენს ქმედებებში თავისუფალი უნდა ვყოფილიყავით და შეხედულებებს არავის სასიკეთოდ არ შევცვლიდით. ეს ორმხრივი გარიგება იყო. ბლოკში შესვლით ჩვენ 7%-იანი ბარიერის გადალახვის გარანტიები მივიღეთ. აბა, ცალმხრივად ვერავინ ვერავის გამოიყენებს. ასეთი სულელები დღეს აღარ არიან. აღორძინებამ ისარგებლა ჩვენი იმიჯით, ჩვენ კი მათგან პარლამენტში მოსვლის გარანტია მივიღეთ. ეს არ იყო მხოლოდ მეგობრობა, არც წმინდა პრაგმატული მოსაზრებები. ამას მე კი არა, ბლოკში შესული არც ერთი ლიდერი არ მალავდა. მეტიც, პარლამენტში ბლოკის გარდა ხუთი ფრაქციის შექმნას არავინ ელოდა. ფრაქციები კი სწორედ იმ ხალხმა შექმნა, ვინც ამბობდა, ერთ ძალად ჩამოვყალიბდეთო.

**— არ მიგაჩნიათ, რომ თუ ბლოკიდან წამოხვალთ, თამაშის წესებს დაარღვევთ?**

— ჯერ ერთი, ბლოკიდან შეიძლება ყველაზე ბოლოს წამოვიდე, მეორეც, თამაშის წესებს მე კი არ ვარღვევ, სხვები არღვევენ. ის სხვები მერე უბედურებას გადაეყრებიან და აღარ იციან, ვის რა დააბრალონ. მე ის კაცი არა ვარ, ურთიერთობაში რაიმე შემეშალოს. პირობა პირობაა და არ უნდა დაირღვეს. ვინც დაარღვევს, დაისჯება.

**— განაწყენებული ჩანხართ. ალბათ, თქვენთან შეეშალა ვიღაცას რაღაცა. თქვენი გახმაურებული საპირველაპრილო ხუმრობაც ამან ხომ არ გამოიწვია?**

— თავად ასლანმა კარგად იცის თამაშის წესები, მაგრამ გვერდით ჰყავს ისეთი ხალხი, რომლებიც უსინდისოდ და უპირობოდ იქცევიან. შეიძლება, ამის ბრალიც იყო, რომ ბლოკმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვერ გაამართლა. ერთი ბლოკიდან ორი კანდიდატურის წამოყენება კარგი ტონი არ არის. ახლა აშკარად შეინიშნება ტენდენცია, რომ არჩევნების შემდგომ ბლოკი დიდხანს ვერ გაძლებს.

**ვახტანგ რჩეულიშვილი, სოციალისტური პარტიის ლიდერი:**

— საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბზარი გაჩნდა, მაგრამ ეს არ მიკვირს. ყველანი ადამიანები ვართ და ადამიანური სისუსტეებიც გასაგებია. ახლა რომ ბლოკი დავშალოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი მოვაწეროთ ჩვენს უძლურებას.



**— ზემოთ ბზარი ახსენეთ. ვის და რას გულისხმობთ?**

— უმთავრესად ვგულისხმობ პატიაშვილის მიერ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას. ამას ემატება ტრადიციონალისტთა ლიდერის ბოლოდროინდელი განცხადება. საერთოდ, ასათიანთან მიმართებაში ვფიქრობ: ისინი რომ არ შემოსულიყვნენ ბლოკში, დიდად არ ვიზარალებდით, მაგრამ მისი გასვლა უკვე ბლოკის დაშლას ნიშნავს. თუმცა ვფიქრობ, მთავარი ბზარი მაინც პატიაშვილის ფაქტორია.

**— ვარაუდობთ, რომ უსიამოვნებანი უფრო შორს წავა?**

— არ ვიცი, ვნახოთ, ვინ როგორ მოთოკავს ამბიციებს. მე შევძელი ჩემი ამბიციების დამორჩილება, რადგან მხოლოდ ერთი პარტიის ლიდერი ვარ. აბაშიძისა და პატიაშვილის მდგომარეობა კი სპეციფიკურია, მათ სხვა პასუხისმგებლობანი გააჩნიათ. ვინ ვის სჯობია, არ მინდა განსჯა. ცალ-ცალკე ორივესი მესმის. მესმის, რომ აბაშიძე განაწყენდა იმის გამო, რომ ბოლომდე არ იყო საქმის კურსში. კიდეც მითხრა: ვახტანგ, ისე გამოდის, ქალთან რომ მიხვალ და ეტყვი, მე თუ არ გამომყვები ცოლად, იმას მაინც არ გაჰყვე და ამას გაჰყევიო.

**— რღვევის ერთ-ერთ უპირველეს მიზეზად თქვენც დასახელდით. რამდენიმე თვის წინ სოციალისტმა ჯგუშიამ შევარდნაძეს ოფიციალურად დაუჭირა მხარი. მაშინ ჯგუშიამ ჩემთან საუბარში გარკვევით თქვა, რომ ამ საკითხში მხარი აუბა მისი პარტიის ლიდერმა.**

— ჯგუშიას ეს განცხადება თავდაცვის ინსტინქტით იყო განპირობებული. ჯგუშია მაჟორიტარი დეპუტატია. მაჟორიტარი დეპუტატი კი პრეზიდენტის მხარდაჭერის გარეშე ვერაფერს გახდება. იმ განცხადების შემდეგ, პარტიიდან გაირიცხა კიდეც. სამწუხაროდ, ჯგუშიამ დაახლოებით ისე გამიკეთა, როგორც ჯუმბერ პატიაშვილმა ასლან აბაშიძეს. ისე კი, სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი და შევარდნაძის შეხედულებები ხშირად მართლა ემთხვევა ერთმანეთს.

**— ეს თანხვედრა აბაშიძისეულ იდეებთან თანხვედრას ხომ არ აჭარბებს?**

— გააჩნია, რა კუთხით: ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში აბაშიძეს ბადალი არ ჰყავს, საგარეო პოლიტიკაში კი — შევარდნაძეს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მე მუშაობა შემიძლია როგორც ასლან აბაშიძესთან, ისე შევარდნაძესთან, და სხვათა შორის, პატიაშვილთანაც. ყველაზე კარგად კი, ჩემი კარიერის მანძილზე შევარდნაძესთან ვმუშაობდი.

**— ვახტანგ ბოჭორიშვილმა, ალბათ, სწორედ თქვენი უცნაურად შემგუებლური ხასიათის გამო დაგასახელათ ბლოკის დაშლის ერთ-ერთ ინიციატორად.**

— ვახტანგ ბოჭორიშვილს ძალიან ვაფასებ. მის სიტყვებზე არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ. მე ყოველთვის მლანძღავდნენ და ახლაც არ მიკვირს. ხოლო, თუ ბოჭორიშვილი ჩემი პოლიტიკური პარტნიორია, იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ყველაფერში უნდა დავეთანხმოთ.

**— არჩევნების შემდეგ ბათუმური ალიანსი ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევას აპირებს. არსებობს აზრი, რომ ეს შეხვედრა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს.**

— დეტალები მართლაც გადაისინჯება, მაგრამ სოციალისტების გამო მასში რღვევა მოსალოდნელი არ არის. ჩვენი ფასი ასლან აბაშიძემ კარგად იცის.



**— ასათიანის საპირველაპრილო ხუმრობას შეგახსენებთ... როგორ გგონიათ, ასათიანმა მართლა იხუმრა?**

— ვფიქრობ, რომ ეს კაკომ ცხელ გულზე თქვა. ისე, ასათიანი მეგობრების გარემოცვაში, თუ საუბარი პოლიტიკას არ ეხება, ძალიან მხიარულია. ასეთი პრინციპი აქვს: ვინც არ დამიჯერებს, იმის გვერდით არ ვიქნებიო. რაც შეეხება მის განცხადებას, ალბათ იმაზე გაბრაზდა, რომ საარჩევნო კომისიაში სწორად არ მოექცნენ. ახალი ორი ადგილი, რომელიც კომისიაში დაამატეს, ტრადიციონალისტებისა და სოციალისტების უნდა ყოფილიყო. აღორძინებამ ბლოკის ერთიანი კვოტა გამოიყენა და ერთ ადგილზე პარტია აღორძინების წევრი დანიშნა და არა ტრადიციონალისტებისა; მეორე კი სოციალისტებს მოგვცეს. ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რა უფლებით გაბრაზდა ასათიანი, რომ არა აბაშიძე, პარლამენტში ვერ მოხვდებოდაო. მართალიცაა, მაგრამ თუ იტვირთა აბაშიძემ, რომ ტრადიციონალისტებისთვის პარლამენტში ფრაქცია შეექმნა, კიდეც უნდა დაეფასებინა ის, როგორც პარტნიორი.

**— ასეთი პრობლემები მმართველ პარტიას არ ჰქონია. გამოდის, რომ სიმტკიცით და ერთიანობით ბათუმურ ალიანსს თბილისურმა აჯობა?!**

— ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ უფრო მტკიცეა. სმკ-ს პარტიების ჩახუტება და მოფერება ეხერხება, მერე კი ამ ჩახუტებაში ჯერ მოახრჩობს და მერე გადააგდებს.

**— აბაშიძე იგივეს არ იზამს?**

— ნამდვილად არა. ის ჩამოყალიბებული პიროვნებაა და ასეთები არ ეშლება.

**— აბა, ხომ ფაქტია, რომ ტრადიციონალისტები „გადააგდო“?**

— ეს გადაწყვეტილება აღორძინებამ აბაშიძესთან შეუთანხმებლად გააკეთა. ასათიანის ე.წ. „გადაგდება“ აპარატის უნიათო მუშაობის შედეგია. დასანანი იქნება, თუ ეს ფაქტი ბლოკის დაშლის მიზეზად იქცევა.

**ვახტანგ ბოჭორიშვილი, ფრაქცია XXI საუკუნე:**

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ თქვით, რომ ბლოკის დაშლის მთავარი მიზეზები რჩეულიშვილი და პატიაშვილია; ანუ თქვენ პირველმა განაცხადეთ, რომ ბლოკი იშლება?!**

— გარკვეულწილად ასეა. ახლა ყველაფერი აღორძინების ხელმძღვანელის ორიენტაციაზეა დამოკიდებული. ბატონმა ასლანმა უნდა გადაახარისხოს პარტნიორი პარტიები. არ არის გამორიცხული, ალიანსში მოკავშირეების რაოდენობა შემცირდეს. თუ უნდათ რჩეულიშვილს და პატიაშვილს ბლოკიდან გასვლა, გავიდნენ, თუ არ უნდათ გასვლა და დარჩენა სურთ, ისე მოიქცნენ, როგორც ჩვენ ვეტყვით.

**— ბლოკის პარტნიორი ლიდერები ღიად ამბობენ, რომ ალიანსში შესვლა ორმხრივი გარიგება იყო, ამიტომ თქვენც გკითხავთ: რა მისცა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებას აღორძინებამ და პირიქით, რა მიიღო აბაშიძემ ბოჭორიშვილისგან?**

— ჩვენ მივიღეთ პარლამენტში მოსვლის გარანტია, გავხდით სახელისუფლებო პარტია და ამ ტრიბუნიდან, ამ სტატუსით უფრო ადვილია ბრძოლა. აღორძინებამ კი ჩვენი სახით შეიძინა ექს-პრეზიდენტის მომხრეთა დიდი არმია, იმ ნაწილის მხარდაჭერა, რომელთაც დემოკრატიის და სიმართლის ფასი იციან.

**— და ახლა, როცა ყველას თავი ქუდში აქვს, შეიძლება თავ-თავიანთ გზაზე წავიდნენ?!**

— ასეთი ნაბიჯი უსინდისობა იქნებოდა. თუ რომელიმე ლიდერი ამას გააკეთებს, საქმე მარტო უსინდისობასთან კი არ გვექნება, არამედ პოლიტიკურ უნიჭობასთანაც.

**ჯუმბერ პატიაშვილი, ბლოკ აღორძინების ერთ-ერთი ლიდერი:**

**— ბატონო ჯუმბერ, ამბობენ, რომ ძალიან მალე ბათუმური ბლოკი დაიშლება.**

— არ ვიცი, რის საფუძველზე ვრცელდება ასეთი ხმები. დღესდღეობით რეალური საფუძველი ამისთვის, ვფიქრობ, არ არსებობს. თუმცა ვინ იცის... ბლოკი კი არა, ბოლოს და ბოლოს, ოჯახები ირღვევა და თუკი, დავუშვათ, ვინმე გადაწყვეტს, რომ საჭირო აღარ არის ბლოკის ერთ მთლიანობაში არსებობა და უნდა დაიშალოს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაიშლება კიდეც. ჩვენ ალბათ კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ ბლოკის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს და შესაბამისად სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ.

*(გაგრძელება იხ. გვ.8)*


საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკი

ABG

Agro-Business Bank of Georgia

საუკეთესო შესაძლებლობა თქვენი ბიზნესის განვითარებისათვის

საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკი, რომელიც მიმდინარე წელს შეიქმნა ევროკომისიის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, სთავაზობს სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში დასაქმებულ მწარმოებლებსა და მოვაჭრეებს შემდეგი სახის კრედიტებს:

- მოკლევადიან კრედიტებს, საბრუნავი საშუალებების შესაძენად ერთ წლამდე ვადით 18-22% წლიური საპროცენტო განაკვეთით;
- გრძელვადიან კრედიტებს, ძირითადი საშუალებების შესაძენად სამ წლამდე ვადით 18-22% წლიური საპროცენტო განაკვეთით;

კრედიტის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ დასაკრედიტებელ ბიზნესში მუშაობის გამოცდილება.

ჩვენი მისამართია: საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკი
თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №10

ტელეფონები: 250820 251352 329362

## ჩვენც გვეშინია და მთავრობასაც... ჩემი მოკლე ჭკუით, ასე ცხოვრება შეუძლებელია!



შიშს დიდი თვალები აქვსო, ნათქვამია. შიში შეიქმს სიყვარულსო — ესეც კარგად მოგვეხსენება. დღევანდელ უკიდურესად შეჭირვებულ ყოფაში ბევრი ადამიანი ცხოვრობს შიშის მარწუხებში — ზოგს შიმშილისა ეშინია, ზოგს — ომის, ზოგს — რუსეთის, ზოგს — ამერიკის და კიდევ ვინ იცის, რისა!

საინტერესოა, რას ფიქრობენ შიშის შესახებ ჩვენი თანამემამულენი. გამოკითხულთა პასუხების ანალიზი დაგარწმუნებთ, რომ ჩვენმა ხალხმა გარემოსთან შეგუების გზებიც გამონახა — ისინი თავად შიშის გრძნობას შეებრძოლნენ, მოათვინიერეს იგი და თავი არ დააჩაგვრინეს.

**ზუგდიდში მცხოვრები ლტოლვილი ქალი:** „გამოგიტყდებით, ახალგაზრდა ვარ და გაჭირვებისა ნაკლებად მეშინია. იმდენჯერ გამოვცადე უბედურება და შიში, თუ დამიჯერებთ, ახლა ახლოსაც არ მეკარება. შარშან ზაფხულს კი კინაღამ გავგიჟდი. 5 მცირეწლოვანი შვილის დედა ვარ და არსებობა ხომ გვინდა? ენგურის ხიდიდან აფხაზებისგან ათმა კაცმა ნისიად ათეულობით ყუთი სიგარეტი „ასტრა“ წამოვიღეთ. მათ მძევლად ჩემი ბიჭუნა დაიტოვეს. უაქციზობის გამო პოლიციელებმა სიგარეტი ზუგდიდში ჩამოგვართვეს. ორ ცეცხლშუა ვიწვოდი: წესრიგის დამცველები სიგარეტს არ მიბრუნებდნენ, იქით — შვილის დარდი მკლავდა. თუ აფხაზებს დროულად 13 მილიონ რუბლს არ ჩავაბარებდი, შვილს მომიკლავდნენ. გეფიცებით, მაშინ შიშისგან თმა თითქმის გამითეთრდა... როგორც იქნა, პოლიციელებს შევეცოდე და სიგარეტი დამიბრუნეს. ბავშვი სიკვდილს კი გადავარჩინე, მაგრამ... ყველამ იცის, რომ უმძიმეს პირობებში ვცხოვრობთ. რა ვქნათ, მოთქმა-ტირილი საქმეს რომ შველოდეს, ერთად დავსხდებით ეს დევნილები და ისეთ ტირილს მოვრთავთ, ჩვენმა მთავრობამ კი არა, ჩინეთშიც გაიგონონ. ამით არაფერი შეიცვლება. კარგად ვიცით, რომ შიში და თავში ცემა ხეირს არ დაგვაყრის. შეშინებული, მოგეხსენებათ, ოჯახშიც კი არავის სჭირდება!“

**ტაქსის მძღოლი თბილისის ცენტრალურ ავტოსადგურში**: „მეშინია და ისე ვარ გაბოროტებული, სხვისთვისაც საშიში გავხდი. ზოგჯერ ისე გამწარებული დავაქროლებ მანქანას, გამიელვებს ხოლმე, ვინმეს არ დავაჯახო და სხვისი ცოდვაც არ დავიდო-მეთქი. აი, დღეს დილიდან მატარებლებს ვხვდებოდი. ახლა აქ ამოვინაცვლე. უკვე 4 საათია და მუშტარი ვერ მოვიხელთე. ცოლ-შვილს დილით კი დავუტოვე სადილისთვის რაღაც, მაგრამ საღამოს რა ჯანდაბა მივიტანო შინ?! იმედი მაინც არ დამიკარგავს. საღამომდე ჯერ დიდი დროა და იქნებ, ბედმა მეც გამიღიმოს.“

**ხნიერი ქალბატონი ქაშუეთის ეკლესიასთან:** „ღმერთი შემინდობს, თუ მისი სახლის წინ სიმართლეს გეტყვით. ძალიან მეშინია, რომ ვიყვირო — ხალხო, მიშველეთ, მშია, დამეხმარეთ-მეთქი. აგერ, ხომ ხედავთ, რამდენი მათხოვარია. ეკლესიაში სანთლის დასანთებადაც ვერ შევსულვარ. მაცხოვარი უპოვართა და გაჭირვებულთა განკითხვისკენ მოგვიწოდებს, მაგრამ ღმერთო მაპატიე და, თვითონ მშიერი როგორ გავწვდე ამდენ ხელგამოშვერილს?!“

**თბილისის ერთ-ერთი კომერციული ბანკის მმართველი:** „შიში ნებისმიერი მოკვდავის დამახასიათებელი თვისებაა. არც მე ვარ მისგან დაზღვეული. თუმცა ყველამ იცის, რომ შიშის მიზეზი ათასნაირია, მაგრამ მე თქვენს კითხვას ასე ვუპასუხებ: დეტექტიური წიგნებისა არ იყოს, ბანკირები მუდმივ შიშსა და დაძაბულობას განიცდიან. სხვანაირად ვერც იმუშავებ. ბანკი ხომ ფილარმონია და ცირკი არ არის. თუმცა იქაც უაღრესად შრომატევადი საქმიანობაა. განსხვავება ერთია: დაუდევარი მუშაობით ცირკსა და ფილარმონიაში შეიძლება მაყურებელი დაკარგო. ბანკში კი — თავი. მოკლედ, შრომა და უძილო ღამეებია საჭირო. მილიონს 50 თეთრი თუ დააკლდა, მილიონი იქნება?!“

**ბიზნესმენი ქალბატონი:** „კომუნისტების დროს მე და ჩემი მეუღლე უზრუნველად ვცხოვრობდით. უნდა გითხრათ, ლამაზი ქმარი მყავს... ახალგაზრდობაში ძალიან გამაწვალა ეჭვიანობით. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში მისი გარეგნობა არაფერში გამომადგა და მეც ვაჭრობა დავიწყე. ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი, რადგანაც ორივე შეძლებული ოჯახის შვილები ვართ. თუმცა ახლა სხვა დროა. ასეთ პირობებში მოდუნებას არავის ვუსურვებდი. ეს ხომ შიმშილით სიკვდილის ტოლფასი იქნება. პირიქით — მტაცებელი ალბატროსი უნდა გახდე! როგორც გითხარით, ჩემს ქმარს ახლა არც ფულის შოვნის თავი და არც ქალების დევნის სურვილი გააჩნია. ეჭვიანობის არანაირ საბაბს არ მაძლევს და ამ მხრივ მშვიდად ვარ... ხომ გინახავთ კაი ზღვა სექტემბერში?! ქმარი ახლა ყველაფრის ნებას მაძლევს... მხოლოდ ერთზე დარდობს — ეს გაშანშალებული ვაჭარი ცოლი არავინ წამართვასო, მაგრამ თქვენ ხომ მისი შიში არ გაინტერესებთ?“ (იცინის).

**ყმაწვილი „ლაღიძის წყლებში“:** „გგონიათ, ახალგაზრდობის გამო ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით ვუყურებ? — სრულიადაც არა, რეალისტი ვარ და ამიტომ არც მეუხერხულება, ასე გიპასუხოთ: იმის შიშიც მაქვს, ეს ხაჭაპური ვინმემ არ წამართვას. დიახ, სიმართლეს გეუბნებით. კაფეში აგერ მეგობარი ქალიშვილი დავპატიჟე, ვიღაც კაცმა ნამცხვრებიანი თეფში მაგიდიდან მოგვტაცა, ცელოფანში ჩაიგდო და გაიქცა. ოფიციანტი დაედევნა — აუ, რა ამბავი იყო?!“

**რაიონის პედაგოგი:** „ჩემი ნათქვამი, ვიცი, ბევრს ღიმილსაც მოგვრის, მაგრამ უნდა გითხრათ, ამ უხელფასობით ძალიან ვწვალობთ. კიდევ კარგი, საკუთარ ბაღ-ბოსტანში მოყვანილი მოსავალი რომ გაგვაჩნია. ესეც დიდი იმედია. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, როცა ჩვენ, პედაგოგები, სუფთა ხელფასით ვცხოვრობდით, ზოგიერთი გალაღებული „ჩაი-პურის“ ხალხს გვეძახდა. ახლა კი ვინმემ კუჭი რომ გამიჭრას, შეუიარაღებელი თვალითაც კი მიხვდება, ჩაი და პური ამ სემესტრში კი არა, გასულ სასწავლო წელსაც ორჯერ არ მექნება მირთმეული. ამისი გამოცხადებისა ნამდვილად არ მრცხვენია. წუწუნის უფლება შეიძლება, არა გვაქვს... სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ღმერთმა ქვეყნის მომავლის აღზრდა მოგვანდო, ოღონდ, საკითხავია, როდემდე ვიქნებით ღმერთზე მინდობილი, როდემდე ვიყოთ ასე „უკუდო“ პატრიოტები?!“

**ხანში შესული ლტოლვილი ქალბატონი:** „ჩემო კარგო, მუდმივი შიშის გამოა, სამოცი წლის ქალი სამოცდაათისას რომ დავემსგავსე. ნერვიულობა, ხომ იცით, კიდეც აბერებს და კიდევაც კლავს ადამიანს. ყველაფერს ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ერთი კვირის წინ განცდილ შიშზე აუცილებლად გიამბობთ: ჩემი ქალიშვილი გალის რაიონის ე.წ. ზემო ზონის ერთ-ერთ სოფელშია გათხოვილი. იქიდან ახლახან გამოვიყვანე. მალე მოსალოგინებლად საავადმყოფოში უნდა დავაწვინო. გზაზე შავი დღე დაგვადგა...

ყველამ შეიძლება არც იცოდეს, რომ ქვედა ზონის მცხოვრებნი ხშირად „ვმოგზაურობთ“ გალსა და ზუგდიდს შორის. ზედა ზონის ქართულ მოსახლეობას კი საერთოდ არ დაუტოვებია თავისი სახლ-კარი და აფხაზებთან ცხოვრებასაც შეეთვისა. ისინი აფხაზებთან აფხაზები არიან, ქართველებთან — ქართველები. ბევრმა მათგანმა აფხაზური ენაც იცის და მათი შვილები აფხაზურ სკოლაშიც დადიან. ამ ზონის სოფლები — ღუმურიში, ოქუმი, ჩხორთოლი და ბედია ტერიტორიულად ტყვარჩელთან არის ახლოს. იქ შედარებით სიმშვიდეა. შავი სამყაროს წარმომადგენლები ამ მივარდნილ ქალაქს იშვიათად სტუმრობენ. თუმცა ქართველები ტყვარჩელში არავითარი უფლებით არ სარგებლობენ. ჩემმა ქალიშვილმა ორჯერ მოილოგინა ტყვარჩელის სამშობიარო სახლში, მაგრამ არც ერთი ბავშვი შინ არ წამოუყვანია... მასთან ერთად შარშან ოთხ ქართველ ქალს შეეძინა ბავშვი. ხუთივე ახალშობილი მშობლების დაუკითხავად აფხაზებმა წაიყვანეს. ჩემმა შვილმა არც იცოდა, გოგო ეყოლა თუ ბიჭი... ასეთი შემთხვევები ხშირია. აფხაზები პირდაპირ ნადირობენ ქართველ ახალშობილებზე. მათი მიზანი გასაგებია — ისინი მათ მომავალ მამლუკებად ზრდიან. უნდათ, ხვიჩასა და გოჩასავით დაახოცინონ ქართველებს ერთმანეთი. აი, ამიტომ გამოვაპარე ჩემი შვილი ზემო ზონიდან. იქნებ, მესამე შვილი მაინც ეღირსოს საცოდავს... ისე გავკაჟდი, მგონი, ტანკიც ვერ მომერევა. სწორედ ამაზეა ნათქვამი: გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. ავტომატი რომ მომცენ, თვითონ გავუძღვები შინისკენ ამ გაუბედურებულ ხალხს და სასწაულებს მოვახდენ!“

**გლეხკაცი:** „თუ გეშინიათო, მეკითხებით. ვფიქრობ, ეს კარგი ნიშანია... ჩვენც გვეშინია და მთავრობასაც. პატარა საქმე ხომ არ არის, სიმართლე უნდა ვთქვა. მშვიდი ძილის უფლება ნამდვილად არა აქვთ. მათაც უჭირთ. თუ მოძებნიან გამოსავალს, ხომ კარგი. არადა ჩემი მოკლე ჭკუით, ასე ცხოვრება შეუძლებელია. 80 წლის ნაომარი კაცი ვარ და რამდენი თვეა, პენსია არ მიმიღია, მაგრამ არ შემშინებია. იმედით ვუყურებ მომავალს. ბედნიერება მე თუ არ მომესწრება, ჩემ შვილთაშვილებს ხომ მოესწრებათ? ახლა ძალიან უჭირს ქვეყანას. მართალი თუ გინდათ, ამან არ უნდა დაგვაღონოს. გლეხობა თუ მხართეძოზე წამოწვა, მამაზეციერიც ვერ უშველის. ომში რა უბედურება არ მინახავს. ფაშისტების ტყვეობაშიც ვყოფილვარ, იქიდან გამოვქცეულვარ და კვლავ მიბრძოლია. და აი, მე არ მეშინია. რომ შემეშინდეს, მე შენ გეტყვი, მთავრობა ძველებურად მიზეზის შესასწავლად პარტიულ კომისიას გამოგზავნის, თუ რა! რა დაგკარგვია, რას ეძებ?.. ახლა, ამ გაზაფხულზე მხოლოდ ერთის მეშინია: ნამეტანი სიცხეები დაიჭირა. ვაითუ, გვალვები დადგეს და ჩვენი მარჩენალი მიწა ვერც მოვხნათ და ვერც დავთესოთ!“

ღმერთმა ქნას, სასურველი ამინდის მოლოდინში ყველას მშვიდობიანად გაუთენდეს აღდგომის დღესასწაული!

***დალი გაბედავა***

## კიდევ შერჩა ამ ქვეყანას ქართველი?!

ერთმა რუსმა პოეტმა გულწრფელად ასე შეგვამკო:

„Без Грузии станет Вселенная много беднее“. მაგრამ არა, მსოფლიო უქართველებოდაც არ გაღარიბდება, არც დაობლდება. ეტრუსკებივით გაქრება ქართველი ხალხი. მაგრამ არ გაქრება არც კახეთის ვაზი და არც სვანეთის მთები — დევგმირები, ხეოფსის პირამიდასავით, ხანდახან, ჯვარიც მოჰკრავს ხოლმე ყურს გიდის სტერეოტიპულ ფრაზას — აბა, ახლა მარჯვნივ გადაიხედეთ! ერთ დროს იქ ქართველები სახლობდნენ“.

ამ სიტყვებს კიტა ბუაჩიძე 2 ათეულზე მეტი წლის წინათ წერდა. მაშინ მას საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში მომხდარი მოვლენების წინასწარგანჭვრეტა, ცხადია, არ შეეძლო. იგი იმ სხვა საზოგადო უბედურებებზე რეკდა განგაშის ზარებს, რითაც გამოწვეული იყო ქართველთა შობადობისა და, საერთოდ, რიცხოვნობის კატასტროფული შემცირება.

უფრო ადრეც, 1970 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში ექიმი-აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი წერდა: „მე არ ვიცი, ჯანდაცვის მინისტრ ს. კურაშოვს ვინ ჩასჩურჩულა, ანდა თვითონაც თუ უკვე იცოდა, რომ დიდი შობადობა იმ რაიონში მოდიოდა, სადაც ქართული მოსახლეობა სულ მცირერიცხოვანი იყო, ეს კია, მითხრა: ასე თუ გაგრძელდა, იმ ზომამდე შეიძლება მივიდეს ეს მშვენიერი ერი, რომ სულ გადაგვარდეს და მოისპოსო...“

თუ 1989 წელს, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 100 ათასი ახალშობილი მოევლინა საქართველოს, ათი წლის შემდეგ, 1999 წელს, მათი რიცხვი 50 ათასამდე შემცირდა (ამდენივე ბავშვი გაჩნდა 1998 წელსაც) და ვერაფერი ნუგეშია, რომ ამ 50 ათასში ქართველ ბავშვთა პროცენტული წილი გაიზარდა.

— თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ კატაკლიზმებს, რაც ბოლო 10 წლის მანძილზე გადავიტანეთ, იმას, რომ 1989 წელს არც აფხაზეთი იყო დაკარგული, არც ოსეთი, არც ომები იყო — სადაც, ძირითადად, ფერტილური ასაკის ბიჭები დაიღუპნენ, რასაკვირველია, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ შობადობის არა განახევრებაზე, არამედ შემცირებაზე, — გულისტკივილით გვითხრა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა **მარინა ლუდუშაურმა.**



ყოველ ათას სულ მოსახლეზე 15-16 ახალშობილი იმ კრიზისის ზღვარია, როდესაც მოსახლეობის კლება ინტენსიურად მიმდინარეობს (მით უფრო, დღეს ჩვენში მკვეთრად გაიზარდა სიკვდილიანობა).

თუ საქართველოს მოსახლეობა იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი რესპუბლიკის იურისდიქცია ვრცელდება, 4 მლნ-ს მაინც აღწევს (მოგეხსენებათ, აღწერა არ ჩატარებულა და ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს), მაშინ ყოველ ათას სულ მოსახლეზე 12-13 ახალშობილი გამოდის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაზრდილია ბავშვთა სიკვდილიანობა (ეს ჩვენს დღეში მყოფი ქვეყნისთვის თურმე, კანონზომიერი ყოფილა — ეს უცხოელ ექსპერტთა შეფასება გახლავთ), მაშინ ვაი, რომ კიტა ბუაჩიძისა და კურაშოვის სიტყვები გაზვიადებული სულაც აღარ მოგეჩვენება, მკითხველო, და არც ჩვენი მტრების ოცნება — Грузия без грузин — მოგეჩვენება აუხდენლად.

თითოეულ ქართველს ახსოვს 1989 წლის 9 აპრილის შემდგომი ზნემაღალი სიტუაცია. სწორედ მაშინ გამოღვიძებულმა ეროვნული თვითშეგნების გრძნობამ ბევრ ქართულ ოჯახს კიდევ შემატა მეორე, მესამე, მეოთხე... შვილი. თუმცა, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ეს გრძნობა მალე მიაყუჩა და, ეგებ, უკვალოდაც დაასამარა...

სენკევიჩი ამბობს: ფეხმძიმე ქალი ღვთის დარიაო. რა იშვიათი სანახავი გახდა თელავის, თბილისის, გორის, ქუთაისის ქუჩებში ფეხმძიმე ქალი.

„ღმერთმა და ბუნებამ, თავის დროზე, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ამქვეყნად ყველაფერი ისე გაანაწილეს და ისე ჩამოარიგეს, ვისაც რა შეეფერებოდა და ვის რა დაამშვენებდა: ცხენს — უნაგირი, ხარს — უღელი, თხას — წვერი, ძროხას — ჯიქანი... ბუნებას ქალი დედად გაუჩენია“... (კიტა ბუაჩიძე).

მაგრამ დედობისკენ მიმავალ გზაზე ქართველ ქალს დღეს ათასი დაბრკოლება ელობება. ჩვენი უბედურება ყოველთვის იყო უამრავი გაუთხოვარი ქალი. დღეს კიდევ უფრო უჭირს საქართველოში ქალს გათხოვება, ვიდრე ოდესმე, რადგანაც ომებმა, ძირითადად, ახალგაზრდა ვაჟების სიცოცხლე შეიწირა და ბევრიც დაასახიჩრა; რადგანაც ახალგაზრდა მამაკაცები უსახსრობის გამო, გაურკვეველი დროით სწევენ დაოჯახებას. უცხოეთში სამუშაოდაც ხომ უპირატესად ფერტილური ასაკის ქალვაჟობა მიდის (აი, ერთი ძალიან გავრცელებული განცხადების ამონარიდი: „ორგანიზაცია სამუშაოს სთავაზობს 17-25 წლის გოგონებს საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით“... და ა.შ.).

თუ ქალი გათხოვდა და, ღვთის შეწევნით, დაფეხმძიმდა, ახალშექმნილ ოჯახს ახალი სადარდებელი უჩნდება. ჯერ ერთი, ფეხმძიმე ქალს გამორჩეული კვება და ყურადღება სჭირდება, რაც უმეტესობას აკლია და სწორედ ეს იწვევს გავრცელებულ მკვდრადშობადობის ფაქტებს. მერე კიდევ, ოჯახი პირველივე დღეებიდან იწყებს მშობიარობისთვის საჭირო თანხაზე ზრუნვას. თუმცა, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანნი გვიმტკიცებენ, ამ ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს შესაბამისი პოლისის საფუძველზეო (თუკი ქალი არ მიმართავს კერძო სამშობიარო სახლს), მაგრამ დიდმაც და პატარამაც კარგად იცის, რომ მარტო პოლისით ფონს ვერ გავა. ექიმი, ექთანი, სანიტარი და ა.შ. სახელმწიფოს იმედად ვერ იქნება და მისი ხელის შემყურე (სახელმწიფო სტანდარტით, ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე 100 ლარია გამოყოფილი, აქედან მეან-გინეკოლოგს მხოლოდ 2 ლარი ეკუთვნის).

თუ ერთი შვილი, გაბედა და გააჩინა, მეორეზე როგორღა იფიქრებს ხელმოკლე ოჯახი. ამიტომაც ჩვენში კიდევ უფრო მომრავლდა ერთშვილიანი ოჯახები. თუმცა, ერის ბუნებრივი მატებისთვის ორი შვილიც ვერაფერი ბედენაა...

საბაზრო ეკონომიკამ და გარდამავალმა ეპოქამ ოჯახის ძირითად მარჩენლად ჩვენში ქალი აქცია: ზოგი — ბაზარში დგას, ზოგი — ბაზრობაზე, ზოგი — საბერძნეთსა თუ თურქეთიდან გამოგზავნილი გროშებით არჩენს ოჯახსა და ახლობლებს.

ფართოდ გავრცელებულ პროსტიტუციაში მცირეწლოვანთა საკმაოდ დიდი წილი საფრთხეს უქმნის „იოლი გზით“ ფულის შოვნის მოსურნე გოგონებს, ვეღარასოდეს განიცადონ დედობის ბედნიერება...

თბილისში ყოველწლიურად (1998-1999 წლების მონაცემებით) 12 ათასი ახალშობილი იბადება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობის მეოთხედი (თუ მესამედი არა) თბილისში ცხოვრობს, რადგანაც აღებ-მიცემობა აქ არის გაცხოველებული და ქართველთა ძირითად საქმიანობად ხომ სწორედ ვაჭრობა იქცა (პირველ მსოფლიო ომამდე თბილისის მოსახლეობა 17%-ს შეადგენდა). იმის მტკიცებას, რომ შობადობა პროვინციებში უფრო მაღალია, ვიდრე დიდ ქალაქებში, დიდი მეცნიერული კვლევა-ძიება არ სჭირდება...

აი, ნაწილი იმ მიზეზთაგან, რამაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დაგვაყენა.



მავანი მეტყვის, რა დროს შობადობის მომატებაზეა საუბარი, გაიარე ქუჩებში, რამდენი ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი უპატრონო ბავშვი დადის, იმათთვის ვერ მიგვიხედავს, მათხოვრები ვამრავლოთო?

მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ერთი შვილი უფრო ხშირად იმათ ჰყავთ, ვისაც ქონება თავზე გადასდის.

რომ ვუცადოთ, როდის გამოსწორდება ეკონომიკური მდგომარეობა, ეგებ ძალიან დაგვაგვიანდეს?

ბატონი პრეზიდენტი გვპირდება, 3-4 წელიწადში სიღატაკეს აღმოვფხვრითო. დავუშვათ, აყვავდა და აბაღნარდა საქართველო, განვითარდა ევროპული დემოკრატია, დასავლურ ცივილიზაციას ჩვენში კარგთან ერთად, ცუდიც ბევრი შემოაქვს. წინათ ვინ დაიჯერებდა, ამა და ამ ცოლ-ქმარმა შეუღლებისას მოილაპარაკა, ჯერ ბავშვს ნუ გავაჩენთ, ამისთვის არ გვცალიაო? ახლა ასეთებიც გამოჩნდნენ „დასავლეთის“ წამხედურობით. ვაითუ, ქართველმა „საქმიანმა ქალებმა“ სტერილურობაც მოდაში შემოიღონ. ამას წინათ ერთმა 27 წლის ქალიშვილმა საქმრო დაიწუნა და ასეთი რამ თქვა — რა მეჩქარება, საზღვარგარეთ 30 წლამდე არავინ თხოვდებაო (მეან-გინეკოლოგია კი გვიმტკიცებს, რომ 25 წელს ზემოთ პირველი მშობიარობა დაგვიანებულად ითვლება). ესეც შენი დასავლური ცივილიზაცია!

„დიდ ერში რაც უნდა მცირე შობადობა იყოს, მას არ ემუქრება გადაშენებისა და მოსპობის საფრთხე. ეს საშიშია ჩვენთვის, პატარა ერისთვის“ (კონსტანტინე ერისთავი).

არც ისეთი მიამიტი ვარ, ვფიქრობდე, ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებისთანავე ათასობით ქართველი ქალი ბავშვის გაჩენაზე ოცნებას დაიწყებ-მეთქი. მაგრამ სახელმწიფოს თანმიმდევრულ პოლიტიკას (ეკონომიკა და მრეწველობა არ მაქვს მხედველობაში), კი ნამდვილად შეუძლია სიტუაციის გამოსწორება.

ახალმა პრეზიდენტმა და პარლამენტმა სერიოზულად უნდა მიხედონ ამ საქმეს, რომ შთამომავლობამ კვლავაც თქვას: „იყო ხალხი, ბრძენი ჰყავდათ მმართველი, მიტომ შერჩა ამ ქვეყანას ქართველი“.

ხომ გვაქვს საგადასახადო კოდექსი, სისხლს რომ უშრობს მრეწველებს. შევქმნათ „დემოგრაფიული კოდექსი“, საქართველოს ძარღვებში ახალ სისხლს რომ ააჩქეფებს, ამ კოდექსში ძირითად პუნქტად პირადი მაგალითი შევიტანოთ („მხოლოდ პირადი მაგალითით შეიძლება ამოიშანთოს ერის ორგანიზმში შეჭრილი წამხედურობის მეტასტაზები...“ — *კიტა ბუაჩიძე*).

***ნინო ლურსმანაშვილი***

# წერეთელი შევარდნაძისაგან მილიონ დოლარს ითხოვს



## თავდასხმის დროს ყველაფერთან ერთად 2000 დოლარიც დაიკარგა...

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილი ოპოზიცია, როგორც ჩანს, ხელისუფლებაზე შურისძიებას საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უნდობლობის გამოცხადებითა და ბოიკოტით აპირებს. ბოიკოტის მომხრე და მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები განსაკუთრებით 9 აპრილის მოახლოებამ გამოაცოცხლა. ძველი დროის (ეროვნული მოძრაობის პერიოდის) ნოსტალგიის გამო თუ რაღაც სხვა მიზეზით, ერთმანეთზე წაკიდებული პოლიტიკოსები ერთად მართავენ ქუჩის აქციებს და ხელისუფლების „შემკობით“ იოხებენ გულს. თუმც გულხელდაკრეფილნი არც ხელისუფლების ხილული თუ უხილავი ქომაგნი და გულშემატკივრები არიან, რომელთაც ზედმეტად ხმაურიანი და აბეზარი ოპოზიციონერების „გამოხშირვას“ მიჰყვეს ხელი.

კვირა-ნახევრის წინ ზვიად განმათავისუფლებლის საზოგადოების თავმჯდომარეს ლეილა ცომაიას მოუწყვეს ანგარიშსწორება, ხოლო გასულ ოთხშაბათს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს ირაკლი წერეთელს დაესხნენ თავს. „კვირის პალიტრა“ შინ ესტუმრა დამოუკიდებლობის პარტიის ნაცემ და წარბგახეთქილ ლიდერს და მისი მონათხრობი მოისმინა.

**ირაკლი წერეთელი:**

„მე და ირაკლი ქადაგიშვილი ტელეკომპანია „იბერიის“ პირდაპირ ეთერში ვიყავით მიწვეულნი. გადაცემის დამთავრების შემდეგ, საღამოს ათის ნახევარზე „იბერიის“ ოფისიდან გამოვედით. ირაკლი თავისი გზით წავიდა, მე ჩვენი პარტიის წევრის, ნუკრი რევაზიშვილის მანქანაში ჩავჯექი. თან მახლდა ჩემი მამიდაშვილი დავით კიკნაძე. მარჯანიშვილის ქუჩიდან ელბაქიძის აღმართისკენ მიმავალ ხიდს გავცდით და სანაპიროსკენ ჩავუხვიეთ. ამ დროს მწვანე ფერის, საკმაოდ შელანძღულმა „გაზ-2109“-მ დაგვარტყა. გავჩერდით, „09“-ც გაჩერდა. მანქანიდან ჯერ ნუკრი რევაზიშვილი გადავიდა. ისინი (ხუთნი იყვნენ) გინებით წამოვიდნენ მისკენ და გაარტყეს. დავუძახე — რას შვრებით-მეთქი და მანქანიდან გადავედი. ისინი იმწამსვე ჩემკენ შემობრუნდნენ. მაშინ მივხვდი, რომ ეს თავდასხმა იყო.

**— „გარტყმისა“ და ავარიის დროს ხშირია ლანძღვა-გინებაც და შეხლა-შემოხლაც, რატომ ჩათვალეთ, რომ ეს თავდასხმა იყო?**

— როგორც გითხარით, მათ გაგვარტყეს. წესით, ასეთ შემთხვევაში ისინი უნდა გაქცეულიყვნენ. მაგრამ პირიქით, მანქანა გააჩერეს, არც ფულის გადახდაზე დაუწყიათ ლაპარაკი. ხმის ამოღებაც არ გვაცალეს. ვთქვათ მძღოლს დაარტყეს, მე რა შუაში ვიყავი... მაგრამ ბოლო დროს ჩვენი შტაბის წინ და იმ სახლთან, სადაც ბინა მაქვს ნაქირავები, ჩემი პარტიის წევრებმა და მეზობლებმა შეამჩნიეს რამდენიმე მანქანა, რომლიდანაც სისტემატურად მითვალთვალებდნენ. ამ მანქანებში საეჭვო ტიპები ისხდნენ რაციებითა და მობილურებით. ის მწვანე მანქანა, რომელმაც იმ ღამეს დაგვარტყა, შემჩნეული გვყავს. არ მგონია, რომ ეს შემთხვევითი ინციდენტი იყო. ასე რომ ყოფილიყო, პოლიცია საქმეს გახსნიდა და არც ის მგონია, რომ შემთხვევით პირებს ასე დაუზოგავად ვეცემე. რა, სადისტები ხომ არ იყვნენ?!

**— არ უშვებთ ისეთ ვერსიას, რომ თავდამსხმელები ნასვამები იყვნენ?**

— რას ლაპარაკობთ, ვინ იყო ნასვამი?! 140 კილოიანი ჯეჯგვივით „ნაკაჩავები“ სპორტსმენები ჩანდნენ. უნდა გენახათ, რა ციბრუტივით ტრიალებდნენ. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი სპეცსამსახურის გადაცმული თანამშრომლები იყვნენ. თუ დავუშვებთ, რომ ეს შემთხვევითი ინციდენტი იყო და ის ბიჭები ქუჩის ნაძირალები იყვნენ, რატომ ვერ პოულობს იმ მანქანას პოლიცია? რატომ აცხადებს, — ასეთი ნომრის მანქანა არ არსებობსო? თავდამსხმელებს მესამე კაცისთვის, ჩემი მამიდაშვილისთვის ხელიც არ დაუკარებიათ. ერთმა შემაგინა და მეც შევაგინე, ორი კაცი მაშინვე მომვარდა. მერე დანარჩენებიც, რომლებიც მძღოლს სცემდნენ, ჩემკენ წამოვიდნენ. წავიდა ჩხუბი და მომერიენ. ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არც გამიწევია. მივხვდი, რომ მოგზავნილები იყვნენ და რომ გამერტყა, შესაძლოა ესროლათ კიდეც. მათგან ერთ-ერთი გამეტებით მირტყამდა სახეში. იმან მიშველა, რომ ხელები ავიფარე. მას ალბათ ჩემთვის სახის დასახიჩრება უნდოდა, რათა ტელევიზიით აღარ გამოვსულიყავი.

ჩემმა მამიდაშვილმა, რომელიც თავდამსხმელებს დაუსხლტა ხელიდან და გაიქცა, დაინახა, რომ ზემოთ, ხიდისკენ თეთრი „09“ იდგა, რომელშიც ორი კაცი იჯდა რაციით. ჩვენი წამოსვლის შემდეგ მათ მოუჩხრეკიათ სიტუაცია და ელვის სისწრაფით გამქრალან.

ჩემს მძღოლს ახსოვს, რომ ეს მანქანა იმ საღამოს ხიდამდე აგვედევნა. ვფიქრობ, რომ ეს არის შევარდნაძესთან შეთანხმებული ტერორისტული აქტი. ჟვანიაც კი არ არის საქმის კურსში, იმიტომ, რომ მან დამირეკა და მომხდარის გამო გულწრფელი აღშფოთება გამოთქვა. ამ დროს შევარდნაძე ხმას არ იღებს. ვთქვათ, მოუცლელია, რაიმე განცხადება ხომ მაინც უნდა გაეკეთებინა. ამას წინათ პრეზიდენტს უთქვამს კიდეც — წერეთელი ტყავში ველარ ეტევა და რა ბოიკოტი აუტყდაო. შევარდნაძის წინააღმდეგ საქმეს აღვძრავ და მთელ მსოფლიოს გავაგებინებ, რომ საქართველოს ტერორისტი მართავს. ახლა მე რომ გავჩერდე, მერე გიორგი ჭანტურიასავით თავიდან მომიცილებენ. ჭანტურიას მკვლელობის დროს შევარდნაძეს ხელსაყრელი პირობები ჰქონდა, რადგან მაშინ არსებობდა რამდენიმე ისეთი დაჯგუფება, რომელსაც ვითომ ვერ აკონტროლებდა. შევარდნაძე ახლა ამას ვეღარ იტყვის, სხვა დროა. საქმეს იმ შემთხვევაში არ აღვძრავ, თუ ამ ტერაქტის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს გამოააშკარავებენ. გამოააშკარავონ და მერე მივუტევებ. უბრალოდ, მინდა ვიცოდე, ვინ ვინ არის. რა თქმა უნდა, ერთი-ორს მოვარტყამ, მაგრამ მათ დაპატიმრებას არ მოვითხოვ.

**— არჩევნების ბოიკოტის მომხრე თქვენ გარდა მრავალი ორგანიზაციაა. რატომ დაესხნენ მაინცდამაინც ირაკლი წერეთელს?**

— ლეილა ცომაია გალახეს, მე მცემეს. ყველას ხომ არ დაგვერევიან? ისე ღმერთი სამობით არის და შესაძლოა, კიდევ გალახონ ვინმე. ეს სამი მიზეზით მოხდა: უნდათ საზოგადოების დაშინება, ჩემი წყობიდან გამოყვანა. აგრეთვე აინტერესებთ, რა რეზონანსი მოჰყვება წერეთლის გალახვას. თუ შერჩებათ, შესაძლოა, ამას მკვლელობაც მოაყოლონ.

**— ფიქრობთ, რომ თქვენ ხელისუფლებისთვის იმდენად საშიში ოპოზიციონერი ხართ, რომ ასეთ ნაბიჯზე მიდიან?**

— რა შუაშია საშიში ოპოზიციონერობა... ხელისუფლებას ეშინია, რომ მოხდება დიდი შერიგება ეროვნულ ძალებს შორის და შიშს თესენ. საქართველოში გავლენიანი კაცი ვარ... ჩემი პარტიის წევრები მეუბნებიან, — შენ რომ ამას გიკეთებენ, ჩვენ რაღას გვიზამენო. მოსახლეობის დაშინება უნდათ, თორემ ირაკლი წერეთელს ამით რომ ვერ შეაშინებენ, ეს კარგად იციან.

**— თქვენ ამბობთ, რომ ამ თავდასხმის ინიციატორი შევარდნაძეა. ამავდროულად პრეზიდენტისგან ითხოვთ დამნაშავის დასჯასაც... ამ ლოგიკით შევარდნაძემ საკუთარი თავი უნდა დასაჯოს?!**

— არ ვამტკიცებ, რომ თავდასხმის იდეა პრეზიდენტს ეკუთვნის. მე ბრალს ვუყენებ შევარდნაძეს, რადგან ჩემზე თავდასხმა მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა და მასზე მაქვს ეჭვი. გამოააშკარავონ დამნაშავე და მოვუხსნი პრეზიდენტს ბრალდებას, ოფიციალურად ბოდიშს მოვუხდი და თუ უნდა, კიდევ „შტრაფსაც“ გადავუხდი ცილისწამებისათვის. მაგრამ ამ სიტუაციაში ხელისუფლებას აქეთ აქვს გადასახდელი ჯარიმა ჩემი ღირსების შელახვის, ჯანმრთელობის შერყევისა და ნასესხები 2.000 დოლარის დაკარგვის გამო, რომელიც იმ ღამეს ჩემს მძღოლს ჯიბიდან ამოუვარდა და ვფიქრობ, თავდამსხმელებმა ჩაიდეს. საკომპენსაციოდ მილიონ დოლარს მოვითხოვ.

**— ბ-ნო ირაკლი, თქვენ პოლიციისთვის არ მიგიმართავთ, მაგრამ ალბათ ექიმთან გქონდათ ვიზიტი. რა დიაგნოზი დაგისვეს?**

— დაზიანებული მაქვს თვალი, გახეთქილია წარბი და მაქვს ტვინის შერყევა. წარბზე ნაკერის დადება არ დამჭირდა, საგვარეულო მალამოთი ვმკურნალობ.

ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიის შენობისკენ გავწიე, სადაც ირაკლი წერეთლისა და ლეილა ცომაიას ბედით შეჭირვებული ოპოზიცია აქციის გამართვას აპირებდა. 3 საათზე მღებრიშვილი თავისი „სპეცნაზით“ დაბარებულივით გამოცხადდა. ამ დროს კანცელარიის წინ მოშიმშილე ვაჟა ადამიას რეპლიკა მომესმა — მღებრიშვილს ფორმა არ აცვია და ერთი შეიძლება შემოულაწუნო კიდეც კაცმაო. „სპეცნაზს“ მალე ქალაქის პოლიცია მოჰყვა თავისი შეფითურთ. პოლიციელები კანცელარიის წინამდებარე მოედნის „გასუფთავებას“ შეუდგნენ თხუთმეტიოდე ჟურნალისტისგან, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ აქციის მონაწილეებს. კრიმინალებთან ურთიერთობას მიჩვეულმა პოლიციელებმა ვერ მოზომეს და იუხეშეს. არადელიკატურმა მოპყრობამ მასმედია აღაშფოთა და „სამვარსკვლავიან“ პოლიციის პოლკოვნიკთან ცხარე დისკუსია გაიმართა.

**— რატომ გვაძევებთ მოედნიდან?**

— მოდით, წესიერად დავილაპარაკოთ...

**— ჩვენ წესიერად ვლაპარაკობთ, თქვენ ღელავთ. ვინ დაგავალათ ამ აქციის აღკვეთა?**

— ვინ ხართ, რომ ეგ გითხრათ?

**— პრესის წარმომადგენლები.**

— რა გეტყობათ, რომ პრესა ხართ...

დაძაბული სიტუაცია შეძახილმა განმუხტა — მოვიდნენ, გვეშველა... ნოდარ ნათაძე, თამარ ჩხეიძე, გიორგი ხოშტარია და გიორგი კერვალიშვილი ორმოცდაათამდე ოპოზიციონერის თანხლებით მიუახლოვდნენ კანცელარიას და ამბავიც მოგვიტანეს — აქციაზე მომავალი ლუიზა შაკიაშვილი და ლეილა ცომაია პოლიციელებმა მანქანაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანესო.

**— რა არის თქვენი აქციის მოწყობის მიზანი?**

**ნოდარ ნათაძე:**

— ხელისუფლება ოპოზიციის ტერორს ახორციელებს. ორმა მამაკაცმა უმოწყალოდ სცემა ლეილა ცომაია. ჩიხში შეათრიეს, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, ტვინის შერყევა დამართეს, მერე ასფალტზე დააგდეს და წიხლები ურტყეს. ერთი კვირის წინ ირაკლი წერეთელს დაესხნენ თავს... ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ტერორით ვერავის შეაშინებს და ერთი ნაბიჯითაც ვერ დაგვახევინებს უკან. ის იურიდიული წესით აგებს პასუხს.

ბოლოს და ბოლოს, პოლიციამ და ოპოზიციამ საერთო ენა მაინც გამონახა. კანცელარიის წინამდებარე მოედანზე 5 კაცი 15 წუთით შეუშვეს. მალე აქციის მონაწილეები დაიშალნენ... ნება-ნება დაუყვნენ დაღმართს. „სპეცნაზის“ შეფი მშვიდობიანი ფინალით კმაყოფილი იმასღა კითხულობდა: ამ სიცხეში არ ეზარებათ დგომა, სადმე ჩრდილიანი ადგილი მაინც მოძებნონო.



P.S. დღის ბოლოს გაუჩინარებული ლუიზა შაკიაშვილისა და ლეილა ცომაიას ამბავიც შევიტყვეთ. პოლიციელებს ისინი თბილისის ზღვის მიდამოებში გაუსეირნებიათ და იქ არცთუ თავაზიანად მოქცევიან, მანქანიდან გადმოუსვამთ და მიუტოვებიათ.

**იზო რკაძე**

# „თუ მამუკა გიორგაძე გახდა დეპუტატი, ესე იგი...“

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდი ძალიან მდორედ და ულიმღამოდ ჩაივლიდა, რომ არა მრავალი სიურპრიზით აღსავსე გასული კვირა. თავდაპირველად აბაშიძემ გაავრცელა ინფორმაცია თბილისში მისი შესაძლო ვიზიტის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ აჭარის ლიდერი ასე იოლად „რუბიკონს არ გადმოლახავდა“ და წლების მანძილზე უნახავ დედაქალაქს ბოლოს და ბოლოს ეწვეოდა. თუმცა, აბაშიძეს პარლამენტის თავმჯდომარემ დაასწრო და თავად ეწვია ბათუმს. უფრო მეტიც, ჟვანიას შემდეგ თავად პრეზიდენტმა მოინახულა ზღვისპირეთი და აბაშიძესთან ერთად კატარღითაც გაისეირნა. წინასაარჩევნო პერიოდში ეს უკვე მეორე ვიზიტია ბათუმში პრეზიდენტის მხრიდან. მის ამ სვლას ბევრი არავინ გაუკვირვებია, თუმცა ჟვანიას აჭარაში სტუმრობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რატომ მიავლინა პრეზიდენტმა პირველი კანონმდებელი აჭარაში და არა ლორთქიფანიძე მაშინ, როცა საქვეყნოდ ცნობილია ჟვანიას და აბაშიძის დაძაბული ურთიერთობა? ბოლო წლების მანძილზე ხომ უხვად მოდიოდა ბათუმიდან ბრალდებები პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ „ტერორისტობასთან“ დაკავშირებით.

**კომენტარი ედპ-ის ლიდერს ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ვთხოვეთ:**

— პერსპექტივაში პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება არც ისე იოლი აღმოჩნდება თვითონ ჟვანიასთვის. როგორც ვიცით, მოხდა შეთანხმება აჭარის სტატუსის კონსტიტუციურად განსაზღვრის შესახებ. ამის შემდეგ მოხდება ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა. სავარაუდოა, რომ მთელი ამ მოლაპარაკებების, სამუშაოების ჩატარების სიმძიმე დაეკისრება ჟვანიას, ხოლო აბაშიძის მხრიდან ბათუმის მერს ან ვინმე სხვას. სანაცვლოდ კი პრეზიდენტი აჭარიდან ხმების გარკვეულ რაოდენობას მიიღებს.

**— ქ-ნო ირინა, საზოგადოებაში ასეთი ხმაც კი გავრცელდა, რომ შევარდნაძემ ჟვანია პაატასავით მიჰგვარა აბაშიძეს...**

— როგორც ვიცით, ჟვანია თავით და ხელ-ფეხით დაბრუნდა აჭარიდან. ასე რომ, სანერვიულო არაფერია.

**— ჯუმბერ პატიაშვილი და განსაკუთრებით მისი შტაბის ხელმძღვანელი მამუკა გიორგაძე აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ეწეოდნენ. არა მგონია მათ გამარჯვების ილუზია ჰქონოდათ. არადა არჩევნებში პატიაშვილის მონაწილეობა ერთგვარ ფონს უქმნიდა შევარდნაძეს და მის წისქვილზე ასხამდა წყალს. ასეთ სიტუაციაში რით იყო მოტივირებული პატიაშვილისა და გიორგაძის ასეთი აქტიურობა?**

— რა თქმა უნდა, მე მიმაჩნია, რომ დღეს პატიაშვილი აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში და თუკი ვინმეს მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა, ალბათ უნდა გაუქრეს.

რაც შეეხება მამუკა გიორგაძეს, მისი საქციელი სულ სხვა საზომით იზომება. ალბათ, უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. თუ მამუკა გიორგაძე გახდა ქედის მაჟორიტარი დეპუტატი, ე.ი. მან თავიდანვე კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. ეს ნიშნავს, რომ პატიაშვილი მამუკა გიორგაძესთან შეთახმებით გაიწირა აღორძინების მხრიდან. ასე რომ, იგი თავიდანვე იყო ინფორმირებული ამის შესახებ. თუ ასლან აბაშიძემ არაფერი იცოდა ჯუმბერ პატიაშვილის პრეზიდენტობის შესახებ და ამის გამო აგრესიაც გაუჩნდა, მაშინ ძნელი დასაჯერებელია, რომ პატიაშვილის წინასაარჩევნო შტაბის უფროსი ქედის დეპუტატობით დაჯილდოვდეს. ამიტომ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. თუ ეს მოხდა, აღმოჩნდება, რომ პატიაშვილი ნაძირალების გარემოცვაში იმყოფებოდა.

რაც შეეხება თვით პატიაშვილს, იგი გაცილებით გულუბრყვილოა, ვიდრე მისი ოპონენტები და ეს კი პოლიტიკისთვის მიუღებელია.

**— რეალურად გამოჩნდა, რომ აბაშიძეს პრეზიდენტობის სურვილი არ ჰქონდა, მაშინ რატომ წამოაყენა საპრეზიდენტო არჩევნებში მან თავისი კანდიდატურა?**

— აბაშიძეს სჭირდებოდა მუდმივი ხმაური მისი პერსონის ირგვლივ. მან ეს შეძლო ტაქტიკური სვლებით, ფინანსური სახსრებით, რის წყალობითაც იგი ეკრანზეც და გაზეთის ფურცლებზეც ხშირად ჩანდა. ქართული მასმედიაც ერთგვარ რეკლამას უწევდა იმაზე საუბრით, მოხსნიდა თუ არა იგი თავის კანდიდატურას. ეს ყველაფერი აბაშიძეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ არ გამოჩენილიყო პასიური წინასაარჩევნო პერიოდში, ამასთანავე არც ისეთი აქტიურობა სჭირდებოდა, რომ შემდეგ გარდაუვალი მარცხი მასვე მიწეროდა.

**— შევარდნაძის წინასაარჩევნო პროგრამაში ყველაზე მეტად ორ ფაქტორს: კორუფციასთან ბრძოლასა და ეროვნულ შერიგებას გაესვა ხაზი. თქვენი აზრით, როგორ შეძლებს შევარდნაძე კორუფციის აღმოფხვრას, როცა მას საკუთარ პარტიასა და ოჯახის წევრებთან — ანუ საკუთარ დასაყრდენ ძალასთან მოუწევს შეჯახება. მოსალოდნელია თუ არა დიდი საკადრო ცვლილებები?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ შევარდნაძეს დიდი სურვილი აქვს ამ 5 წელიწადში საქართველოსთვის რამე გააკეთოს. ეჭვი არ მეპარება, რომ ის რეალურად შეეცდება თავის დაბალანსების პოლიტიკაზე ხელი აიღოს და ერთი თუ ორი პრობლემის მოგვარება სცადოს. თუმცა, შევარდნაძე ვერ დაუწყებს ბრძოლას იმ გარემოცვას, რომლის მძევალიც თავად არის. აქ ძნელია მხოლოდ შევარდნაძის დადანაშაულება, ამ ხელისუფლების წასვლის შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა... მაგრამ, თუკი შევარდნაძემ შეძლო ერთი-ორი პრობლემის მოგვარების პერსპექტივა მაინც შექმნას, ესეც ძალიან დიდი მიღწევა იქნება, რადგან თამაშის წესებს მის მიერვე აღზევებული გარემოცვა კარნახობს და არა პირიქით.

**— არსებობს მოსაზრება პოლიტიკურ წრეებში, რომ შესაძლოა საკონსტიტუციო ცვლილება განხორციელდეს და შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადა სიცოცხლის ბოლომდე გაუხანგრძლივდეს...**

— არა მგონია, ედუარდ შევარდნაძეს სამუდამო პრეზიდენტობა უნდოდეს და ეს წინადადება პარლამენტში დააყენოს. გარდა ამისა, ეჭვი მეპარება, რომ პარლამენტის ორი მესამედი მხარს დაუჭერს ამ წინადადებას.

**— შესაძლოა, რომ იგი მესამე ვადით აირჩიონ?**

— არა მგონია, მე ამას გამოვრიცხავ. განცხადება ამის შესახებ მხოლოდ ვანო ზოდელავამ გააკეთა ნაბახუსევს და მასმედიას რომ არ აეტაცებინა ეს ფრაზა, ალბათ, სრულიად უყურადღებოდ ჩაივლიდა. არც ერთ სხვა პოლიტიკოსს ეს აზრი აღარ გაუმეორებია.

რაც შეეხება მემკვიდრეს, ამის განსაზღვრა თავად პრეზიდენტსაც გაუჭირდება, იმიტომ, რომ მისი სანათესაო და სააახლობლო იმდენ ნაწილადაა გაყოფილი, რამდენადაც იყოფა მოქალაქეთა კავშირი.

**— დიდი მადლობა.**

P.S. ქ-ნო ირინა, ჩვენი გაზეთი 18 აპრილს 5 წლის ხდება, რას უსურვებდით მას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით?

„კვირის პალიტრას“ რეგულარულად ვკითხულობ. გილოცავთ ხუთ წლისთავს და საპარლამენტო ვადისგან განსხვავებით კიდევ არაერთი ხუთი წლისთავი ყოფილიყოს ისეთი საინტერესო, როგორიც დღეს არის.

**ნათია გოგსაძე**

# როგორ გადარჩნენ პოლიტპატიმრები

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ მიმდინარე წლის 2 თებერვლიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პატიმართა შიმშილობა მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელთ თავი პოლიტპატიმრებად მიაჩნდათ და დღევანდელი ხელისუფლებისგან უპირობო გათავისუფლებას მოითხოვდნენ. იმ დღიდან მოშიმშილეები მასმედიასთან და ადამიანთა უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრას ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ. საავადმყოფოს ადმინისტრაცია მათთან მხოლოდ ელენე თევდორაძესა და რუსუდან ბერიძეს უშვებდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ პატიმრები ჟურნალისტებთან შეხვედრას მოითხოვდნენ, მაგრამ ჩვენი შესვლა ციხის საავადმყოფოში, „მავანთა“ მიზეზით, ვერ ან არ ხერხდებოდა. ამიტომ პარასკევს, 6 აპრილს, პატიმრებთან შეხვედრის მოთხოვნით, ციხის საავადმყოფოსთან მოეწყო ჟურნალისტთა აქცია.



ლოთი ქობალია



ბიძინა გუჯაბიძე

აქცია დაახლოებით ოთხ საათს გაგრძელდა. უშედეგო ლოდინის შემდეგ, დაიწერა მიმართვა, რომელიც იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეცურიანსა და სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გივი ყვარელაშვილს გაეგზავნა. მიმართვაში ნათქვამია: „თქვენი ქმედება არა მარტო ჩვენი უფლებების შემლახველი, არამედ კანონსაწინააღმდეგოცაა. კატეგორიულად მოვითხოვთ, უზრუნველყოთ ჩვენი შეხვედრა პოლიტპატიმრებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი აქცია უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს და ვაცნობებთ ჟურნალისტთა უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს.“

აღნიშნულ მიმართვას ადრესატების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია; ამიტომ აქცია 7 აპრილსაც გაგრძელდა ჯერ სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტთან, შემდეგ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან. ჟურნალისტთა აქციას მხარი სამთავრობო ორგანიზაციებმაც დაუჭირეს. როგორც მათი წარმომადგენლები აცხადებდნენ, ჟურნალისტთა საავადმყოფოში შეუშვებლობის ფაქტი კანონსაწინააღმდეგოა, რის პრეცედენტიც არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოშიმშილეებს სასჯელთა აღსრულების სხვა დაწესებულებებში მყოფმა პატიმრებმაც დაუჭირეს მხარი.

8 აპრილს ჟურნალისტთა აქცია დილის 12 საათზე დაიწყო. მანამდე, მოშიმშილეებს საქართველოს პატრიარქი ილია შეხვდა და პატიმრებს აქციის შეწყვეტა ურჩია. დაახლოებით 2 საათზე ციხის საავადმყოფოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, ელენე თევდორაძე, რუსუდან ბერიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ჯემალ გოგიტიძე, ჯემალ გამახარია და სხვა პოლიტიკოსები ეწვივნენ. პოლიტპატიმართა მოთხოვნით, პარლამენტარები ჟურნალისტების თანხლებით შევიდნენ საავადმყოფოში.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ პოლიტპატიმრები შეწყვეტდნენ შიმშილობის აქციას, საპასუხოდ კი საქართველოს პარლამენტი პირველსავე სხდომაზე განიხილავს აღნიშნულ საკითხს და შეიქმნება საკითხის შემსწავლელი კომისია.

**ზურაბ ჟვანია:** მოხარული ვარ, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება დიდი შერიგების შესახებ. სიმართლე გითხრათ, აქ მოსვლამდე ვფიქრობდი, რომ საუბარი მხოლოდ პატიმართა გათავისუფლებაზე გვექნებოდა, მაგრამ მათივე თხოვნით, წინა პლანზე ერის მთლიანობის პრობლემამ წამოიწია. ფართომასშტაბიანი ამნისტიის გარდა, საუბარი 1991-92 წლების შეფასებაზეც გვქონდა. ამრიგად, დღევანდელი დიალოგით ძალიან კმაყოფილი ვარ.

„კვირის პალიტრა“ ერთ-ერთ მოშიმშილეს, **ბიძინა გუჯაბიძეს** ესაუბრება (აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი 9 აპრილს თვითმკვლელობით აპირებდა სიცოცხლის დასრულებას).

**— ბატონო ბიძინა, რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით შეხვედრით?**

— მართალია, ჩვენი მოთხოვნები 100%-ით არ დაკმაყოფილებულა, მაგრამ მიღწეულია მთავარი შეთანხმება — ერის გამთლიანება. მოგეხსენებათ, ჩვენი აქცია პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ. ერის გამთლიანების გარდა, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა 1991-92 წლებში მომხდარი სამხედრო გადატრიალების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებაც იყო. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ გვითხრა, ამ საკითხის შესწავლა პირველსავე სხდომაზე დაიწყება.

**— როგორ ფიქრობთ, შეაფასებს დღევანდელი ხელისუფლება ამ მოვლენებს, როგორც სამხედრო გადატრიალებას?**

— ხელისუფლებამ ეს უკვე დიდი ხანია იცის, თუმცა ვფიქრობ, ახლა ხმამაღლაც გაცხადდება, მართალია, გვიან, მაგრამ მაინც.

**— გმადლობთ.**

დიალოგის შემდეგ, სახეგაბრწყინებულმა ელენე თევდორაძემ ჟურნალისტებს „გამარჯვება“ მოგვილოცა და დასძინა, რომ 2000 წლის 8 აპრილი, ქართველთა გამთლიანების დღედ შევა ისტორიაში.

დელეგაციის წასვლის შემდეგ, პატიმრები **ელიზბარ ჯაველიძემ** მოინახულა.

**— ბატონო ელიზბარ, როგორ დაგხვდნენ პატიმრები?**

— ძალიან გახარებულები, აღმაფრენით, რომ სიცოცხლე მაინც ნავარდობს ამქვეყნად.

**— როგორ ფიქრობთ, შეასრულებს ხელისუფლება დანაპირებს?**

— ეს ისეთი ნაბიჯია, ამის შეუსრულებლობა ნიშნავს, რომ ყველაფერზე ხელი აიღო. მაგრამ ვფიქრობ, რომ მათი გათავისუფლება ძალიან მალე მოხდება. მე უკვე საქეიფოდ ვემზადები. ასივე პატიმარი ჩემი სტუმარი იქნება (იცინის).

დღის ბოლოს, პატიმრების ნახვის უფლება ოჯახის წევრებსა და ნათესავებსაც მისცეს, ძნელია სიტყვებით გადმოსცე სიტუაცია, რომელიც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სუფევდა.

აღფრთოვანების მიუხედავად, ლოთი ქობალიამ მაინც გამონახა „კვირის პალიტრასთან“ სასაუბრო დრო.

**ლოთი ქობალია:** — მინდა უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ ჟურნალისტებს მხარდაჭერისათვის. ფაქტობრივად, თქვენ გახლიჩეთ ის ვაკუუმი, რომელიც ჩვენსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის არსებობდა. თქვენ შექმენით საზოგადოებრივი აზრი. ჩათვალეთ, რომ ამ შედეგში, რაც მოშიმშილეთა აქციას მოჰყვა, თქვენი წვლილიცაა.

...ასეა თუ ისე, 9 აპრილს კიდევ ერთი ტკივილი, კიდევ ერთი ტრაგედია აიცილა ქართველმა ერმა. ვნახოთ, რამდენად სიტყვის პატრონია ხელისუფლება და რამდენად მოკლე დროში შეძლებს პოლიტპატიმართა გათავისუფლებას.

P.S. *ჟურნალისტები რომ მთელ მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალაა, ამას ჯერჯერობით სათანადოდ ვერ აცნობიერებენ ჩვენი ხელისუფალნი (რაც უნდა ვაღიაროთ, უდავოდ მათი მინუსია) თუ მავან უწყებათა ხელმძღვანელები, მაგრამ ჩვენი მართალი სიტყვით და პოზიცით თანდათანობით იმას მაინც შეიგნებენ, რომ არც ხელწამოსაკრავნი ვართ და მით უფრო — არც ხელკეტწამოსარტყმელნი.*

*თუმცა, 8 აპრილს, არჩევნების წინა ღამეს, სპორტის სასახლესთან ჩვენმა ძალოვნებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი „ვაჟკაცობა“, როცა არჩევნების მხარდასაჭერად გამართული („აირჩიე მომავალი“) კონცერტის სანახავად მისულ ახალგაზრდებსა და ჟურნალისტებს ხელკეტებით დაერივნენ... როგორც ჩანს, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორს ვართ „დემოკრატიისგან“ და იმ აზრისგან, რომ მასმედია მეოთხე ხელისუფლებაა.*

***ზურა ქაჩლიშვილი***
***ნელი ცქიტიშვილი***

აპრილის შუა რიცხვებში საქართველოში ასზე მეტი პოლიტპატიმარი გათავისუფლდება. ზემოთ ჩამოთვლილ პატიმართა გარდა, სავარაუდოა, რომ ჯაბა იოსელიანი და დოდო გუგეშაშვილიც იქნებიან. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რა გზით მოხდება მათი გათავისუფლება.

# გუგეშაშვილი შეწყალების კატეგორიული წინააღმდეგია

ბოლო წლებში, განსაკუთრებით საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდებში, ერთგვარ წესად იქცა პატიმართა შეწყალება და მათი ვადაზე ადრე გათავისუფლება, თუმცა დღემდე რჩება პატიმართა გარკვეული რაოდენობა, რომელიც ან პოლიტპატიმრად მიიჩნევს თავს და მოითხოვს ყოველგვარი შეწყალების პროცედურის გარეშე დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, ან კატეგორიულად უარყოფს მის მიმართ გამოტანილ განაჩენში წაყენებულ ბრალდებებს, ადანაშაულებს ხელისუფლებას მის წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებში და შესაბამისად, პოლიტიკური თუ პრინციპული მოსაზრებებით უარს აცხადებს შეწყალების მიღებაზე. ასეთ პატიმართა კატეგორიას მიეკუთვნება მხედრიონელი დოდო გუგეშაშვილი, რომლის გულისწყრომაც გამოიწვია ახლახან მასმედიაში (მათ შორის ჩვენს გაზეთშიც) გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში შეწყალებულ პატიმართა შორის, თითქოს მისი განცხადების საფუძველზე განიხილება დოდო გუგეშაშვილის შეწყალების საქმეც. ექსკლუზიურ სატელეფონო ინტერვიუში ქალბატონ დოდოს სწორედ ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ.

— ჩემთვის სავსებით მოულოდნელი იყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოსდა დოდო გუგეშაშვილმა შეწყალების კომისიას მიმართა განცხადებით — შეწყალების თხოვნით! ეს არის ჩემი პიროვნებისა და ღირსების შემლახავი ინფორმაცია, რომელიც, ფაქტობრივად, ჩემი პატიმრობის 5 წლის მანძილზე არ გავრცელებულა, რადგან ჩემს ყველა ოფიციალურ განცხადებაში, ყველა ინტერვიუში ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას — დოდო გუგეშაშვილი კატეგორიულ უარს ამბობს არამცთუ შეწყალებაზე, არამედ პატიმრობის ვადის განახევრებაზე, წლების დაკლებაზე და ა.შ.

მე ვითხოვ მხოლოდ და მხოლოდ რეაბილიტაციას და არა რაიმე შეღავათს ხელისუფლების მხრიდან, რადგანაც დოდო გუგეშაშვილს არასოდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია, რის გამოც ის შეიძლება ყოფილიყო დასჯილი! ძალიან გამაოგნებელი დარჩა ეს ინფორმაცია ჩემთვის, ჩემი მეგობრების, ახლობლების და საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისთვისაც ცნობილია ჩემი ურყევი და მტკიცე პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ვთვლი, რომ ეს არის ჩემი პოლიტიკური ოპონენტების მიერ გავრცელებული ბინძური დეზინფორმაცია, რამეთუ მოეყენებინათ ჩემთვის მორალური ტრავმა. ამიტომ, კატეგორიულად ვითხოვ დადგინდეს ის პიროვნებები და საინფორმაციო წყაროები, რომლებმაც ასეთი დეზინფორმაცია გაავრცელეს და შემდეგ იძულებული ვიქნები, რომ მათ მიმართ ჩემი პოზიცია დავაფიქსირო გაცილებით მკაცრად!



მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გამომიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, თავად სასამართლოზეც კი დადგინდა, რომ მე უდანაშაულო ვიყავი იმ პუნქტებშიც კი, რომელშიც გამომიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი. ჟურნალისტების პატიოსნებით და ობიექტურობით საზოგადოებამ იმთავითვე შეიტყო ჩემი უდანაშაულობის ამბავი და მე მათ მადლობას მოვახსენებ.

**— თავად კოლონიაში, სადაც თქვენ იმყოფებით, რა მდგომარეობაა...**

— ვიმყოფები ქალთა კოლონიაში და შემიძლია გითხრათ, რომ პატიმარ ქალბატონებს შორის შესანიშნავი, დახვეწილი ურთიერთობებია. ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე ჩვენი საზოგადოება ერთგვარად ალმაცერად უყურებს ქალთა კოლონიას, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ქალთა კოლონიაში დღეს არ მეგულება ისეთი პატიმარი, რომელიც საზოგადოებისთვის იყოს საშიში. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ყველა პატიმარი ანგელოზია, ან დანაშაული არა აქვს ჩადენილი, მაგრამ ძირითადად ამ დანაშაულის არასწორი კვალიფიცირებით არიან მოსულები, ძალიან მკაცრად არიან დასჯილი სასამართლოს მიერ. არადა, სწორედ მძიმე ეკონომიურმა პირობებმა, რომელშიც მოსახლეობა იმყოფება წლების მანძილზე, იძულებული გახადა ქალების გარკვეული ნაწილი, რომ ოჯახების გამოკვების მიზნით და იმის გამო, რომ შვილები შიმშილით არ დაღუპვოდათ, ჩაედინათ რაღაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. მართალია, რამდენჯერმე განხორციელდა შეწყალების აქტი შედარებით მსუბუქი დანაშაულის ჩამდენი ქალების მიმართ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება გარკვეულწილად შეუმსუბუქებს სასჯელს მძიმე დანაშაულის გამო მსჯავრდებულ ქალებს, ბოლოს და ბოლოს გარეთ ცოცხლები მაინც გამოვიდნენ. თუმცა, კვლავ ვიმეორებ — ეს არ ეხება დოდო გუგეშაშვილს!

**— ბატონ ჯაბასთან თუ გაქვთ კონტაქტი და რა შეგიძლიათ გვითხრათ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?**

— ბატონი ჯაბა, ჯერჯერობით, მეორე ოპერაციას ვერ იკეთებს, რადგანაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე არ ექვემდებარება განმეორებით ოპერაციას. ის ჯერ არ მომაგრებულა პირველი ოპერაციის შემდეგ.

**— თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ მხედრიონელების ნაწილმა ერთგვარი ლოიალური პოზიცია დააფიქსირა შევარდნაძის მიმართ და როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— ჩემი აზრით, რეალობიდან გამომდინარე მხედრიონმა გამოხატა თავისი პოზიცია, ანუ მხედველობაში მაქვს ის, რომ ყველა ვარიანტში შევარდნაძეა პრეზიდენტი! პირადად მე კი საპრეზიდენტო ინსტიტუტის არსებობას მხარს არ ვუჭერ. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელი არის საპარლამენტო მმართველობა, მომავალში კი კონსტიტუციური მონარქია...

**— გმადლობთ.**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# „ვფიქრობ, მთავარი ბზარი მაინც პატიაშვილის ფაქტორია...“

## ბათუმური ბლოკი იშლება?!

***(დასაწყისი იხ. გვ. 5)***

და უნდა დაიშალოს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაიშლება კიდეც. ჩვენ ალბათ კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ ბლოკის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს და შესაბამისად სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ.

**— სხვათა შორის, ამბობენ, რომ ბლოკს პირველი თქვენ დატოვებთ.**

— არა, პირველი ნამდვილად არ დავტოვებ.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენ მიერ ბლოკის შესაძლო დატოვებაზე რატომ ალაპარაკდნენ კულუარებში?**

— ალბათ იმიტომ, რომ მე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, ბლოკის ზოგიერთი წევრი მხარს არ მიჭერდა. ეტყობა ფიქრობენ, რომ ამის გამო ბლოკს დავტოვებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ არის. თავიდანვე ვიცოდი, რომ შეუძლებელი იყო, ყველას დაეჭირა ჩემთვის მხარი. მართალია, მოსაზრებების თვალსაზრისითაც ერთგვარი გადანაწილება მოხდა, მაგრამ ეს სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია.

**— ასლან აბაშიძეზე რას იტყვით? მისი პოზიცია ბოლო დროს აშკარად შეიცვალა.**

— არაფერიც არ მომხდარა. გარდა იმისა, რომ საინიციატივო ჯგუფმა პრეზიდენტობის კანდიდატად წარმადგინა და მეც თანხმობა განვაცხადე.

**— თანხმობა აბაშიძესთან შეუთანხმებლად განაცხადეთ?**

— არა, ბატონმა ასლანმა იცოდა ამის შესახებ და წინააღმდეგი არ წასულა.

**— აბაშიძე აცხადებს, რომ თქვენი კანდიდატურის შესახებ არაფერი იცოდა და ამასთან არამდგრადი ორიენტაციის პოლიტიკოსს გიწოდებთ. ეს, თქვენი აზრით, „არაფერია“?**

— მე ეგ არ გამიგია. თუ ეს მართლა თქვა, მაშინ არასწორი ყოფილა. არამდგრადი კი არა, სწორედაც მდგრადი ორიენტაციის პოლიტიკოსი ვარ.

**— პოლიტიკურ წრეებში შევარდნაძესა და აბაშიძეს შორის არსებული გარიგების შესახებ ალაპარაკდნენ. მსგავსი ეჭვი თქვენც ხომ არ გაგიჩნდათ?**

— არანაირ შეთანხმებასა და გარიგებას ადგილი არ ჰქონია. რაც ბოლო დღეებში მოხდა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით ნორმალურად მიმაჩნია. ამდენად იმის თქმა, რომ აქ რაღაც გარიგებაა, არ შეიძლება. უკვე დროა, რომ ორივე მხარემ, ცენტრმაც და ბათუმმაც ერთმანეთისკენ შერიგების ნაბიჯები გადადგან. ამას მივესალმები.

**— როგორ გგონიათ, ესეც მორიგი პოლიტიკური სვლა ხომ არ არის?**

— ვერ გეტყვით. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ თუკი ამას დადებითი შედეგები მოჰყვება, არავითარი პრეტენზია არ მაქვს.

P.S. მოკლედ, თუ ეს მართლა პოლიტიკური თამაშია, პატიაშვილი აშკარად თამაშგარეთაა დარჩენილი. თუ პოლიტიკური თამაში არ არის, მაშინ მით უმეტეს... ე.ი. მას ასლან აბაშიძესთან ურთიერთობაში რაღაც შეეშალა, რასაც აჭარის ლიდერი არ პატიობს.

რაც შეეხება ბათუმური ბლოკის სამომავლო პერსპექტივებს, ყველა ჩვენმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ თუკი დაშლის საკითხი დადგება, თვითონ ბლოკს ყველაზე ბოლოს დატოვებს. მაშასადამე, არ იქნება პირველი, ვინც დაშლის ინიციატორ-მასტიმულირებელი გახდება; თუ ინტერვიუერები ჩვენთან საუბარში გულწრფელნი იყვნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბლოკს დაშლის საფრთხე არ ემუქრება. თუმცა აქ მთავარი და გადამწყვეტი სიტყვა მაინც თავად ასლან აბაშიძეს ეკუთვნის, რომელიც ბლოკის მუშაობით და მის შიგნით მიმდინარე პროცესებით მთლად კმაყოფილი არ ჩანს.

***ქეთი ბერეკაშვილი***
***ხათუნა ყვირალაშვილი***

# ქართულ ჯარს ლაზერული იარაღი ჰქონია

## ისე არ „ქუხს“, როგორც გარედან მოჩანს...

6 აპრილს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი — პრეზიდენტი თავის არმიას შეხვდა.

თავდაცვის სამინისტრომ პრეზიდენტი და სხვა საპატიო სტუმრები კრწანისის (იალღუჯის) სამხედრო-სასწავლო ცენტრში მიიწვია და საჩვენებელი სწავლება მოუწყო. გვარდიის დეპარტამენტის, საჩხერის სამთო ბატალიონისა და კოჯრის სასწავლო ცენტრის დანაყოფებმა სხვადასხვა საბრძოლო ამოცანის შესრულება აჩვენეს, მათ შორის იყო მძევლების გათავისუფლების სპეცოპერაცია, ტერორისტების ლიკვიდირება ქალაქის პირობებში და ბრძოლა მთაგორიან რთულ რელიეფზე.

პირველი ორი ამოცანა ძნელად თუ ჩაითვლება თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციად. ყოველ შემთხვევაში, მძევლების განთავისუფლება ნამდვილად არ არის არმიის საქმე, ამისთვის არსებობენ სპეცსამსახურები (მათ შორის ანტიტერორისტული ცენტრი).

სწავლებაზე აღინიშნა, რომ 1997 წლიდან მიმდინარე რეფორმებმა დადებითი შედეგი გამოიღო, ხოლო კოსოვოში გაგზავნილმა სამშვიდობო ოცეულმა დაადასტურა საქართველოს მონაწილეობა მსოფლიო დონის სამშვიდობო აქციებში.

დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტთა აზრით, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, როდესაც პატარა საქართველოს წარგზავნილები მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ერთად მშვიდობას ამყარებენ ჩვენი პლანეტის ამა თუ იმ კუთხეში, რაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, საქართველოს ჯერ ბრძოლისუნარიანი არმია უნდა ჰყავდეს და შემდეგ იფიქროს სხვა ქვეყნების მშვიდობაზე, მით უმეტეს, რომ თავად ჩვენს ქვეყანას სხვებზე არანაკლებ აწუხებს სეპარატიზმის პრობლემა. იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ბოლო წლებში რაიმე კარდინალური დადებითი ცვლილება მოხდა სამხედრო ძალების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. სამწუხაროდ, ამაზე წერა დიდი ტკივილის გარეშე შეუძლებელია. ქართველ სამხედროებს შეიძლება შურდეთ კიდეც უცხო სახელმწიფოების მეთაურებისა, რომლებიც გულისყურით ეცნობიან საკუთარ არმიებს, დაფრინავენ გამანადგურებლებით თუ ატომური წყალქვეშა ნავით ზღვის სიღრმეში ეშვებიან. საქართველოს სამხედრო ძალების ნებისმიერი ქვედანაყოფისთვისაც სასიამოვნო იქნებოდა, თუკი ქვეყნის ხელისუფლება მარტო არჩევნების წინ კი არა, სხვა დროსაც მოინახულებდა პოლიგონებსა და სამხედრო ნაწილებს. კუთვნილი ხელფასების თვეობით მიუღებლობით გაბეზრებული სამხედროებისთვის ეს ერთგვარი ნუგეში მაინც იქნებოდა, — ჩვენზე ხელისუფლება ხანდახან მაინც ზრუნავსო.

ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლისთვის კრწანისის პოლიგონზე საჩვენებელი სწავლებების დროს, იქვე, დიდ კარავში ქართველი კონსტრუქტორებისა და სამხედროების მიერ შექმნილი იარაღი და საბრძოლო საჭურველი გამოფინეს.

პრეზიდენტმა ყველა ნიმუში გულდასმით დაათვალიერა და ბევრითაც სერიოზულად დაინტერესდა. ბევრ მათგანს „კვირის პალიტრის“ მკითხველი იცნობს. ზოგიერთ სიახლესაც თანდათანობით შემოგთავაზებთ. ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე შევჩერდებით.

1992 წლის ბოლოს, გახურებული აფხაზეთის ომის დროს, გარკვეულმა პირებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას გაუგონარი წინადადება შესთავაზეს — ერთ მილიონ ამერიკულ დოლარად ერთ საიდუმლო იარაღს მოგაწვდით, რომელიც რამდენიმე წუთში ყველა თქვენს მოწინააღმდეგეს გაუჟუჟავსო.




გაგრის დაკარგვის და სოხუმის დაბომბვების შემდეგ, მაშინდელი თავდაცვის მინისტრი შეიძლება ყველაფერს დათანხმებოდა — აუცილებელი იყო პატარა გამარჯვება მაინც.

ამ ზესაიდუმლო იარაღის გამყიდველებმა ჯერ მისი ტექნიკური მაჩვენებლები გაანდეს ქართველებს — მას შეუძლია მთელი ფრონტის გასწვრივ ლაზერული სხივით მოწინააღმდეგის ყველა ოპტიკური ხელსაწყო (მათ შორის დურბინდები, დასამიზნებელი მოწყობილობები, ჯავშანტექნიკის ტრიპლექსები და სხვ.) წამში გააფუჭოს, ხოლო მათზე მომუშავე პირადი შემადგენლობა დროებით დააბრმავოს და ბრძოლისუუნარო გახადოსო.

წინადადება იმდენად მაცდური გახლდათ, რომ მაშინდელი თავდაცვის მინისტრიც, მიუხედავად მილიონი დოლარისა, შეიძლება გარიგებას დათანხმებულიყო. თუმცა რამდენიმე პროფესიონალი ქართველი სამხედრო და მეცნიერი ძალზე დააეჭვა ამგვარი იარაღის შესაძლებლობამ. მოგვიანებით ეს დანადგარი ლაბორატორიულ პირობებში კიდევაც გამოცადეს და დარწმუნდნენ — გამყიდველები მის ტექნიკურ მონაცემებს აზვიადებდნენ.

თუმცა, მიუხედავად ამისა, იარაღის ამ სახეობას მართლაც საგულისხმო შესაძლებლობები გააჩნდა.

6 აპრილს სწორედ იარაღის ამ სახეობის ნიმუში იყო გამოფენილი. სამწუხაროდ, მისთვის საპატიო სტუმრებს დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, ალბათ უფრო დაინტერესდნენ კოსმოსური „დაპირებებით“ (პირდაპირი გაგებით), რომლებსაც უხვად აფრქვევდა ერთ-ერთი ახალგამოჩეკილი კონსტრუქტორი გენერალ-მაიორი (ისე, ერთი თვალის შევლებითაც მიხვდებით, რომ ნამდვილი ინჟინერი თუ კონსტრუქტორი დიდ პოლიტიკაში არასოდეს გადავა).

ამ იარაღის სახეობის შიფრი — 1K12 ერთი შეხედვით მკითხველს, რა თქმა უნდა, არაფერს ეუბნება. სამაგიეროდ, ვისაც ეს კომპლექსი რეალურ საბრძოლო მოქმედებებში გამოუყენებია, აღფრთოვანებას ვერ მალავს.



კომპლექსის ძირითადი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ოპტიკური ხელსაწყოების აღმოჩენა. მას ამისთვის ღამის ხედვის მოწყობილობაც გააჩნია, რაც ამ კომპლექსის დღე-ღამის ნებისმიერ დროს გამოყენების საშუალებას იძლევა.

თავდაპირველად, ოპერატორი მოწინააღმდეგის მხარეს სუსტ ლაზერის სხივს უშვებს, რომელიც ოპტიკური ხელსაწყოების განლაგებას ეძებს, მათზე მოხვედრისთანავე ლაზერის სხივი აირეკლება და უკან უბრუნდება კომპლექსს. ამ დროს ოპერატორის ყურსასმენებში წრიპინი გაისმის, ე.ი. მოწინააღმდეგე აღმოჩენილია. ამის შემდეგ ირთვება ავტომატური სისტემა და კომპლექსი უკვე თავად უშვებს მტრის მხარეს 6 ჯოული სიმძლავრის ლაზერულ სხივს მწვანე და ინფრაწითელ სპექტრში.

ამ სიმძლავრის ლაზერის სხივის მოხვედრისთანავე მოწინააღმდეგის ელექტროოპტიკური ხელსაწყოები მწყობრიდან გამოდის, ხოლო მათში მაყურებელი ადამიანი დროებით ბრმავდება.

იარაღის ამ სახეობას, გარდა წმინდა პრაქტიკული დანიშნულებისა, ძალზე დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც გააჩნია, — როდესაც მოწინააღმდეგემ იცის, რომ შენ ასეთი ლაზერული იარაღი გაქვს, ყოველთვის უფრთხის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსების, სადაზვერვო ოპტიკისა და მძიმე ტექნიკის ელექტროოპტიკური ხელსაწყოებით სარგებლობას, რადგან ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის გარდა, ის, პირველ რიგში, თავის თვალებს უფრთხილდება.

მაშინ, 1992 წლის ბოლოსა და 1993 წლის დასაწყისში, ის გარიგება ვერ შედგა. შეიძლება ეს უკეთესიც იყო, რადგან ზემოხსენებული კომპლექსი ერთი მილიონი დოლარი ნამდვილად არ ღირდა და არც მთლად ისეთი მაჩვენებლები ჰქონდა, როგორ რეკლამასაც გამყიდველები უკეთებდნენ.

სამაგიეროდ, რამდენიმე თვეში ქართულ არმიას თბილისში განთავსებული ერთი რუსული სამხედრო ნაწილიდან ისედაც დარჩა რამდენიმე ათეული 1K12 კომპლექსი.

ისინი დაახლოებით 80-იანი წლების ბოლოს შემოიტანეს საქართველოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შესაიარაღებლად, მაგრამ შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო გაუხსნელად იდო საწყობში. თუმცა, რუსებმა 1K12-ის ვერცხლის შემცველი სპეციალური აკუმულიატორები ხელს გააყოლეს. ეს ძლიერი აკუმულიატორი კომპლექსს საშუალებას აძლევდა მოეხდინა ლაზერის სხივის 1000-მდე „გასროლა“ 1,5 კმ-ის მანძილზე.

დღესდღეობით ამ კომპლექსთა დიდი რაოდენობა აღდგენილია, ავტომატური სისტემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „სხივის“ ინჟინრებისა და პირადად დირექტორის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ალექსანდრე ქურასბედიანის დიდი ძალისხმევით. ის კი არა, ინსტიტუტმა ქართულ არმიას თანამედროვე წინა ბაზირების მობილური სადაზვერვო კომპლექსი შესთავაზა, რომელიც ყველგანმავალი მანქანის ბაზაზეა მოთავსებული. მასზე 1K12 ლაზერული კომპლექსის გარდა, 1□□133 ტიპის კომპაქტური სადაზვერვო რადიოლოკატორიცაა დამონტაჟებული. ამ უკანასკნელს მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკის აღმოჩენა ნებისმიერ ამინდში 10 კმ-მდე მანძილზე შეუძლია, ხოლო ადამიანის გარჩევა კი 3-4 კმ-ზე. მთლიანად ამ მობილურ სადაზვერვო კომპლექსს სულ 3 კაცი ემსახურება. მას შეუძლია შეუმჩნევლად დაიკავოს პოზიცია წინა ხაზის სიახლოვეს და მოიპოვოს სადაზვერვო ინფორმაცია მტრის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი მისი ელექტროოპტიკური ხელსაწყოებიც გამოიყვანოს მწყობრიდან.

სხვათა შორის, 1K12 ლაზერულ კომპლექსს ვიდეოკამერიანი ოპერატორებიც უნდა მოერიდონ, რადგან იგი ჟურნალისტს სამხედროსგან ვერ „განასხვავებს“.

---

**არსენალი**

***„კვირის პალიტრის“ მეშვეობით გთხოვთ აგვიხსნათ რაკეტა „სტინგერის“ ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები და დაბეჭდოთ მისი სურათი.***

***პატივისცემით, კ. ჯიქია, ქ. ზუგდიდი***

# „სტინგერს“ არა მარტო თვითმფრინავის ჩამოგდება, არამედ დიდი პოლიტიკის შეცვლაც შეუძლია

„სტინგერმა“ პოპულარობის ზენიტს 1986 წლის ბოლოსთვის მიაღწია, როდესაც აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (CIA) ამ საზენიტო რაკეტების პარტია ავღანელ მოჯაჰედებს მიაწოდა.

როგორც ახლა ამბობენ, სწორედ „სტინგერებმა“ გამოაძევეს საბჭოთა კავშირი ავღანეთიდან. ეს ნათქვამი შეიძლება ცოტა გაზვიადებულიც იყო (გორბაჩოვი 80-იანი წლების მიწურულს საბჭოთა წყობის მოახლოებული ეკონომიკური და მორალური კრახის წინაშე დადგა, რადგან ავღანეთში გაჩაღებულ ომს უზარმაზარი თანხები სჭირდებოდა), მაგრამ ის კი სინამდვილეა, რომ სწორედ „სტინგერებმა“ მოუღო ბოლო საბჭოთა საბრძოლო ავიაციის სრულ ბატონობას ავღანეთის ცაში.

სხვათა შორის, „სტინგერების“ ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი შეიქნა თბილისის საავიაციო ქარხანაში აწყობილი Су-25 მოიერიშე თვითმფრინავები.

1986 წლის შემოდგომაზე ავღანელმა მოჯაჰედებმა ინტენსიურად დაიწყეს „სტინგერების“ გამოყენება. მანამდე საბჭოთა შვეულმფრენებსა და თვითმფრინავებს ისინი ძირითადად მოძველებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „რედ აი“-თა და „ბლოუპაიპ“-ით ებრძოდნენ. ეს პირველი თაობის ხელის საზენიტო რაკეტები, ისევე როგორც მათი საბჭოთა ანალოგი „სტრელა-2“, ინფრაწითელი დამიზნების მხოლოდ ერთი დიაპაზონით იყვნენ აღჭურვილნი. ამიტომაც იმავე Су-25-ს მაინცდამაინც არ უჭირდა მათი დამიზნების სისტემის „მოტყუება“ ფრენის მიმართულების პერპენდიკულარულად გასროლილი ე.წ. „სითბური ხაფანგებით“ (მაღალი ტემპერატურის გამომყოფი პატარა რაკეტები). დღეისთვის ამავე მეთოდს იყენებენ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ის Су-25 მოიერიშე თვითმფრინავები, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტის სამგზავრო თვითმფრინავის აფრენა-დაფრენის პროცედურის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ ეს ქართველი სამხედრო მფრინავები შეიძლება ერთგვარ „კამიკაძეებად“ იქცნენ — სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა თავისი მოიერიშეების გახურებული ძრავის საქშენებისკენ „მიიზიდონ“.

ავღანეთში CIA-ს მიერ პაკისტანიდან გადასროლილი „სტინგერები“, „რედ აი“-სა თუ „ბლოუპაიპისგან“ განსხვავებით, ორრეჟიმიანი ელექტროოპტიკური მოწყობილობით იყო აღჭურვილი და ორ დიაპაზონში — ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სპექტრის ნაწილებში — მუშაობდა. რაკეტის ავტოპილოტის პატარა მიკროპროცესორი კი სიტუაციის მიხედვით ზუსტი დამიზნების საჭირო დიაპაზონს არჩევდა.

მკითხველისთვის გასაგებად რომ ვთქვათ, თუკი Су-25 თავის „სითბურ ხაფანგებს“ გამოსტყორცნიდა, „სტინგერის“ დამიზნების ელექტროოპტიკური მოწყობილობა განასხვავებდა დიდი ტემპერატურის გამომყოფი „ხაფანგის“ სპექტრს იმისგან, რაც უშუალოდ თვითმფრინავის რეაქტიული ძრავების საქშენებიდან გამოტყორცნილ დამწვარ საავიაციო ნავთს ახასიათებს.

სწორედ ამ ერთი შეხედვით არც ისე რთულმა გადაწყვეტილებამ აიძულა საბჭოთა გენერალიტეტი, თავისი თვითმფრინავებისთვის 4,5 კმ-ზე დაბალ სიმაღლეზე ფრენა აეკრძალა. არადა დიდი სიმაღლიდან მფრინავები (მით უმეტეს, მოიერიშე Су-25-ები) ზუსტ დაბომბვას ვერ ახერხებდნენ. ასე „ამოასუნთქა“ ავღანელები CIA-მ. სხვათა შორის, გაუნათლებელ მოჯაჰედებს სულაც არ გასჭირვებიათ „სტინგერების“ ათვისება. იმასაც ამბობენ, ამერიკელმა სპეციალისტებმა ავღანეთში ჩატანამდე „სტინგერები“ მაიმუნებზე გამოსცადესო თვითმფრინავის ხმის გაგონებისთანავე (არადა მაიმუნები სმენას ნამდვილად არ უნდა უჩიოდნენ). მაიმუნი „სტინგერს“ საჰაერო სამიზნისკენ მიმართავდა. როგორც კი რაკეტის თვითდამიზნების სისტემა თვითმფრინავს „გამოიჭერდა“, გაისმოდა სპეციფიკური ხმა და ინთებოდა მწვანე ნათურა. მაიმუნიც ამ დროს აჭერდა თითს სასხლეტს (თუკი დამიზნების ხელსაწყომ ვერც ინფრაწითელ და ვერც ულტრაიისფერ სპექტრში ვერ დააფიქსირა მფრინავი ობიექტი, საზენიტო რაკეტა არაფრის დიდებით არ გავარდება) და რაკეტაც სტარტს იღებდა, ხოლო მაიმუნი — ბანანების დიდ ულუფას.

იმას, რაც შეძლეს ცხოველებმა, ბუნებრივია, მოჯაჰედებიც აუღებდნენ ალღოს, თუმცა ერთი განსხვავებით, ყოველი ჩამოგდებული საბჭოთა თვითმფრინავისთვის ჯილდოდ ყვითელი ბანანების მაგივრად, მწვანე დოლარების მსხვილ დასტას ღებულობდნენ.

ავღანეთში ჩამოგდებული 23 ერთეული Су-25-ის ნახევარზე მეტი სწორედ „სტინგერებზე“ მოდის. არადა ნუ დაგვავიწყდება, რომ თბილისში აწყობილმა მოიერიშეებმა ყველაზე გამძლე თვითმფრინავების სახელი დაიმსახურეს (ერთხელ აეროდრომზე მშვიდობიანად დაჯდა Су-25, რომელსაც მარცხენა ძრავის საქშენში „სტინგერი“ ჰქონდა მოხვედრილი). მათგან განსხვავებით „სტინგერებს“ ბევრად მეტი გამანადგურებელ-ბომბდამშენი МиГ-27 თუ Ми-24 და Ми-8 შვეულმფრენი ემსხვერპლა.

მოჯაჰედებს აშშ-ის სპეცსამსახურებმა 1000-მდე „სტინგერი“ გადასცეს, ავღანელებმა კი აღმოსავლური ეშმაკობა იხმარეს და ვაშინგტონს მათი დიდი ნაწილი „მოუტეხეს“ — ვითომ საბჭოთა თვითმფრინავებს უშედეგოდ ესროლეს, სინამდვილეში კი სხვადასხვა ტერორისტულ ჯგუფს მიჰყიდეს. სწორედ ამიტომაცაა, რომ დღეს მოსკოვს ეშინია — ჩეჩნებმა „სტინგერები“ არ იშოვონ და რუსულ თვითმფრინავებს (იმავე Су-25 მოიერიშეებს, Су-24 საფრონტო ბომბდამშენებს) და შვეულმფრენებს (Ми-8 და Ми-24) შავი დღე არ აყარონო.

**ჩვენი ცნობა:** „სტინგერის“ გამოცდა ამერიკელებმა ჯერ კიდევ 1973 წლის მარტიდან დაიწყეს. თავდაპირველად 23 100 რაკეტის დამზადება იყო ნავარაუდევი. შემდგომში ეს ციფრი გაიზარდა. რაკეტის მოქმედების რადიუსი 6 კმ-ზე მეტია, ხოლო სროლის სიმაღლე 3 კმ-ს აღემატება. რაკეტა აღჭურვილია „ჩემი-სხვისი“ სისტემით. საზენიტო კომპლექსი მთლიანად 15,8 კგ-ს იწონის, აქედან 9,4 კგ უშუალოდ რაკეტაზე მოდის. „სტინგერის“ სროლა შეიძლება ერთი ადამიანის მიერ, თუმცა მას „ჯიპებსა“ და საბრძოლო შვეულმფრენებზეც აყენებენ.



საქართველოს პერმანენტულად ბრალს სდებენ რუსეთის ოფიციალური პირები და მასმედია, ჩეჩნებისთვის „სტინგერების“ ტრანზიტით მიწოდებაში.

სინამდვილეში, ჩეჩნებს „სტინგერები“ არ გააჩნიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საშუალებას არ მისცემდნენ რუსებს, დღეში 100-150 საბრძოლო გაფრენა განეხორციელებინათ. დღემდე ჩეჩნებმა რუსებს მხოლოდ სამიოდე თვითმფრინავი და ამდენივე შვეულმფრენი გაუნადგურეს, მათგან ორი თვითმფრინავი (ერთი Су-24 ბომბდამშენი და ერთიც Су-25 მოიერიშე) თუ იქნებოდა ჩამოგდებული საზენიტო რაკეტით, დანარჩენები საზენიტო ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების „დამსახურებაა“. ეს საზენიტო რაკეტებიც საბჭოთა წარმოების „სტრელა-2“ ან „იგლა“ უნდა იყოს, იმ ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი ფასი იმავე რუსეთის შავ ბაზარზე 8-10 ათასი დოლარია, ხოლო „სტინგერისა“ — ათჯერ მეტი.

ხელის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების, პირველ რიგში კი სწორედ „სტინგერებისა“, მარტო კრემლს როდი ეშინია.

იმავე ვაშინგტონსა თუ თბილისშიც კარგად იციან, რომ ასეთი მცირეწონიანი და ადვილად დასამალი საზენიტო რაკეტა გამანადგურებელ იარაღად იქცევა ტერორისტების ხელში. მის წინ სრულიად დაუცველი ხდება ნებისმიერი სახელმწიფო მეთაურის პირადი სამგზავრო თვითმფრინავი და, მით უმეტეს, შვეულმფრენი. ერთადერთი გამოსავალი (ოღონდ არა 100%-იანი) ის არის, რომ თვითმფრინავს რაც შეიძლება მეტი ძრავი ჰქონდეს (სასურველია, სამი ან ოთხი), რათა ერთ ძრავში მოხვედრის შემთხვევაშიც, სხვა ძრავებმა თვითმფრინავს უსაფრთხო დაშვების საშუალება მისცენ. გარდა ამისა, ძრავები ძლიერი ხანძარმქრობელი სისტემით უნდა აღიჭურვონ, რადგან „სტინგერს“ მაღალენერგიული საბრძოლო ქობინი აქვს და ძრავში მოხვედრისას ხანძარს აჩენს.

დღეისათვის „სტინგერმა“ მორიგი მოდიფიცირება განიცადა და მისი დამიზნების სისტემა თანამედროვე ინერციული ელექტროოპტიკური ტექნოლოგიით დამზადდა, რაც მიზანში ამოღებული თვითმფრინავის პილოტს უტოვებს გადარჩენის მხოლოდ ერთ შანსს — სასწრაფოდ კატაპულტირებას, ხოლო ვისაც კატაპულტი არა აქვს...

1988 წლის აპრილიდან „სტინგერების“ დამზადებას აშშ-ის გარდა, ევროპაშიც შეუდგნენ. საბერძნეთი, გერმანია, ნიდერლანდები და თურქეთი „სტინგერის“ მაკომპლექტებელ ნაწილებს უშვებენ.

ამ სამიოდე წლის წინ საქართველოს სამხედრო დელეგაციასთან ერთად სტატიის ავტორს საშუალება მიეცა საბერძნეთში სტუმრობისას მოენახულებინა ათენის სამხედრო ქარხანა, რომელშიც სწორედ „სტინგერის“ დამიზნების სისტემის ზოგიერთ დეტალს ამზადებდნენ. მიუხედავად მცდელობისა, ბერძნებმა ცივი უარი განაცხადეს ამ საამქროს ფოტო და ვიდეოგადაღებაზე.

„სტინგერი“ ერთ-ერთი ყველაზე (რუსულ „იგლასთან“ ერთად) ეფექტური საზენიტო საშუალებაა დაბალ სიმაღლეზე მფრენი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების გასანადგურებლად. თუმცა ნაკლებად უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ პენტაგონი „სტინგერებს“ გადასცემს ქართველ სამხედროებს თუნდაც ჩრდილოეთი საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის საჰაერო სივრცის დასაცავად, რადგან ამერიკელებს არავითარი გარანტია არა აქვთ, რომ ხვალ ეს „სტინგერები“ რომელიმე ტერორისტული ჯგუფის ხელში არ აღმოჩნდება.

„სტინგერი“, თავისი უნიკალური ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით, მარტო ეფექტური საზენიტო იარაღი როდია, იგი არანაკლებ ეფექტური პოლიტიკური ბერკეტია, რომელმაც შეიძლება მთელი ქვეყნის თუ სახელმწიფო ჯგუფის მომავალი რადიკალურად შეცვალოს.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ლეგენდარული ჩეკისტი ლეგენდარული აბრაგის შესახებ

***გასულ წელს „კვირის პალიტრა“ (1-7 თებერვალი, 1999 წელი) ვრცლად წერდა „სვან დათა თუთაშხიად“ მონათლულ თანამედროვე აბრაგზე, ევგენი აფრასიძეზე, რომლის გარშემოც უამრავი მითია შექმნილი.***

*თავის დროზე ეს ადამიანი დიდხანს (16 წელიწადი!) იძებნებოდა, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი. 1980 წელს სამართალდამცავებმა აფრასიძე დააპატიმრეს, მაგრამ მკვლელობა ვერ დაუმტკიცეს და მხოლოდ იარაღის უკანონო ტარებისთვის სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.*

*ციხიდან გამოსული ევგენი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მაგრამ 1993 წელს მას კონფლიქტი მოუვიდა სვანეთში კარგად ცნობილ უშხვანების ოჯახთან, რომლის წევრებმაც აფრასიძეს მანქანა მოჰპარეს. შეტაკებისას უშხვანთა მხრიდან ორი კაცი დაიღუპა და აფრასიძე კვლავ მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოაცხადეს, თუმცა მისი დაკავება ან შემორიგება დღემდე ვერავინ მოახერხა.*



*ამჟამად მესტიის რაიონის სოფელ ეცერში არსებობს შესანიშნავად გამაგრებული შენობა, რომელსაც კბილებამდე შეიარაღებული ადამიანები იცავენ და ხელისუფლება ჯერჯერობით უძლურია მათთან დაკავშირებით რაიმე იღონოს — აფრასიძეს არაერთხელ განუცხადებია, თუ ჩემს აყვანას შეეცდებიან, მომხდურებს ორას ვაჟკაცს დავახვედრებ და თან ბოლო ტყვიას ჩემთვის შევინახავო...*

*„კვირის პალიტრის“ სტუმარია ცნობილი ქართველი სამართალდამცავი, 79 წლის თადარიგის პოლკოვნიკი ვახტანგ ჯაფარიძე, რომელმაც 20 წლის წინ თავად განახორციელა საქვეყნოდ აღიარებული აბრაგის დაკავების უნიკალური ოპერაცია. და თანაც, თავზეხელაღებულ ბანდიტში, ღირსეული პიროვნებაც აღმოაჩინა.*

— იმხანად ევგენი აფრასიძე ძებნილად ითვლებოდა, თუმცა როგორ დავარქვა ძებნილი, როცა ეს კაცი თავის სოფელში სახლს იშენებდა, ჰყავდა შესანიშნავი ცოლშვილი და თავადაც სრულიად ნორმალურ, ჯანსაღ ცხოვრებას ეწეოდა.

ევგენი აფრასიძე მეტად ჭკვიანი ადამიანი ბრძანდება, ბრალად კი 1964 წელს თავისი სიძის, გვარად პირველის, მკვლელობა ედებოდა. მოგვიანებით, ძიებამ დაამტკიცა, რომ ევგენი ამ საქმეში უდანაშაულო იყო და პირველი აფრასიძის მამამ მოკლა, რომელმაც შემდეგ თავადაც მოიკლა თავი. ფაქტობრივად, ევგენმა მამამისის დანაშაული დაიბრალა. მაშინ ის დაახლოებით 20 წლის ბიჭი იქნებოდა. რაც შეეხება პირველს, ეს ადამიანი უაღრესად დადებითად ხასიათდებოდა, მაგრამ აქ ცუდი როლი ითამაშა ევგენის დამ, რომელმაც საკუთარ ძმასა და ქმარს შორის შუღლი ჩამოაგდო. ქალი ირწმუნებოდა, მეუღლე ცუდად მექცევა, ხშირად მცემსო და აფრასიძეებმაც, როგორც ჩანს, სიძის დასჯა გადაწყვიტეს. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ვინ მოკლა პირველი, მაგრამ ფაქტია, რომ დანაშაულის შემდეგ ევგენი მიიმალა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

მას შემდეგ აფრასიძეს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. პირიქით — იგი ყველას ეხმარებოდა (აფხაზეთის ომის პერიოდში აფრასიძემ საკუთარ სახლში უამრავი ლტოლვილი შეიფარა. — რედ.). „შოფერი“ კაცი გახლავთ, მაგრამ ოქროს ხელების პატრონია და ბევრი რამ ეხერხება. ტელევიზორი რომ ტელევიზორია, იმასაც მშვენივრად შეუკეთებს ხოლმე მეზობლებს... სვანეთში მას უზომოდ დიდი ავტორიტეტი აქვს, როგორც სამართლიან, ფიზიკურად ძლიერ და გულკეთილ ადამიანს.

60-70-იან წლებში ამ კაცთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიაზე სისტემატურად სვამდნენ საკითხს. იყო ზეწოლა მოსკოვიდანაც — რას ჰქვია, ამდენი ხნის ძებნილია, ამჟამადაც შეიარაღებულია, იცით, სადაც არის და ვერაფერს უხერხებთო! ვინ არ ჩაერია მაშინ საქმეში... იმდროინდელი შს მინისტრი ედუარდ შევარდნაძე და რაიკომის მდივნები ევგენის უთვლიდნენ ჩაგვბარდიო, მაგრამ არავის სიტყვამ არ გაჭრა. აფრასიძე არავის ენდობოდა. ფიქრობდა, რომ აუცილებლად დახვრეტდნენ და ამას თავის მოკვლა ერჩივნა. არსებობდა კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტორი: აფრასიძეს მთელი ეცერი იცავდა და უცხო პირის გამოჩენისას სოფლელები მაშინვე აფრთხილებდნენ ძებნილს.

ინიციატივა, როგორც სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა, ჩემს თავზე ავიღე. მაშინ ჩვენი მინისტრის მოადგილედ ახალგაზრდა და შესანიშნავი ადამიანი სანდრო კავსაძე დაინიშნა. აფრასიძის საქმე მან პირად კონტროლზე აიყვანა. ძებნილის დასაკავებლად ერთად შევიმუშავეთ რამდენიმე დეტალური გეგმა, თუმცა ზოგიერთმა ჩვენმა თანამშრომელმა იქიდან რატომღაც რამდენიმე პუნქტი ამოიღო და ამ ამოგდებულმა დეტალებმა მოგვიანებით საქმე გააფუჭა.

ზემო სვანეთში 40 კაცი ავედით და ტყე-ტყე ევგენის სოფელს მივუახლოვდით, მაგრამ ამ ინფორმაციამ გაჟონა, ძებნილის ყურამდე მიაღწია და ისიც უმალვე მიიმალა — ეცერს რომ მივუახლოვდით, სოფლის თავზე მდებარე ეკლესიასთან მყოფმა მეთვალყურეებმა გვაუწყეს, აფრასიძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი უკვე გაიქცნენო... ოპერაცია ჩაიშალა.

ვახტანგ ჯაფარიძე — გრიმით და უგრიმოდ



თბილისში დაბრუნებულს კავსაძემ ახალი გეგმის მოფიქრება დამავალა და მეც მალევე წარვუდგინე ოპერაციის სამი ვარიანტი:

პირველი — აფრასიძის სახლის მახლობლად არის სვანეთის მთავრების, დადეშქელიანების დანგრეული საგვარეულო კოშკი. შესაძლებელი იყო გადაცმული ჩეკისტების იქ გაგზავნა ლეგენდით, თითქოს ისინი ამ კოშკის აღსადგენად იყვნენ მისული...

მეორე — ეცერში უნდა დაგვეწყო არქეოლოგიური გათხრები, მაგრამ იმ დროს ნამდვილ არქეოლოგთა შორის ძალიან ბევრი სვანი იყო და შესაძლოა, მათ გაეტანათ ინფორმაცია...

და მესამე, ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი — ვიცოდი, რომ ძებნილი სახლს იშენებდა და სამშენებლო მასალების ნაკლებობას განიცდიდა, ამიტომ ზემო სვანეთში უნდა აგვეგზავნა ვითომდაც ცემენტის გამყიდველი, რომელიც ევგენის ნდობას მოიპოვებდა...



აფრასიძე დაკავებისას დაუზოგავად იცავდა თავს...

როდესაც კავსაძე ამ გეგმას გაეცნო, ჩემით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მაშინვე მკითხა, ამ სარისკო ოპერაციის შემსრულებელი ვინ იქნებაო? ეს მართლაც მნიშვნელოვანი საკითხი იყო. მე აფრასიძე სახეზე მცნობდა (ერთხელ მის სახლს მივუახლოვდი, იქ მისასვლელი გზები მაინტერესებდა და ამ დროს ევგენმა დამაფიქსირა), მაგრამ მეორე მხრივ, ჩემ მიერ დაგეგმილი ოპერაციის შედეგად ვინმე რომ დაღუპულიყო, საკუთარ თავს არ ვაპატიებდი და კავსაძეს ვუთხარი, თავადვე წავალ-მეთქი. ცოტა ხანს ვიდავეთ, 60 წლისა სრულდებით, როგორ შეძლებთ ამასო, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დამთანხმდა. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ერთმა მანდილოსანმა მშვენიერი პარიკი და წვერი გამიკეთა (სხვათა შორის, ის ქალბატონი საიმედო გრიმისთვის მოგვიანებით ოქროს საათით დააჯილდოეს), ჩავჯექი დახურულ სატვირთო მანქანაში და ასეთი მასკარადით ეცერისკენ გავწიე.

სოფელში მისვლისთანავე აფრასიძის სახლთან გავჩერდი, მანქანიდან გადმოვედი და ეზოში მყოფ ქალებს ცივი წყალი ვთხოვე. მახლობლად წყარო იყო და ევგენის მეუღლე ჭიქის მოსატანად შინისკენ გაემართა.



აბრაგი ოპერჯგუფთან ერთად

ამ დროს მთელი ყურადღება სახლისკენ მქონდა მიპყრობილი და უცებ, რას ვხედავ — კარი ოდნავ გაიღო და იქიდან მალულად მამაკაცმა გამოიხედა. აფრასიძე იყო. ამის შემდეგ იგი უკანა კარიდან გავიდა, სახლს შემოუარა და მოულოდნელად, ჩემს წინ აიტუზა.

ევგენმა მაშინვე შემიტია, ჩემთან ვინ მოგაგზავნაო. თამამად მივუგე: „რა, სვანეთში სიარულს და ცემენტის გაყიდვას მიშლი?“ თუ გინდა შენც იყიდე, არადა, თავი დამანებე-მეთქი. არა, მოგზავნილი ხარო, დაიჩემა, თან გარშემო მივლის და მათვალიერებს. შეშფოთებულმა და უკიდურესად დაძაბულმა ვიფიქრე, იქნებ, პარიკი ამეჩჩა და შენიშნა-მეთქი...

ახლა ამას იოლად ვყვები, მაგრამ იმ მომენტში ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. როგორი საქმეა, მარტოდმარტო დგახარ თავზეხელაღებული ადამიანის წინაშე, რომელსაც შეუძლია ერთ წამში გაგანადგუროს...

ვეუბნები, რას მიტრიალებ? სვანები სტუმართმოყვარე ხალხი მეგონეთ და შენ რანაირად იქცევი-მეთქი. ამის შემდეგ თითქოს დაწყნარდა და მეკითხება, რა ცემენტი გაქვსო. „400 მარკიანია, — ვუპასუხე, — წამოდი, გიჩვენებ.“ მივიყვანე მანქანასთან და საქონელი დავათვალიერებინე. ეს ცემენტი კი არა, ტალახიაო, განმიცხადა. მე უფრო მაღალი ხარისხის მინდა და საერთოდ, საღებავის შოვნაც ხომ არ შეგიძლიაო. კი-მეთქი, შევპირდი და გახარებული, ევგენის ნდობა რომ დავიმსახურე, უკან, ზუგდიდისკენ წამოვედი.

თბილისს რომ მიუახლოვდნენ, აფრასიძე (შუაში) უკვე კარგ გუნებაზე იყო.



იმ დღეს ერთი ასეთი კურიოზიც შემემთხვა: მილიციის ადგილობრივმა რიგითმა გამაჩერა და ჩემი — „სპეკულანტის“ დაპატიმრება მოინდომა. ხომ არ ვეტყოდი, მილიციის პოლკოვნიკი ვარ-მეთქი... ბოლოს, ისევ ადგილობრივმა მოსახლეობამ მიხსნა მილიციის კლანჭებისგან...

მასალის გასაყიდად ზემო სვანეთში რამდენჯერმე ავედი. ცემენტს იაფად ვყიდდი, თუმცა ამის გამო ვინმეს ჩემში ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა, ზოგჯერ გზის ხარჯსაც წავუმატებდი-ხოლმე... თანხას მუდამ პატიოსნად მიხდიდნენ. ევგენისაც დავუძმაკაცდი (მოგვიანებით კი შევიტყვე, რომ ევგენის ცოლი არ მენდობოდა და მეუღლესაც აფრთხილებდა, არ დაუჯერო ამ კაცს, ხელები მუშისა არა აქვსო!). ოპერაცია გადამწყვეტ ფაზას უახლოვდებოდა...

სამინისტროში გამართულ ოპერატიულ თათბირზე დამტკიცდა იმ ათი კაცის სია, რომლებსაც ძებნილი უნდა დაეკავებინათ. ამ ჯგუფში შედიოდა თვით მინისტრის მოადგილე სანდრო კავსაძეც, ასევე მომავალი გენერალი გივი ყვარელაშვილი. თავიდან „რაფითა“ და „ნივით“ გავეგზავრეთ და უკვე ზუგდიდი-სვანეთის გზაზე ტენტით გადახურულ სატვირთოში გადავჯექით. მე კვლავ საჭეს მივუჯექი, დანარჩენები ძარაზე ჩასაფრდნენ და თან ერთი ნაგაზიც იახლეს.

გეგმა ასეთი გვქონდა: როგორც წესი, აფრასიძე თავად ათვალიერებდა ხოლმე სატვირთოს ძარას და ალბათ, ამჯერადაც ასე მოიქცეოდა. სწორედ ამ დროს მე მას ზურგიდან უნდა ვცემოდი და ჩვენი ბიჭებისთვის დამეძახა. ისინიც მაშინვე გადმოხტებოდნენ და ევგენის გაკოჭავდნენ. მივუახლოვდით აფრასიძის სახლს, მანქანა მის ეზოში გავაჩერე და გადმოვედი.

ვხედავ, ევგენი გარეთ გამოვიდა. თითქოს ეჭვის თვალით მიყურებს, უგუნებოდ არის. ჩვეულების საწინააღმდეგოდ, რატომღაც მანქანასთან ახლოსაც არ მისულა, დადგა მოშორებით და მაკვირდება.

— ევგენი, მოგიტანე საღებავი, ძალიან მეჩქარება და მოდი, იყიდე-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. უცებ, სახლიდან მისი თხუთმეტი წლის ვაჟი გამოვიდა და სატვირთოს მიმართულებით დაიძრა. ვატყობ, მანქანის დათვალიერება სურს და ჩვენი გეგმაც საცაა ჩაიშლება...

აღარ ვიცი, რა ვიღონო... ლაპარაკლაპარაკით მივუახლოვდი აფრასიძეს, მის გვერდით შევჩერდი და მოულოდნელად, ასეთი რამ ხდება: სატვირთო მანქანიდან ძაღლის წკმუტუნის ხმა გაისმა! ევგენი ყველაფერს მიხვდა, ვეფხვივით შეხტა და მიყვირა, ბიჭო, ძაღლები მომიყვანეო?! სიტყვა აღარ დავასრულებინე, ვეძგერე, ხელები შემოვხვიე, ჰაერში ავიტაცე და ყვირილი მოვრთე, არიქა, მიშველეთ-მეთქი! პირველი აფრასიძის მეუღლე მეტაკა და ფრჩხილებით სახე დამიკაწრა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ევგენი შევიპყრეთ და იქაურობას მანამ გავეცალეთ, სანამ ადგილობრივები აზრზე მოვიდოდნენ...

ალბათ, კითხვა გაგიჩნდებათ, მქონდა თუ არა მაშინ სიბრალულის გრძნობა იმ ადამიანისადმი, რომელთანაც უკვე მშვენიერი ნაცნობობა მაკავშირებდა. რა თქმა უნდა, მქონდა, მაგრამ პროფესიონალიზმის გრძნობა გაცილებით დიდი იყო და რაც მთავარია, მინდოდა აფრასიძისთვის სიცოცხლე შემენარჩუნებინა. რომ არა მისი ასეთი აყვანა, იგი მომავალში ვინმეს აუცილებლად შემოაკვდებოდა...

დაკავებულს თავიდან ეგონა, რომ მისი მოკვლა გვსურდა, მაგრამ მგზავრობისას დაწყნარდა და თბილისს რომ მივუახლოვდით, უკვე ხუმრობდა კიდეც.

... ამჟამად ევგენი კვლავ ძებნილია, თუმცა მე მაინც უდიდეს პატივს ვცემ მას. გასულ წელს ვესტუმრე კიდეც — ჩემი ინიციატივით, რა თქმა უნდა, მაგრამ კახა თარგამაძესთან შეთანხმებით. ევგენის და მის მეუღლეს (20 წლის წინ რომ დამკაწრა) ჩემი დანახვა ძლიერ გაუხარდათ და მშვენივრად გამიმასპინძლდნენ კიდეც. ორი დღე დავყავი იქ და ბევრი ვისაუბრეთ. ევგენმა ასე მითხრა, ათასგვარ ბინძურ ჭორს მივრცელებენო და დარწმუნებული ვარ, ეს მართალია.

სვანეთის ტრადიციების შესახებ ალბათ გეცოდინებათ, სისხლის აღება იციან და ა.შ. ამის გამო, აფრასიძე, თავის სამ ვაჟთან ერთად, იძულებულია საკუთარი, მრავალწევრიანი ოჯახი იარაღით დაიცვას. მაგრამ მჯერა, რომ ჩვენი საზოგადოების, სამართალდამცავების წყალობით ყოველივე მშვიდობიანად დასრულდება...

***მიხეილ ჩერქეზია***
***ეკა ესებუა***



1980 წელი, (მარცხნიდან) სანდრო კავსაძე, ევგენი აფრასიძე და ვახტანგ ჯაფარიძე შსს-ში

# ცხოვრებისეული კურიოზები

## აგერ ვარ... ტიალში!



ჩემი სოფელი მაკვანეთი (ოზურგეთის რაიონი) ცნობილია სიმღერითა და ლოტბარებით, მაგრამ იქ ბევრი ოხუნჯიც ცხოვრობს.

როცა ჩაის „კულტი“ დაეცა და თხილი „ვალუტად“ იქცა, გურულებიც „დაერივნენ“ ჩაის ბუჩქებს და ათხარეს.

ბუნებრივია, „მწვანე ოქროდ“ წოდებული კულტურა უნდა დაეწვათ. წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ უყურადღებობამ ხანძარი გამოიწვია, — ჩაის პლანტაციიდან ტყეში გადავიდა (როგორც ჩვენში ამბობენ — გაექცათ ცეცხლი). ატყდა განგაში, შეშფოთდნენ მეზობელ სოფლებშიც, არადა ისეთი ცხელი დღეები იყო, ავსტრალიაში გეგონებოდათ თავი.

ხანძარი ძლიერდებოდა, შეშინებულმა მაკვანეთელებმა გამოიძახეს „სასწრაფო სახანძრო რაზმი“.

„სახანძრომ“ წუილ-წუილით (გაჭირვებისაგან გაწითლებულმა), როგორც იქნა, ამოაღწია აღმართს და როცა ვაკეზე სული მოითქვა, ორად გაყოფილი (მარჯვნივ და მარცხნივ) გზები დაინახა.

დიდი ჭოჭმანის შემდეგ ვაკეზე ვიღაც შეამჩნიეს და დახმარებისათვის მას მიმართეს.

ცუცქუნიამ (რეზო ჭანუყვაძეს, კეთილ და ოხუნჯ კაცს ასე უწოდებენ სოფელში,) მარჯვნივ გაიშვირა ხელი:

— აგერ, ძამა, მარჯვნივ რავარც ჩუუხოვ!..

მეხანძრეთა რაზმის უფროსს (რომელიც კითხვებს იძლეოდა) მარჯვნივ მდებარე გზა არ მოეწონა:

— მაგი რაცხა ოღროჩოღრო გზაი ჩანა და ვერ გავა აი მაშინა!..

ცუცქუნიას უფროსი მეხანძრე თავიდანვე არ მოუვიდა თვალში, ახლა კიდევ უფრო გაღიზიანდა, მაგრამ ზრდილობის გულისთვის შეიკავა თავი და ახლა მეორე მხარეს გაიშვირა ხელი:

— მაშვინ... აგერ მარცხნივ წაი... ძამა!

მეხანძრემ არც კი მიხედა მარცხენა გზას, ისე ჩაიროხროხა:

— მაქანა ტალახია, რომ ჩავარდეს, ვინ ამეიყვანს ამ მაშინას?

ცუცქუნიამ ველარ შეიკავა სიბრაზე (ხანძარიც ძლიერდებოდა), ხელები გაშალა და იფეთქა:

— მაშინ, შე ჩემა, აგერ ვარ ტიალში და მომასხი მაი წყალი მე!

***ლაშა ცელაძე, ოზურგეთი, სოფ. მაკვანეთი***

## პარლამენტში



ეს ჩვენი ცოდვით სავსე პარლამენტის სააქტო დარბაზი ც... პოლიტიკური დებატების პარალელურად, მრავალი კურიოზული თუ კომიკური სიტუაციის მომსწრეც არაერთხელ გამხდარა: ჩხუბი, აყალმაყალი, დედის გინება, ბორჯომის უძვირფასესი წყლით ერთმანეთში წუწაობა. მოკლედ, სატირალი რომ არ იყოს, დაჯდებოდა კაცი ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ ლოჟაში და იხარხარებდა გემრიელად.

თუმცა იუმორის გრძნობა ჩვენს ძვირფას პარლამენტარებსაც უხვად აქვთ და... ქვეყნის პრეზიდენტსაც.

...სიტყვით გამოდის ყველასათვის ცნობილი დეპუტატი ქალი და ენამზეობს. არავინ უსმენს, ყველა თავისი საქმითაა დაკავებული. მოგვიანებით კი ხმაურიც მატულობს. გადის კიდევ მცირე ხანი და ორატორი უკვე შეუძლებლად მიიჩნევს საუბრის გაგრძელებას.

— მეგობრებო, მომისმინეთ!.. — ითხოვს იგი ყურადღებას, — პირობას გაძლევთ, რომ ორ წუთში გავათავებ!..

პარლამენტარებს ყურში მოხვდათ უკანასკნელი სიტყვა და მსუბუქად ჩაიხითხითეს.

— რას ჰგავს ეს?! — განაგრძობს წუწუნს დეპუტატი ქალი, — მე თქვენთვის ვირჯები!..

დარბაზი ხმას უწევს, ამის პარალელურად სიტყვით გამომსვლელიც იმაღლებს ხმას:

— შეწყვიტეთ საუბარი. გითხარით, ორ წუთში გავათავებ-მეთქი!..

დეპუტატები უკვე ერთმანეთს ასკდებიან. სპიკერი ზარის ღილაკს აჭერს თითს და ისიც წესრიგისაკენ მოუწოდებს ყველას:

— კოლეგებო, მივცეთ საშუალება ქალბატონს, რომ...

დარბაზში აღარ დაიდგომება. ორატორი ქალი მთლად დაიბნა და უაზროდ იცქირება აქეთ-იქით. ვერ გაუგია, რა ბზიკმა უკბინა ხალხის რჩეულებს. მერე ოფლს იწმენდს შუბლიდან და მაინც განაგრძობს მოხსენების კითხვას:

— წარმოდგენილი დეკლარაცია ჩვენი ერთობლივი შრომის ნაყოფია და მისი თითოეული პუნქტი შეიცავს... ორმხრივ ინტერესებს.

ამის თქმა იყო და, პარლამენტართა დინჯი უმცირესობაც აჰყვა მსუბუქი ყოფაქცევის უმრავლესობას.

ორატორმა სათვალე მოიხსნა, მთელი ტანით მიბრუნდა პრეზიდიუმისაკენ და შენიშნა რა, რომ იქაც მხიარულება სუფევდა, ყველასგან ცალკე და ჯერ კიდევ მშვიდად მჯდომ პრეზიდენტს შესჩივლა:

— ბატონო პრეზიდენტო, ვერაფერი გამიგია. იქნებ თქვენ მაინც დამეხმაროთ?

დეპუტატები ახლა უკვე ტირიან, ყვირიან და, საერთოდ... წყობიდან არიან გამოსულები.

სიცილ-ხარხარი ხუთ წუთს მაინც გაგრძელდა. ამასობაში კი მოთმინების ფიალა ბატონ პრეზიდენტსაც აევსო. სახეზე იმასაც ღიმილი აუთამაშდა, ხელები გაასავსავა და ჩვეული უშუალობით მიმართა ტრიბუნაზე მდგომ მანდილოსანს:

— მაპატიე, მაგრამ მე... რა შემიძლია?..

***თემურ ჟღენტი***

## — რა მასწავლე, ბიჭო?



რუსეთში ვართ მე და ჩემი ძმაკაცი. მან რუსულის ინჩიბინჩი არ იცის. ერთხელ პარკში ვსეირნობთ, თან გოგონებზე გვიჭირავს თვალი. არ გვიმართლებს, ვერავინ გამოვიჭირეთ, — თუ ორნი არიან, ერთი მახინჯია, ან ორივე ჯოჯო, ჩვენ კი სუპერგოგონები გვინდა.

ამასობაში მოსაღამოვდა, ვრჩებით პირში ჩალაგამოვლებულები.

ვხედავთ, ულამაზესი გოგონა ძაღლს ასეირნებს. ძმაკაცი მეუბნება, — უნდა „დავეპადხოდო“ და მასწავლე, როგორ ვუთხრა შენი ძაღლი მომყიდეო;

მეც ავუხსენი: Девушка, ваша собака не продается, — მას ბოლო სიტყვა რატომღაც გრძელი მოეჩვენა, მისგან „საშუალო არითმეტიკული“ გამოიყვანა და ასე მიმართა: „Девушка, ваша собака не дает?“ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ასეთი „დარბაისლური“ კითხვის შემდეგ. მე ისტერიკული სიცილი ამიტყდა, დამფრთხალი გოგონა უკან მოუხედავად გაიქცა. ძმაკაცი კი მე მომვარდა: „რა მასწავლე, ბიჭო, ეს?“

***გელა, ბათუმი***

## — ხომ გაიგუდე სიცილით!..



ხვთისო მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს. შენიშნა, რომ ერთი მოსწავლე რაღაცაზე იცინოდა.

— რა არის, რა გაცინებს, ასე რამ ჩაგაბჟირა? — შენიშვნა მისცა ხვთისომ.

— მასწავლებელო, გრიშამ პანტა მესროლა, — უპასუხა კოტემ.

— შე უბედურო, შემოდგომაზე პანტის ხის ქვეშ რომ დაჯდე, ხომ გაიგუდე სიცილით, — თქვა ხვთისომ და გაკვეთილი გააგრძელა.

***ბათირა არაბული, ბარისახო***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხო ქალაქიდან თავისი „ჟიგულით“ მოდიოდა. გვერდზე ნაგვის მანქანა მოყვებოდა და ცდილობდა გაესწრო.

შუქნიშანთან რომ გაჩერდებოდნენ, თავის „ნაგავს“ გვერდზე ამოუყენებდა.

მიხომ ველარ მოითმინა, ფანჯარაში თავი გადაყო და დაუძახა:

— იჩქარე, იჩქარე, დედიშენისამ, პროდუქცია არ გაგიფუჭდეს!

***მაყვალა ღვედაშვილი***



იმერელი, კახელი და სვანი „პოლე ჩუდესს“ თამაშობენ. ამოსაცნობი სიტყვაა — ძველებური ქართული სიმებიანი საკრავი. პირველად იმერელის ჯერია, დაატრიალა და დასვა 250. დ — ამბობს იგი. ასეთი ასო არ აღმოჩნდა სიტყვაში და ჯერი კახელზე მიდგა. კახელმა დაატრიალა და დასვა — 500. ცოტა ხანს იფიქრა და იმანაც თქვა, — დ. გაუკვირდათ, — ეს ვინ ყოფილაო, მაგრამ რას იზამდნენ. დადგა სვანის რიგი. სვანმა თქვა, — პირდაპირ სიტყვას ვიტყვიო და ამაყად განაცხადა, — დუდუკი...

***თემო კოპაძე, ხაშური***



საპარიკმახეროში შეზარხოშებული ხევსური შევიდა. გასაპარსად დაჯდა თუ არა, ხანჯალი ამოიღო და სარკის წინ დადო, თან პარიკმახერი გააფრთხილა:

— სახეზე სისხლ წვეთ რომ დავინახო, ამ ხანჯალს გამოგისობ ხორხში.

პარიკმახერმა საკმაოდ ფრთხილად გაპარსა. რომ დაამთავრა, უთხრა:

— რა გადარჩი, ბატონო?!

— მე თუ შენ? — გაიკვირვა ხევსურმა.

— თქვენ, ბატონო, რადგან როგორც კი სისხლს დავინახავდი, იმ წუთშივე სამართებლით გამოგჭრიდი ყელს.

***გ. გაფრინდაშვილი, ზესტაფონი***

რეკავს ტელეფონი...

— გოგი ხარ?

— თქვენ იქ არ ჩავარდით — პასუხობს სომეხი.

***გია სამხარაძე***



მიხომ თებრო ექიმთან მიიყვანა. ექიმი მიტოა.

— გაიხადე! — ეუბნება ექიმი.

— შენ თუ წამალ უწერ, გამაუწერე, მაგაი ეგენი არ აკლია, — შეუბღვირა მიხომ.

***მაყვალა ღვედაშვილი, სიღნაღი***



მიხომ ვირი დაკარგა და პოლიციაში განაცხადა.

პოლიციაში უთხრეს, დილამდე დაიცადეო.

— დილამდე ხალხში გაერევა და ჩემ ფეხებს იპოვით, — გაგულისდა მიხო.

***პაატა, ხაშური***



— როგორ ფიქრობთ, ვინ არის დებილი?

— ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ისე მსჯელობს, რომ სხვა ვერ უგებს, გაიგე?

— ვერა.

***თინათინ თარხნიშვილი***



სვანეთზე თვითმფრინავმა გადაიფრინა და იქაურებმა საკენკი დაუყარეს, — მოვაშინაუროთო.

***დათო დოლიძე, თელავი***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

## რას წერენ

# ჩუსეთის იზოლირება არ შეიძლება

**„შტერნისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძე კავკასიაში ევროპულ მშვიდობიან წესრიგსა და საქართველოს ნატოში შესვლაზე საუბრობს.**

ქართველებს გერმანია საუკეთესო მეგობრად მიაჩნიათ. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეშფოთებულია რუსეთის ომით კავკასიაში და ეძებს დასავლეთთან კავშირს.

**— გეშინიათ, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი საქართველოშიც გავრცელდება?**

თანამედროვე მსოფლიოში „ლოკალური კონფლიქტები“ არ არსებობს. ყველა შეიარაღებული კონფლიქტი მთელი რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას ემუქრება. ხშირად ასეთი კონფლიქტები საზღვრებს შორდება — ბალკანეთის მაგალითიც საკმარისია, ჩეჩნეთის კონფლიქტის დასაწყისში რამდენჯერმე საქართველოს ტერიტორიაც დაიბომბა. იყო მოთხოვნებიც, რომლის შესრულებაც კონფლიქტში ჩაგვითრევდა.

**— რუსეთი მოითხოვდა თავისი ნაწილების გატარებას სამხრეთ ჩეჩნეთისაკენ.**

ეს შეუძლებელი იყო. თებერვლიდან უშიშროების და ევროპასთან ურთიერთთანამშრომლობის დამკვირვებლები აკონტროლებენ ჩვენი საზღვრის მონაკვეთს. დამკვირვებლებს შორის ერთი რუსია. ამან ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა, აგვეცილებინა ყველა პროვოკაცია. პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დაგვარწმუნა, რომ კონფლიქტის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე არ დაუშვებს. ჩვენ იმედი გვაქვს, სისხლის ღვრა მალე შეწყდება და უდანაშაულო ადამიანები არ დაიხოცებიან. საქართველო მზად არის, მომრიგებლის როლი ითამაშოს სამშვიდობო მოლაპარაკებებში, თუკი ორივე მხარე თანახმა იქნება.

**— საქართველო დასავლეთისკენ ისწრაფვის. გინდათ, რომ რუსეთთანაც კარგი დამოკიდებულება გქონდეთ. ასეა?**

— მე აქ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. ჩვენ გვინდა სტაბილურ, დემოკრატიულ, ეკონომიკურად აყვავებულ, რუსეთთან ურთიერთთანამშრომლობა. ჩვენ გვინდა, რომ რუსეთი უფრო მეტად იყოს ჩართული გლობალურ პროცესებში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ქვეყნის იზოლაციაში მოქცევა.

**— მაგრამ რუსეთი ისწრაფვის, თავის გავლენა ისევ აღადგინოს კავკასიაში.**

ჩვენ გვინდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან გავლენის და ინტერესების სფეროები. საქართველო არასოდეს გახდება რომელიმე სახელმწიფოს გავლენის სფერო. რუსეთს, ისევე როგორც აშშ-ს და ევროკავშირს — ჩვენს რეგიონში გარკვეული ინტერესები აქვს და შეიძლება ცივილიზებული ფორმით ითხოვოს ინვესტირების, ტექნოლოგიური ტრანსფერების, კონფლიქტის მოგვარების სახით. ხოლო „გავლენის სფერო“, ისევე როგორც „ცივი ომი“, წარსულს უნდა ჩაბარდეს.

**— თქვენი არჩევის შემთხვევაში გინდათ ითხოვოთ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება. არსებობს წინაპირობა?**

— პრიორიტეტს ევროკავშირში ინტეგრირებას ვანიჭებთ. რაღა თქმა უნდა, ამ მიზნის მიღწევას დიდი დრო და მუშაობა დასჭირდება. და ეუთოსა და ნატოს შორის ხომ „ჩინეთის კედელი“ არ არის აღმართული. მე ვთქვი, რომ საქართველო 2005 წელს ნატოს კარზე დააკაკუნებს და საქართველო შეაღებს თუ არა ამ კარს, მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

**— ქართველებს იმედი აქვთ, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობის ხაზი და კასპიის ზღვის ნავთობის ნაწილის მიღება მათ ეკონომიკურ პრობლემებს გადაწყვეტს.**

— ახალი ნავთობ-გაზ ხაზები არა მარტო მილიარდობით ინვესტიციებს მოგვიტანს, არამედ ბევრ რეგიონალურ კოოპერაციებსაც. ეს საქართველოს მისცემს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, რაც გამოიწვევს ეკონომიკის (მეურნეობის) ყველა სფეროს სწრაფ განვითარებას, რის შედეგადაც გადაწყდება ყველა სოციალური პრობლემა.

**— გერმანია თქვენს ამაგს ვერ დაივიწყებს. სანაცვლოდ ბერლინისგან რას ელით?**

დიდად მადლობელი ვართ გერმანიის იმ დიდი დახმარებისთვის, რაც გასულ წლებში გაგვიწია. იმედი მაქვს, რომ იგი მომავალშიც დაგვეხმარება თავისუფალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი ქვეყნის აშენებაში. ხოლო რაც შეეხება ჩემს როლს გერმანიის გაერთიანებაში, ჩემი მორალური მოვალეობა იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

**შტერნი №112**

# ქართული გენის გამობრწყინება

### ლირიკული შესავალი

საბჭოთა პერიოდში პიონერთა საერთაშორისო ბანაკი „არტეკი“ ფრიად პოპულარული და პრესტიჟული გახლდათ. 1976 წელს საქართველოდან პიონერთა ჯგუფი გაიგზავნა 30 ბავშვის შემადგენლობით (მათ შორის მეც ვიყავი). მახსოვს, ყოველ კვირა ტარდებოდა კონცერტები და მკაცრი ჟიურის ობიექტური შეფასებების შემდეგ გამომსვლელთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა. ფინალში დაგეგმილი იყო გალა-კონცერტი და გამარჯვებულ შემსრულებელთა საზეიმო დაჯილდოება. ჩვენი რაზმის მუსიკალური ჯგუფის შემადგენლობაში 4 ქართველი ვიყავით. მუსიკის მასწავლებელი და ჯგუფის



ხელმძღვანელი სერგეი ნიკოლაევიჩი სულ არ ღელავდა, დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. ასეც მოხდა. საღამოს, სერგეი ნიკოლაევიჩმა მადლობა გვითხრა ჩვენ, რაზმს კი გამოუცხადა: „Если б ни они, мы не победили-бы“. ამან გაანაწყენა რუსი პიონერები და მეორე დღეს პროტესტის ნიშნად პიონერული კრება მოიწვიეს, აქაოდა მუსიკის მასწავლებელს ქართველები უყვარს, ჩვენ კი აბუჩად გვიგდებსო. სერგეი ნიკოლაევიჩი ადგა და კვლავ დაბეჯითებით გაიმეორა: „Вы способные ребята, но грузины десать раз способнее вас, каждый второй грузин - врожденный певец и мы с вами ничего не можем сказать против них!“.

მას მერე დიდი დრო გავიდა. ყოველთვის, როცა ქართულ გენსა და ნიჭზე ჩამოვარდება ლაპარაკი, სწორედ ეს სიამაყე მომაგონდება, უცხო კაცის სიტყვების მერე რომ დამეუფლა.

### რობერტინო და ირაკლი

ალბათ, ყველას გახსოვთ პატარა იტალიელი რობერტინო და მისი არაჩვეულებრივი ხმა. ის პატარა ბიჭი დაკაცდა და საქართველოს ესტუმრა. მას აქ სიურპრიზი ელოდებოდა. ერთ-ერთი კონცერტის დროს წარუდგინეს 7 წლის ირაკლი კოპაძე — სახელოვანი მიშელ დარიალის შთამომავალი. ირაკლის ხმამ აღაფრთოვანა იტალიელი სტუმარი და მას აღმოჩენა უწოდა.

### ფესვები

მიშელ დარიალი, მიხეილ ნანობაშვილის, შესანიშნავი ტენორის ფსევდონიმია. იგი პატარა ირაკლის დიდ წინაპრად ითვლება დედის მხრიდან. ირაკლის დედამ, ქალბატონმა ქეთინო ოქრუაშვილმა ჩემთან საუბარში აღნიშნა: ნანობაშვილების გვარი ოდითგან მომღერალი ყოფილა, მაგრამ ჩვენ — ირაკლის მშობლები, არ გამოვირჩევით არც დიდი მუსიკალური მონაცემებით, არც ხატვის ნიჭით.

დიახ, საოცარია, გენმა ოთხი თაობის შემდეგ იჩინა თავი. მე კი შეგახსენებთ, რომ მიშელ დარიალი წარმოშობით ქიზიყიდან, სოფელ ვაქირიდან გახლდათ. მან პეტერბურგის კონსერვატორია დაამთავრა, მოგვიანებით კი, კერძოდ მეცადინეობდა განთქმული იტალიელი ბარიტონის ევგენი ჯირალდონის დედასთან, რომელიც ისე მოიხიბლა ქართველი ტენორის ხმით, რომ იტალიაში წაიყვანა. მას მერე დაიწყო მიშელ დარიალის წარმატებული ტურნე. სიცოცხლის ბოლო წლებში მიშელი დამკვიდრდა პარიზის „გრანდ-ოპერის“ თეატრში. ფრანგებმა მას ძეგლი აუგეს და პარიზში გამოუშვეს სამარკო ბარათი, რომელზეც ჩვენ სახელოვანი მომღერალია გამოსახული.

### და კვლავ პატარა ირაკლი

გარდა იმისა, რომ ირაკლი არაჩვეულებრივად კარგად მღერის, ასევე არაჩვეულებრივად კარგად ხატავს. სულ ახლახან, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში ირაკლი კოპაძის პერსონალური გამოფენა მოეწყო.

საინტერესო აზრი გამოთქვეს კომპეტენტურმა პიროვნებებმა.

**იოსებ ქოიავა** (აკადემიის რექტორი): ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩენაა ის, რომ პატარა ირაკლი ისევე კარგად მღერის, როგორც ხატავს, მაგრამ ეგოისტური გრძნობა მაინც მიპყრობს და მინდა იგი ჩვენკენ გადმოვიბიროთ. მას საოცარი ხედვა აქვს, ირაკლის დიდი მომავალი აქვს.

**გოგი თოთიბაძე** (მხატვარი): ვთვლი, რომ ეს არის უჩვეულო გამოფენა, რომელიც ყველასთვის შესამჩნევი უნდა იყოს. უფროსმა თაობამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ირაკლისდარ ნიჭიერ ბავშვებს „მივცეთ გზა ფართო“.

**გივი თოიძე** (მხატვარი): ირაკლი კოპაძე იშვიათი ხედვითა და ფერთა შეხამებით ქართველ ლეჟეს (ცნობილი ფრანგი მხატვარი) მაგონებს.

**ნანა კიკნაძე** (ხელოვნებათმცოდნე): 3 წლის ყოფილა ირაკლი, ხატვა რომ დაიწყო. ვფიქრობ, საოცარ ნიჭთან გვაქვს საქმე. ჩვენ წინაშე დაიბადა ნამდვილი შემოქმედი.

**რუსუდან ფეტვიაშვილი** (მხატვარი): გაოცებული ვარ, ასეთმა პატარამ როგორ მოახერხა აბსტრაქციების შეკვრა. ისეთი რთული ხაზებია, ისე ღრმაა მისი მხატვრისეული წვდომა, რომ სიტყვებიც არ მყოფნის შევაფასო ეს პატარა გენიოსი.

დიახ, ასეთი ეპითეტები მრავლად ითქვა იმ დღეს, ირაკლის პერსონალურ გამოფენაზე. მისი ასაკისათვის არაჩვეულებრივ აზროვნებას ხაზს უსვამს ნახატების სახელწოდებებიც: „ქარი“, „მწვერვალი“, „ობობა და მისი მსხვერპლი“, „მღვდელი ეკლესიასთან“ და ასე შემდეგ.

ირაკლი კოპაძე ჯერ კიდევ პატარაა, თუმცა ბავშვობის წლებში ის კიდევ ბევრჯერ მოახერხებს ჩვენს განცვიფრებას, გახარებასა და აღფრთოვანებას.

**მარინა ბაბუნაშვილი**

# ბისოსებიანი სამყარო

თბილისის ზოოლოგიური პარკი 1927 წელს გაიხსნა და იყო დრო, სსრკ-ის საუკეთესო ზოოლოგიური პარკების ხუთეულში შედიოდა. ზოოპარკს 80-იანი წლების დასაწყისამდე ოქროს ხანა ედგა, მაგრამ ბოლოს მისი ბედი სასწორზეც კი დაიდო. კატასტროფულად იკლო ცხოველთა სახეობებმა. 1993 წელს დაისვა მათი დახოცვა-დაძინების ან ბაქოს ზოოპარკში გადაყვანის საკითხი. არსებობისთვის ბრძოლა გადარჩენისთვის ბრძოლით შეიცვალა. მაშინ, როცა ადამიანები ვერ პოულობენ ერთმანეთთან მისასვლელ გზებს, ცხოველებზე ნაკლებად წუხან, როცა, შიმშილით სიკვდილი ემუქრებათ, ცხოველის შიმშილს ვინღა დაეძებს. იმედი ყველაზე ბოლოს კვდებაო, ნათქვამია. ასეც მოხდა. გამოჩნდა ძალა, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ზოოპარკის ბედი და დედაქალაქში კვლავ „შემოგვრჩა“ ზოოლოგიური „პარტია“. გვესაუბრება ზოოპარკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბატონი **გია ზარქუა**.

**— ბატონო გია, დღეს რამდენი სახეობის ცხოველთა ეგზემპლარი გყავთ?**

— დაახლოებით 80 სახეობის 600-მდე ეგზემპლარია. მათი რიცხვი კიდევ მოიმატებს.

**— რომელი ცხოველის დაკარგვას მისტირის ზოოპარკი და ყველაზე ასაკოვანი ცხოველი თუ გყავთ?**

— ყველანაირი სახეობის ცხოველის დაკარგვა დიდ სინანულს იწვევს. ზოგჯერ მათ ისეთი ავადმყოფობა შეეყრებათ ხოლმე, რომ გადარჩენა შეუძლებელია. მაგალითად, ზებრები ნაწლავების გადახლართვით დაგვეხოცა. ასეთი შემთხვევა ხშირია ცხენებშიც. ზოოპარკში გვყავს 30 წლის ხარი — იაკი, იგი ყველაზე ხნიერია. გვინდა შემოვიყვანოთ მარტორქა, კენგურუ, ზებრები. აქ ბეჰემოტი დაიდებს ბინას, — მაჩვენებს ახალ ვოლიერს, — ცხოველის ჩამოყვანამდე პატრონები ექსპერტს გზავნიან. ეს ვოლიერი მსოფლიო სტანდარტით არის მოწყობილი გათბობისა და წყლის სისტემით. სპილოს სადგომიც ავაშენეთ. განზრახული გვაქვს ორი სპილოს შეძენაც.

გიამ ერთ ლომს სახელით მიმართა და ისიც მისკენ გამოემართა, ცხოველებს ხომ საოცარი ინტუიცია და რეაგირების უნარი აქვთ.

**— თუ ყოფილა შემთხვევა ცხოველი გამოქცეულიყო ზოოპარკის ტერიტორიაზე?**

— ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ერთხელ მკითხეს, ზოოპარკში კურიოზს თუ ჰქონდა ადგილიო. ვუპასუხე, ჩვენთან თუ მოხდა კურიოზი, ის



ჩვენი „პაწია“ ჩამობრძანებულა, როგორც გამომეტყველებაზე ემჩნევა, ჯერ აპარტამენტებას ეცნობა... ისე, მომვლელებმა თქვეს, ძალიან საყვარელი და თვინიერი ყოფილა, თურმე კბილებიც ექავება და თუ მოგიახლოვდებათ, ნუ გაექცევით — ფეხსაცმლის ლანჩებზე შეგაფხანთ ლაშებს...

სავალალოდ დამთავრდება-მეთქი. დღეს ყველაზე დიდი და დაუძლეველი პრობლემა ჩვენთვის არის უგულო დამთვალიერებელი, რომელიც აღიზიანებს ცხოველებს და ამით ერთობა. მინდა ყველა გავაფრთხილო, რომ ამ ცხოველებმა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი რამ გაიღეს, რაც გააჩნდათ — ეს არის თავისუფლება. აგერ კამერუნის ჯუჯა თხას და მის ნაშიერს ხედავთ, რა საყვარელი არსებანი არიან? ამათ როგორ უნდა შეხედოს ადამიანმა ავი თვალით? ზოგიერთი დამთვალიერებელი ისე იქცევა, იფიქრებ, ჩემი ნება რომ იყოს, გისოსებიან ვოლიერში მოვათავსებო.

**ავტორისგან:** ზოოპარკის თანამშრომლის სატკივარმა ნაღველი მომგვარა და წარმოვიდგინე: ერთ მშვენიერ დღეს შევდივარ ზოოპარკში და ყველა ცხოველი თავისუფლად დასეირნობს, არავის ერჩის, პირიქით, ბავშვები მათთან ერთად თამაშობენ, ვერსად ნახავ გისოსს. აი, იდეალური სამყარო.

**ნინო შევარდნაძე**

## რას გვეტყვი, მამაო?

*რუბრიკის მკითხველების შეკითხვებს პასუხობს არქიმანდრიტი რაფაელი*

**რა ასაკიდან უნდა ვამარხულოთ ბავშვები?**

უნივერსალური კანონი არ არის დაწესებული ბავშვებისათვის ასაკის მიხედვით. ბავშვებმა უნდა დაიწყონ მარხვა იმ დროიდან, რაჟამს მათში გაიღვიძებს რელიგიური თვითშეგნება.

**რატომ ითვლება ცოდვად სპირიტიზმის სეანსის დროს სულის გამოძახება, თუკი ჩვენ სასოებით ველით აწ განსვენებულის ნანატრი ხმის გაგონებას და საკუთარი ტკივილების შემსუბუქებასა და დაამებას?**

სპირიტიზმის სეანსში მონაწილეობა იმიტომ გეთვლებათ ცოდვად, რომ გარდაცვლილთა სულების მაგივრად, თქვენთან კავშირზე გამოდიან დემონები, რომელთა გავლენის ქვეშ ექცევით. თვით სპირიტისტების მსოფლმხედველობა კავშირში არ არის ქრისტიანობასთან. ეს გახლავთ პანთეისტური მსოფლმხედველობა, სადაც ქრისტე ერთ-ერთ სულად მოიაზრება, მაგრამ მას ღმერთად არ ცნობენ. თუ მას ძედ ღვთისად ხმობენ, მხოლოდ პირობითად. კიდევ მეტიც, შეიძლება ზოგჯერ სეანსზე დამსწრე ადამიანს ეკლესიური ცხოვრებაც კი შესთავაზონ, მაგრამ ეს გარეგნული სატყუარაა მათი რეალური ჭეშმარიტი ზრახვების შესანიღბავად.

**რა პასუხისმგებლობა ეკისრება ნათლიას, თუ ნათლული იღლოველი გახდა?**

ნათლია პასუხს აგებს იმ ძალისხმევისთვის, რომლითაც ის მეურვეობდა ნათლულის სულიერ განვითარებას. ხოლო თუ რა ძალების გავლენით და რა სახის პიროვნებად ჩამოყალიბდება ნათლული, ეს უკვე მრავალ გარეშე ფაქტორზეც არის დამოკიდებული.

**თუ ავად ვართ, შეიძლება თუ არა ორგზის ვიცხოთ ზეთი 7-გზის ზეთისცხების დროს სხვადასხვა ეკლესიაში?**

ჯანმრთელი ადამიანი ერთგზის უნდა დაესწროს 7-გზის ზეთისცხებას, ხოლო ავადმყოფს შეუძლია ორგზის და მეტჯერაც.

**აქვს თუ არა ქალს ეკლესიაში ქადაგების უფლება?**

ქალს არა აქვს ეკლესიაში ქადაგების ნება. პავლე მოციქულის განმარტებით, ეკლესიაში ქალები არ ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, ქალს შეუძლია ქრისტიანობა იქადაგოს ეკლესიის მიღმა. ქალს ეკრძალება საკურთხეველში შესვლაც. თუმცა, არსებობს გამონაკლისი, როდესაც ეკლესია ქალთა მონასტერშია. იმისთვის, რათა მონასტერში არ იყოს გარეშე მამაკაცი, მღვდლის დამხმარედ საკურთხეველში შეუძლია შესვლა ხნიერ ქალწულ მონაზონს.

**შეიძლება თუ არა ხატების ჩამორიგება წიგნების კარადაში?**

წიგნებთან ხატების მეზობლობა შეიძლება. ოღონდ ეს წიგნები რელიგიური უნდა იყოს და არა ბულვარული ლიტერატურა.

**ჩემი ბავშვი ეზოში სწავლობს სხვადასხვა თამაშობას: ბანქოს და მისთანებს. შეძლებისდაგვარად ვარიდებ, მაგრამ რა ვუყოთ ჭადრაკს — იქაც ხომ არის თავისებური აზარტი?**

აზარტის ელემენტი არის ყოველ თამაშში. მაგრამ განსხვავებით სხვა თამაშებისგან ჭადრაკს ის დადებითი თვისება გააჩნია, რომ ერთდროულად იგი არის სპორტის, ხელოვნების და მეცნიერების ნაზავი. ჭადრაკი დისციპლინირებულობას და ორგანიზებულობას აჩვევს ადამიანს. სტატისტიკურად დადგენილი ფაქტია — მოჭადრაკეთა შორის ნაკლებია დამნაშავეობის შემთხვევები. ასევე დადგენილია, რომ მოჭადრაკე ბავშვები უფრო დისციპლინირებულნი არიან სხვა თანატოლებთან შედარებით.

ოღონდაც მათ პატარაობიდანვე უნდა შთავაგონოთ, რომ მათთვის მთავარი იყოს სილამაზის იდეა. მოჭადრაკემ შეიძლება პარტია წააგოს, მაგრამ ეფექტური კომბინაციით, შემოქმედებითი ფანტაზიით განიცადოს კმაყოფილება.

**რატომ დაუშვა ღმერთმა ანგელოზის გაამპარტავნება და სახელდობრ რა საქციელით გამოხატა ეს ცოდვა ანგელოზმა?**

ღმერთმა მისცა ანგელოზებს თავისუფალი ნება. თავისუფალი ნება გულისხმობს ცოდვის შესაძლებლობასაც, როგორც თავისუფალი ნების ბოროტად გამოყენებას. ანგელოზებსა და ადამიანებს თავისუფალი ნება რომ არ ჰქონოდათ, ისინი იქნებოდნენ არა პიროვნებანი, არამედ საგნები. ხოლო ცოდვილი ანგელოზი იმით დაეცა, რომ საკუთარი სილამაზით მოიხიბლა და სიამაყის გამო საკუთარი თავი ღმერთს დაუპირისპირა. ამრიგად, იგი თავისი სიყვარულით იყო შეერთებული ღმერთთან, ახლა კი საკუთარი თავის სიყვარულით განეშორა ღმერთს.

**შეიძლება თუ არა აღსარების თქმა და ზიარების მიღება მღვდლისაგან, რომელიც განკვეთილია დედაეკლესიისგან?**

ეკლესიის მიერ განკვეთილი მღვდელი საერო პირს უთანაბრდება. ხოლო თუ განკვეთა მოხდა მღვდლის მიერ შემოტანილი საეკლესიო განხეთქილების ნიადაგზე, მასთან საერთოდ არ შეიძლება რაიმე სულიერი ურთიერთობა ვიქონიოთ.

**ცოდვად ეთვლება თუ არა ადამიანს ნადირობა?**

თუ ადამიანი ნადირობს გასართობად და საკუთარი სიამოვნებისათვის — ცოდვაა, ხოლო თუ საკვების მოპოვებისათვის — არა!

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 28*

**თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები**

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

**7**



დაწმენდილი ნატეხი შაქარი

**9**



სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა გადაუნერგა ადამიანს გული

**10**



მთის თანდათანობით დაქანებული ადგილი

**11**



თამაში, სადაც ბლეფი მთავარი კოზირია

**12**



ზედა სამოსი

**16**



დროებითი განთავისუფლება სამუშაოდან დასასვენებლად

**18**



ფერწერა საყოფაცხოვრებო თემაზე

**19**



კაჟიანი თოფის ის ადგილი, სადაც თოფის წამალს აყრიდნენ და ნაპერწკალი ჩნდებოდა

**20**



ლოთის სწრაფვა სპირტიანი სასმლისკენ, ხოლო დანარჩენების წყლისკენ

**21**

ფიცარი, რომელზეც დამაგრებულია ქაღალდი ადგილის გეგმის დასახაზად

**23**



დისციპლინის სახეობა

**25**



ლითონის ჩხირი

**27**

დებულება, რომელიც უაზრობას, აბსურდს შეიცავს

**30**



ქვედა ყბის ნაწილი

**33**



ორწლიანი ბოსტნეული მცენარე

**34**



საწებელი

**35**



მარტივი ცილა, რომელზეც იგება ორგანიზმის უჯრედები და რომლითაც ასე მდიდარია ავოკადო

**36**





ჰერმეტულად დახურული ჭურჭელი, რომელშიც საკვებია მოთავსებული

## შვეულად:

**1**



საკრავი

**2**



აფრიკაში მცხოვრები ცხვირვიწრო მაიმუნის 100-ზე მეტი სახეობა

**3**



ძველებური ინგლისური ოქროს ფული

**4**



**5**



სისხლნაკლულმა (სურათზე სისხლის წითელი ბურთულაკები)

**6**

ვექილი

**8**





ხერხემლის ბოლო ძვალი

**13**



მცენარის სიცოცხლის პერიოდი — პირველი ყვავილების გამოსვლიდან მათ დაცვენამდე

**14**



ლოკომოტივის ერთ-ერთი სახეობა

**15**

საბავშვო თამაში (ძვ.)

**17**



სპეციალური ნაგებობა

**22**



ქლიავის გვარის ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი

**24**



მისაბმელი მანქანა

**26**



ქსოვილის ნაჭერი მკლავზე

**28**



დიდი მნიშვნელობის ამბები

**29**





დაზღვევის მოწმობა

**31**



გამოცდების პერიოდი

**32**



პედიატრი, ბავშვთა აღზრდის შესახებ ცნობილი მოძღვრების ავტორი

კროსვორდი შეადგინა
რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №14 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. თინეიჯერი; 8. რესტორანი; 10. ავხორცი; 11. სიელმე; 12. ღიმილი; 17. უღელი; 18. ჯავშანი; 19. პულტი; 20. ზამბახი; 21. ტრუიზმი; 25. საცხი; 26. ალვეოლა; 27. დომბა; 30. ნაფოტი; 33. თუნუქი; 34. კაჭკაჭი; 35. ხვანჭკარა; 36. კურავლიოვი.

**შვეულად:** 1. აირწინაღი; 2. მედალი; 3. არჩვი; 4. ჰერცი; 5. ქრთამი; 6. ინტელექტი; 9. გომბეშო; 13. ჭიამაია; 14. კაშხალი; 15. უნგრელი; 16. ეპიზოდი; 22. პალიატივი; 23. მექსიკა; 24. ობიექტივი; 28. თოჯინა; 29. ანჩხლი; 31. კასრი; 32. უჭკუო.

## იყიდება ბინები

ან იცვლება დიდუბიდან 2-ოთახიანი ბინა მიშენებით, აივნებით, გისოსებით, ავტომანქანის სადგომი ადგილით, ცივი და ცხელი წყლით დილმის მასივში, ხეივანთან ახლოს 2 ან 3-ოთახიან ბინაზე, მე-2 სართულზე. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. 1 სართ. ტ: 34-52-34

სასწრაფოდ! ქალაქის ცენტრში კეთილმოწყობილი, არასტანდარტული, 3-ოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა (ს/ფ 80 კვმ) 100 კვმ ბარით („გეა"). ფასი 55.000$. მის: საბურთალოს ქ. №37/4. ტელ: 38-45-69

4 ოთახიანი, არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ლოჯიით, ორი სარდაფით, ტელეფონით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. საწყისი ფასი 43.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

თავისუფლების მოედანზე №4-ში, მე-2 სართულზე იზოლირებული საოფისე ფართი – 150 კვმ. ტელ: 95-61-10

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

ან იცვლება თბილისის ნებისმიერ უბანში ბინაზე აგარაკი საგურამოსთან ახლოს, სოფელ ბურიანში, დაწყებული სახლის მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 1000$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

თიანეთის რაიონის სოფ. ღულელებში ახალაშენებული, ალუმინით გადახურული 7 ოთახიანი, გაულესავი, უიატაკო ბინა მაღალ ბელეტაჟზე, კარ-ფანჯრებით, 200 კვმ საერთო ფართით, 70 კვმ მანსარდით, 2.500 კვმ ახალი ხეხილიანი ეზოთი, ტყის პირას, ტრასიდან 60 მეტრში, „ბაზრობასთან" ახლოს. შესაძლებელია თბილისში გაცვლაც. ტელ: 75-67-52

2 სართულიანი სახლი მანსარდით (12მX12მ), უბნის წყაროთი და 900 კვმ ხეხილიანი ეზოთი, შესანიშნავი ხედით, საგარეჯოს რ-ნის სოფელ გიორგიწმინდაში. ტელ: 34-62-27; 95-22-71

## ვიგირავებ

ბინას საბურთალოზე 1000$-ის ფარგლებში. ტელ: 33-11-48. დოდო

## მილოცვა



**ლაშა!**

გილოცავ დაბადების დღეს. იყავი ბედნიერი და ჯანმრთელობა არ მოგაკლებოდეს, ჩემო ლაშა.

*შენი ძმა ლევან ბეჭვაია*

**ფიქრია თაბუკაშვილს!**

ჩვენს საყვარელ ფიქრიას ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხუთებზე სწავლას და ყოველივე კარგს.

*შენი კეთილისმსურველნი: ნუგზარი, თინიკო, ფატი, თეონა და შენი პატარა ძმა ლუკა თაბუკაშვილი*

**თინიკო თეთრუაშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს – 12 აპრილს, დაესწარი მრავალს, სულ ბედნიერი გვენახე. იხარე და იბედნიერე, შენს საყვარელ მეუღლესა და შვილებთან ერთად.

*ფატი, ფიქრია, თეონა და შენი საყვარელი ბიჭი ლუკა თაბუკაშვილი*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული 1.700 ფრანკი (400 მარკა თვეში). ტელ: 96-07-81; 95-64-18

სამუშაო საერთაშორისო კომპანიაში. ანაზღაურება – შემოსავლის 25-50%, ზრდის პერსპექტივით. შერჩევა კონკურსით. ტელ: 73-37-03 (ნებისმიერ დროს); 79-42-47 (18-21 სთ). პავლე

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები". ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო ჭელიძე

სწრაფად და ხარისხიანად მოგემსახურებით წიგნების, ბუკლეტების, გაზეთების აკრეფა-დაკაბადონებაში. ტ: 61-51-17; 95-46-79. ქეთი

ფსიქოლოგიური ტესტებით და პითაგორას ციფრობრივი კვადრატით გამოგითვლით თქვენს შესაძლებლობებსა და მომავალს. ვისაუბრებთ პრობლემებზე. სასურველია ბინაზე გამოძახება. ფასი 5 ლარი. ტელ: 77-06-34

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

გერმანულ-ქართული ფირმა **DAWIT** გთავაზობთ მრავალფეროვან მომსახურებას: ელექტრომონტაჟი; მხატვრული განათება, გაფორმება; ავტომატური სისტემების მონტაჟი; ბენზინგასამართი სადგურის მონტაჟი; გენერატორებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება. ტელ: 98-78-26

Computer Company „pulsar" – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კეტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. ტ: 33-08-71

უძრავი ქონების სააგენტო „ვიქტორია" გაგიწევთ კომპეტენტურ დახმარებას,, ბინების, ოფისებისა და სახლების ყიდვა-გაყიდვასა და გაქირავებაში. მის: ფოთი, დავით აღმაშენებლის გამზირი (ყოფ. ლენინის ქ.) №33. ტელ: 96-72-08

მაღალკვალიფიციური ხელოსანი გთავაზობთ გათბობის, სანტექნიკის, ცხელი წყლის (ბოილერი, არისტონი, თერმექსი), მონტაჟს რკინის, ლასტმასისა და სპილენძის მილებით, უფასო მომსახურებით. ტელ: 897 57-56-93. ავთო

ვასრულებთ ბრტყელი სახურავების სარემონტო-საიზოლაციო სამუშაოებს გარანტიით – მინა ქსოვილით, ტოლით, გუდრონით. აგრეთვე დაგიმზადებთ რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს, ვიტრაჟებს, ავტოფარეხის კარებს და სხვა ნაკეთობებს შეღავათიან ფასად. ტელ: 62-42-79. ვაჟა

შპს „Coucasus computer system". უახლესი კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამები, კომპიუტერული ქსელები, უმაღლესი სერვისი. გარანტია 2 წელი. მის: ბარნოვის ქ. №1. ტელ: 98-44-20

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშვილდოსანი"

ვაკეთებ ნებისმიერ ავეჯს კატალოგიდან, აგრეთვე, რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას სამეულებზე, შალითების შეცვლას, სკამების, მატრასების გარემონტებას. ტელ: 95-50-57. ვალერი

სპეციალისტი მუშები გადაგიტანენ ავეჯს, როიალს, პიანინოს, ნებისმიერ ტვირთს. მანქანით მომსახურება – 1 სთ – 8 ლარი (ქალაქში). ტელ: 68-90-16. ვაჟა; 64-73-15. გურამი (საღამოს); 98-54-58 (დღისით); 899 58-69-34

დასნოვებისა და ჩხვლეტების გარეშე განიკურნეთ ჭარბთმიანობისაგან, სწრაფად და უმტკივნეულოდ! „ქვეყანაში, სადაც „ლუიზოლი" საქმიანობს, ჭარბთმიანობის პრობლემა არ უნდა არსებობდეს" – ითქვა რუსეთის კოსმეტიკური კორექციის ცენტრში. მოგვმართეთ: რუსთაველის 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბ. „ლუიზოლი"; იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი". ტ: 37-38-13

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას სამუდამოდ, უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი და არა რომელიმე აპარატი ან მალამო. იცოდეთ, არ არსებობს მოურჩენელი თმა. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტ: 57-50-49. მარიკა

ვაკეთებ ეპილაციას ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777"! 1) თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება – 15 ლარი; ქიმიური გასწორება – 20 ლარი; შეღებვა (**WELLA**) – 12 ლარი; საბანკეტო ვარცხნილობები – 25 ლ. თქვენ მოგემსახურებათ სტილისტი ირა გურჯიანი; 2) ელექტროეპილაცია (ანესთეზიით), 1სთ – 10 ლარი. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113 (პოლიციის ეზოში). ტელ: 95-08-83; 68-28-17; 899 57-46-40. მიღება ჩაწერით, გარდა კვირისა

## მკურნალობა

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

წინაპართა მეთოდებით, მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს, ხსნარებსა და საფენებს. მკურნალობს: ჰაიმორიტს 4-5 დღეში, სრული გარანტიით, რევმატიზმს, სახსრების, ნაღვლის ბუშტის, საშწვერა ნერვის ანთებას, თავის ტკივილს, ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს. ლიცენზირებულია ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება 13-16 სთ (შაბათის გარდა). ტელ: 34-05-69

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 35-20-06

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების მკურნალობა ოპერაციული ჩარევისა და მასაჟების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ტელ: 96-62-58

სიახლე საფრანგეთიდან! სიმაღლეში ზრდა 4-18 წლამდე (5-10 სმ); გახდომა ფრანგულად, სწრაფად. ჯანმრთელობის აღდგენა: კენჭოვანი დაავადებები, ართრიტი, უშვილობა, ფიბრომის დაშლა-დაპატარავება. ტელ: 52-65-18. თამარი; 61-75-81. მზია

გახდომა ეფექტურად, კომფორტით, შიმშილისა და დიეტის გარეშე, სწრაფად, გემრიელად! ტელ: 61-77-74; 95-31-90; 899 58-25-44. მარი

ვმკურნალობ ნეიროდერმიტს, სებორეას, ფსორიაზს, სოკოს, ბავშვებში დიათეზს, პამპერსით გაღიზიანებულ კანს, ბუასილს სისხლდენით (მალამოს გამოყენებისას ქავილი წყდება), ეგზემას. ტელ: 37-79-67; 38-48-04. ლეილა გოგიჩაძე

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

გერმანულ-ქართული ფირმა **DAWIT** გთავაზობთ კომპიუტერის შესწავლას ინდივიდუალურად. მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები. თქვენ გუშინ ალბათ უკვე გააკეთეთ სწორი არჩევანი, ფირმა **DAWIT** გაძლევთ კიდევ ერთ შანსს! ტელ: 98-78-26

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად. MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER. მაქვს საკუთარი დენის წყარო. ტელ: 34-32-79

გერმანულ-ქართული ფირმა **DAWIT** გთავაზობთ ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების ინდივიდუალურად შესწავლას აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული პროგრამებით. მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები. გააკეთეთ სწორი არჩევანი! ტელ: 98-78-26

მოგამზადებთ ისტორიასა და სამართალში ინდივიდუალურად, დაჩქარებული კურსით (გამოცდებამდე, კვირაში 3-ჯერ). კურსის ღირებულება 80$ (მთელი პროგრამა 4 თვეში). ნულიდან დამწყებნი ნუ დარეკავთ! ტელ: 38-31-51. ნინო ლალიაშვილი

ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ სწავლასა და დასაქმებას საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში. მის: წერეთლის გამზ. №95ა (მანეჟი), ოთხშაბათს, პარასკევს (13-15 სთ)

## იყიდება

ა/მ „მერსედეს ბენცი-190", 5-სიჩქარიანი, 2,3 ძრავით, მუქი ლურჯი, 1985 წლის გამოშვება, ძალიან კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 2.800$. ტელ: 31-67-44

1) მე-19 საუკუნის ბოლოს შესრულებული ფერწერული ტილო, რუსული სკოლა – 150$; 2|) ბალზაკის 15 ტომი – 60 ლარი; 3) ა. დიუმას 20 წიგნი – 60 ლარი; 4) „სტარაია რიგის" ბუფეტი – 1.500$; 5) ხელით ნაქსოვი, კაპრონის ძაფის, 2 საწოლის გადასაფარებელი, დიდი ამობურცული ყვავილებით – 70 ლარი. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №27. სადღეღამისო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75; ვაჟა-ფშაველას გამზ. №3. ტელ: 38-50-19

„ლუიზოლი" – საუკუნის კრემი – ასწორებს ნაოჭებს, აქრობს ჩირქოვან, ალერგიულ გამონაყარს, ჭორფლს, ლაქებს, აქვს ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო ეფექტი... ყველაფერი ერთ კრემში! შეიძინეთ „ლუიზოლი"! მის: იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი"; რუსთაველის 28, პოლიკლინიკა №13, კაბინეტი 26. ტ: 37-38-13

ამაზე იაფად ევროპულ ტექნიკას თქვენ ვერსად იყიდით: ტელევიზორები (300-500 ლარი), სარეცხი მანქანები (250-500 ლარი), გაზქურები, ქსეროქსები, მუსიკალური ცენტრები და სხვა მეორადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა. გარანტია – 3 თვე. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით. მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №9. მაღაზია „ლიბერტო". ტელ: 899 55-25-36

## სხვადასხვა

**„კათარზისის"** – სათნოების სახლში გაიხსნა მიუსაფარ მამაკაცთა უფასო თავშესაფარი. ტელ: 95-17-67

## ხსოვნა

**დარეჯან ლებანიძის ხსოვნას**



ცრემლები კრთიან ნაღვლელ თვალებში.. ტირის გული, დაჯი.

ტირის ადრე დაკარგული სიცოცხლე;

იცრემლება გულად დარჩენილი სიყვარული;

წუხს მამა და ტირის დედა, გამწარებული დედა...

დაუოკებელ ტკივილს განვიცდით.

უსაზღვროა შენი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. უკვე 40 დღეა, ცრემლი არ შეშრობია ჩვენს თვალებს.

*შენი ოჯახი*

**ზურიკო მუმლაძეს**



არ არსებობს ნუგეში შვილდაკარგული მშობლებისა, ვერც დრო-ჟამი კურნავს გულის იმ ნაწილს, რომელიც შენ გეკუთვნის, ჩემო საყვარელო შვილო ზურიკო. შეიძლება კი გაზაფხულზე გარდაცვალება? სამ აპრილს ოთხი წელი გასრულდა შენი ამ ქვეყნიდან მარადიულში გარდასვლისა, თექვსმეტში კი ოცდაათი წლის ხდები, ჩემო საამაყო ვაჟკაცო, რაოდენ მძიმეა ამგვარი მილოცვა.

სევდიანნი, ცრემლიანნი გილოცავთ დაბადების დღეს შენი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, შენთვის უცნობი დისშვილი – პატარა ანა, ერთადერთი ნათელი სხივი ჩვენს ცხოვრებაში. მინდა ვიწამო, რომ შენ „ზეციური საქართველოდან" ილოცებ ჩვენთვის, რადგან სული შენი სპეტაკი სასუფეველსა შინა არს დამკვიდრებული.

*უზომოდ მონატრებული შენი მშობლები. შენი დაიკო თამუნა*




# მდიდრებსაც უჭირთ?




ბირჟა, ოფშორული ზონები, ლიზინგი, საქმიანი მოლაპარაკება პარტნიორთან, ათასი გაუთვალისწინებელი წვრილმანი... ყველაფერ ამას გაძლება არ უნდა? ცხადია, ფულის კეთება იოლი საქმე არ არის. სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესმენები სხვადასხვანაირად იხსნიან შრომითი საქმიანობის დროს მიღებულ სტრესს.

დიდი ბრიტანეთი ტრადიციების ქვეყანაა, ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ სტრესსაც ტრადიციული გზით აღწევენ თავს. ბრიტანეთის კომპანიების თავკაცები უპირატესობას რესტორანში ვახშმობას ანიჭებენ, ჰოლანდიელებსაც უყვართ საქმიანი დღის შემდეგ კარგი ვახშამი, მაგრამ ფრანგებისგან განსხვავებით, შინ ყოფნა ურჩევნიათ.

მართალია, დახვეწილ, სასიამოვნო გარემოში ჭამა-სმა ქმნის ფსიქოლოგიურ კომფორტს, მაგრამ ჯანმრთელობისთვის საზიანოა. გაცილებით ჭკვიანურად იქცევიან იტალიელები. დაძაბულობისა და დაღლილობისგან თავის დასაღწევად სპორტული დარბაზებისკენ ისწრაფვიან.

სხვათა შორის, ბელგიელ მეწარმეთა 11% ამტკიცებს, რომ დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ... ღამეც განაგრძობს მუშაობას და წარმატებითაც. შრომისმოყვარეობის ასეთი მაგალითი, ამერიკული კომპანია „IUNAITED ARSEL SERVIS“-ის გამოკვლევის თანახმად, სხვა ქვეყანაში თითქმის არ დასტურდება.

***ეხო პლანეტი №12***

# ბანკნოტი — სახელმწიფოს სავიზიტო ბარათი

ქაღალდის ფულის გარეგნული სახის მიხედვით ადვილად შეიტყობთ ქვეყნის ეკონომიკურ თუ კულტურულ მდგომარეობას, ინფლაციის დონეს, ხელისუფალთა გემოვნებას და საერთოდ, განსაზღვრავთ სახელმწიფოს პრესტიჟს. ლიდერი ქვეყნების ბანკნოტები, რასაკვირველია, სოლიდურია, შესაბამისად, მეორეხარისხოვან სახელმწიფოებს ქაღალდის ფული უსახური აქვთ, იმის მიუხედავად, რომ უამრავი ინფორმაციაა ჩადებული ეროვნული ვალუტის გარეგნულ სახეში.




ყველაზე მეტი ქათინაური ამერიკულ დოლარს რგებია; ყველა ენაზე აღინიშნებოდა მისი რესპექტაბელობა, საფუძვლიანობა, მკაცრი დიზაინი. ამერიკული ბანკნოტების წყალობით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სახეზე იცნობენ აშშ-ის პირველ პრეზიდენტებს. ამერიკულ დოლარს ყველა ქვეყანაში პატივს სცემენ და სიამოვნებით იღებენ ადგილობრივი ვალუტის ნაცვლად. აღსანიშნავია, რომ მოძველებულ და ჭუჭყიან ბანკნოტს აშშ-ის ტერიტორიაზე ვერ ნახავ. ეტყობა, სახელმწიფო ზრუნავს, რომ ქაღალდის ფული ყოველთვის ახალი იყოს.

იაპონიაში ეროვნული ვალუტა კიდევ უფრო რესპექტაბელურად გამოიყურება. აქ მოძველებულ კუპიურას კი არა, დაჭმუჭნილსაც ვერ იხილავთ. ჟურნალისტები ცდილობდნენ, გაეგოთ როგორ ინარჩუნებს სიახლეს იაპონური ფული: „არ ვიცით. ყოველთვის ასე იყო; ჩვენ მიჩვეულნი ვართ ამას“, — იყო პასუხი. იაპონიაში დღეს ბანკნოტის სამი სახეობა არსებობს (ათასი, ხუთი ათასი და ათი ათასი იენი). მსოფლიოში ეს მინიმალური რაოდენობაა; კუპიურების ასეთივე მცირედი ნაირსახეობაა სამხრეთ კორეაში. ნომინალების რაოდენობის მხრივ (12) პირველობა ჩინეთს უჭირავს. იაპონური კუპიურები ლაკონიური დიზაინით და მკაცრი ფერებით გამოირჩევა. ათასიენიან კუპიურაზე გამოსახულია არა ვინმე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ჩინოსანი, არამედ მწერალი — ნაცუმე სოსუკი (1867-1916წ.). კუპიურის მეორე მხარეს წეროების საქორწინო ცეკვას ნახავთ. ეს უბრალო წეროები არ გეგონოთ, ისინი დედამიწის ზურგზე მხოლოდ კუნძულ ჰოკაიდოზე ბინადრობენ და დღეისათვის მხოლოდ 4 ასეულიღაა შემორჩენილი.

ქაღალდის ფული იყო და რჩება სახელმწიფოს სავიზიტო ბარათად. როგორც აღვნიშნეთ, მისი გარეგნული ფორმა ქვეყნის ავტორიტეტის მაუწყებელია. თუ სახელმწიფო დაინტერესებულია თავისი პრესტიჟით — მაშინ იგი ზრუნავს თავისი ფულის მიმზიდველ ფორმაზე. რასაკვირველია, განვითარებად ქვეყნებს არ ძალუძთ გაჰყვნენ ამ მითითებულ გზას. ამის გამო ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებული უამრავი კურიოზი იქმნება. მაგალითად, უცხოელი შრი-ლანკაში ადვილად გადაცვლის ნებისმიერ კონვერტირებად ვალუტას ადგილობრივ ფულზე. მაგრამ როგორ გამოიყურება ეს ფული? გეგონებათ, მასში ღვეზელი შეუხვევიათო. კუპიურას უამრავი წარწერა ამშვენებს. შესაძლოა, დაჭმუჭნილი იყოს და დაკარგული ჰქონდეს პირვანდელი ფორმა. ბანკის თანამშრომლები ასეთ კუპიურებზე ამბობენ, ეს ახალი ფულია, ძველი უკვე ხმარებიდან ამოღებულიაო. ასეთივე მდგომარეობაა ლაოსში; ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ლეგალურად ფულის სამი სახეობაა ბრუნვაში. სავაჭრო ობიექტებზე ანგარიშსწორება ლაოსის, ტაილანდური ფულით და ამერიკული დოლარით შეიძლება. მათ შორის ყველაზე ნაკლები ღირსების არის ლაოსის ფული, რომელსაც ხუმრობით „ფანტებს“ უწოდებენ.

რაც შეეხება ინდოეთს, იგი უკვე არ მიეკუთვნება განვითარებად ქვეყნებს. ინდოეთის ეკონომიკური წარმატება, კერძოდ მიღწევები ბირთვულ ენერგეტიკაში, იძლევა საფუძველს, ქვეყანა ძლიერ სახელმწიფოთა რიცხვს მივაკუთვნოთ. მიუხედავად ამისა, ინდოეთის კუპიურა გამოირჩევა უსახურობით და ბანკნოტზე გამოსახულია უბრალო სიუჟეტები. ბევრი ინდური კუპიურა ისე მოძველებული, დაჭმუჭნილი და ჭუჭყიანია, რომ თავმოყვარე უცხოელი არ ჩაიდებს მას საფულეში. ყველა კუპიურას მარცხენა მხარე გახვრეტილი აქვს, რადგან ინდოეთის ბანკებში ბანკნოტის შეკვრას ამ „ნახვრეტებში“ უყრიან მავთულს და ისე ინახავენ.

როგორ გამოიყურება საერთაშორისო ფონზე ამჟამინდელი რუსეთის ბანკნოტი? სხვადასხვა ქვეყნის ბანკნოტებთან შედარებისას, შეიძლება ითქვას, რომ რუსული ბანკნოტი არც ისე მომხიბვლელი სანახავია. არც ზომით არის საკმარისი, ფერმკრთალია და არც სურათების სიუჟეტები გახლავთ შთამბეჭდავი. მოკლედ, რუსული ფული ნაკლებად სერიოზული ფულია. ამის მიზეზია ბანკნოტების ესკიზების დამამტკიცებელი კომისიის თავისებური გემოვნება, ან კიდევ ქვეყნის უსუსური სოციალური კლიმატი. იქნებ ზოგიერთებმა ისიც განაცხადონ, რომ რა მნიშვნელობა აქვს კუპიურების გარეგნობას, მთავარია მათი რაოდენობაო. მსგავს ადამიანებთან საუბარი ძნელია. ასეთ შემთხვევაში ერთმანეთს უნდა შევუდაროთ თუნდაც ადრინდელი ასმანეთიანის ეკვივალენტის ახლანდელი ბანკნოტი და მივხვდებით, რას ნიშნავს ტელევიზორიდან ცნობილი ფრაზა: „იგრძენით განსხვავება“...

***ნეზავისიმაია გაზეტა №50***

# 50 წელია, ბარათებს ვიყენებთ



1950 წლის თებერვალში ამერიკელი ბიზნესმენი ფრენკ მაკნამარა სასადილოდ ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში შევიდა. როცა ფულის გადახდის დრო დადგა, ჯიბეზე ხელი მოისვა, მაგრამ საფულე ვერ ნახა, სხვა პიჯაკში დარჩენოდა. სწორედ მაშინ იფიქრა, რატომ უნდა ატარო თან ფული, ხომ შეიძლება არსებობდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმაო. ცოტა ხანში მაკნამარამ რესტორანში საკუთარი ხელმოწერილი მუყაოს პატარა ბარათი წარადგინა, სადაც მითითებული იყო, რომ მას ბანკში ამა და ამ ანგარიშზე აქვს ამდენი და ამდენი თანხა. მაკნამარამ თავის ადვოკატთან ერთად დააარსა საკლუბო ბარათი — DINERSS CLUB CORD-ი, რომელიც პირველ ხანებში ჰქონდათ მხოლოდ მის ნაცნობებს. ამ ბარათებით მათ შეეძლოთ შესვლა მანჰეტენის 14 რესტორანში. ერთი წლის მერე ბარათის პატრონი 40 ათასამდე ამერიკელი გახდა. კლუბის საწევრო წელიწადში 3 დოლარი იყო და მაინც, ეს ბარათები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საკრედიტო, ყოველი თვის ბოლოს გამოჰყავდათ ბალანსი. პირველი საბანკო საკრედიტო ბარათის მოხმარება 1951 წელს დაიწყეს, 1959 წლიდან კი ბარათი პლასტიკატისა გახდა. ამჟამად ამგვარ ბარათს მთელ მსოფლიოში იყენებენ. საბჭოთა კავშირში პირველი ბარათები 1989 წელს გამოჩნდა.

***იტოგი №12***

# LEVIS-ის იმპერია მცემა...

ცნობილი „ლევისი“ ფსკერისკენ მიექანება. 1870 წელს ჰაასების ოჯახმა სან-ფრანცისკოში დააფუძნა ცისფერი ჯინსების „ლევის“-ის კომპანია. ბოლო დროს ლევისები ცოტა იყიდება ევროპასა და სამშობლოშიც. „ლევი სტრაუსმა“, მსოფლიოში ტანისამოსის ცნობილმა მწარმოებელმა, 13 ათასი სამუშაო ადგილი შეამცირა.

დაიხურა 24 ამერიკული და 4 ევროპული ქარხანა. საქონლის მყიდველობითი დონე 17%-ით დაეცა. პერსპექტივაც ძალზე სავალალოა. 1997 წელს კომპანიის მსოფლიო ვაჭრობის თანხა 6,9 მლრდ დოლარს შეადგენდა; 1998 წელს — 6 მლრდ-ს; 1999 წელს იგი საგრძნობლად შემცირდა. სამაგიეროდ, „ლევი სტრაუსის“ ვალებმა, მაგალითად 1997 წელს, 1,3 მლრდ დოლარს მიაღწია, რაც 1999 წელს, რესტრუქტურიზაციის ჩატარების მიუხედავად, 1,8 მლრდ დოლარამდე ავიდა. ასეთმა მდგომარეობამ ძალზე შეაშფოთა „ლევი სტრაუსთან“ დაკავშირებული ბანკები, რომლებმაც ახალი კრედიტები გამოუყვეს კომპანიას. უახლოესი ოთხი წლის მანძილზე კომპანიამ ყოველწლიურად 200 მლნ დოლარი თუ არ დააბრუნა, ბანკს უფლება აქვს, თავის კონტროლქვეშ აიყვანოს ფირმა. და მაინც, რა გახდა ლევისის იმპერიის დაცემის მიზეზი? როგორც კომპანიის ერთ-ერთი რეგიონალური პრეზიდენტი ჯონ მიდლეტონი აცხადებს: „ერთ დროს ყველა ცდილობდა 2-3 წყვილი „ლევისის“ ჯინსი შეეძინა. მაგრამ მოდა შეიცვალა და ჩვენ, მისი კერპები, მის მსხვერპლად გადავიქეცით, ჩვენი წარმატების მძევლები გავხდით. საქმე ის გახლავთ, რომ ბაზარზე კონცეპტუალურად ახალი პროდუქცია გაჩნდა, განვითარდა საცალო ვაჭრობის ახალი ფორმები, რეკლამამაც სხვა ფორმა მიიღო“.



როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, უბრალო თარგმა და მშვიდმა ცისფერმა გზა დაუთმო ტომრისებურ და ჭყეტელა ფერების მქონე ნაწარმს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე LEVIS-ის მეტოქემ, VF-კორპორაციამ (რომელიც WRANGLER-ის და LEE-ის შარვლებს უშვებდა), გაყიდვა 18-დან 25%-მდე გაზარდა. საერთოდ, „ლევი სტრაუსს“ ბევრი კონკურენტი ჰყავს, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრის, იგონებს ახალ რეკლამებს, შარვლის ახალ ფორმას (სპირალისებურს), რომელსაც „ინჟინრული“ უწოდეს. ცისფრის გარდა მალე წითელ და ღვინისფერ „ლევისს“ იხილავთ. ასე რომ, „ლევისი“ სიცოცხლეს იხანგრძლივებს.

***ზა რუბეჟომ №9***

# კითხვა-პასუხი



***ამას წინათ ერთ საგაზეთო წერილში ამოვიკითხე ორგანიზაცია ოპეკ-ის შესახებ. მაინტერესებს რას წარმოადგენს აღნიშნული ორგანიზაცია?***

***მ ჩიჟავაძე***

საერთაშორისო ორგანიზაცია ოპეკ-ი აერთიანებს ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს — ალჟირს, ვენესუელას, ინდონეზიას, ერაყს, ირანს, კატარს, კუვეიტს, ლიბიას, ნიგერიას, არაბთა გაერთიანებულ საამიროს და საუდის არაბეთს. ოპეკ-ი არეგულირებს ნავთობის მოპოვებისა და გასაღების პროცესებს და განსაზღვრავს ფასს.

***რედაქცია***

***როგორ ხდება დაუკანონებელი ბინის პრივატიზება, რომელიც არსად არის აღრიცხული ან როგორ დავაკანონოთ?***

***ლ. გიგოლაშვილი***

თუ ბინა დაუკანონებელია, ე.ი. ის კერძოა და აღარც საჭიროებს პრივატიზებას, რადგან ისედაც საკუთრებად ითვლება. საერთოდ კი, ბინის დაკანონების დროს პიროვნებამ უნდა წარადგინოს ბინის გეგმა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, მომსახურება 17 ლარითა და 72 თეთრით განისაზღვრება, შემდეგ მიმართოს თავისი რაიონის გამგეობას, სადაც არქიტექტორის მეშვეობით მოხდება ბინის დაკანონება.

***ტექბიუროს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილება***

***II ჯგუფის ინვალიდთათვის არსებობს თუ არა თავშესაფარი, სადაც შეიძლება მათი ჩაბარება?***

***კობა***

თბილისში, გლდანში ფუნქციონირებს მოხუცთა და ინვალიდთა თავშესაფარი. ამ ტიპის დაწესებულება ერთადერთია თბილისში და გადატვირთული კონტინგენტის გამო მეტად რთულია იქ მოხვედრა. ინვალიდის ჩასაბარებლად უნდა მიმართოთ ინვალიდთა დეპარტამენტს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც აღძრავს შუამდგომლობას და, თუ თბილისში ვერ მოხერხდება მისი მიღება საქართველოს სხვა რაიონშიც არის შესაძლებელი.

***მარინა რობაქიძე, საბურთალოს რაიონის ინვალიდთა დეპარტამენტის განყოფილების უფროსი***

***ამბობენ, რომ ნერვული სტრესი თირკმლებზეც უარყოფითად მოქმედებს. რამდენად მართებულია ამგვარი შეხედულება?***

***სალუქვაძე***

თირკმლებში ლორწოს, სილის ან ქვების დაგროვებას მართლაც აქვს კავშირი ფსიქიკურ ფაქტორთან. ჩვეულებრივად, ორგანიზმიდან მარილების გამოყოფას ხელს უწყობს სპეციალური ნივთიერებები — ე.წ. დამცველი კოლოიდები. ხანგრძლივი უარყოფითი ემოციის დროს კი (სხვადასხვაგვარი შიში, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა) თირკმლის უჯრედები ზიანდება, ვერ გამოიმუშავებს საკმარისი რაოდენობით „დამცველ კოლოიდებს“, რის შედეგადაც თირკმლებში იწყება ქვების წარმოქმნისა და დაგროვების პროცესი. თუმცა, შიშის გარდა, თირკმლებში ამ მავნე ნივთიერებების დაგროვებას ხელს უწყობს ღამით ჭამის ჩვევა, სხვადასხვა ფაფა და ფქვილეული, ტკბილი საკვები, მარილებით მდიდარი სასმელი წყალი, თირკმელში შეჭრილი ინფექცია და A ვიტამინის ნაკლებობა, რადგან A ვიტამინი ხელს უშლის თირკმლებში კენჭის წარმოქმნას და, ამასთან, ხელს უწყობს უკვე წარმოშობილი კენჭების დაშლას.

***კახა საბახტარიშვილი, მე-13 პოლიკლინიკის ტრადიციული მედიცინის კაბინეტის გამგე***

***ვარ 70 წელს გადაცილებული, შრომის II ჯგუფის ინვალიდი. მეუღლეც ასაკით პენსიონერია. არ გვყავს შვილები, პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ გვაქვს. ვითვლებით თუ არა მარტოხელებად?***

***გ. ბეჟანიშვილი, ქუთაისი***

მარტოხელად ითვლება ის პირი, რომელსაც არ ჰყავს შრომისუუნარიანი შვილი, შვილიშვილი ან მეუღლე, ანუ კანონით გათვალისწინებული მარჩენალი, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. რადგან თქვენი მეუღლე პენსიონერია და, შესაბამისად, შრომისუუნარო, ორივეს მარტოხელას სტატუსი მოგენიჭებათ თქვენივე რაიონის სოციალურ განყოფილებაში.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო***

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 8 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:**

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 1,995 |
| გერმანული მარკა | | 0,981 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,165 |
| ევრო | | 1,918 |
| რუსული რუბლი | | 0,069 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,033 |

რკინის კარების, ქალუზების დამზადება, საკეტების შეცვლა შეღავათიან ფასად.
ტელ: 69-26-50 ნოდარი

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

ფირმების რეგისტრაცია
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ., ოთ. 639
☎99-02-80; 899-53-91-91

ჯეოსეთი

ინტერნეტი
ელექტრონული ფოსტა
ვებ საიტები
თბილისი ლ.უკრაინკას 3
92 21 25
32 50 40
აღმოაჩინეთ ახალი სამყარო...
http://www.geo.net.ge
geonet@geo.net.ge

# კარის გაჯახუნებას ყოველთვის მოვასწრებთ

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პირველ პლენარულ სხდომაზე ზუსტად ისეთივე სიუჟეტი გათამაშდა, რომელმაც ჯერ კიდევ იანვარში დიდი აურზაური გამოიწვია და გვარიანადაც შეაფუცხუნა რუსი პოლიტიკოსები.

ქრისტიან-დემოკრატების ფრაქციის თავმჯდომარემ, ჰოლანდიელმა რენე ვან დერ ლინდენმა წინადადება წამოაყენა, განეხილათ რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილების საკითხი.

საკითხი რომ განსახილველად მიეღოთ, 20 ხმაც კი საკმარისი იყო, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ მომხრე მეტი აღმოჩნდა. ჰოლანდიელმა თავისი წინადადება იმით დაასაბუთა, რომ რუსეთმა „არ შეასრულა რეკომენდაციები“ ჩეჩნეთის კრიზისის შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ იანვრის სესიების დროს გადასცეს.

საქმის ასეთ შემობრუნებას სესიის გახსნამდეც ელოდნენ. იქნებ ამიტომაც იყო, რომ რუსი პარლამენტარები ამ ეპიზოდს მშვიდად შეხვდნენ. რუსეთის დელეგაციამ სტრასბურგში ჩაიტანა რიგი წინადადებებისა, რაც რფ-ისა და ევროსაბჭოს თანამშრომლობის განვითარებას გულისხმობს ჩეჩნეთის კრიზისის საქმის გადასაწყვეტად.

* * *

...სტრასბურგში ვლადიმირ ჟირინოვსკის პრესკონფერენციებს ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრება. ამჯერად მას მეტისმეტი მოუვიდა, როდესაც განაცხადა, — თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა იარაღის მფლობელები ვართ, ევროპელებს ლა-მანშის ქვეშ გვირაბში შეგყრით და ამოვქოლავთ შესასვლელს, თუ ევროსაბჭო კირკიმელობას არ მოეშვება და ჩვენს წამებას გააგრძელებსო. წლეულს, სესიის დღეებში, ჟირინოვსკის პრესკონფერენციაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად იქცა რადიოხიდი „თავისუფლების“ ჟურნალისტთან ანდრეი ბაბიცკისთან, რაც უსიამოვნო სიურპრიზი გახდა სტრასბურგში რუსეთის დელეგაციისათვის.

ევროპის საპარლამენტო ასამბლეის კულტურისა და განათლების დარგში კომისიის წინაშე გამოსულმა ანდრეი ბაბიცკიმ ილაპარაკა ჩეჩნეთში შექმნილ მდგომარეობაზე. მან მხარი დაუჭირა უმაღლესი კომისრის, მერი რობინსონის იდეას, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დამრღვევთათვის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნაზე.

რადიოხიდის დამსწრე რუსი დელეგატები აშკარად არ იყვნენ მზად ბაბიცკის ბრალდებათა გასაბათილებლად. დეპუტატმა მიხაჩევმა კი, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ბაბიცკის მატყუარა და გამყიდველი უწოდა.

* * *

რუსეთმა სტრასბურგში უკანასკნელი ბრძოლა წააგო. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ არა მარტო შესთავაზა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში დარღვევების გამო რუსეთის გადაცემა ევროსაბჭოს სასამართლოსთვის, არამედ რუსეთის დელეგაციას ჩამოართვა კიდეც ხმის უფლება. 31 მაისს გადაწყდება ამ ორგანიზაციაში რუსეთის ყოფნის საკითხი. მოსკოვის ოფიციალური რეაქცია მოგვიანებით გახდება ცნობილი. თუმცა, ახლავე ცხადია, რა შეიძლება მოხდეს. რუსეთის პასუხი ალბათ ამგვარი იქნება — ან საერთაშორისო დამკვირვებლებს საერთოდ ფეხს არ დაადგმევინებს ჩეჩნეთში, ან შესაძლოა უარი თქვას სიკვდილით დასჯის აკრძალვაზე. ჩეჩნეთის ომის ფონზე ეს სავსებით ლოგიკურია. ევროპა დაკარგავს ჩრდილო კავკასიის სიტუაციაზე გავლენის მოხდენის საშუალებას. მთავარი კი ის არის, რომ მოწინაალმდეგე მხარეებმა „რკინის ფარდას“ არ გამოჰკრან ხელი...

***რუსული პრესის მიხედვით***

# უკრაინას გატანილი ფულის დაბრუნება სურს

უკრაინის ფული სამშობლოში უნდა დაბრუნდეს და მისი „მთავარი ინვესტორი“ გახდეს, — განაცხადა ლეონიდ კუჩმამ, როცა ხელი მოაწერა უკრაინელ ბიზნესმენთა ჩრდილოვანი კაპიტალის ლეგალიზაციის ბრძანებულებას. ექსპერტთა აზრით, ეს თანხები ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 60%-ს შეადგენს. უცხოეთში დიდი ქონების მქონე უკრაინელ ბიზნესმენთაგან პირველ რიგში ექს-პრემიერ პაველ ლაზარენკოს ასახელებენ.

იმ ფულს, რომელიც დღის სინათლეს იხილავს, მინიმალურად დაბეგრავენ და არც მის პატრონს გადასცემენ სასამართლოს.

კაპიტალის კანონიერად გამოსაჩენად მათმა მფლობელებმა საკმარისია საგადასახადო სამსახურში განაცხადონ, რომ აქვთ ესა თუ ის თანხა. მათი შოვნის გზის მითითება სავალდებულო არ არის. მთავრობა უცხოეთიდან უკრაინის ბანკებში მათი გადმოტანის გარანტიას იძლევა.

მეწარმეები საკმაოდ ცივად შეხვდნენ ხელისუფალთა განზრახვას. უკრაინაში პირველად არ ცხადდება მსგავსი ბრძანებულება. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკის დროს უნდოდათ ჩრდილოვანი კაპიტალის ლეგალიზება, მაგრამ უშედეგოდ.

***იზვესტია №62***

# იაპონიას ახალი პრემიერი ჰყავს



ქვეყნის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი 62 წლის იოსირო მორი იაპონიის პრემიერი გახდა. მან შეცვალა კეიძო ობუტი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ საავადმყოფოში მოათავსეს, იგი კომიდან ვერ გამოჰყავთ. მთავრობის მეთაურის მოულოდნელმა ავადმყოფობამ იაპონია რთულ მდგომარეობაში ჩააყენა — ქვეყნის კანონმდებლობაში მითითებული არ ყოფილა, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების გადაცემა იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის მეთაური იმდენად ცუდადაა, რომ თავად არ ძალუძს საკუთარი გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ორი დღე იაპონია უცდიდა კეიძო ობუტის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რათა არ დაერღვია მოქმედი კონსტიტუცია, მაგრამ სასწაული არ მოხდა და მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა, რომ გაურკვეველი მდგომარეობა მეტხანს ვეღარ გაგრძელდებოდა.

ახალარჩეულმა იოსირო მორიმ განაცხადა, რომ ახალი კაბინეტის, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ძველი მინისტრები, მთავარ ამოცანად რჩება ეკონომიკური კრიზისის აღმოფხვრა და ივლისში კუნძულ ოკინავაზე „დიდი რვიანის“ მორიგი სამიტის ჩატარება.

***ნოვიე იზვესტია №61***

# კიდევ ერთი ჩინეთი

ტაივანში მარტო კომპიუტერებს, ტელევიზორებსა და ფართო მოხმარების საგნებს როდი აკეთებენ — დიდ პოლიტიკასაც „ქმნიან“. მსოფლიო, რომელიც 80-იან წლებში „ეკონომიკური სასწაულის“ მოწმე გახდა, 2000 წლის გაზაფხულზე ტაივანის „პოლიტიკურ სასწაულსაც“ იხილავს.

საპრეზიდენტო არჩევნებმა სენსაციური გამარჯვება მოუტანა დემოკრატიული პროგრესული პარტიის კანდიდატს ჩენ შუიბიანს. ტაივანზე, ჩინეთის აუღიარებელი რესპუბლიკის თავკაცი, პირველად ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გახდა პოლიტიკოსი, რომელიც გომინდანელთა პარტიას არ ეკუთვნის. მოვლენები, რომლებიც მოჰყვა ჩენ შუიბიანის მოსვლას, ცხადყოფს, რომ ტაივანი რევოლუციის ზღურბლზე დგას, მისი მიზანი დიქტატურიდან მრავალპარტიულ დიქტატურაზე გადასვლაა; ამასთან, ტაივანი თანდათანობით სცილდება იმ იდეას, რომ ჰონკონგი მაკაოს მსგავსად, „დიდი ჩინეთის“ წიაღში დაბრუნდება.



პეკინი უკმაყოფილოა. იმუქრება, რომ ტაივანს დამოუკიდებლობის ნებას არანაირი ფორმით არ დართავს, მაგრამ ვერაფერს აკეთებს, აყვავებული კუნძული ხელიდან უსხლტება.

ის, ვინც ჩახედული არ არის „ორი ჩინეთის“ ურთიერთობაში, ჩენ შუიბიანის განცხადებებში საგანგაშოს ვერაფერს ნახავს. მაშ რატომ ეწინააღმდეგებოდა ჩინეთი მის არჩევას? კუნძულის მცხოვრებლებს მაშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯუ ჟუნძიმ მიმართა. მისმა ნათქვამმა — აუცილებლობის შემთხვევაში გაერთიანების საკითხი, შესაძლოა, რამდენიმე წუთში გადაიჭრასო, მსოფლიო შეძრა და ომის საშიშროება წარმოშვა.

ჩენ შუიბიანი წინააღმდეგია იმისა, რომ ჩინეთი და ტაივანი შეერთდნენ ფორმულით: „ერთი ქვეყანა — ორი სისტემა“, რომელსაც დიდი ძმა უჭერს მხარს. ახალ ტაივანელ ლიდერს მიაჩნია, — ორი სისტემის არსებობა ნიშნავს, რომ ქვეყანაც ორია. ტაივანი დიდი ხანია გახდა სახელმწიფო დე ფაქტო. ჩენი აცხადებს, რომ მზად არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ტაივანზე ჩინეთის რესპუბლიკას შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობისთვის. მაგრამ ეს ურთიერთობა უნდა იყოს ორი თანასწორუფლებიანი ქვეყნის კავშირი და არა — სახელმწიფოსა და მის პროვინციას შორის ურთიერთობა.

რა თქმა უნდა, ჩენ შუიბიანს ეყოფა გონიერება საიმისოდ, რომ თავი ყულფში არ გაყოს და ხვალვე არ გამოაცხადოს ტაივანის დამოუკიდებლობა. მას კარგად ესმის, რომ ჩინეთს საპასუხოდ შეუძლია კუნძულზე სახალხო გამათავისუფლებელი ჯარი გადმოსხას.

***იტოგი №13***



# პუტინმა მანდილოსანს შარი შთხრა

გაეროს უმაღლეს კომისარს ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში, მერი რობინსონს ჩრდილო კავკასიაში თან ახლდა რუსეთის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი ჩეჩნეთში ვ. კალამანოვი. მან განაცხადა, — ქალბატონმა რობინსონმა ჩეჩნეთში ყველაფერი ნახა, რაც სურდაო. თუმცა „უსაფრთხოების“ თვალსაზრისით, იგი არ წაიყვანეს გროზნოს ახლოს, ალდში, სადაც 1999 წლის დეკემბერში 60-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები მოკლეს. წვიმის გამო ვერ წავიდნენ ვერც დაღესტნის ნოვოლაკსკის რაიონში, სადაც 1999 წლის სექტემბერში ვაჰაბიტების აგრესიის შედეგად ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. ჩეჩნეთში რობინსონმა მოინახულა გროზნოს ერთ-ერთი რაიონი, საავადმყოფო და ორი ბაზარი, ინგუშეთში ნახა კარვების ქალაქი დევნილებისთვის და საავადმყოფო.

გერმანული გაზეთის „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ აზრით, რუსეთის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა რობინსონს რაც შეიძლება ცოტა ენახა. გროზნოში მას არ აჩვენეს 5 ბანაკი ინტერნირებული პირებისთვის.

მოსკოვში დაბრუნებულ რობინსონს პრეტენზია არ გამოუთქვამს, მაგრამ ნანახითა და მოსმენილით აღშფოთება არ დაუმალავს. ხაზგასმით აღნიშნა, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე მსურდა პირადად პუტინთან მესაუბრაო, მაგრამ პრეზიდენტმა „მიზანშეწონილად“ არ მიიჩნია ქალბატონ რობინსონთან საუბარი.

შეკითხვაზე — აპირებს თუ არა უმაღლესი კომისარი ჩეჩნეთის ირგვლივ მოხსენებაში დაბეჯითებით მოითხოვოს ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, რობინსონმა განაცხადა, — ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედისო. ერთი რამ ფაქტია, მერი რობინსონს ბევრი აქვს სათქმელი და არც მაინდამაინც კარგი.

***სეგოდნია №73***

# გენერალ ოლეგ კალუგინის ღია წერილი ვლადიმირ პუტინს

სუკის გენერალმა ოლეგ კალუგინმა 1990 წელს საჯაროდ გააკრიტიკა მისი მშობლიური საბჭოთა სუკი. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ გენერალი ანათემას გადასცა: ჩამოართვა ჯილდოები, წოდება, შეუწყვიტა პენსია.

მოგეხსენებათ, ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა პუტინმა ოლეგ კალუგინს „მოღალატე“ უწოდა. რუსეთის უმაღლესი პირის მიერ მისი მისამართით წარმოთქმული ეპითეტი ყოფილმა სუკის გენერალმა უყურადღებოდ არ დატოვა და გაზეთ „ვერსიაში“ ღია წერილით უპასუხა:

„რუსეთსა და დასავლეთში ბევრს იმედი ჰქონდა, რომ თქვენ იურიდიული განათლება დაგეხმარებოდათ ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში. მაგრამ, ეტყობა, სუკსა და გდრ-ში ხანგრძლივმა მუშაობამ დაგიჩლუნგათ სამართლებრივი ცნობიერება.

მე რომ თქვენნაირად ვაზროვნებდე, მაშინ ძალიან ადვილად გიწოდებდით ქურდს, მექრთამეს და სამხედრო დამნაშავესაც კი, მით უმეტეს, რომ ლენინგრადიდან ბნელი საქმეების გრძელი სია მოგყვებათ, თქვენი თანამეინახენი კი დიდი ხანია რუსეთიდან გაიქცნენ.

...შარშან დეკემბერში თქვენ ლუბიანკის კედელზე დააბრუნეთ ფელიქს ძერჟინსკის — „რევოლუციის რაინდის“ სულიერი მემკვიდრის იური ანდროპოვის მემორიალური დაფა.

...თქვენ ნასუფრალით კვებავთ დამჯერე პრესას, მაგრამ თავისუფლად მოაზროვნე ჟურნალისტებთან შეხვედრის გეშინიათ. თქვენ თვეზე მეტია ამცირებთ რადიო „სვობოდას“ კორესპონდენტს ბაბიცკის და მოღალატედ მხოლოდ იმიტომ მონათლეთ, რომ უნდოდა ჩეჩნეთის ომის შესახებ მოეთხრო მწარე სიმართლე იმათთვის, ვისაც ეს აინტერესებდა.

დაბოლოს, თქვენს სინდისზეა სტალინის სიკვდილის შემდეგ ყველაზე სისხლიანი ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით თქვენ, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა მიწასთან გაასწორეთ, თითქოს იგი რუსეთის ნაწილი არ ყოფილიყო, გაანადგურეთ ათასობით უდანაშაულო მოხუცი, ქალი და ბავშვი, სასაკლაოზე გაგზავნეთ უწვერულვაშო რუსი ბიჭები.

იდუმალებით მოცულ ავიაკატასტროფაში დაღუპულმა არტიომ ბოროვიკმა „სოვერშენო სეკრეტნოს“ ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა თქვენი ციტატა: „ადამიანზე ზემოქმედების სამი გზა არსებობს: შანტაჟი, არაყი, მოკვლის მუქარა“.

თქვენ საშიში, გაუთლელი ადამიანი ბრძანდებით, ბატონო პუტინ...

კორუმპირებული პუტინის რუსეთისა მე არა მჯერა. ამ სიტუაციაში იძულებული ვიქნები თავისუფალ სამყაროში ვითხოვო პოლიტიკური თავშესაფარი.

შეგიძლიათ იამაყოთ, ბატონო პუტინ, რომ თქვენ რუსეთის ემიგრაციის ისტორიაში კიდევ ერთ ახალ ეტაპს იწყებთ.“

***გადამდგარი გენერალ-მაიორი, ყოფილი სსრკ სახალხო დეპუტატი ოლეგ კალუგინი***
***20.03.2000***
***ვაშინგტონი, აშშ***

## კვირის ფრაზა:

დღეისთვის ერთი რამ ნათელია — რუსეთის (მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა) ჯარის რეპუტაციას ბევრი შავი ლაქა ამჩნევია. მათი უმეტესობა, რა დასამალია, მართლაც დამსახურებულია, **მაგრამ თბილისის 9 აპრილის ტრაგედიაში იგი ნამდვილად უდანაშაულოა.**

***7 აპრილი, 2000 წ. იზვესტია.***

# სულთანი მიდის



არცთუ დიდი ხნის წინ, კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა საქმიანობას მიჰყოფდა ხელს პენსიაზე გასვლის შემდეგ, პრეზიდენტმა დემირელმა უპასუხა, — ყოველ შემთხვევაში, ყვავილების და წიწილების მოშენებას არ დავიწყებ, ნუ წუხართ, საქმეს მოვძებნიო. პრეზიდენტი ხუმრობდა, რადგან 76 წლის პატრიარქს არჩევა მეორე ვადით, თითქმის გარანტირებული ჰქონდა. დღეს „მთავარ მებაღეს“ აღარ ეცინება, მეჯლისმა უარი თქვა კონსტიტუციური ცვლილებები მიეღო განმეორებით კენჭისყრაზე და 16 მაისს დემირელს თავისი დეკორატიული პოსტის დატოვება მოუწევს.

რიგით თურქებს მობეზრდათ დემირელი, უმრავლესობა წინააღმდეგია პრეზიდენტის უფლებამოსილების გაგრძელებისა.

ელიტისთვის დემირელის გადარჩევა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ახალი რაუნდის დაწყების სიგნალია. თურქებს განსაკუთრებული პრეზიდენტი სჭირდებათ — ის უნდა იყოს თავგამოდებული ქემალისტი, არ უნდა აღიზიანებდეს არც სამხედროებს და არც ანკარის დასავლელ პარტნიორებს და რაც მთავარია, უნდა იყოს ყველასათვის ცნობილი, ოღონდ არა ამბიციური.

***ნოვიე იზვესტია №61***

## მოკლედ

ნარკომაფიასთან ბრძოლის უპრეცედენტო ოპერაცია ჩატარდა **ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის** 24 ქვეყანაში ერთდროულად. 17 დღის განმავლობაში დააპატიმრეს 2300 ადამიანი, ამოღებულია 5,5 ტ კოკაინი და 550 კგ ჰეროინი, განადგურებულია ნარკოტიკების დამამზადებელი 94 ლაბორატორია.

**დონის როსტოვის** სასამართლო-ექსპერტიზის ლაბორატორიაში მოზდოკიდან ჩაიტანეს ჩეჩნეთში დაღუპული მძევლის გვამი. შესაძლოა, ეს იყოს გენერალი შპიგუნი, მაგრამ ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ ცხედარი, ექსპერტიზის თანახმად, 3 თვე მიწაში იმყოფებოდა. გამოდის, რომ შპიგუნი იანვარში დაიღუპა, თუმცა რუსეთის შსს-ის მონაცემებით, იგი იანვარში ნამდვილად ცოცხალი იყო.

**ჩეჩნეთში** მოხდა ის, რისიც ასე ეშინოდათ ექიმებს. აჩხოი-მარტანის რაიონში დაიწყო მუცლის ტიფის ეპიდემია. ზაფხულის დადგომასთან ერთად მოსალოდნელია ინფექციურ დაავადებათა ახალი კერების წარმოშობა.

**ბოსნიაში** მდგარმა საერთაშორისო ჯარმა დააპატიმრა ბოსნიელ სერბთა ლიდერი მომჩილო კრაიშნიკი. მას ადანაშაულებენ მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტაში.

14 მლრდ დოლარით გაღარიბდა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი **ბილ გეიტსი**. ეს მოხდა მაშინ, როცა მოსამართლე თ. ჯექსონმა „მაიკროსოფტი“ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევაში დაადანაშაულა.

# ქრისტეს ვიკარი 79 წლისაა, სხვა დანარჩენი — ჭორია



ვატიკანის ბრინჯაოს შეუვალი ჭიშკრის მიღმიდან შემაშფოთებელმა ამბებმა გამოჟონა. ლონდონურმა „სანდი თაიმსმა“ ამას წინათ ქვეყანას ამცნო, რომ 79 წლის იოანე-პავლე -ის მდგომარეობა „შესამჩნევად გაუარესდა“, პონტიფიკი „ფიზიკურად უძლურია შეასრულოს კათოლიკეთა სულიერი მწყემსის მოვალეობები“. იგი ძლივს მოძრაობს და მეტყველებაც გაურკვეველი აქვს.

პარკინსონის დაავადებაზე მითქმამოთქმა აგერ უკვე რამდენიმე წელია, პროგრესირებს, შესაბამისად მძაფრდება ბრძოლაც პაპის ტახტისათვის. 1978 წელს, როცა პოლონელი კარდინალი კაროლ ვოიტილა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურად აირჩიეს, 58 წლის იყო. იგი პირველი პაპი გახლდათ, რომელიც კომუნისტური ქვეყნის მოქალაქე იყო. პირველად კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში მისი მეთაური შეიქნა ყოფილი მუშა, რომელიც ერთ დროს სამოყვარულო სპექტაკლებშიც კი თამაშობდა. ახალ პაპს, განსხვავებით წინამორბედთაგან, შესაშური ჯანმრთელობა აღმოაჩნდა — თავის საზაფხულო რეზიდენციაში, აუზში ბანაობდა, ტენისს თამაშობდა, დილაობით ვარჯიშობდა, ალპებში თხილამურებით დასრიალებდა და დიდხანს სეირნობდა ფეხით მთებში. 1991 წელს მას თვითმფრინავით დაახლოებით 800.000 კმ ჰქონდა დაფარული, რაც ორჯერ მეტია დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილზე. მიმდინარე წლის თებერვალში, მიუხედავად შეუძლოდ ყოფნისა, სამი დღე ეგვიპტეში გაატარა. ეს იყო მისი 90-ე მგზავრობა უცხოეთში. მარტის ბოლოს მოილოცა იორდანიის, პალესტინისა და ისრაელის წმიდა ადგილები. კაროლ ვოიტილამ, პირველმა პაპთაგან, ფეხი შედგა სინაგოგაში, ლუთერის რეფორმების შემდგომ პირველი ეწვია პროტესტანტულ ეკლესიას, პირველმა მიმართა საჯაროდ მაჰმადიანებს. რაც შეეხება რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ვატიკანის მეთაურმა არაერთხელ შესთავაზა პატრიარქ ალექსი -ს შეხვედრა. მაგრამ მოსკოვი აშკარად უარყოფდა წინადადებას იმ მოტივით, რომ „სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია პროზელიტობას — სხვა რჯულზე ადამიანების ძალით მოქცევას არ ეწევა“. ამ ხნის მანძილზე პაპმა ათიათასობით ქადაგება წარმოთქვა — მათი მთავარი თემა იყო და არის — მშვიდობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, სიცოცხლის ხელუყოფლობა. ამას წინათ კი მან საჯაროდ მოინანია კათოლიკური ეკლესიის კაცობრიობის წინაშე საუკუნეების მანძილზე ჩადენილი დანაშაულებანი.

პაპის პირველი აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები ექიმები შეიქნენ. ერთიმეორის მიყოლებით აქებდნენ მის გაკაჟებულ ჯანმრთელობას. ეჭვგარეშეა — კაროლ ვოიტილა ძლიერი, მამაცი და არაორდინარული პიროვნებაა. ცხოვრებაში ბევრი რამ გადაიტანა. 24 წლისას სატვირთო მანქანა დაეჯახა და ოპერაცია დასჭირდა. 1981 წელს მძიმედ დაჭრა თავდასხმის დროს თურქული ექსტრემისტული ორგანიზაცია „რუხი მგლების“ წევრმა ალი აღჯამ. ტერაქტის მოტივები დღემდე უცნობია. თავდასხმიდან რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ კლინიკაში მოხვდა — ოპერაციის შემდგომი გართულებით. 1992 წელს ისევ ოპერაცია, კეთილთვისებიანი სიმსივნე ამოაჭრეს ნაწლავებიდან. პონტიფიკის პირადი ექიმი რენატო ბუტონეტი, რომელსაც „პაპის აჩრდილს“ უწოდებენ, ამბობს, რომ იოანე-პავლე -ს არ უყვარს პაციენტის როლში ყოფნა, ანალიზების ჩაბარება და წამლების სმა. ამიტომაც ექიმის კონტროლი შეუმჩნეველი უნდა იყოს. პონტიფიკს განსაცვიფრებელი უნარი აქვს ტკივილის ატანისა. ეს მან 1993 წლის ნოემბერშიც დაამტკიცა, როცა რომში გაეროს ერთ-ერთი ორგანიზაციის პრესკონფერენციაზე წაიქცა. პაპი კლინიკაში მხოლოდ 5 საათის შემდეგ მივიდა. დიაგნოზის მიხედვით, ბეჭის სახსარი გაბზარული და ამოვარდნილი ჰქონდა. ტკივილი ამ დროს აუტანელია, მაგრამ პაპი ტკივილს ითმენდა. როგორც კი თაბაშირი მოხსნეს, მაშინვე დაუბრუნდა თავის დღის განრიგს — 17 საათიან სამუშაოს. „თქვენო უწმინდესობავ, უფრო უკეთესად გამოიყურებით, ვიდრე ოპერაციამდე“ — უთქვამს ერთ იტალიელ ეპისკოპოსს: „თქვენც ხომ არ გაიკეთებდით ოპერაციას?“ — უპასუხა იოანე-პავლე -მ. ეს ანეკდოტი მრავლისმეტყველია მის ამტანობასა და იუმორზე.

ყოველთვის, როცა პონტიფიკი ავად ხდება, ასაკის მატებისდა მიხედვით, სიტყვა „გადადგომა“ სულ უფრო ხშირად გაისმის. იანვრის დასაწყისში გერმანელი კათოლიკეების მეთაურმა, ეპისკოპოსმა კარლ ლემანმა განაცხადა: „რომის პაპმა უნდა აღიაროს, რომ მას აღარ ძალუძს მოვალეობების აღსრულება იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა“. ლემანს ვატიკანი არ უყვარს იმ მიზეზით, რომ გერმანელები წმიდა დედაქალაქის ბიუჯეტის 1/5-ს ფარავენ და ამერიკელებთან ერთად მისიონერული სამუშაოს მთავარი სპონსორები არიან. გერმანელ ეპისკოპოსებს სურთ, რომ მათ ხმას მეტი ძალა ჰქონდეს ვატიკანში. „პროგრესისტი“ ეპისკოპოსის განცხადებამ ვატიკანი აღაშფოთა. მეორე დღეს ლემანი იძულებული შეიქნა, თავი ემართლებინა — ჩემი სიტყვები არასწორად გადასცესო. მხედველობაში ის მქონდა, რომ „ეკლესიას ძლიერი ლიდერი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია მოთოკო სხვადასხვა შეხედულების მქონე მილიარდობით მორწმუნე“. ასეა თუ ისე, ქვა მაინც ისროლეს და პონტიფიკის პასუხმაც არ დააყოვნა: „უფალი ადამიანს აძლევს იმდენ ძალას, რამდენიც შეუძლია... ვერავინ გააკეთებს იმაზე მეტს, რაც მიცემული აქვს“. „პაპი — ეკლესიის მამაა, მამობაზე კი უარს არ ამბობენ“, — იმეორებდნენ ყოველდღე ვატიკანში. თეორიულად პაპს შეუძლია გადადგეს. ეს კანონიკური კოდექსითაცაა გათვალისწინებული, მაგრამ „გადაწყვეტილება უნდა მიიღოს თავად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე“. მარკო პოლიტი, რომელმაც ზედმიწევნით იცის „რას ხარშავენ, აცხობენ და წვავენ“ ბრინჯაოს ჭიშკრის მიღმა, ამბობს, რომ 5 წლის წინ პაპმა მეცნიერებს სთხოვა, გაეანალიზებინათ გადადგომის შესაძლებლობა. პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: „ეკლესია ვერ შეეგუება ორი პაპის პარალელურ არსებობას — მოქმედისას და — პენსიონერისას“. მიუხედავად ამისა, ტახტის მემკვიდრეობის ამბავი უკვე დღის წესრიგში დგას. ვინ იქნება რომაულ-კათოლიკური ეკლესიის შემდეგი მეთაური? ამის შესახებ მაშინ გავიგებთ, როცა სიქსტის კაპელას მილიდან თეთრი კვამლი ამოვა. ეს იქნება სიგნალი — ახალი პაპი არის! სიქსტის კაპელაში სხდომები იმართება. ვარაუდობენ, რომ ახალი პაპი იტალიელი ან ლათინურამერიკელი იქნება. როგორც ისტორიკოსი მარკო პოლიტი მიიჩნევს, პაპის გარშემო ძლიერი ესპანურ-ამერიკული ლობი შეიქმნა. იგი დაკავშირებული უნდა იყოს „ოპუს დეისთან“ („ღვთის საქმე“ — ორგანიზაცია შეიქმნა 1928 წელს ესპანეთში და დღემდე მე-20 საუკუნის კათოლიკური ეკლესიის ყველაზე გასაიდუმლოებული უწყებაა) და წმიდა პეტრეს ტახტს ლათინური ამერიკის წარმომადგენელს უმზადებს.

ახლა სულ უფრო ხშირად ახსენებენ ბრაზილიელი კარდინალის ლუკაშ მორეირა ნევიშის, სან-სალვადორე დე ბაიას არქიეპისკოპოსის სახელს. მისი ხილვა პაპის ტახტზე „მესამე სამყაროს“ სურს. სხვა ლათინურამერიკულ „ვარსკვლავებს“ შორის არიან — მექსიკელი ნორბერტო რივერა კარეკა და კუბელი ხაიმე ორტეგა. ანგარიშგასაწევი არიან იტალიელებიც — ვატიკანის „პირველი მინისტრი“ ანჯელო სოდანო და რომის ვიკარი კამილო რუინი. პრესაში გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ახალი წლის მესას დროს, პაპმა კარდინალ რუინისაკენ გაიშვირა ხელი და თქვა: „აი, შვილი ჩემი რჩეული“. სულ პრეტენდენტთა სიაში 15 „ეკლესიის თავადია“, ასე უწოდებენ კარდინალებს.

*ეხო პლანეტი №13*

## მოხამხახურე მემუარებს წერს



ეს ამბავი 1994 წელს დაიწყო. 24 წლის ინგლისელი ქალიშვილი მოგზაურობიდან დაბრუნდა და სამსახურის ძებნას შეუდგა. გაზეთში განცხადებას წააწყდა, — სამბავშვიან ოჯახს მზრუნველი ძიძა სჭირდებოდა. ოჯახის დიასახლისთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ როზალინდა მარკმა მუშაობა პარლამენტარ ტონი ბლერის რესპექტაბელურ ოჯახში დაიწყო. როზა მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ სამი წლის შემდეგ ეს პარლამენტარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, ხოლო თვითონ — დიდი ბრიტანეთის პირველი ძიძა.

ბლერების ოჯახი გადასახლდა დაუნინგ-სტრითის №10-ში, პირქუშ, დიდ შენობაში, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრების რეზიდენციაში. შათთან ერთად, რა თქმა უნდა, გადმოსახლდა როზაც და, სხვათა შორის, დედამისიც. ბლერებისა და მარკების ოჯახების ურთიერთობამ სავსებით გააბათილა კარლ მარქსის მცნება კლასობრივი ბრძოლის შესახებ. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ოჯახის დიასახლისი, სტუმრად მიმავალ მარგარიტას (როზას დედას), თავის ტანსაცმელს და სამკაულებს ათხოვებდა ხოლმე.

მაგრამ 1998 წლის აგვისტოში იდილია დასრულდა. როზამ გადაწყვიტა, პედაგოგი გამხდარიყო და სასწავლებლად წავიდა.

2000 წლის 5 მარტს, პრემიერის პრესმდივნის, ალისტერ კემპბელის სამუშაო მაგიდაზე აღმოჩნდა გაზეთ „მაილ ონ სუნდაი“-ს მეორე დღის, კვირის ნომერი. პირველ გვერდზე კი დიდი ასოებით დაბეჭდილი იყო ვინმე როზალინდა მარკის წიგნის სათაური „დაუნინგ-სტრითზე გატარებული წლები“. იქვე იყო ამ ამაღელვებელი ნაწარმოების პირველი თავი. თურმე მშვენიერი ძიძა — როზა სასწავლებლად კი არა, მემუარების დასაწერად წასულა დაუნინგ-სტრითიდან.

კემპბელმა გადაიკითხა ტექსტი და მაშინვე ტელეფონის ყურმილს დასწვდა. 1.45 სთ-მდე სამეფო სასამართლოს მორიგე მოსამართლე (რომელიც ძლივს გააღვიძეს) უკვე ხელს აწერდა მარკის წიგნის გაზეთში გამოქვეყნების დროებით აკრძალვას. 1.58 სთ-ზე კურიერმა აკრძალვის ორდერი გაზეთის რედაქციაში მიიტანა. ღამის 2 სთ-ზე სტამბის საბეჭდი მანქანები გააჩერეს, მაგრამ 1,5 მლნ ეგზემპლარი უკვე შთანთქა ლონდონის ნისლიანმა ქუჩებმა...

დილით ტონი ბლერმა ასე ახსნა ღამის ეს ციებ-ცხელება: „როგორც პრემიერ-მინისტრს, რა თქმა უნდა, კარგად მესმის პრესის ინტერესი ჩემი და ჩემი ოჯახისადმი. მაგრამ მე, ამავე დროს, მამაც ვარ და მეუღლეც და აუცილებლად დავიცავ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კანონს“.

თავად როზა უარყოფს იმას, რომ მემუარების გამოქვეყნებას აპირებდა ტონი ბლერის ოჯახის თანხმობის გარეშე. მან ყველაფერი გადააბრალა თავის სალიტერატურო აგენტს, რომელმაც თითქოს თვითნებურად გადასცა დისკეტი რედაქციას. მაგრამ გაზეთის რედაქციას ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა ვერსია გააჩნია: „მარკი გულახდილად საუბრობდა ჩვენთან და დაგვიდასტურა, რომ ეძებდა გამომცემელს თავისი წიგნისთვის და შინაარსსაც გვიყვებოდა. მან იცოდა, რომ ჩვენ სტატიას ვწერდით და ბლერის ოჯახთან გადაღებული ორი ფოტოსურათიც გადმოგვცა“. სანამ ეს გულამაჩუყებელი ურთიერთგარკვევა მიმდინარეობდა, პრემიერის მეუღლემ, ცნობილმა იურისტმა შერი ბლერმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა გაზეთის, როზა მარკისა და მისი აგენტის წინააღმდეგ. მისი მოთხოვნები საკმაოდ ნათელი იყო: მემუარების გამოქვეყნების სამუდამო აკრძალვა, მთელი დოკუმენტებისა და კომპიუტერის დისკეტების მისთვის გადაცემა და 15.000 გირვანქა სტერლინგის კომპენსაციის გადახდა.

შერი ბლერმა, რა თქმა უნდა, პროცესი მოიგო. გაზეთს ენა ჩააგდებინეს. როზასთან შერიმ მოლაპარაკება არჩია. მადლიერმა როზამ შერის მთელი წიგნის ხელნაწერი გადასცა.

გაზეთს და აგენტს კი მოუწევთ 15.000 სტერლინგის გადახდა. შესაძლებელია, ამ ფულით ქ-ნი ბლერმა ახალი ძიძა დაიქირავოს, რომელიც როზასავით ვერაგი არ იქნება.

*მკ ბულვარი №13*

## ხშირად იპარავენ და იშვიათად პოულობენ...

სამუზეუმო ძვირფას ექსპონატებს ხშირად იპარავენ და იშვიათად პოულობენ. დეტექტივები ხანდახან წლობით უდგანან კვალში მოხერხებულ დამნაშავეებს და იშვიათად აღწევენ საბოლოო მიზანს.

22 წლის განუწყვეტელი ძებნის შემდეგ მოახერხა ინსპექტორმა იურგენ ოდსნერმა მიეგნო კოლექციისათვის, რომელიც ეკუთვნოდა შუა საუკუნეების საქსონიის მმართველებს. კოლექციაში შედიოდა ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭდები, ლალით მოოჭვილი პლატინის სამაჯურები, რომელთა საერთო ღირებულება მილიონობით დოლარი იყო და მეტად საიდუმლო ვითარებაში გაქრა დრეზდენის გალერეიდან, კომუნისტების მმართველობის პერიოდში.

ჯერ კიდევ მაშინ დაეჭვდნენ, რომ ძვირფასეულობის გატაცებაში მონაწილეობდნენ ყოვლისშემძლე შტაზის (გდრ-ის საიდუმლო სამსახური) თანამშრომლები, იმდენად პროფესიულად იყო ეს ოპერაცია განხორციელებული; მაგრამ პოლიციელები სდუმდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ გრძელ ენასთან ერთად თავსაც კარგავდნენ.

მიუხედავად ამისა, ჯიუტი ოდსნერი მაინც განაგრძობდა ძვირფასეულობის ძებნას და მხოლოდ ცოტა ხნის წინ მიაგნო კვალს, რომელმაც ოსლოს ერთ, მეტად შეუმჩნეველ ანტიკვართან მიიყვანა. ინსპექტორი დააკვალიანა შტაზის ყოფილმა თანამშრომელმა, ძვირფასი მონეტებით მოვაჭრემ, რომელიც ხშირად სტუმრობდა სკანდინავიაში და იქიდან ფულით გამოტენილი ჯიბეებით და ახალი საყვარლით ბრუნდებოდა.

ოსლოელ ანტიკვარს ძალიან გაუკვირდა, როცა მაღაზიაში გერმანელი დეტექტივები ეწვივნენ. ნორვეგიელმა კატეგორიულად უარყო თავისი მონაწილეობა დრეზდენიდან გატაცებული ძვირფასეულობის საქმეში, მაგრამ მისი დამტვერილი საწყობის გაჩხრეკისას, ოდსნერმა აღმოაჩინა ორი ათეული წლის წინ გატაცებული საქსონური კოლექციის დიდი ნაწილი. ჯერჯერობით, ვერ ამტკიცებენ ამ ოპერაციაში შტაზის მონაწილეობას.

ასევე ოსტატურად შეეცადნენ კვალის დაფარვას 1990 წელს საბერძნეთის ანტიკური მუზეუმის მძარცველებიც. შემოდგომის ერთ საღამოს, ბანდიტებმა მუზეუმს მიაყენეს მძლავრი ავტოამწე, სახურავზე აძვრნენ და მალე შენობაში ამოყვეს თავი. გაიტანეს უძველესი ანტიკური ნაკეთობანი, სულ 279 უძვირფასესი ექსპონატი, რომლის ღირებულება 200 მლნ დოლარს შეადგენდა. განძი გემით გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს. წლების განმავლობაში ვერც ბერძენმა დეტექტივებმა და ვერც ინტერპოლმა ვერაფერი იპოვეს. გატაცებული საუნჯეთა შორის იყო ჩვ. წლ-მდე V საუკუნის მოქანდაკის, ფიდიასის მიერ შექმნილი აფროდიტეს და ეროსის ქანდაკებები, ტერაკოტის მოოქრული ლარნაკები და ძველი საბერძნეთის გამოჩენილ მოღვაწეთა ბიუსტები.

მაძებრებს, როგორც ყოველთვის, შემთხვევა დაეხმარათ. ახლახან, მაიამის პოლიციამ კოკაინის პარტიის ძებნაში, მოულოდნელად გაჩხრიკა ერთი ფირმა. თევზის გადასატან დიდ კალათებში აღმოაჩინეს სწორედ კორინთოდან გატაცებულ საუნჯეთა ნაწილი. პოლიციამ დააპატიმრა ფირმის მეპატრონე და საწყობის ზოგი თანამშრომელი, მაგრამ ანტიკური ძვირფასეულობის თავხედ გამტაცებლებს ვერ მიაგნეს.

ზოგი მიმომხილველი აღნიშნავს,



რომ მაიამის შემოგარენში ეწყობა არალეგალური აუქციონები, სადაც ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები იყიდება. აუქციონში მონაწილეობენ კერძო კოლექციონერები, განსაკუთრებით კი, ნარკობარონები; როგორც ჩანს, თევზის საწყობში აღმოჩენილი ექსპონატებიც ასეთი აუქციონებისთვის იყო განკუთვნილი. ანტიკური ოსტატების შედევრები დღითი დღე ძვირდება და საარაკო თანხებს აღწევს.

*თაიმსი №9*

## ბელადების მენიუ

ჩინგის-ხანი მებრძოლებს სისხლს ასმევდა და უმ ხორცს აჭმევდა. ყოველი ბრძოლის წინ ნაპოლეონი ლხინს მართავდა. ჰიტლერი, პირიქით, მკაცრ დიეტას იცავდა. ბელადებისა და მხედართმთავრების კულინარულ გატაცებებს მიეძღვნა მილანში გამართული გამოფენა.

როგორც გერმანელი ფილოსოფოსი ფოიერბახი ამბობდა, ადამიანი შედგება იმისაგან, რაც ჭამა. ირკვევა, რომ საკვები ადამიანის არა მარტო აღნაგობაზე, არამედ ერთდროულად ხასიათზეც ახდენს გავლენას. შეჭმულ-შესმული განსაზღვრავს ხასიათს, ტემპერამენტსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ინტელექტსაც. მილანში გამოფენის ორგანიზატორებმა მიზნად დაისახეს ისტორიული პიროვნებების მაგალითზე კაცობრიობის გამოცდილების განზოგადება. ექსპოზიციას ამშვენებდა „კარისკაცთა მატიანეებიდან“ ამონარიდები, რომელიც დამთვალიერებელს აცნობდა, რით ნაყრდებოდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი; შეგვეძლო, გაგვეცნობოდით, მათ მოგონებებს, ვისაც ლუკმა გაუყოფია „ხალხთა მამებთან“, იმპერატორებსა და დიად მწყემსებთან ერთად.

ჭეშმარიტ ფრანგს — **ნაპოლეონს** მუდამ თან ახლდა მზარეული, რომელიც უფრო დაახლოებული ყოფილა იმპერატორთან, ვიდრე მარშლები. ყოველი ბრძოლის წინ გამართულ ლხინზე უამრავი ღვინო ისმებოდა და კერძს კერძი ცვლიდა.

**ჰიტლერი** არც ეწეოდა და არც სვამდა. ფიურერი არ ეკარებოდა ყავას და მაგარი ჩაის დალევასაც გაურბოდა, სამაგიეროდ, სიამოვნებით აგემოვნებდა ბალახეულის ჩაის. მის „კოლეგას“ **ბენიტო მუსოლინის** ფქვილის ნაწარმი უყვარდა და ყოველთვის დაატარებდა ჯიბით პურის ნაჭერს. დუჩეს „არისტოკრატიულ პლებეის“ უწოდებდნენ.

**სტალინი**, დასავლელ თანამედროვეთა მოგონებით, „როგორც ყველა რუსი, არაყს სვამდა (დავაზუსტებთ — არაყს კი არა, ქართულ ღვინოს). **ლენინს** ხიზილალიანი ბლინები ჰყვარებია.

ხიზილალა და ნანადირევი **ნიკოლოზ ჩაუშესკუს** ნუგბარი კერძები ყოფილა. კარპატების დათვზე ნადირობა რუმინელი დიქტატორის საყვარელი დროსტარება იყო. ტყუილად როდი უწოდებდნენ „კარპატების გენიოსს“.

**ფიდელ კასტროს** საყვარელი კერძი ცხარესაწებლიანი წიწილა ყოფილა. რაც შეეხება **მაო ძედუნს**, ეგზოტიკური საჭმელი — ძაღლის ხორცი უყვარდა. მუსრი გაუვლია შარპეის იშვიათი ჯიშისთვის, რამდენიმეს გადარჩენა მოხერხდა სახეობის შესანარჩუნებლად. ერთობ ექსტრავაგანტური მიდრეკილებით გამოირჩეოდა აფრიკელი ტირანი **იდი ამინი**. ერთხელ, როგორღაც, სამთავრობო კრიზისისთვის რომ სასწრაფოდ მოეღო ბოლო, ნიანგებით სავსე ტბორში ჩაყარა ორი ურჩი მინისტრი.

მოკლედ, ისტორია — საჭმელია, საჭმელი კი — ისტორია. ამ სენტენციის ყველაზე აშკარა დადასტურება, ალბათ, საფრანგეთის რევოლუციაა. როგორც ცნობილია, რევოლუცია მას შემდეგ დაიწყო, რაც დედოფალმა მარია ანტუანეტამ უპურიოდ დარჩენილ ხალხს ურჩია, ნამცხვრები ჭამეთო.

*ექსპრეს გაზეთა №33*

# ბევრისთვის არასასურველი პიროვნება უფრო ვარ, ვიდრე პოპულარული...

***რედაქციისგან:*** როგორც რუბრიკის სახელწოდებაც მიგანიშნებთ, ეს არის მცდელობა, მკითხველს წარმოუდგინოს ესა თუ ის ცნობილი პიროვნება პოლიტიკისა და დაპირისპირების, ჩაკირკიტებისა და ანგარიშსწორების გარეშე, სადაც ინტერვიუერი თავად წარმოდგება თქვენს წინაშე საკუთარი თვალთახედვითა და შეფასებით.

***ვიცნობდეთ ერთმანეთს.***

## ბავშვობა და სტუდენტობა

**— თქვენი ბავშვობის ყველაზე ლამაზი მოგონება...**

— მიჭირს ეპიზოდებად დავყო ბავშვობა, რადგან იგი ჩემს მეხსიერებაში ერთ მთლიან, ლამაზ მოგონებად რჩება. ჩემს ოჯახში ოთხი თაობა იყრიდა თავს და ეს დიდი ოჯახი თავისი ტრადიციებით სიამაყესთან ერთად ყოველთვის სასიამოვნო გრძნობებს იწვევდა ჩემში. განსაკუთრებული სითბოთი მინდა ვახსენო ბებია (დედის დედა), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს აღზრდაში. მოსწავლეობაში ლექსებს ვწერდი, ბებია კი ამ ლექსებს მის ძმას — გრიგოლ აბაშიძეს აკითხებდა.

**— ბევრისთვის სკოლის პერიოდი უსიამოვნო განცდას იწვევს. ამ მხრივ, თქვენთან როგორაა საქმე?**

— ჩემთან პირიქითაა. ერთადერთი საგანი, რომელიც არ მიყვარდა, ფიზიკა გახლდათ. სკოლაში გვქონდა საბავშვო თეატრი. მასწავლებლები ამ თეატრს მოწყალე თვალით უყურებდნენ, ამიტომაც მოსწავლეები ვცდილობდით, ბევრი სპექტაკლი დაგვედგა. ამით გაკვეთილების გაცდენის შესაძლებლობაც გვეძლეოდა და, რაც მთავარია, პედაგოგების გულს ვიგებდით. პირადად მე, მრავალი ჰეროიკული როლი მაქვს ნათამაშები. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, რაშიც ლომის წილი ჩვენს თეატრს მიუძღვის, თორემ ფიზიკა აუცილებლად „ჩამომალაბორანტებდა“.



**— დადიოდით ე.წ. „შატალოებზე?“**

— კი, როგორ არა! ერთხელ, ორი თანაკლასელი გოგონა დავპატიჟე ლაღიძის ხაჭაპურებზე. ეს ის მკაცრი პერიოდი იყო (1982-83 წწ), როცა ანდროპოვის განკარგულებით სამუშაო საათებში გარეთ უსაქმოდ ხეტიალი ყველას ეკრძალებოდა. ჩვენც დილით, „სამუშაო საათის“ დროს წაგვასწრეს სახაჭაპურეში და სწორედ იმ დროს, როცა გემრიელად ვილუკმებოდით, ხელი ჩამავლეს და მილიციაში წამაბრძანეს, როგორც სკოლის რეჟიმის „უხეშად დამრღვევი“. დაკითხვისას იძულებული ვიყავი ლამაზი ტყუილი მეთქვა: შეყვარებული დავპატიჟე-მეთქი. ჯერ გაეღიმათ, მერე გაუკვირდათ: უყურე შენ, რა ცუღლუტია, ორივე შეყვარებული ერთად დაპატიჟაო. ახლა ბევრ რამეს იძიებენ ჩემზე. წარსულიდან ხან რას ამომიქექავენ, ხან — რას. ზოგიერთმა პროკურორმა კიევიდანაც კი გამოითხოვა ჩემი სტუდენტობის დროინდელი მასალები. ჰოდა, მინდა საქმე გავუადვილო. მიაკითხონ მთაწმინდის პოლიციას და მოიკითხონ შატალოს ამბები.

**— პირველ სიყვარულზე რას მეტყვით?**

— საბავშვო ბაღიდან სულ შეყვარებული ვარ. როცა მიჭირს, იმ პირველ გრძნობებს ვუბრუნდები ფიქრით.

**— გქონიათ ცხოვრებაში ისეთი მარცხი, რომელმაც დიდი გულისტკივილი მოგაყენათ?**

— პირველი მარცხი მაშინ ვიგემე, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წავედი უმაღლეს სასწავლებელში (საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში) მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. ეს იყო 1984 წელს. რექტორატს მაშინ პირდაპირი მითითება ჰქონდა, რომ ქართველები არ მიეღო. ამან ჩემში სერიოზული სტრესი გამოიწვია. ეს გაკვეთილი მთელი ცხოვრება გამომყვა.

**მოკლე ბიოგრაფიული „დოსიე“:**

***მიხეილ სააკაშვილი დაიბადა 1967 წელს, თბილისში. დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა კიევის უნივერსიტეტში. შემდეგ კი განათლების მიღება დაასრულა სტრასბურგის, ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის უმაღლეს სასწავლებლებში. აქვს იურიდიული და დიპლომატიური განათლება. 1998 წლიდან არის „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის თავმჯდომარე, 2000 წელს კი არჩეულ იქნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად.***

**— როგორ წარიმართა სტუდენტობის წლები?**

— ყოველთვის ელიტურ უმაღლეს სასწავლებლებში ვსწავლობდი, თუმცა კიევის უნივერსიტეტში მხოლოდ მე ვიყავი ის ერთადერთი სტუდენტი, რომელსაც ცნობილი დედ-მამა არ ჰყავდა. კიევში სწავლის დროს ასეთი ინციდენტიც მოხდა: ერთ-ერთმა ჩემმა ამხანაგმა უშიშროებაში დამასმინა. აქტიური დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ის ანტისაბჭოთა ლიტერატურა, რომელიც მაშინ ჩუმად, ხელიდან ხელში ვრცელდებოდა, ყოველთვის მაინტერესებდა. სწორედ ამის გამო მოვხვდი „შავ სიაში“. ბოლოს, ისევ ცნობილი პიროვნებების შვილებმა გადამარჩინეს.

**— სტუდენტობაში ვისგან გრძნობდით მორალურ მხარდაჭერას, ეკონომიურად ვინ გიმართავდათ ხელს?**

— დედას ყოველთვის კარგი ხელფასი ჰქონდა, როგორც პროფესორი, 500 მანეთს იღებდა, აქედან 300 მანეთს მე მიგზავნიდა. ბებია-ბაბუაც მეხმარებოდა. მამისგანაც მუდამ ვგრძნობდი მხარდაჭერას.

**— მიგაჩნიათ, რომ თქვენი ცოდნა სრულფასოვანია და ღრმა, რომელ ენებს ფლობთ?**

— თვითკმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ. დღესაც კი ჩემს მუშაობაში სულ უკმარისობის გრძნობა მაქვს. დღემდე ვნანობ, რატომ უფრო მეტი დრო არ დავუთმე სწავლას. როდესაც სადოქტოროს შევეჭიდე, ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა ტომას ბიურგენტალმა (იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი იურისტია) მირჩია, რთული ლათინური სენტენციის ნაცვლად, მემუშავა თემაზე „ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება“. მეც დავიწყე, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე. ენებიდან ვიცი რუსული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური და უკრაინული. დედაჩემმა ჩემზე ორჯერ მეტი ენა იცის, მათ შორის არაბული, სპარსული და თურქული. ასე რომ, მისგან ეს ნიჭიც ბოლომდე ვერ დამყვა.

## სიყვარულზე, ოჯახსა და კიდევ სხვა თემებზე

**— გჯერათ ერთი ნახვით შეყვარების?**

— რა თქმა უნდა. საერთოდ, პირველი შთაბეჭდილება უტყუარია.

**— ვინ არის თქვენთვის იდეალური ქალი?**

— დედა! ის ჩემზე ოცი წლით უფროსია და ჩემი საუკეთესო მეგობარია. დედაჩემი, გიული ალასანია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სპეციალისტია. სწორედ მან ჩამინერგა საქართველოს ისტორიისადმი ინტერესი და ეს ინტერესი დღესაც ძალიან მშველის გადაწყვეტილებების მიღებაში. იგი არაჩვეულებრივი დედა არის და კარგი ბებიაც აღმოჩნდა.

**სტრასბურგის ისტორიულ დარბაზში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ქართველი ვიცე-პრეზიდენტი რომ რუს დეპუტატს მიკროფონს უთიშავს, მე მგონი, უკვე რაღაცას ნიშნავს.**

**— თქვენი თვალით დანახული მიხეილ სააკაშვილი როგორც შვილი, მეუღლე და მამა?**

— დედაჩემი კარგ შვილად მთვლის. როგორც მეუღლე და მამა — ცოტა უყურადღებო ვარ. პარლამენტში მუშაობის პირველმა წლებმა ისე გამიტაცა, რომ რევოლუციონერის კომპლექსი გამიჩნდა, თუმცა ახლა ვცდილობ, გამოვსწორდე. ჩემს შვილთან უფრო დიდხანს ყოფნას ვახერხებ.

**— თქვენი მეუღლე სანდრა ჰოლანდიელია. როგორ შეეგუა იგი ქართველების რძლობას?**

— სანდრა საკმაოდ დამოუკიდებელი ადამიანია. იმდენად კონტაქტური და კომუნიკაბელურია, რომ საქართველოში ლამის ჩემზე მეტი ნაცნობი ჰყავს. მას ნახევარი საქართველო მოვლილი აქვს თავისი ჰუმანიტარული საქმიანობით. ძალიან მესიამოვნა, როცა ახლახან სოფელ ხურჩაში მაჩვენეს სანდრას ნაჩუქარი ქართული სახელმძღვანელოები.

**— ამბობენ, რომ თქვენს შვილს ჩვენი პრეზიდენტის პატივსაცემად ჰქვია ედუარდი.**

— სანდრას მამასაც ედუარდი ჰქვია... მის პატივსაცემად დავარქვით ეს სახელი.

**— დადიხართ ეკლესიაში?**

— სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვახერხებ. სანდრა კი არა მარტო დადის, მარხულობს კიდეც და მოძღვარიც ჰყავს სიონის ეკლესიაში. იგი ჯვრისწერის დროს მოინათლა მართლმადიდებლურად. პატარა ედუარდიც ისე იზრდება, რომ როცა ეკლესიას ან მონასტერს მივუახლოვდებით, ხელი თავისით გაურბის პირჯვრის გადასაწერად. ეს სანდრას დამსახურებაა, თუმცა ბავშვს ამაში გენეტიკაც უწყობს ხელს. ჩემი დიდი ბაბუა (დედის მხრიდან) გახლდათ იოსებ წერეთელი — საქართველოს მთავარი საეკლესიო მოსამართლე. მას ქუთაისში ჰქონდა რეზიდენცია. რაც შეეხება სააკაშვილების გვარს, ადრე კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი ყოფილა, რაც უკავშირდება სულხან საბას მოღვაწეობის პერიოდს. იგი ხომ კათოლიკურ სარწმუნოებაზე ქართველთა მოქცევას ცდილობდა. ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ცნობილი წინამძღვარი დამიანე სააკაშვილი ჩვენი ნათესავი იყო. ჩემი წინაპრებისგან განსხვავებით, მე, როგორც მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, კათოლიკე მოვაქციე მართლმადიდებლად.

**— ხშირად გიჩნდებათ სხვისი დახმარების სურვილი? რა არის თქვენთვის სიკეთე?**

— ჩემთვის სიკეთე ის არაჩვეულებრივი უნარი და ნიჭია, რომელიც გიბიძგებს სხვისთვის გაწირო ყველაფერი ისე, რომ სამაგიერო არ მოითხოვო. ზოგი სხვას ეხმარება, მაგრამ მერე თავისივე სიკეთის რეკლამირებას ითხოვს. ამას სიკეთე კი არა, ანგარება ჰქვია. მე ბევრს დავხმარებივარ, მაგრამ მას, ვინც დღემდე ჩემს ერთგულ მეგობრად დარჩა, არასოდეს არაფერი უთხოვია ჩემთვის.

**— თვლით, რომ თანამდებობა ცვლის ადამიანის ბუნებას?**

— ბევრისას ცვლის, განსაკუთრებით კი — პატარა ადამიანისას.

**— ხანდახან ხომ არ გაღიზიანებთ თქვენივე პოპულარობა?**

— დღემდე მე ბევრისთვის არასასურველი პიროვნება უფრო ვარ, ვიდრე პოპულარული. ჩემი პირდაპირობით ბევრი მტერი გავიჩინე, თუმცა მიმაჩნია, რომ „მტრებს“ არ ვებრძვი. ყოველთვის ვცდილობ, უმიზეზოდ არავის ვატკინო გული. უშეცდომო ადამიანი არ არსებობს და მეც მომსვლია უნებლიე შეცდომა. ამ შემთხვევაში არც მონანიებასა და ბოდიშებზე ვიხევ უკან. დიდი შვებაა, როცა ხმამაღლა აღიარებ შეცდომას. ამ უნარის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი მეგობრობა.

**— რა მიგაჩნიათ თქვენი ერის ნაკლად და ღირსებად?**

— სამწუხაროა, რომ არ გაგვაჩნია სახელმწიფოებრიობის გრძნობა და ვართ ეგოცენტრიკულები, სამაგიეროდ, გვაქვს ის ღირსება, რასაც ეროვნული თავმოყვარეობის მაღალი ხარისხი ჰქვია. ქართველებს რომ არ გაგვაჩნდეს შინაგანი დისციპლინა და ქრისტესმიერი თმენის უნარი, ალბათ, 1992-95 წლებს ვერც გადავიტანდით.

**— პოლიტიკოსთაგან ბევრია ისეთი, რომელიც რომანტიკული ბუნებით ვერ დაიტრაბახებს. თქვენ ეკუთვნით ასეთ პოლიტიკოსთა ჯგუფს?**

— არა! მე ასეთთა ჯგუფს ნამდვილად არ ვეკუთვნი. ბავშვობაში ლექსებს ვწერდი და ვთარგმნიდი კიდეც. გალაკტიონის, ვაჟას ლექსები მაქვს ინგლისურად გადათარგმნილი. ერთ-ერთი თარგმანი — „ქარი ქრის“ პოეზიის ინგლისურ კრებულშია შეტანილი. დღემდე მიყვარს ნოდარ დუმბაძე, ძალიან ვაფასებ ბულგაკოვს, მარკესს და მიხეილ ჯავახიშვილს, პოეზიაში კი გალაკტიონზე წინ ვერავის ვაყენებ. ხშირად ვოცნებობ და მიმაჩნია, რომ ოცნება გარკვეული მოქმედების ერთგვარი პროგრამაა. მაგალითად, ჩემთვის ოცნებას წარმოადგენდა რუსეთის სასაზღვრო ძალების ჯარების გაყვანა საქართველოდან, პარლამენტარობა და ევროსაბჭოს წევრობა. ხომ ხედავთ, ყველა ოცნება ამიხდა. ჩემს ამასწინანდელ სიზმარს გაგიმხელთ: ვითომ 7 წლის ჩამოსული ვიყავი საქართველოში და ამ ხნის განმავლობაში ჩემი ქვეყნისთვის ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი. როცა გამეღვიძა, ცივ ოფლში ვცურავდი. კიდევ კარგი, 4 წელზე მეტი არ არის, რაც საქართველოში ვარ!

**— ესე იგი, მთელ იმედებს მომავალ სამ წელიწადზე ამყარებთ?**



— უიმედო ადამიანი მტერს მოუმრავლდეს.

**— გჯერათ განწყობის თეორიის?**

— არანაირი თეორიის არ მჯერა. მწამს მხოლოდ საქმის სიყვარული და ერთგულება.

**— როგორ ტანსაცმელს ამჯობინებთ?**

— ამას წინათ პირდაპირ ეთერში „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებმა მკითხეს: რა ღირს თქვენი პიჯაკიო? დაუფარავად და ალალად ვუპასუხე, — რამდენიმე წლის წინ შევიძინე 30 დოლარად-მეთქი. ჩემი პასუხი საქილიკო გახდა. არადა, რომ მომეტყუებინა — 1200 დოლარიანია-მეთქი, უფრო დაიჯერებდნენ. თურმე, გულწრფელობა სასაცილო ყოფილა... ალბათ ვიღაცის მოლოდინი რომ არ გავაცრუო, ახლა უნდა გითხრათ, რომ ძალიან მომწონს 2 ათას დოლარიანი ჯორჯო არმანის კოსტიუმები, მაგრამ სინამდვილეში ვიცვამ იმას, რასაც იაფად ვიშოვი.

**— დასვენებას სად ამჯობინებთ ხოლმე?**

— ბავშვობიდან მიყვარს ბორჯომი და ბაკურიანი. მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძის გარემოცვამ „დიდსულოვნად“ მირჩია, აჭარაში ფეხი არ ჩამოადგაო, იქ ჩასვლის სურვილი უფრო გამიმძაფრდა და 3-4-ჯერ მაინც ჩავდივარ ქობულეთში.

**— ჩვენი რუბრიკა „შტრიხები პორტრეტისათვის“ არ ითვალისწინებდა პოლიტიკურ კითხვებს, მაგრამ მთლად აპოლიტიკურიც ვერ ვიქნები. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პოლიტიკოსს ვესაუბრები, მეორეც იმიტომ, რომ ახლახან ჩამოხვედით სტრასბურგიდან, სადაც ევროსაბჭოს ასამბლეაზე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა... რა კომენტარს გააკეთებდით ამის თაობაზე?**

— რუსეთმა ადგილი დაკარგა ასამბლეაში. სტრასბურგში ჩეჩნეთის თემას დიდი დრო დაეთმო. გია ბარამიძემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ. რუსებმა ქართულ წარმომადგენლობას გვთხოვეს, მხარი დაგვეჭირა ევროსაბჭოში მათ დარჩენაზე. ჩვენ ორი არჩევანი გვქონდა: ან აშკარად მხარი უნდა დაგვეჭირა მათ გარიცხვაზე, ან თავი შეგვეკავებინა. ჰელმუტ კოლს აქვს ნათქვამი: სჯობს, დათვი ნავში გეჯდეს, ვიდრე წყალწყალ მოგყვებოდეს და ტალღებს იწვევდესო. მე მეტს ვიტყვი: ლომის ხახაში საკუთარი სურვილით თავს ვერ შევყოფდით, ამიტომაც თავშეკავებულთა ჯგუფში ყოფნა ვარჩიეთ.

**— კარგად გახსოვთ ჩვენი დეპუტატების ემოციები, როცა მიკროფონს უთიშავდნენ. საინტერესოა, თავისი აგრესიული ხასიათით გამორჩეულმა ჟირინოვსკიმ როგორ გამოხატა ემოციები, როცა გამოუცხადეთ, რომ მისი დრო ამოწურულია და მიკროფონიც გამოუთიშეთ?**

— ამაში განსაკუთრებული არაფერია, თუმცა ეს რომ რუსეთში გაეკეთებინათ მისთვის, ჟირინოვსკი უდავოდ პირისპირ მიეჭრებოდა და უშვერი სიტყვებითაც გალანძღავდა, მაგრამ ამჯერად, ევროსაბჭოში ეს ვერ გაბედა. ბოდიშიც მოიხადა სიტყვის გაგრძელების გამო... სტრასბურგის ისტორიულ დარბაზში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ქართველი ვიცე-პრეზიდენტი რომ რუს დეპუტატს მიკროფონს უთიშავს, მე მგონი, უკვე რაღაცას ნიშნავს. მაგრამ რუსეთთან მაინც მშვიდობიანი ურთიერთობა გვირჩევნია. სხვათა შორის, ევროსაბჭო მიესალმა საქართველოს პოზიციას ჩეჩნეთთან მიმართებაში (მხედველობაში ჰქონდათ ჩეჩენი ლტოლვილების შეფარება და ჩვენი უარი მასზე, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი რუსებს საბრძოლო პოლიგონად გამოეყენებინათ). რუსეთი რკინის ფარდით ვერავის დააშინებს, რადგან იქ იმდენი „მეტალი“ აღარც აქვთ.

**— ჩვენი ინტერვიუ დასასრულს მიუახლოვდა. მაინტერესებს, იყავით თუ არა ბოლომდე მართალი და გულახდილი?**

— დღეს ბევრი პოლიტიკოსი ნიღაბს ირგებს და საზოგადოებასაც ნიღბიანი უფრო მოსწონს. მე არ შემიძლია ვიყო ნახევრად მართალი ან ნახევრად მტყუანი. ამიტომ, როცა ვლაპარაკობ, ვცდილობ, ალალი და გულახდილი ვიყო.

P.S. სენსაციური სიახლე! მიხეილ სააკაშვილი გაუძღვა ცნობილი სიმებიანი კვარტეტის კონცერტს, რომელიც ჩატარდა შაბათს, მუსიკის სახლში.

## ქართველების რძალი

ჩვენი რუბრიკა, „შტრიხები საკუთარი პორტრეტისთვის“, ოჯახის მთლიან წარდგენას გულისხმობს. როდესაც მიხეილ სააკაშვილს ვთხოვე მის მეუღლესთან შეხვედრა, უყოყმანოდ მითხრა: კი ბატონო, ოღონდ სანდრას სამსახურში უფრო მოიხელთებთ და იქ ინახულეთო.

მაშ ასე, გამართული ქართულით გვესაუბრება ქართველების რძალი — **სანდრა რულოვსი.**

**— ქალბატონო სანდრა, სად და როდის გაიცანით თქვენ და მიხეილმა ერთმანეთი?**

— 1993 წელს მე ვსწავლობდი სტრასბურგში, ადამიანთა უფლებების ინსტიტუტში. სწორედ იქ გავიცანი მიშიკო. სტუდენტები ერთმანეთთან ვსაუბრობდით, მიშიკომ ინგლისურად თავი ასე წარგვიდგინა: მე ვარ ჯორჯიიდან, ოღონდ არა ჯორჯიის შტატიდან, არამედ კავკასიიდანო. ჩემთვის საქართველო უცხო ქვეყანა არ იყო, რადგან „წითელ ჯვარში“ ვმუშაობდი და ქუთაისში ჰუმანიტარული დახმარების მიზნით ვიყავი ნამყოფი. სხვათა შორის, სტრასბურგიდან სომალიში ვაპირებდი წასვლას (ჰუმანიტარული დახმარების ჩასატანად). მიშიკომ მითხრა: რაღა სომალიში უნდა წახვიდე, საქართველოსაც არანაკლებ უჭირსო. მეც დავუჯერე.

**— მალევე დაქორწინდით?**

— ივლისში გავიცანით ერთმანეთი და ნოემბერში ხელი მოვაწერეთ ამერიკაში (მაშინ მიშიკო უკვე იქ სწავლობდა), ერთი წლის შემდეგ კი, თბილისში, სიონის ტაძარში დავიწერეთ ჯვარი. მე კათოლიკე ვიყავი, ჯვრისწერის დროს მივიღე მართლმადიდებლური სარწმუნოება. ეკლესიურად ელისაბედი მქვია.

**— არ გაგიჭირდათ ქართული ენის შესწავლა?**

— მე ლინგვისტი ვარ. ენებს ადვილად ვსწავლობ. ამჟამად ვიცი 6 ენა: ჰოლანდიური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული და ქართული.

**— ქართული საჭმელები მოგწონთ? რისი გაკეთება შეგიძლიათ?**

— ძალიან მიყვარს ნიგვზიანი ბადრიჯანი და ისპანახი, ლომი სულგუნით. ყველას გასაკვირად, არ მიყვარს ხინკალი, ზრდილობის გულისთვის 1-2 ცალს თუ შევჭამ.

**— პატარა ედუარდი ვის უფრო ჰგავს, დედას თუ მამას?**

— ფერით მე მგავს, თვალებით კი — მამას. განსაკუთრებით მაშინ ემსგავსება მიშიკოს, როცა ბრაზობს.

**— ქართველების რძალი რას უსურვებდით ქართველებს?**

— ოო... ეს კარგი კითხვაა, ქართველებს ვუსურვებ, ერთმანეთის სიყვარულს და უფრო მეტ პატივისცემას.

**— დაბოლოს, კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**

— დიახ, ყოველთვის. განსაკუთრებით მიყვარს ფოტოპალიტრა. ამას წინათ მიშიკოს სურათიც იყო გამოქვეყნებული. სურვილი გამიჩნდა, რაიმე ტექსტი მომეფიქრებინა და გამომეგზავნა რედაქციაში, მაგრამ გადავიფიქრე, ვაითუ, მიშიკოს ეწყინოს-მეთქი. საერთოდ, ძალიან ვუფრთხილდებით ჩვენს ურთიერთობებს, თავიდანვე ასე მოდის და მჯერა, ბოლომდე ასე იქნება.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# მკურნალი მუმიო

მუმიოს ადამიანისთვის ძნელად მისაღწევ ადგილებში — კლდეებზე პოულობენ, ზღვის დონიდან 3000-4000 მეტრზე. რას აღარ უწოდებენ მას — სასწაულმოქმედ ბალზამს, მთის ოფლს, ტიბეტის მკვიდრნი კი — კლდის ნაყურს.

თავად სიტყვა „მუმიო" — ბერძნულად „სხეულის შემნახავს" ნიშნავს.

და მართლაც, ზომიერად თუ ვიხმართ, პრაქტიკულად, მუმიოს უკუჩვენება არა აქვს. იგი ხსნის დაღლილობის შეგრძნებას, ორგანიზმზე გამაძლიერებელ გავლენას ახდენს. აღადგენს დაკარგულ ძალას. ამ ბუნებრივ სამკურნალო საშუალებაში თვით ბუნებისგან შერჩეული 50 კომპონენტი შედის.

მუმიო უამრავ დაავადებას კურნავს: კუჭის წყლულს, კუჭ-ნაწლავის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, შარდის ბუშტის დაავადებებს, ასევე გასტრიტსა და კოლიტს.

ერთი კურსისთვის საჭიროა 0,3 გ-დან 0,5გ-მდე ან მეტი მუმიო (სხეულის წონაზე დამოკიდებულებით).

მუმიო სასურველია გახსნათ რძეში, შეფარდებით 1:20. შეიძლება გახსნათ წყალშიც. გემოვნებით დაუმატოთ თაფლი, ყურძნის ან კიტრის წვენები. კარგია ოხრახუშის, მაყვლის, ძირას წვენები კვერცხის გულთან ერთად.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების (ღვიძლი, ელენთა და ა.შ.) მკურნალობისას მნიშვნელოვანი ფაქტორია დიეტის დაცვა. ალკოჰოლი ამ დროს სავსებით გამორიცხულია.

გულძმარვის, გულისრევის დროს მიიღეთ რძეში ან თაფლში განზავებული 0,2 გ მუმიო. შეიძლება გახსნათ 1 სუფრის კოვზ ჩაიში ან ანადუღარ წყალშიც. უნდა მიიღოთ დღეში 2-ჯერ, დილა-საღამოს 24-26 დღის მანძილზე. შედეგს 10-15 დღის შემდეგ იგრძნობთ.

ანთებითი და ალერგიული დაავადებებისას, ანგინის, სურდოს, ხველების, ზედა და სასუნთქი გზების კატარის დროს 0,2-0,3 გ მუმიო გახსენით რძეში ან თაფლში. მიიღეთ უზმოზე, დილით და საღამოს ძილის წინ (შეფარდებით 1:20). შეიძლება ანთებით ნაწილებზეც წაისვათ, ანგინის დროს ყელში გამოივლოთ. ჩვეულებრივ, საკმარისია 1-2 კურსი იმისდა მიხედვით, როგორია დაავადების ფორმა. მკურნალობის კურსი 25-28 დღე გააგრძელეთ 10 დღიანი შესვენებით. მუმიო რგებს თავის ტკივილს, ციებას, თავბრუს ხვევას, ეპილეფსიას, სახის ნერვის ანთებას.

მოტეხილობის, ამოვარდნილობის, დაჟეჟილობის, კუნთების დაჭიმულობის, დამწვრობის, რევმატიზმის დროს დალიეთ 0,2-0,5 გ მუმიო და დაშავებული ადგილებიც დაიზილეთ. კურსის ხანგრძლივობა 25-28 დღე. გაიმეორეთ 10 დღის შემდეგ.

*კალეიდოსკოპი №11*

# კროსვორდი დაბლა სწევს სისხლის წნევას



ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა პერლიმ გამოსცა წიგნი დღეგრძელობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, დღეგრძელობის მთავარი მიზეზი არის დაბალი წნევა, ჯანმრთელი საკვები, ინტელექტუალური მოღვაწეობისადმი სწრაფვა (კროსვორდების, რებუსების ამოხსნა) და აგრეთვე მაგარი ნერვები. სიბერისთვის მომზადება ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში უნდა დავიწყოთო, გვირჩევს პროფესორი. მისი აზრით, არ უნდა ვინერვიულოთ და სისულელის გამო არ დავკარგოთ მოთმინება ბავშვობაშიც კი!..

*მირ ნოვოსტეი №10*


# ხალხური მედიცინა

მაქსიმალური_ გარანტია!!!

* „ნერვის ანთება";
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა"
* სახსრების დაავადებები.

მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან!!!

მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, ცოტნე დადიანის 87, კაბ. №11

☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97


# ძმარი ძვლებს ამაგრებს

ყველამ, ვისაც აწუხებს საკუთარი სხეულის მდგომარეობა, უმჯობესია, ყური მიუგდოს იაპონელი მეცნიერების რჩევებს.

ტოკიოელმა მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ძვლების მდგომარეობაზე კეთილსასურველ გავლენას ახდენს ჩვეულებრივი ძმარი. მჟავე სითხე, თურმე ორგანიზმს აიძულებს, უფრო აქტიურად გამოწოვოს კალციუმი საკვებიდან, ამიტომ ძვლების სიმყიფის თავიდან ასაცილებლად დღეში ერთხელ მაინც მიირთვით ძმრიანი კერძი.

*ლიზა №14*




ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:

„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.

2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ცოტა რამ შაქრიანი დიაბეტის შესახებ...

შაქრიანი დიაბეტი კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის) მიერ გამომუშავებული ჰორმონის — ინსულინის აბსოლუტური ან ნაწილობრივი უკმარისობით განპირობებული პათოლოგიაა. დღესდღეობით ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად არის მიჩნეული. თავად განსაზღვრეთ! ამ პათოლოგიით ხომ კაცობრიობის



1%-ზე მეტია შეპყრობილი. ამასთან სნეულების სიხშირე განუხრელად იზრდება.

დიაბეტი ხანგრძლივად, ქრონიკულად მიმდინარე პროცესია. ის ვერაგი დაავადებაა. მნიშვნელოვანია დაავადების ორი ფორმა: ინსულინდამოკიდებული ანუ ტიპი-1 და ინსულინდამოუკიდებელი ანუ ტიპი-2. ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (გამომწვევი მიზეზით, პათოლოგიური მექანიზმით, კლინიკური მიმდინარეობითა და გართულებებით). მათ შორის დიფერენცირება არსებითი და აუცილებელია, რათა ზუსტად განისაზღვროს დაავადებისადმი მიდგომა და მკურნალობის ტაქტიკა.

## ტიპი-1 — ინსულინდამოკიდებული

ჩვეულებრივ, ახალგაზრდა ასაკში (30 წლამდე) ნორმალური წონის (ან სიგამხდრისკენ მიდრეკილების მქონე) ადამიანებში ვითარდება.

ამ ტიპის შაქრიანი დიაბეტის მიზეზი ინსულინის წარმომქმნელი უჯრედების დიდი რაოდენობით დაზიანება, კვდომაა, რის შემდეგადაც ინსულინი უმნიშვნელო რაოდენობით ან სრულებითაც არ გამომუშავდება.

## ტიპი-2 — ინსულინდამოუკიდებელი

ამ ტიპის შაქრიანი დიაბეტი უფრო ხშირად 40 წლის ასაკის შემდგომ ვლინდება და ისიც უმეტესად (75-80%-მდე) ჭარბწონიან ადამიანებში. თუმცა, შესაძლებელია გამხდრებსაც განუვითარდეს.

როგორც წესი, ტიპი-2-ის დროს ჯირკვლის მიერ ინსულინის გამომუშავება დარღვეული არ არის და სისხლში მისი კონცენტრაციაც ნორმალურია. დიაბეტის განვითარების მიზეზი კი ინსულინისადმი ქსოვილებისა და უჯრედების დაქვეითებული მგრძნობელობა, მათი შეცნობის უნარის დარღვევაა.

## როგორ ამოვიცნოთ დიაბეტი...

დაავადების ძირითადი სიმპტომებია: შარდის გამოყოფის მატება, პირის სიმშრალე, გაძლიერებული წყურვილი, მომატებული მადა. ადამიანები წონაში მკვეთრად იკლებენ, აღენიშნებათ მზარდი სისუსტის შეგრძნება. დიაბეტის კიდევ ერთი ნიშანია კანის და სასქესო ორგანოების ქავილის შეგრძნება. აღსანიშნავია ფურუნკულოზისა (გამონაყარი) და ორგანოების სოკოვანი დაავადებებისადმი მიდრეკილებაც, ვითარდება მხედველობის დაბინდვა. მიუხედავად პრინციპული სხვაობისა, დიაბეტის ორივე ფორმისას განვითარებული ჩივილები და სიმპტომები იმით არის განპირობებული, რომ უჯრედები ვერ ახერხებენ გლუკოზით გაჯერებული სისხლიდან ამ ნივთიერების მიღებას. ჭარბი გლუკოზა კი ე.წ. თირკმლის ზღვარს „ლახავს" და შარდით გამოიყოფა. შედეგად ორგანიზმში ვითარდება სითხის დეფიციტი, გაუწყლოვნება, რასაც გაძლიერებული წყურვილის გრძნობა მოჰყვება.

დიაბეტის ფორმები ერთმანეთისგან დაავადების გამოვლინებით, დასაწყისითაც განსხვავდებიან. ტიპი-1-ის დაწყება, როგორც წესი, უეცარია. ადამიანები ზოგჯერ პირდაპირ კომის ან პრეკომის მდგომარეობაში ხვდებიან სტაციონარში. ტიპი-2 კი ნელ-ნელა, შემპარავად ვითარდება. ზოგჯერ დიაგნოზი სისხლში შაქრის ანალიზის შემთხვევითი განსაზღვრის საფუძველზე ისმება.

## გართულებები...

ძალზე მნიშვნელოვანია უკვე განვითარებული დიაბეტის მკურნალობა, სისხლში გლუკოზის დონის მოწესრიგება.

არაკომპენსირებულ, მკურნალობის გარეშე დარჩენილ დიაბეტიან ავადმყოფს უამრავი გართულება სდევს თან.

გართულება ვითარდება თვალში, თირკმელში, სისხლძარღვებში, ტერფზე. უმკურნალოდ დარჩენილი დიაბეტიანის სიცოცხლისთვის საშიში გართულებაა კომა, რომელიც უფრო ხშირად ტიპი-1-ის დროს აღმოცენდება ხოლმე.

კომის მაპროვოცირებელი ფაქტორებია: სტრესი, ტრავმა, ქირურგიული ჩარევა, ინფექცია, ალკოჰოლის ჭარბი მიღება, ემოციური დაძაბულობა. ის ხშირად მკურნალობის გაუმართლებელი შეწყვეტის ფონზეც ვითარდება.

კომის მიზეზი უჯრედებში მიმდინარე პათოლოგიური, შეცვლილი ნივთიერებათა ცვლაა. ორგანიზმი გლუკოზის სანაცვლოდ ენერგიის მისაღებად ცხიმებს და ცილებს მოიხმარს. მათი გარდაქმნით კი ე.წ. კეტონური სხეულაკები წარმოიქმნება, ორგანიზმი ამ ნივთიერებით ჯერდება და შედეგად კლინიკური ნიშნები ვითარდება. ადამიანს გულისრევა, ღებინება, უმადობა, დიდი რაოდენობით შარდის გამოყოფა, ზოგჯერ მუცლის არეში ტკივილი, ფსიქიკისა და ცნობიერების მზარდი დარღვევა აღენიშნება. ვითარდება კანის სიმშრალე, დაბალი არტერიული წნევა, პირიდან აცეტონის სუნი ამოსდის.

## მკურნალობა...

შაქრიანი დიაბეტი ჯერაც მოურჩენელ დაავადებად ითვლება. ამიტომაც, მკურნალობა ჩვეულებრივ მთელი სიცოცხლის განმავლობაშია აუცილებელი.

ტიპი-1-ის მკურნალობა მხოლოდ დიეტით და ინსულინოთერაპიით არის შესაძლებელი. ტიპი-2-ის კი დიეტით და სამკურნალო პრეპარატებით. თუმცა, ზოგჯერ ინსულინოთერაპია ტიპი-2-ის დროსაც გამოიყენება, განსაკუთრებით, დაავადების გამოვლინების საწყის ეტაპზე. ამ შემთხვევაში ინსულინის მიზანი ორგანიზმში არსებული ნივთიერებათა ცვლის დარღვევის მოწესრიგებაა. მიღწეული შედეგი კი, შემდგომ აბების საშუალებით უნდა შენარჩუნდეს.

კარგად დაბალანსებული დიეტა შედეგიანი მკურნალობის საფუძველია. კვების რეჟიმი და რაციონი ჩვეულებრივ ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს. ამ პროცესს ექიმი ხელმძღვანელობს, რეკომენდებულია კვალიფიციური დიეტოლოგის კონსულტაციაც.

დიეტა — ტიპი-2-ის დროს აუცილებელია. უმისოდ შაქრის დონის მოსაწესრიგებლად გატარებული ყველანაირი მცდელობა ამაო იქნება!

ინსულინის დოზები მკვეთრად ინდივიდუალურია. მკურნალობის სქემა კი შეძლებისდაგვარად უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზმის ფიზიოლოგიას.

ინსულინები მოქმედების ხანგრძლივობით სხვადასხვაა. მათი თვითნებურად „დანიშვნა" და მოხმარება მკაცრად აკრძალულია.

*მაია მუხიგული*

# იჭამეთ ცხარე საჭმელი!



ლესტერის უნივერსიტეტმა პრემია გადასცა ბრიტანელ მკვლევარს რიკი შარმას, რომელმაც კიბოს საწინააღმდეგო რადიკალური საშუალება აღმოაჩინა.

ხანგრძლივი ცდების შემდეგ ექიმმა დაამტკიცა, რომ ნაწლავის კიბოთი დაავადებულებმა ყველა კერძი კარის (სანელებელი) ცხარე საწებლით უნდა მიირთვან. მასში შედის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც სიმსივნის ზრდას უშლიან ხელს. მეცნიერებმა უკვე გამოყვეს კარისგან აქტიური სუბსტანცია და მის საფუძველზე ამზადებენ სამედიცინო პრეპარატს.

ცხარე საწებლებს რომ სამკურნალო ეფექტი აქვთ, ექიმმა შარმამ შემთხვევით აღმოჩენილი კანონზომიერებით დაამტკიცა: ნაწლავების სიმსივნით დაავადებული პაციენტების მკურნალობისას მან შენიშნა, რომ ყოველი 500 კაციდან სულ ორი პაციენტი იყო აზიელი.

*პოსლედნიე ნოვოსტი №11*

# თაფლი — მკურნალი

## ლოსიონი მშრალი კანისთვის

ერთ ჭიქა თბილ წყალში გახსენით მწიკვი ბორაკი. 1ს/კ თაფლი აურიეთ 1ჩ/კ გლიცერინში და დაუმატეთ ბორაკიანი წყალი. დაამატეთ 1ს/კ არაყი. ლოსიონი მოგაცილებთ მკვდარ უჯრედებს, გაგიწმენდთ ფორებს და გაგისწორებთ ნაოჭებს. სახე გაიწმინდეთ საღამოს ან დილით.

## ნიღაბი მშრალი კანისთვის

2 ს/კ თაფლი აურიეთ 1 ს/კ ზეითუნის ზეთში და შეათბეთ 30-40°-მდე, სანამ თხევად მასას არ მიიღებთ. ნიღაბი დაიდეთ სახეზე, დაიფინეთ მარლის ნაჭერი, გაიჩერეთ 20 წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და სახე გაიწმინდეთ ლოსიონით მშრალი კანისთვის.

## ბალზამი

1ს/კ თაფლს შეურიეთ 1 კვერცხის გული და შესასქელებლად დაუმატეთ დაფქვილი ჰერკულესი.

ბალზამი დაიდეთ სახესა და მკერდზე, გააჩერეთ 10 წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ბალზამი არბილებს კანს, წმენდს და ასწორებს ნაოჭებს.

## გამწმენდი წყალი

შემადგენლობა: 1ჩ/ჭ თბილ წყალში გახსენით 1ს/კ თაფლი. თაფლიანი წყალი შესანიშნავად წმენდს მშრალ კანს და ხავერდოვანს ხდის მას. სახე ყოველ საღამოს გაიწმინდეთ მაკიაჟის მოცილების შემდეგ. ვისაც ამ პრეპარატის კომფორტულობა დააეჭვებს, შეუძლია მშვიდად იყოს. მისი კონცენტრაცია ისეთია, რომ წებოვნების შეგრძნებას არ დაგიტოვებთ.

*ზდოროვიე №11*

# აღვიდგინოთ ღვიძლის ფუნქცია

ღვიძლი ჩვენი ორგანიზმის მთავარი ორგანოა, იგი აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და სხვა უამრავ ფუნქციას ასრულებს. იგი რეგულარულად გამოიმუშავებს ნაღველს, რომელიც ნაღვლის ბუშტში გროვდება. თუ იოლად იღლებით და ღიზიანდებით, ლოგინიდან თითქმის ნაცემივით დგებით და ეს გრძნობა მთელი დღე გაწუხებთ, თუ დაბნეული ხართ და მუცლის არეშიც ტკივილს გრძნობთ, შესაძლოა ამის მიზეზი ღვიძლის ცუდი მუშაობა იყოს. უნდა მიმართოთ ექიმს, შეცვალოთ კვების რეჟიმი. ყოველდღიურად დაიზილეთ კუჭის, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის რეფლექსოგენური ზონები. ღვიძლის რეფლექსოგენური ზონა მარჯვენა ტერფზეა, ნეკის მე-3 და მე-4 თითების ქვემო „ბალიშებზე". ზონა მომრგვალო ფორმისაა, საკმაოდ დიდი მოცულობის — ფეხის თითების ძირიდან თითქმის ტერფის ცენტრამდე. ნაღვლის ბუშტის ზონა ღვიძლის ზონის შიგნითაა მოქცეული, ტერფის ცენტრის ახლოს. დაჯექით და მარჯვენა ფეხის ტერფი მარცხენა ფეხის მუხლზე დაიდეთ, მუშტით დაიწყეთ მასაჟი წრიული ან ოდნავ დამწოლი მოძრაობებით. ასე, 10-15 წუთის მანძილზე, თანდათან გააძლიერეთ ზეწოლა. მასაჟის დროს კრემი გამოიყენეთ.

*ოტდოხნი №11*

# ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპს შესაძლოა, ფავორიტები შეეწირონ

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში გადამწყვეტი ეტაპი დადგა. ევროპის უძლიერესმა კლუბებმა ჯგუფური ტურნირები გაიარეს და მეოთხედფინალებიდან დაიწყეს ბრძოლა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული თასის დასაპყრობად. გაიმართა პირველი ოთხი შეხვედრა, ოთხი დრამატული, ულამაზესი მატჩი, რომლებმაც დიდებულ შთაბეჭდილებებთან ერთად ერთი უმთავრესი კითხვა დაგვიტოვა — ვინ გავა ნახევარფინალში? — პირველი მატჩების შემდეგ, ალბათ მხოლოდ „ბაიერნი“ შეიძლება ჩაითვალოს ფავორიტად. რა მოხდება დანარჩენ სამ შეხვედრაში, ვერავინ იწინასწარმეტყველებს. საფეხბურთო სამყარო სასწაულის მოლოდინშია — დააჩოქებენ თუ არა საბოლოოდ ლიგის მთავარ ფავორიტებს — „ლაციოსა“ და „ბარსელონას“? ფაქტია, მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულმა ინგლისურმა ტოტალიზატორებმა, მეოთხედფინალებამდე „ლაციოს“, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ რომ მიიჩნევდნენ ფავორიტად, ფსონები შეცვალეს და კატალონიელთა და რომაელთა ადგილი მიუნხენის „ბაიერნმა“ დაიკავა. კაცმა არ იცის, რა მოხდება „მანჩესტერისა“ და „რეალის“ საპასუხო შეხვედრაში. ადვილი შესაძლებელია, შარშანდელი ფინალისტები ნახევარფინალში „შეეჯახონ“ ერთმანეთს, არც „ლაციო“ და მით უმეტეს, არც „ბარსელონა“ არ გახლავთ ის გუნდები, ფარ-ხმალი რომ დაყარონ და თანაც საშინაო მატჩებში. ერთი სიტყვით, გულშემატკივრებს დიდი სიამოვნება და კიდევ არაერთი შთაბეჭდილებით დატვირთული ღამე გველის.



**პორტუ-ბაიერნი 1:1**

ჩემპიონთა ლიგის დანარჩენ სამ მეოთხედფინალურ შეხვედრასთან შედარებით, გერმანიისა და პორტუგალიის ჩემპიონთა შეხვედრა არცთუ სანახაობრივი და უფრო მეტიც — მოსაწყენი გამოდგა. პირველ ტაიმში მეტოქეებმა ორ-ორჯერ შეუტიეს სახიფათოდ, თუმცა უშედეგოდ. შედარებით საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი, რაც უპირველეს ყოვლისა, ჟარდელისა და პაულუ სერჟიოს თითო გატანილი გოლის „დამსახურება“ იყო. გერმანელებმა დიდი ოფლის ღვრის გარეშე მიაღწიეს სტუმრად ფრეს და ძალიან საეჭვოა, საპასუხო შეხვედრაში, შინ მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე „პორტუს“ დაუთმონ ნახევარფინალის საგზური.

**რეალი-მანჩესტერი 0:0**

როგორ ცუდ ფორმაშიც არ უნდა იყოს „სამეფო კლუბი“, „რეალი“ „რეალია“ და ერთი და ორი მატჩის ჩატარებას ყოველთვის შეძლებს უმაღლეს დონეზე. მადრიდელებს თითქმის მთელი 90 წუთი მიჯაჭვული ჰყავდათ საკუთარ საჯარიმოსთან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ, გაიმარჯვებდნენ კიდეც. თუმცა საბოლოო შედეგს არალოგიკური არ ეთქმის. უდავოა, ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელი შინ შეეცდება ორმატჩიანი დუელის თავის სასარგებლოდ დასრულებას. შედეგით ალექს ფერგიუსონიც კმაყოფილი დარჩა და არც ვისენტე დელ ბოსკეს ეტყობოდა გაწბილება — მას სტუმრად გოლის გატანის იმედი აქვს. ის, რომ „იუნაიტედს“ მადრიდში გოლი არ გაუშვია, ყველაზე მეტად „ეშმაკების“ ავსტრალიელი მეკარის მარკ ბოსნიჩის დამსახურებაა, რომელმაც სეზონში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

**ვალენსია-ლაციო 5:2**

რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა თამაშამდე აზრად, რომ „ლაციო“ ვალენსიაში ხუთ გოლს გაუშვებდა? „მესტალას“ სტადიონზე ოთხშაბათს ერთი გუნდი თამაშობდა, მეორეს დროდადრო ახსენდებოდა, ნახევარფინალის საგზური მოსაპოვებელი რომ ჰქონდა. „ვალენსიამ“ არა მარტო ამ სეზონში, არამედ თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. გუნდები ხეირიანად გახურებულნიც არ იყვნენ, „ლაციო“ 2:0-ს რომ აგებდა, ანგულოსა და ხერარდის გოლების შემდეგ. სიმონე ინძაგიმ ერთი გოლი გაქვითა, რასაც იმავე ხერარდმა ორით უპასუხა და თითქოს ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ შეხვედრა 4:1 უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მარსელო სალასის უზადო ოსტატობამ თავისი ქნა: 4:2-ზე „ლაციოს“ იმედი მიეცა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთით — კლაუდიო ლოპესმა, რომელიც გაისად სწორედ „ლაციოში“ აპირებს გადასვლას, რომაელებს მეხუთე გოლი გაუტანა და სტუმრებს ორკვირიანი „თავის ტკივილიც“ „გამოუწერა“. ფაქტია — „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციო“ შტურმს მოუწყობს მეტოქეს. ერიქსონის ათეულ მილიონ დოლარებად შეძენილ ბიჭებს მინიმუმ სამი გოლის გატანა მართებთ. რას დაუპირისპირებს მათ ჰექტორ კუპერი, თამაშში გამოჩნდება. ანგარიშიდან გამომდინარე, ფავორიტად „ვალენსია“ უნდა ჩაითვალოს.

**ჩელსი-ბარსელონა 3:1**

„დარწმუნებული ვარ, საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ლუის ვან გაალმა, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზურის დაკარგვას, შესაძლოა, მისი სამუშაო ადგილის დაკარგვაც მოჰყვეს. ოთხშაბათს „ჩელსი“ შეუდარებელი იყო. ჯერ მარტო ათ წუთში „ბარსას“ კარის სამჯერ დალაშქვრა რად ღირს! ჯან ფრანკო ძოლას და ტორე ანდრე ფლოს გატანილ სამ გოლს, ლუიშ ფიგუმ ერთით უპასუხა, რითაც საპასუხო შეხვედრას წარმოუდგენლად დიდი ინტრიგა შესძინა. შეძლებს „ბარსელონა“ ორბურთიანი სხვაობის აღმოფხვრას? „დაცვით ტაქტიკას არავითარ შემთხვევაში არ მივმართავთ, „ბარსელონა ამას არ გვაპატიებს, ფავორიტის დასახელებისაგან თავს შევიკავებ.“ — ეს ჯან ლუკა ვიალის სიტყვებია. ვიალის სამწვრთნელო კარიერაში უმნიშვნელოვანესი მატჩი 18 აპრილს გაიმართება ბარსელონას ცნობილ „ნოუ კამპზე“. იქვე გაირკვევა ლუის ვან გაალის მომავალიც. ვის შერჩენია ამბიციური კატალონიელების ოცნებების დამარხვა?

# ამაზრზენი ტრაგედია სტამბოლში

## უეფას თასი. ნახევარფინალი

სტამბოლში „გალათასარაისა“ და „ლიდს იუნაიტედის“ პირველი ნახევარფინალური მატჩის დაწყებამდე შემზარავი, ამაზრზენი ფაქტი მოხდა. გაავებულმა თურქმა ვაიგულშემატკივრებმა ინგლისიდან სტუმრად ჩასული „ლიდსის“ ორი ფანი მოკლეს. ერთ-ერთი მათგანი ორი შვილის მამა გახლდათ, აპრილის ბოლოს ოჯახი ბავშვების დაბადების დღის აღნიშვნას აპირებდა...



თურქებს მწუხარება არ ეტყობოდათ

ყველაზე საშინელება ის გახლავთ, რომ ინციდენტი შემთხვევით არ მომხდარა. თვითმხილველთა მტკიცებით, თურქები წინასწარ მომზადებული დანებითა და რკინის ხელკეტებით დახვდნენ სტუმრებს. თამაშმა აზრი დაკარგა, ყოველ შემთხვევაში, ინგლისელებისათვის მაინც. ისიც საკითხავია, უნდა გასულიყვნენ თუ არა სტუმრები სათამაშოდ მოედანზე. თავად მატჩი „გალათასარაიმ“ 2:0 მოიგო და ერთი შეხედვით უდიდესი ნაბიჯი გადადგა ფინალისაკენ. ერთი შეხედვით-თქო, იმიტომ ვამბობთ, რომ არავინ იცის, რა განწყობით ჩავა თურქთა ჩემპიონი ლიდსში. ბრიტანეთის მთავრობამ გაავრცელა აზრი, რომ თურქ გულშემატკივრებს უცხოეთის სტადიონებზე დასწრება აეკრძალოთ. თურქები არაფერს ეპუებიან და ინგლისში 90 ფანის წაყვანას ლამობენ. წაყვანა არაფერი, იქიდან რამდენს წამოიყვანენ, ეს არის საკითხავი. გამორიცხული არ გახლავთ, ინგლისის მთავრობამ თურქებს უსაფრთხოების გარანტია არ მისცეს, ვინაიდან არავინ იცის, რა მოუვათ თავში გამწარებულ ინგლისელ ფანებს. საპასუხო შეხვედრა „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლას გვპირდება. „ლიდსი“ თავს არ დაზოგავს, არც უნდა დაზოგოს და ყველაფერი უნდა გაიღოს ფინალში გასასვლელად, თუნდაც ორი დაღუპული გულშემატკივრის ხსოვნის პატივსაცემად. აკი მოუწოდებდა კიდეც თურქთა მთავარი მწვრთნელი ფატიჰ თერიმი თანამოძმეებს, — სტუმრებს „ჯოჯოხეთი“ მოვუწყოთო: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში“ — ასე მიიღო „სტუმართმოყვარე“ თურქმა ინგლისელები. ცხადია, „ჯოჯოხეთში“ იმას არ გულისხმობდა, რაც მოხდა, მაგრამ სტუმრებს ამ სიტყვებით არ ხვდებიან. „ლიდსის“ „ელან როუდზე“ გლოვაა გამოცხადებული, სწორედ იმ „ელან როუდზე“, სადაც ორ კვირაში არიფ-შუქურ-ჰასან-სუაითებს მოუწევთ ჩასვლა. იქ შეიძლება უკეთ გააგებინონ სიტყვა „ჯოჯოხეთის“ ფასი. ეს ყველაფერი მხოლოდ საფეხბურთო მინდორზე უნდა გადაწყდეს და ღმერთმა ნუ ქნას, ინგლისშიც რაიმე ტრაგედია დატრიალდეს.

უეფას თასის მეორე ნახევარფინალში ლონდონის „არსენალმა“ საფრანგეთის „ლანსს“ უმასპინძლა და დენის ბერხკამპის ერთადერთი გოლის წყალობით, მინიმალური ანგარიშით მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. საპასუხო მატჩის წინ ფავორიტად ალბათ მაინც „მეთოფეთა“ გუნდი უნდა ჩაითვალოს.

# პრემიერლიგა სამჯერ „გაძვირდა“

ინგლისის პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ დაიწყო ბრძოლა ინგლისის უმაღლესი საფეხბურთო ლიგის მატჩების ტელეტრანსლაციების უფლების მოსაპოვებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით უცნობია, ვინ მოიპოვებს ამ უფლებას და რა ფასად, ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ყველაზე ძვირადღირებული გარიგება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

1996 წლიდან დღემდე, პრემიერლიგის მატჩების ტელეტრანსლაციების უფლება კომპანია BSKB-ს ეკუთვნოდა, რომელიც მან თავის დროზე 1,1 მილიარდ დოლარად შეიძინა. კონტრაქტის ვადა აღნიშნულ კომპანიასა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას შორის მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე იწურება.

ოთხი წლის განმავლობაში, ინგლისის ჩემპიონატი სამჯერ „გაძვირდა“. პრემიერლიგის შეფები, ე.ი. კლუბები, რომლებიც მათ უკან დგანან, აღარ კმაყოფილდებიან „სულ რაღაც მილიარდი დოლარით“ და არც მეტსა და არც ნაკლებს — 3 მილიარდ დოლარს ითხოვენ უახლოესი სამი წლის განმავლობაში ჩასატარებელი პრემიერლიგის მატჩების ტელეტრანსლირების უფლების მოსაპოვებლად. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საუბარია 180 მატჩზე, ე.ი. სეზონში 60 შეხვედრაზე. ეს ყველაფერი პირდაპირ ტელეტრანსლაციებს ეხება, მატჩების ფრაგმენტების ჩვენება კი 100 მილიონი ღირს. ჯერჯერობით არც ერთ ნაციონალურ ჩემპიონატში, მათ შორის არც იტალიაში, ამხელა თანხა არ გადაუხდიათ.

გამორიცხული არ გახლავთ, რომ საბოლოოდ ლიგის ხელმძღვანელებმა და კლუბებმა ბევრად დიდი თანხა მიიღონ იმასთან შედარებით, რასაც ამჟამად ითხოვენ. საქმე ის გახლავთ, რომ 1996 წლისაგან განსხვავებით, წელს ტრანსლირების უფლების მოსაპოვებლად რამდენიმე გიგანტური კომპანია იბრძვის, მათ შორის „GRANADA“ BBC, ITV, აგრეთვე რამდენიმე კერძო საკაბელო ტელევიზია. ცხადია, არც ზემოთ ნახსენები BSKB იტყვის უარს კონტრაქტის გაგრძელებაზე. ასე რომ, შესაძლოა, საქმემ აუქციონის სახე მიიღოს.

თანხა, რომელსაც პრემიერლიგის შეფობა ტელეტრანსლაციების მომავალი მფლობელისაგან მიიღებს, ლიგის 20 კლუბზე განაწილდება. გარდა ამისა, კლუბებს უფლება აქვთ, ჩამოაყალიბონ საკუთარი ტელეარხები და საკუთარი მატჩების პირდაპირი ტელეგადაცემები მოაწყონ. ამის პრაქტიკა უკვე არსებობს — მსოფლიოს უმდიდრეს გუნდს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ საკუთარი ტელეარხი გააჩნია.

# რონალდო მამა გახდა

მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი, ბრაზილიელი რონალდო ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა. 2000 წლის 6 აპრილს მილანის ჰოსპიტალ „მადონინაში“ დაიბადა რონალდოს მემკვიდრე — სახელად რონალდი. ბიჭი 2 კგ-ს და 900 გ-ს იწონის. მშობლების — სახელოვანი ფეხბურთელისა და მილენე დომინგუშის სიხარულს საზღვარი არა აქვს. რონალდო შვილის დაბადებას დაესწრო და პირველი სამოსიც თავად ჩააცვა ახალშობილს, ჟურნალისტებს კი განუცხადა, რომ მამობა დიდებული გრძნობაა და ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა. რა გავლენას მოახდენს შვილის შეძენა რონალდოს საფეხბურთო კარიერაზე, ახლო მომავალი გვიჩვენებს. ფეხბურთელმა სულ ახლახან მოიშუშა ტრავმა, რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში მკურნალობდა და ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე დაეხმარება მილანის „ინტერს“.

# რა ბედი ელის "ლაციოს?"

იტალიაში გრანდიოზული სკანდალი მწიფდება, რის შედეგადაც სერია A-ს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი და „სკუდეტოს“ მოპოვების პრეტენდენტი რომის „ლაციო“ შესაძლოა, სერია B-ში აღმოჩნდეს. იტალიის პროკურატურა ამოწმებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დოკუმენტები, რომლის თანახმადაც „ლაციოს“ იტალიელმა ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა ორმაგი — იტალიისა და არგენტინის მოქალაქეობა მიიღო, შესაძლოა ყალბი აღმოჩნდეს. თუ დამტკიცდა, რომ ვერონმა იტალიის მოქალაქეობა ფალსიფიცირებული დოკუმენტებით მიიღო, „ლაციოს“ 37 ქულას ჩამოაკლებენ სერია A-ს ცხრილში, ეს კი რომაული სუპერკლუბის სერია B-ში გადაბარგებას გამოიწვევს. რომაელთა პრეზიდენტმა კრანიოტიმ განაცხადა, რომ ადგილი აქვს ელემენტარულ გაუგებრობას და იმედოვნებს, რომ ყველაფერი მისი გუნდის სასიკეთოდ გადაწყდება.

# კლიჩკომ ჩემპიონის ტიტული დაკარგა



გერმანიაში მცხოვრები უკრაინელი მოკრივე, 28 წლის ვიტალი კლიჩკო მეოთხედ ცდილობდა მსოფლიო კრივის ასოციაციის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას. ბერლინის ცნობილ „ესტრელ კონგრეს ცენტრში“ გამართულ ბრძოლაში მისი მეტოქე 29 წლის ამერიკელი კრის ბერდი გახლდათ. ფავორიტად ერთხმად მოიხსენიებდნენ კლიჩკოს, რომელსაც აქამდე პროფესიულ რინგზე გამართული 27 ბრძოლიდან არც ერთი არ წაეგო. ჩხუბი უკრაინელის უპირატესობით დაიწყო, თუმცა მესამე რაუნდის შემდეგ სურათი შეიცვალა. კლიჩკო დაიღალა და ამერიკელიც შეტევებზე გადავიდა, ამას თან დაერთო უკრაინელის მცირე ტრავმაც და მეათე რაუნდში კლიჩკო იძულებული გახდა, კაპიტულაცია გამოეცხადებინა. პრესკონფერენციაზე უკრაინელმა, რომელსაც ბრძოლის მეორე დღეს ჰამბურგში ოპერაცია გაუკეთეს, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირველივე შესაძლებლობისას დაიბრუნებს ჩემპიონის ტიტულს, ეს შესაძლებლობა კი მინიმუმ 6 თვის შემდეგ მიეცემა. ამ პერიოდს სპორტსმენი ტრავმის მოსაშუშებლად და სავარჯიშოდ გამოიყენებს.

# საჩემპიონო ბრძოლა 7 ოქტომბერს დაიწყება

5 აპრილს ლონდონში პრესკონფერენცია გამართა მსოფლიო ჩემპიონმა — გარი კასპაროვმა. საუბარი ეხებოდა ახალი საჩემპიონო ბრძოლის ორგანიზებას, მასსა და ვლადიმირ კრამნიკს შორის.





მას შემდეგ, რაც კასპაროვთან შეხვედრაზე უარი განაცხადა ინდოელმა გროსმაისტერმა ვიშვანთან ანანდმა, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, კასპაროვისთვის რუსი კრამნიკი დაეპირისპირებინათ, რომელიც ფორმალურად მესამე ადგილზეა მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგში, რეალურად კი საჭადრაკო წრეებში მას პლანეტის №2 მოჭადრაკედ მოიხსენიებენ. კრამნიკმა გამოწვევა მიიღო, რის შემდეგაც ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კასპაროვ-კრამნიკის დუელი 7 ოქტომბერს დაიწყება ლონდონში და 16 პარტიისაგან შედგება. საბოლოო საყაიმო ანგარიშის დაფიქსირების შემთხვევაში, ტიტულს ამჟამინდელი ჩემპიონი შეინარჩუნებს.. სუპერმატჩის საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარია. ამ თანხიდან 1.333.000-ს გამარჯვებული მიიღებს, დანარჩენს — დამარცხებული.

კასპაროვისა და კრამნიკის მომავალი დაპირისპირება უკვე მონათლა ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩად. დუელის ორგანიზება და დასპონსორება საიდუმლოდ მიმდინარეობდა და მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს, საჭარდაკო წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მატჩის მოთავე მსოფლიოს სპორტულ სამყაროში ყველაზე გავლენიან პირად აღიარებული მილიარდერი რუპერტ მერდოკია. მისი ხელი ჭადრაკსაც გადაწვდა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კრამნიკი კასპაროვის ყველაზე უხერხული მეტოქე და ერთადერთი წარმომადგენელია საჭადრაკო ელიტისა, რომელსაც მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონთან უარყოფითი ბალანსი არა აქვს. საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონსა და პრეტენდენტს შორის ასაკობრივი სხვაობა 12 წელია, იმდენივე, რამდენიც კასპაროვსა და კარპოვს შორის.

გარი კასპაროვმა, რომელმაც 1985 წელს მოიპოვა ჩემპიონის წოდება და ტიტული 1995 წლის შემდეგ აღარ დაუცავს, განაცხადა, რომ ეს მატჩი უმნიშვნელოვანესია მის კარიერაში, ფავორიტად საკუთარი თავი დაასახელა და ანგარიშიც კი იწინასწარმეტყველა — 6:4.

***მოამზადა მათე კბილაძემ***

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლe5!

ნ. ბელიკი, 1990



თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს ორ სვლაში.

# ახლად არჩეული პრეზიდენტი ორ-ნახევარ წელიწადში სავარძელს დატოვებს(?!)

საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგი გაზეთის ამ ნომრის გამოსვლისას, შესაძლოა, ცნობილი არც იყოს, მაგრამ ჩვენს მკითხველს უკვე ეცოდინება „მისანი რობიზონას“ (გვარს მისი თხოვნით არ ვასახელებ) წინასწარმეტყველება ახლად არჩეული პრეზიდენტის შესახებ. რობიზონა სოფელში (გურჯაანის რ-ნი) ცხოვრობს, მაგრამ მთელი მილეთის ამბებს, წარსულშიც და მომავალშიც, როგორც ტელეეკრანზე, ისე ხედავს. ამ უნარს ის ჩვეულებრივ ადამიანურ თვისებად მიიჩნევს და სხვასაც უკრძალავს ნათელმხილველად მოიხსენიონ, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდლამდე მისგან ნაწინასწარმეტყველევი ბევრი რამ აბსოლუტური სიზუსტით ახდენილა. ბევრი მას მხოლოდ გამჭრიახი გონების კაცად თვლის და სიმართლე უნდა ითქვას, ბევრს სჯერა ამ უნიკალური ნიჭისა თუ უნარისა. სოფელმა მაინც „მისანი რობიზონა“ შეარქვა და დღე არ გავა, რამდენიმე კაცი არ მივიდეს მასთან რჩევის სათხოვნელად. ეკითხებიან ყველაფერზე — გრძელვადიანი ამინდის პროგნოზით დაწყებული, იმით დამთავრებული, ქალაქში სასწავლებლად წასული მავანის შვილი უკან დაბრუნდება თუ არა.

რობიზონა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე (ძალიან ცოტას და ხმადაბლა ლაპარაკობს), ყოველთვის უშურველად როდი ამხელს „სამყაროს საიდუმლოებებს“, მაგრამ თუ ხასიათზეა, დაუკმაყოფილებელს არავის ტოვებს. ოჯახის წევრებს კი სულ მოძღვრავს და მოძღვრავს, მაგრამ ახლობლები ისე მიეჩვივნენ ამ კაცის ასეთ „უცნაურობას“, რომ ყურადღებასაც აღარ აქცევენ მის გულთმისნობას და მხოლოდ მისი რჩევის გაუთვალისწინებლობით დაზარალებულთ ახსენდებათ ხოლმე მისი ნათქვამი. სხვათა შორის, ახლობელთა ასეთი სიჯიუტე თვითონ რობიზონას ნაკლებად აღიზიანებს — ყველაფერი მაინც ღვთის განგებით ხდება და ამათ რამდენიც არ უნდა ვუჩიჩხინო, მაინც ბევრს ვერაფერს შევცვლიო — ამბობს. ალბათ, ასეთი რწმენა თუ აძლევს უფლებას, მუდამ მშვიდი და აუღელვებელი იყოს. მისი გაბრაზება ჯერ არავის ახსოვს, თუმცა უემოციოაო, ვერ იტყვი: გაზაფხულზე აფეთქებულ ტყემლის ხეს, თავის ცხენს და შვილიშვილებს თითქმის ერთნაირად სათუთად ეფერება, ხოლო ხალხს დღესაც ახსოვს მისი რისხვა და დაუნდობლობა ამ ორმოციოდე წლის წინ სოფელმა ბავშვის მკვლელი ლინჩის წესით რომ გაასამართლა.

როგორც ჩანს, რობიზონას მემკვიდრეობით აქვს მიღებული ნათელხილვის უნარი. როგორც თვითონ ამბობს, მამას და პაპასაც წინასწარ სცოდნიათ თავიანთი გარდაცვალების დრო. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, რობიზონას პაპამ თურმე (ოჯახისთვის საქმე რომ გაეიოლებინა) შეიძინა მოზვერი, თოხლი, ღვინო და თითქმის ყველაფერი, რაც ქელეხისათვის იყო საჭირო. ბოლოს სასახლეც რომ მიიტანა სახლში, ცოლს „გულმა რეჩხი უყო“. არაფერია, ხელოსანს ზომები შეშლია და მე მომცა, წაიღე, ხახვს მაინც ჩაყრი შიგაო — უნუგეშებია მეუღლე. ორი დღის შემდეგ კი სალსალამათი, „კუშეტკაზე“ დაწოლილა, თანამეცხედრისათვის დაუძახია და დაურიგებია, როგორ უნდა გაეპატიოსნებინა მიცვალებული.

რობიზონას მამა ორმოცდაშვიდში, სამამულო ომიდან დაბრუნებული, ალაზანში დამხრჩვალა, მორევში ცხენით შესული ბიჭი გადაურჩენია და თვითონ ველარ გამოსულა. წინა დღით რობიზონასთვის ქვევრი აუხდევინებია და არავისთვის არ დაუძახია. მამა-შვილი მარტო ქეიფობდა, თან თურმე უცნაურ კითხვებს აძლევდა: „მე რომ მოვკვდები, ვაზს ხომ არ გაკაფავ?“ „სანამ შვილი არ გეყოლება, სოფლიდან ხომ არსად წახვალ?“ ბოლოს უთქვამს, დღევანდელი დღე დაიმახსოვრეო და სწორედ იმ დღეს, ოღონდ ერთი წლის შემდეგ, პაპის მოსახელე გასჩენია რობიზონას.

რაც შეეხება თვითონ რობიზონას წინასწარმეტყველებას, პირველად ამ ოცდაათიოდე წლის წინ გავხდი მოწმე.

1971 წელი იყო. მამაჩემმა კბილის ექიმთან წამიყვანა. სტომატოლოგის კაბინეტთან ხალხმრავლობა იყო და, როგორც წესი, გულს ცხოვრების ავ-კარგზე საუბრით იოხებდნენ: უმაღლესში უფულოდ და უკაცოდ შვილს ვერ მოაწყობო; პარტიაში (რა თქმა უნდა, კომუნისტურს გულისხმობდნენ) შესვლისათვის ორი ათას მანეთს იღებენ, თუ პარტიის წევრი არ ხარ, ხეირიან სამუშაოს ვერ იშოვიო; მექრთამეებით აივსო ყველა უწყება, თუ ფული არ მიეცი, ცოცხალი რომ ხარ, იმ ცნობასაც არ გაღირსებენო და ა.შ.

მე, ჯერ კიდევ ბავშვს, მაშინ ბევრი არაფერი მესმოდა მათი ლაპარაკიდან, მაგრამ მახსოვს, ერთი კაცის მიერ უჩვეულო დამაჯერებლობით წარმოთქმული წინადადება: „ჩვენს მთავრობაში ერთი კაცი ყოფილა, ვინმე შავარდნაძე (ზუსტად ასე თქვა!), თურმე ხარივით იწევს ამ ბოროტებათა ასალაგმად, მჟავანაძე კი არ უშვებს, ძლივს აკავებს, მაგრამ ვიცი, გული მიგრძნობს, სულ მალე იმას ცკ-ის მდივნად გაუშვებენ და დიდი ამბები დაიწყება საქართველოში“.

ასეთი პოლიტიკური პროგნოზები მაშინ გაზეთებში არ იწერებოდა და ხმამაღლა თქმასაც გამბედაობა უნდოდა. ამიტომ, რობიზონამ ბოლო სიტყვები თითქმის ყურში ჩასჩურჩულა მამაჩემს. ლოდინი მობეზრდა, როგორც ჩანს, კბილის ტკივილმაც გაუარა და პოლიკლინიკიდან წავიდა.

ერთი წელიც არ იყო გასული ამ ამბიდან, რომ ზუსტად ისე განვითარდა მოვლენები საქართველოში, როგორც რობიზონამ იწინასწარმეტყველა.

ამის შემდეგ ისე მოხდა, რომ მასთან საკმაოდ ხშირად მიწევდა ურთიერთობა და არაერთხელ გავუოცებივარ ნათქვამით თუ საქციელით.

ერთ წელიწადს გვალვამ ლამის ყველაფერი გადაახმო. ასეთ დროს ხშირია ხოლმე მინდვრად ხანძრის შემთხვევები, რომელმაც შეიძლება მთელი წლის მოსავალი კი არა, ვენახი და ხეხილის ბაღიც დაგიბუგოს და საკმაო ხნით დააქციოს გლეხის ოჯახი. ერთ საღამოს, მზის ჩასვლას რომ აღარაფერი აკლდა, რობიზონამ აიკვიატა, გული მიგრძნობს, ვენახი დამეწვებაო. უსაფუძვლოდ ვცადე ნუგეშის ცემა, მაინც არ მოისვენა. შეაბა ურემში ცხენი და დაადგა ალაზნისაკენ მიმავალ გრძელ გზას. სახლში ღამით დაბრუნდა ერთიანად გამურული და შემჭვარტლული. მომიჯნავე ატმის ბაღში გაჩენილ ხანძარს ირგვლივ ყველაფერი გადაეწვა და რობიზონას ცეცხლისთვის სასწრაფოდ გამოუტაცია თავისი ვენახი...

> *...ახლობლები ისე მიეჩვივნენ ამ კაცის ასეთ „უცნაურობას“, რომ ყურადღებასაც აღარ აქცევენ.*
> *...ერთი წელიც არ იყო გასული ამ ამბიდან, რომ ზუსტად ისე განვითარდა მოვლენები საქართველოში, როგორც რობიზონამ იწინასწარმეტყველა.*

ეროვნული მოძრაობა რომ აგორდა ოთხმოციანი წლების ბოლოს, რობიზონამ ძალიან მოკლედ გამოხატა თავისი დამოკიდებულება: კარგია, მაგრამ ბევრ უბედურებას მოუტანს ჩვენს ხალხს ეს მოძრაობაო. ბევრად უფრო ადრე კი გამაფრთხილა, — ომი იქნება საქართველოშიო! ეს ისეთ დროს მითხრა, მაშინ მის უცხოპლანეტელობას უფრო იოლად დავიჯერებდი, ვიდრე ომის დაწყებას და ალბათ არა მარტო მე. დაახლოებით იმავე პერიოდში მასთან სტუმრობისას უჩვეულო სურათს შევესწარი. რამდენიმე ცალი რუხი პური ეყიდა, თხლად ჭრიდა, ხახალზე აწყობდა და გასაშრობად მზეზე დებდა. გაკვირვება რომ გამოვხატე, უსიტყვოდ შემომხედა, ხელკავი გამომდო და მარანში შემიძღვა. იქ კანაფის ბადურებში ჩაყრილი და ჭერზე ბლომად დაკიდებული რუხი პურის ორცხობილა მაჩვენა. კითხვას არ დაელოდა და მითხრა, — შენ არ იცი, შვილო, რა არის შიმშილი. ჩემს თაობას გამოცდილი აქვს და ამიტომაც თადარიგს ვიჭერ, მალე უპურობა იქნებაო. ცხადია, ვნანობ, მაგრამ მაშინ ღიმილი ვერ შევიკავე, რადგან იმდროინდელ გაზეთებს თუ დავუჯერებდით, მარტო თბილისში ყოველდღე ნაგავზე ას ტონამდე პურს ყრიდნენ და რომელ შიმშილსა და უპურობაზე მელაპარაკებოდა რობიზონა, ვერ გამეგო, მაგრამ... სულ მალე, პურის რიგში არაერთხელ გათენებული უშედეგო ღამის შემდეგ ბევრი მისდგომია რობიზონას ჭიშკარს და რუხი პურის ორცხობილა უთხოვია. იგი ყველას უანგაროდ უმართავდა ხელს;

ამჟამად, მის მარანში გაქვავრკინებული ორცხობილების ერთი ნაკრაულაღა ჰკიდია და მიხარია, რომ რობიზონა თადარიგს აღარ იჭერს. ე.ი. ასეთი საშიშროება აღარ არსებობს.

„მისანი რობიზონა“ საერთოდ აპოლიტიკური კაცია — არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა და არც რომელიმეს მიმართ გამოუთქვამს მხარდაჭერა. ეგ კი არა, არჩევნებზე თავის წასვლასაც უაზრობად მიიჩნევს, თუმცა ცოლს, ქალბატონ ამალიას მაინც აუცილებლად გზავნის.

ამდენად, ცოტა გამიკვირდა კიდეც, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე, სრულიად „ცა მოწმენდილზე“, ისე, სხვათა შორის რომ მითხრა, — ამ არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტი, რაღაც ორწელიწად-ნახევარში სავარძელს თავისი ნებით დატოვებს. მის ადგილზე კი ხალხი ახალგაზრდა კაცს აირჩევს, რომელიც საკმაოდ დიდხანს შეუცვლელად მართავს რესპუბლიკასო.

მე ამჯერადაც, ცოტა არ იყოს ეჭვით შევხედე მის ნათელხილვას. მას კი ჩემი სკეპტიციზმი აინუნშიც არ ჩაუგდია და რაღაცაზე მზერაგაშტერებულმა თითქმის ჩაიჩურჩულა, — მე მეტს ალბათ ვეღარ მოვესწრებიო.

რობიზონას რამდენიმე დღეში 73 წელი შეუსრულდება.

***ფირუზ ფურცელაძე***

# ორეული სარკიდან



სარკის შემქმნელებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ გამოიგონეს ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო ნივთი. სად აღარ იყენებენ სარკეს: მკითხაობის დროს, თეთრი და შავი მაგიის რიტუალების ჩასატარებლად, სამკურნალოდ. ეზოტერიკული სწავლება ამტკიცებს, რომ არსებობენ მკვლელი სარკეები, რომლებშიც ჩაბუდებულია ადამიანთა სულები, ზოგს კი შეუძლია თქვენში სრულიად მოულოდნელად ვნება გააღვიძოს... ეს კი იმიტომ ხდება, რომ სარკის აურის მხოლოდ ერთი ნახევარი ეკუთვნის ჩვენს სამყაროს, მეორე ნახევარი კი — იმქვეყნიურს.

სწორედ ამიტომ, „ჯადოსნურ მინას“ აქვს არაჩვეულებრივი თვისებები. სარკის არსებობის მრავალი წლის მანძილზე, მხოლოდ რამდენიმე მათგანის ამოხსნა მოხერხდა.

მაგრამ მანამდე, ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს მივაქცევთ თქვენს ყურადღებას. მისტიკოსები და ექსტრასენსები მიიჩნევენ, რომ სარკეში ჩვენს ანარეკლს კი არ ვხედავთ, არამედ სარკისეულ ორეულს — ჩვენს ასლს, რომელიც იმქვეყნიური სამყაროს ბინადარია. მასზე ზემოქმედებით შესაძლებელია ზეგავლენა მოვახდინოთ ჩვენს გარეგნობასა და ცხოვრებაზე.

როგორ უნდა მოვექცეთ „ჯადოსნურ მიინას“, რომ უბედურება ავიცილოთ?

სარკის ორეულთან საჭიროა გულთბილი ურთიერთობის დამყარება. დაიმახსოვრეთ ერთი მთავარი წესი — არასდროს დაიწუწუნოთ ანარეკლის გარეგნობაზე, სარკის წინ ნუ იტყვით, რომ ცუდად გამოიყურებით ან დაბერდით. დაეჩვიეთ მასზე მხოლოდ კარგის ფიქრსა და თქმას. ცუდის გაფიქრება შეიძლება რეალურ ცხოვრებაში აგიხდეთ.

განსაკუთრებით ეს ეხება ქალებს, რომლებიც სარკის წინ ტრიალს საკმაო დროს უთმობენ. თქვენი უაზრო წუწუნით აპროგრამებთ თქვენი გარეგნობის უარყოფით კორექტირებას.

შინიდან გასვლის წინ, როცა სარკეში ჩაიხედავთ, სთხოვეთ თქვენს ორეულს, დაიცვას თქვენი სახლი თქვენს მოსვლამდე. ეს კი იმისთვის არის საჭირო, რათა თქვენს არყოფნაში იმქვეყნიური სამყაროდან რაიმე ზეგავლენას არ ჰქონდეს ადგილი. თქვენ ამით სარკეს თითქოს ბოქლომით კეტავთ.

სარკისეული ორეული არა მარტო იცავს თქვენს ბინას, არამედ აკუმულაციას უკეთებს თქვენი ბინის ძალას. რაიმე მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ ჩაიხედეთ სარკეში, საკუთარ თავს გამარჯვება უსურვეთ და მიიღებთ თქვენს წილ ენერგიას საქმის კეთილად დასასრულებლად.

სარკეში აირეკლებით არა მარტო თქვენ, არამედ თქვენი სტუმრები, — თქვენდამი კეთილად და უარყოფითად განწყობილები. ამ ადამიანებს შეუძლიათ თქვენს სარკეში რაიმე დავალებით დაპროგრამებული საკუთარი ორეულების დატოვება.

თუკი სარკის წინ რაიმეს წაიჩურჩულებენ ან მას შეგნებულად „დამუხტავენ“, ეს თქვენს საზიანოდ იმოქმედებს.

თუ გსურთ თავიდან აიცილოთ ნეგატიური პროგრამის მოქმედება, სარკე ხშირად უნდა გაწმინდოთ. გარდა ამისა, შეგიძლიათ ჩაატაროთ გამოწვის რიტუალი: აიღეთ ანთებული სანთელი და შემოავლეთ სარკის კიდეებს, ვითომ ცეცხლოვან სწორკუთხედს აკეთებთ, შემდეგ თითქოს ფუნჯით ხატავთ, სარკის წინ კიდითკიდემდე მოატარეთ. თუკი სანთელი ტკაცანს დაიწყებს, გაიმეორეთ ეს პროცედურა, სანამ ტკაცანი არ შეწყდება.

თქვენმა არაკეთილმოსურნემ შესაძლებელია გამიზნულად დააპროგრამოს ნეგატიური ზეგავლენა სარკეზე ან გაჩუქოთ სარკე, უკვე ზედ „ჩაწერილი“ პროგრამით. ეს მით უფრო სახიფათოა თუ სარკე დიდი ზომისაა და თქვენ კარგად ჩანხართ.

გაუვნებლება იოლია თუ სარკეს გარეცხავთ წყაროს ან ნაკურთხი წყლით.

სარკეებს სხვადასხვა თვისებაც აქვთ. მაგ. ის სარკე, რომელიც ოდესღაც სექსუალური სცენების მოწმე ყოფილა, შეიძლება ინახავდეს ძლიერმოქმედ სექსუალურ სახეებს და გავლენას იქონიებს თქვენს საქციელზე. ამის გამო, შეიძლება უნებურად ისეთ ავანტიურაში გაყოთ თავი, რომ შემდეგ თავად გაგიკვირდეთ. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ასეთი სარკე დიდ სექსუალურ გამოცდილებას მოგცემთ.

საფრთხე გელით იმ სარკისაგან, რომელიც რაღაც ბოროტმოქმედების მოწმე იყო. ამიტომ კარგად დაფიქრდით, როცა ანტიკვარული სარკის შეძენას გადაწყვეტთ.

***ტაინაია ვლასტ №5***

## ტესტი: მითხარი ვინ არის შენი რჩეული...

***რატომ უყვართ ქალებს ლამაზი, ჭკვიანი, მდიდარი მამაკაცები? იმიტომ, რომ ჩვენდა შეუცნობლად გვიყვარს ჩვენივე დამახასიათებელი თვისებები, ჩვევები. ასე რომ, თუ გსურთ ეს ფენომენი შეიცნოთ, საკუთართ თავში გაერკვეთ, პირველ რიგში, იმას დააკვირდით, ვინც გიყვართ.***

**1. გიძღვნით თუ არა რჩეული საჩუქრებს არასადღესასწაულო დღეებშიც?**
**2. როცა სამსახურში მიდიხართ, დგება თუ არა თქვენს გასაცილებლად?**
**3. თქვენი დასვენება-გართობის ინიციატორი ხშირად არის იგი თუ არა?**
**4. იცის თუ არა თქვენი ფეხის, ტანსაცმლის, ბიუსტის ზომა?**
**5. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თუ არა საკუთარ გარეგნობას, ტანსაცმელს?**
**6. აინტერესებს თუ არა პოლიტიკა?**
**7. აქვს თუ არა კარგად განვითარებული ფანტაზია?**
**8. ეჭვიანია თუ არა?**
**9. უთქვენოდ იღებს თუ არა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს?**
**10. ლამაზია თუ არა?**
**11. ხომ არ ილანძღება თქვენი თანდასწრებით?**
**12. შეგიძლიათ თუ არა უწოდოთ რამდენიმე თვისების გამო გენიოსი?**
**13. ხშირად თვრება თუ არა?**
**14. კარგი მოსაუბრეა თუ არა?**
**15. უყვარს თუ არა სარკეში ყურება?**
**16. არის თუ არა შემთხვევა, როცა შინ არ ათევს ღამეს?**



თუ პასუხები: **1,2,3,4** კითხვებზე დადებითია, თქვენ მგრძნობიარე, ტაქტიანი ქალი ხართ. მამაკაცები ყვავილივით გიფრთხილდებიან და სურთ, ხელისგულზე გატარონ.

თუ პასუხები: **5,9,10,15** კითხვებზე დადებითია, თქვენ პატივმოყვარე ხართ და ყველაფრის მოპოვება ერთბაშად გსურთ. ენერგიული ხართ და შეგიძლიათ ადამიანების აყოლიება. ოჯახში ლიდერი ბრძანდებით.

თუ პასუხები: **6,7,12,14** კითხვებზე დადებითია, ძალზე ერთგული, პრინციპული, პატიოსანი, გონიერი ხართ და მეგობრობას ყველაფერზე მაღლა აყენებთ. მამაკაცებს ჭკუის, ფაქიზი ინტონაციისა და სხვების მოსმენის უნარისთვის უყვარხართ.

თუ პასუხები: **8,11,13,16** კითხვებზე დადებითია, თქვენ მორიდებული, მორცხვი და უმწეო ხართ. ყოველთვის ვერ უმკლავდებით უხეში და ხეპრე ადამიანების გამოხდომებს. თქვენივე მერყევი ხასიათი თავხედებს საშუალებას აძლევს, თავზე დაგასხდნენ, მაგრამ თქვენი კეთილმოსურნეობა ბევრისთვის მალამოა.


**ფირმა «გარანტი»**

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების



ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.
ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69



და შტამპების
ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89



ცნობილი მკურნალი **ირინა ლომთათიძე** თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:
☞ბოტკინით დაავადებულებს;
☞ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
☞პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
☞ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
☞ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
☞ფრჩხილების ჩაზრუნება;
☞თმის ცვენა, სებორეა; ბუასილი;
☞ტროფიკული წყლული, წითელი ქარი.
ეფექტი გარანტირებულია I დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“.
იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ☎: 77-68-50 (საღ.)

# ციცქნა საოცრება



ჯეფრი თომასის ოჯახი სულაც არ არის მისი კარიერის წინააღმდეგი, თუმცა ბავშვის ასაკი ამის უფლებას ნაკლებად იძლევა. ჯეფრი აშშ-ში ცნობილია, როგორც სამი წლის დაიპერ დი (ძუძუმწოვარა). ბიჭუნა მუსიკას დაბადებიდანვე სულგანაბული უსმენდა, ხოლო ორი წლისა თვითონვე ამღერდა და მერე როგორ!

ერთხელ ჯეფრის სათამაშო მიკროფონი აჩუქეს. აილო ხელში და 15 წუთი ასრულებდა რეპის მუსიკალურ კომპოზიციებს. ვუნდერკინდის მამა თავს დებს — ასეთი მუსიკა არასოდეს მომისმენია და ის ჯეფრიმ თვითონ შეთხზაო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ორი წლის ბიჭის საოცარი ნიჭი არავის აეჭვებდა — იგი თავისუფლად თხზავდა კომპოზიციებს ნებისმიერ თემაზე — მაგალითად, დედა როგორ წვავს ხორცს სამზარეულოში ან მამა როგორ არემონტებს მანქანას.

ბატონმა თომასმა მაგნიტოფონზე ჩაიწერა შვილის სიმღერა და კასეტა პატარა ტალანტების მაძებარ უესლი ქრენბესტს წაუღო. მან ჩანაწერის მოსმენის შემდეგ სასწრაფოდ მიიწვია მამა-შვილი ლოს-ანჯელესის ბიუროში.

— ჯეფრი უზარმაზარი ვარსკვლავია, — ამბობს უესლი, — მსგავსი ნიჭიერი ბავშვი ჯერ არ შემხვედრია.

ჯეფრი თავისი სიმღერების ტექსტს თხზავს, ძალიან სწრაფად მეტყველებს, მოქნილია და ვერაფრით მიამსგავსებ უფროსი თაობის რომელიმე პოპ-ვარსკვლავს. დაიპერ დის მსგავს ტალანტს მსოფლიო ჯერ არ იცნობს. სიმაღლით ერთი მეტრიც არ არის, უკვე მონაწილეობა მიიღო 12 კონცერტში აშშ-ისა და კანადის უდიდეს მოედნებზე.

მშობლები ერიდებიან კონტრაქტის დადებას ხმის ჩამწერ სტუდიებთან, თუმცა, სულ ცოტა, 3 მუსიკალური გიგანტი იბრძვის ამ უფლებისთვის.

— ჯეფრი არაფრით გამოირჩევა ჩვეულებრივი ბავშვისგან, — ამბობს მამა, — თამაშობს ეზოში თანატოლებთან, მაგრამ საკვირველია, რომ არასოდეს მღერის. ვშიშობ, მრავალმილიონიანი კონტრაქტი, რომლის დადებაც ადრე თუ გვიან მოუწევს, წაართმევს ბავშვობას.

აგენტი უესლი ქრენბესტი დარწმუნებულია, რომ დაიპერ დის სახელს გაისად ზაფხულში მთელი მსოფლიო გაიცნობს.

***მირორი №8***

# ინდით, რა ხნისაა ლუდი?



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედამიწაზე ყველაზე ძველი სასმელი ლუდია. რამდენიმე ხნის წინ ინგლისელმა არქეოლოგებმა მესოპოტამიაში (სამხრეთ ერაყი) აღმოაჩინეს ლუდის კათხები. გამოდის, რომ აქაურები ლუდს ამზადებდნენ 6000 წლის წინ, ე.ი. 2000 წლით ადრე, ვიდრე აქამდე მიგვაჩნდა. შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა პირველებმა აღმოაჩინეს ლუდის წარმოების ნარჩენები ძველეგვიპტური სოფლების გათხრების დროს და დაადგინეს, რომ ეგვიპტელები ლუდს 2000 წლის წინ მიირთმევდნენ.

***სანი***

# პირველი სიყვარული

დიდი მხატვრის, ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების ახალი, მცირე დეტალიც კი საზოგადოების ინტერესს იწვევს. მარცვალ-მარცვალ, მძივივით იკინძება მისი მწირი ბიოგრაფია.

ეს ამბავი მხატვრის სახლ-მუზეუმის დირექტორს ანზორ მაძღარაშვილს ჩაუწერია ფიროსმანის სიყრმის ნაცნობისგან:

...მირზაანის ბიბლიური სიმშვიდე მოულოდნელმა სტუმრებმა დაარღვიეს — „მიწისმზომელები: ეწვივნენ სოფელს. დიდ-პატარა ცნობისმოყვარეობით დასდევდა უკან უცნაური საგნებით შეიარაღებულ სტუმრებს. „მიწისმზომავები“ ახალგაზრდები იყვნენ და მშვენიერი გოგონების ჭვრეტის ნებას აძლევდნენ თავს.



ელდასავით დაჰკრა ფიროსმანაანთ მარიამის შვლის თვალებმა ქალაქელ ალექსის... იმავე საღამოს ეწვია ქვრივს და ქალიშვილის ხელი სთხოვა. ცისკარი დაუდგა დედას — ნასწავლ ქალაქელ კაცს უნდოდა მისი ქალიშვილი!

ყველაწმინდის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი მარიამმა და ალექსიმ.

...გასამგზავრებლად გამზადებულ ახალჯვარდაწერილებს ანაზდად სახლის კუთხიდან ბიჭის გულამოსკვნილი ქვითინი შემოესმათ — საყვარელ დას ვერ თმობდა პატარა ნიკო. თან წავიყვანოთო, — მუდარით შეხედა მარიამმა ქმარს. აბა, მალე ბიჭო, გზასა ვცდებითო, — შეჰღიმა სიძემ ბავშვს და ქოჩორი მოუჩეჩა...

თვალი გაუშტერდა ნიკოს ქალაქში. რამდენი საოცარი სანახავი ნახა!..

წერა-კითხვა ისწავლა, ხატვაც ემარჯვებოდა. ნახშირითა და ფანქრის ნალევით აჭრელებდა კედლებს. საოჯახო საქმეებს მორჩებოდა თუ არა, უმალ წიგნს და ფანქარს მიეტანებოდა.

ბედნიერად მიდიოდა ბავშვობა...

ანაზდად ცა ჩამოიქცა. ქოლერამ იმსხვერპლა მარიამი...

ალექსიმ მოჩიტული ბიჭი მეზობელი ვაჭრის, ქალანთაროვის ოჯახში მიაბარა მოსამსახურედ. გასამრჯელოდ უნდა ეჭმიათ და შეემოსათ.

ქალანთაროვებს მშვენიერი ქალიშვილი ჰყავდათ, ელისაბედი. ნასწავლი, თვალმშვენიერი და კეთილი, ნიკოზე ათი წლით უფროსი. თბილად ექცეოდა ობოლ ბიჭს. ისიც შეეჩვია ელისაბედს და როცა ზურაბ ხანკალამოვმა ბაქოში წაიყვანა ქალიშვილი, ნიკოს იმ ღამეს ცრემლი არ შეშრობია.

გაირა დრომ. დაქვრივებული ელისაბედი პატარა სოლომონთან ერთად დაბრუნდა მშობლიურ კერაზე. ნიკო შეღერებული ყმაწვილი დახვდა.

სევდას თითქოს უფრო დაემშვენებინა ახალგაზრდა ქალი. ნიკოს გულს სიყვარული შემოეგზნო. მრავალი ღამე გაათენებია ელისაბედზე ოცნებამ. ქალსაც მაინცდამაინც მაგრად არ ჰქონდა გულის კარი დახურული, მაგრამ ნიკოს სამიჯნურო ბარათს მაინც არ უპასუხა და ცოლობაზეც უარი უთხრა...

მტერს არ ეძინა...

მათი მიჯნურობის ამბავი გახმაურდა...

ნიკო, ელისაბედი რომ ჭორებს არ შეურაცხეყო, ქალანთაროვების ოჯახიდან წავიდა და თან გაიყოლა სიყვარულით დაკოდილი გული...

***მაია ყალაბეგაშვილი***

# პოდიუმზე _ სიბერეში



თავის უბანში (მაიამში) სილამაზის კონკურსში გამარჯვებულ ბი ქოულინს ჯილდოდ გამჭვირვალე საცვლები გადასცეს. ქალბატონი ქოულინი კორონაციაზე ნაჩუქარი ტრუსითა და და აზღუდით გამოვიდა. დამსწრენი აღაფრთოვანა არა მისმა გარეგნობამ, არამედ გამბედაობამ — უბნის სილამაზის დედოფალი ხომ 74 წლის გახლავთ. მაყურებელთა შორის აღმოჩნდა ერთ-ერთი წამყვანი მოდების ჟურნალის რედაქტორის მოადგილე. მის მიერ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულმა უტიფარი მოხუცის ფოტოებმა ფურორი მოახდინა. საცვლების მწარმოებლები მიხვდნენ, რომ ბი შეიძლება მათთვის განძი გამხდარიყო. როცა კლაუდია შიფერი აბრეშუმის საცვლების რეკლამას აკეთებს, მაყურებელი ჩასაცმელს კი არა, მშვენიერ თოფ-მოდელს მისჩერებია; მაგრამ თუ იმავე საცვალს ხანდაზმული მანდილოსანი წარმოადგენს, მომხმარებელი უკვე სხვანაირად შეხედავს მას. ისიც სათქმელია, რომ ქალბატონი ქოულინი კარგად შენახული ქალია. ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ მას მოსვენებას არ აძლევდნენ. მისი სურათები ხშირად იბეჭდებოდა საუკეთესო მოდების ჟურნალებში, გამოდიოდა პოდიუმზე. მსოფლიოში ყველაზე ხნიერი ფოტომოდელი წლის ბოლოს მილიონერი გახდა — მას ერთ საათში 255 დოლარს უხდიან.

— მოდელობაზე არასოდეს მიფიქრია. თავიდან მრცხვენოდა კიდეც. ახლა შევეჩვიე და პოდიუმზე გამოსულს ყველაფერი მავიწყდება.

ბი ქოულინს თაყვანისმცემლებიც გამოუჩნდნენ და მის გამოჩენას ტაშის გრიალით ხვდებიან. უკმაყოფილონი არიან მხოლოდ შვილები (ბის 2 ვაჟი, 1 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი ჰყავს).

უფროსი შვილი მსაყვედურობს, — ნუ მარცხვენო, — წუხს ბი, —მაგრამ მე ვიცი, რომ მართალი ვარ. პოდიუმზე ჩემი ერთი ნახევრად შიშველი გამოსვლა დიდხანს უზრუნველყოფს ჩემს ოჯახს.

***სთარი №29***

# რუშდის უკანასკნელი სიყვარული



სასიკვდილო განაჩენი, რომელიც ირანელ მწერალს სამშობლოში გამოუტანეს, ეტყობა, ხელს არ უშლის ცხოვრების მშვენიერებით დატკბობაში (სხვათა შორის, ახლა სასიკვდილო განაჩენი გააუქმეს). 53 წლის თმაშევერცხლილმა სალმან რუშდიმ რომანი გააბა 29 წლის მსახიობ პალმა ლაქშმისთან. ამ გასაოცრად ლამაზმა ახალგაზრდა ქალმა ისე გაიტაცა მწერალი, რომ ლონდონიდან ნიუ-იორკში აპირებს გადაბარგებას, რათა ახლოს იყოს მასთან. ინდოეთში დაბადებული პალმა უკვე გადაიღეს ორ ტელეფილმში, რომელთა პრემიერებზე ის პირველად გამოჩნდა რუშდისთან ერთად. მეგობრების თქმით, რუშდის უზომოდ შეუყვარდა ახალი „სოფი ლორენი“, როგორც მას უწოდებენ კინოსამყაროში. გასაკვირია, რომ ამ მზეთუნახავმა თავად შეაჩერა არჩევანი მრავალრიცხოვანი ბავშვების მამაზე, რომელიც ჯერ არც გაჰყრია თავის მესამე ცოლს — ინგლისელ ელიზაბეტ უესტს. გალილეისთან ერთად სალმან რუშდი იმ მცირერიცხოვან ავტორთა შორისაა, რომელსაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს „სატანისტური ლექსების“ გამო. შესაძლოა, ახალგაზრდა ლამაზმანი სწორედ ამან მოხიბლა.

***დუსთი №23***

# ჭრელი პანორამა

— დანიის სამეფო გვარდიაში მომსახურე ერთადერთი ქალბატონი არმიის რიგებიდან დაითხოვეს. როგორც გაირკვა, თავისუფალ დროს იგი მეძაობდა. მეთაურები ვერაფერს გაიგებდნენ, თავად ლამაზმანს ყველას გასაგონად რომ არ ეტრაბახა ყაზარმაში. შედეგმაც არ დააყოვნა და კოლეგებმა, სადაც ჯერ არს, იქ უჩივლეს. ქალბატონი თავდაპირველად მკაცრად გააფრთხილეს, მაგრამ ამაოდ. დანიაში პროსტიტუცია კანონით არ იდევნება, მაგრამ გვარდიის მოსამსახურეთათვის შეუფერებლად მიიჩნევა, ამიტომაც ქალბატონს სამხრეები ჩამოგლიჯეს. დანიელი ქალები არმიაში მოხალისეებად მსახურობენ. ელიტურ გვარდიაში კი, რომელიც 1658 წელსაა ჩამოყალიბებული, მათ შარშან მისცეს სამსახურის ნება.

— რობოტი პელე, რობოტი მარადონა, რობოტი რონალდო... იაპონიის სათამაშოების მწარმოებელმა რამდენიმე ფირმამ შექმნა ცნობილი ფეხბურთელების ჯგუფი. თითოეული რობოტი ფეხბურთელი ეღირება 50-დან 70 დოლარამდე. ფეხბურთელი რობოტები დამოუკიდებლად იმოძრავებენ მაგიდის ჩოგბურთის ზომის ხელოვნურ მინდორზე, გაიტანენ გოლებს, დაარტყამენ პენალტებს და დიდ სიხარულს მიანიჭებენ პატრონებს.

— ფილიპინების პოლიციის უფროსი პანფილო ლაქსინი თავის პოლიციელებს დაემუქრა — თუ სამ თვეში წონაში არ მოიკლებთ (წელის გარშემოწერილობა 86 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს) იცოდეთ, სამსახურიდან დაგითხოვთო. სხვათა შორის, ბრძანება, ჩანს, ყველას ეხება. წელის გაზომვას გენერლებიდან დაიწყებენ.

— ამერიკელმა დიეტოლოგებმა გამოიკვლიეს, რომ ვეგეტარიანელები ნაკლებად ვნებიანები არიან და საწოლში ჩაწვებიან თუ არა, მაშინვე იძინებენ. სექსუალური პოტენციის დაცემის მიზეზი ორგანიზმში ცინკის ნაკლებობა ყოფილა. ცინკი კი, მოგეხსენებათ, დიდი რაოდენობითაა ხორცსა და კვერცხში და ხელს უწყობს სქესობრივი ჰორმონების გამომუშავებას.

— ტაილანდის ერთ მშვენიერ კუთხეში იღებდნენ ფილმს „პლაჟი“. მთავარ როლს ლეონარდო დი კაპრიო თამაშობს. ტაილანდს ბედმა გაუღიმა, რაკი „ტიტანიკის“ გმირმა აქ ამოყვინთა. ახლა ამ პლაჟზე 8 მილიონ ტურისტს ელიან და ვარაუდით, ისინი აქ, სულ ცოტა 8 მლრდ დოლარს მაინც დატოვებენ.

— ისრაელში სიცოცხლის ხანგრძლივობა მსოფლიოს თითქმის ყველა მაჩვენებელს აჭარბებს. პატარა ქალაქ გივატაიმში ყოველი მეხუთე 65 წელზე მეტისაა. თუმცა იერუსალიმში ხანდაზმულთა რაოდენობა მხოლოდ 8 პროცენტს შეადგენს. ქვეყანაში მამაკაცები საშუალოდ 76 წლამდე ცოცხლობენ, ქალები — 80-მდე. ეტყობა ბევრი უძლებს სიცხეს, გაუთავებელ ომებსა და ტერაქტებს.

***ლიბერასიონისა და სანის მიხედვით***

# ასოციაცია



**თარაზულად:** 7. სტაფილო, ჭარხალი; 8. ატომი, მუხტი; 10. ბგერა, ბემოლი; 11. მხარი, მკლავი; 12. ენძელა, მთა; 15. ქაღალდი, ბეჭედი; 18. დელფინი, ზვიგენი; 19. კბილი, გვირაბი; 20. მდელო, მოლი; 21. მხიარულება, დიონისე; 23. კანოე, ძრავა; 26. ნავი, „ზამთრის სასახლე“; 27. გაზი, „მდოგვი“; 31. პოლუსი, ეკვატორი; 33. ქათამი, დედა; 34. გაგრა, იტალია; 35. ქუთაისი, გურია; 36. წერილი, საბანი.

**შვეულად:** 1. მიქელანჯელო, „მადონა“; 2. კაპიკი, შაური; 3. დაფა, ექსპონატი; 4. წერტილი, მძიმე; 5. ლონდონი, ჩეხეთი; 6. ჯიხვი, ქურციკი; 9. შოთი, თონე; 13. სმოკინგი, კოსმონავტი; 14. ბინოკლი, ვარსკვლავები; 16. ურიკა, თოვლი; 17. არმია, გემი; 22. ბედნიერება, თვალი; 24. ტელევიზია, მოქანდაკე; 25. ქანდაკება, ჯუჯა; 28. ეკლესია, ალაჰი; 29. მაგიდა, ლოცვა; 30. ობოლი, ტიალი; 32. აიეტი, მედიცინა.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ბილიარდი; 7. ბასტილია; 9. გოდორი; 10. ბალთა; 12. პლაჟი; 14. ათენი; 15. ინდაური; 18. ბრინჯი; 19. ანკესი; 23. მსოფლიო; 24. კრონი; 26. ფარა; 29. ფაქსი; 30. მაუგლი; 31. სტუდენტი; 32. პოლონეზი.

**შვეულად:** 1. ლიმონათი; 2. ძაბრი; 3. ნავთი; 4. კიტელი; 5. დირიჟორი; 8. ბალადა; 11. ბრინჯაო; 13. ქნარი; 16. უინძორი; 17. ისარი; 20. ინფარქტი; 21. ელიფსი; 22. ანგელოზი; 25. შარადა; 27. პაქტი; 28. კანოე.

# ქსელი

დღეს სისწრაფით ელვის

# თქვენ

გთავაზობთ მრავალ სერვისს

SIM-ბარათი 18 ლარი + ავანსი 50 ლარი = ჩართვა 68 ლარი

**მოკლე შეტყობინებები**

**ხმოვანი ფოსტა**

**საერთაშორისო როუმინგი**

**მონაცემთა გადაცემა ფაქსი**




928 და 928 111

საინფორმაციო სამსახური

# თქვენი ქსელი ჯეოსელი

GSM


CMYK

# შევარდნაძე-კალტცი 1:0, ანუ ახალი საფეხბურთო ფინტი

სათაურში გამოტანილი ფრაზის გამო ქვემოთ ვისაუბროთ. ჯერ სასიამოვნოზე ვთქვათ.

თბილისს დიდი გუნდი (ან „ყოფილი დიდი გუნდი“) ეწვია — 5 აპრილს თბილისის აეროპორტში დაეშვა „ბოინგი“, რომელმაც ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთხელ ასტუმრა გერმანული ფეხბურთის ელიტა. ბერნდ შუსტერი, კლაუს ფიშერი, ბერნდ ფიორსტერი, მანფრედ კალტცი... კომენტარი, დამეთანხმებით, სრულიად უადგილოა. ვუყურებდით და ვესაუბრებოდით თხუთმეტი-ოცი წლის წინანდელ ჩვენს კერპებს და სიხარულთან ერთად სინანულიც გვიპყრობდა წარსული წლების გამო. იყო საპატიო სტუმრების დახვედრისათვის ჩვეული გულითადობა, მოკითხვა და ბეჭებზე ხელის ტყაპუნი, გერმანული ფეხბურთის თავგადაკლულ ქომაგთა ანთებული თვალები და „ჩალიჩი“ თავიანთ საყვარელ ფეხბურთელებთან სურათის გადასაღებად. თუმცა, რამდენიმე უცნაურობას მაინც შეამჩნევდა დაკვირვებული თვალი: პირველი სტუმრებისათვის დარიგებული სუვენირები იყო. ისინი რომ მართლაც უჩვეულო გახლდათ, ამას სურათზე გამოსახული მამაკაცის გამომეტყველებაც ადასტურებს: ეს ლიპწამოზრდილი გერმანელი დიდი ბერნდ შუსტერია, 80-იანი წლების გერმანული ფეხბურთის „ვარსკვლავი“, ცნობილი თავისი ჭირვეული, მეტიც, როგორც ამბობენ — ამპარტავნული ხასიათით და კონფლიქტებით. მაგრამ ის, რომ ასე ამრეზით დასცქერის ჩვენს სახელმწიფო დროშას (რომლის შეცვლასაც არა და არ დაადგა საშველი) არც მისი ზემოთ აღნიშნული ხასიათის და არც ჩვენი დროშის უცნაური (მეტი რომ არ ვთქვათ) დიზაინის ბრალია. ვინც ეს პატარა დროშები ნახა, რომელთა დამზადება ალბათ გვარიანი თანხა დაჯდა, მიხვდება რაზეა საუბარი: მის მეორე მხარეზე შევარდნაძე-შროდერის სრულიად არასაფეხბურთო ტანდემია გამოსახული ქართულ-გერმანული ტექსტით, რომელსაც აგრეთვე არა აქვს რა საერთო ფეხბურთთან გარდა გუნდების შემადგენლობისა, და ისიც ვიღაცის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი აღმოჩნდა: არც რუმენიგეები, არც ფიოლერი და არც ბევრი სხვა იმ სიიდან, თბილისში არ ჩამოსულა.



„ამას მიმალავდით?!...“

მეორე უცნაურობა დამხვედრთა სტატუსი გახლდათ: ნებისმიერს დავენაძლევები, რომ არათუ საქართველოს, — ბრაზილიის, ან არგენტინის ვეტერანთა ნაკრებიც რომ ჩასულიყო გერმანიაში თავის კემპეს-გარინჩებიანად, მას აეროპორტში ვიცე-კანცლერი არ დახვდებოდა. ჰო, კიდევ ქაღალდის ქუდები დაურიგეს სტუმრებს, რომლებზეც საქართველოსა და გერმანიის დროშები ეხატა, მათ შორის კი, დიდი ასოებით დაწერილი ტექსტი აუწყებდათ (რატომღაც მხოლოდ ქართულ ენაზე), რომ ისინი პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის მხარდასაჭერად იყვნენ ჩამოსული და პირველი ნომერი უნდა შემოეხაზათ არჩევნებზე. როდესაც წარსულში გფრ-ის ნაკრებისა და „ჰამბურგის“ ცნობილ მცველს — მანფრედ კალტცს მისივე თხოვნით ვუთარგმნეთ აღნიშნული მოწოდება, ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე ამასთან დაკავშირებით, გვიპასუხა, რომ პირველად ესმის საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ და საერთოდ, ფეხებზე ჰკიდია პოლიტიკა, თუმცა იცის — ვინ არის შევარდნაძე და საქართველოს მოქალაქე რომ იყოს, მას მისცემდა ხმას. მაგრამ იქვე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ის მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდაა ჩამოსული და ამას პოლიტიკასთან მხოლოდ ის აქვს საერთო, რომ ორივე უნდა უწყობდეს ხელს ერთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. ისე კი, თავი აშკარად მოტყუებულად იგრძნო. იგივე აღნიშნა ბერნდ შუსტერმაც.



აეროპორტშივე გავესაუბრეთ ფიშერსა და ფიორსტერსაც, რომლებმაც თავიანთ წარსულსა და დღევანდელ — არასაფეხბურთო საქმიანობაზე მოგვითხრეს. სხვათა შორის, კლაუს ფიშერმა აღნიშნა, რომ ძალიან მოსწონს კობიაშვილისა და ცქიტიშვილის თამაში, მაგრამ მათი ქართველობის შესახებ ჩვენგან შეიტყო. ბერნდ ფიორსტერმა კი, კითხვაზე მომავალი მატჩის პროგნოზის შესახებ, კითხვითვე გვიპასუხა, — თქვენს გუნდში რა ასაკის ფეხბურთელები ითამაშებენო. როდესაც ვაუწყეთ, რომ ჩვენების ასაკი 32-დან 60 წლამდე მერყეობს (თავდაპირველ განაცხადში კახი გოგიჩაიშვილი და ბორის სიჭინავაც იყვნენ), მანაც შესაბამისი ამპლიტუდით განსაზღვრა თავისი პროგნოზი: 0:5-დან 5:0-მდეო, ისე კი მაყურებელს კარგი სანახაობა უწინასწარმეტყველა და არც შემცდარა.

სტუმრები „შერატონ მეტეხი-პალასში“ დაბინავდნენ.

6 აპრილს მათ შეხვდა ქალაქის მერი, ბატონი ვანო ზოდელავა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა. სწორედ ამ სამინისტრომ დააფინანსა გერმანელთა ვიზიტი, რაც ძალზე სასიხარულო ფაქტია, რადგან ეს იმის მანიშნებელია, რომ მათ სახსრები გაუჩნდათ და მალე, ალბათ სამინისტროს შენობაში გათიშული ტელეფონების დავალიანებებს მაინც გადაიხდიან (მხოლოდ მინისტრის მისაღებში მუშაობს) და ჟურნალისტებს საშუალება მოგვეცემა საჭირო ინფორმაციისათვის ტელეფონით დავუკავშირდეთ ხოლმე მათ. ისე კი, დიდად არც ენერგეტიკოსები დაზარალდებოდნენ, — წინასწარ გამოცხადებული უფასო დასწრების ნაცვლად, ბილეთი 1 ლარი ღირდა.

საღამოს კი იყო მთავარი: მისი უდიდებულესობა ფეხბურთი. მაყურებელი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ჩვენი დღევანდელი ნაკრების თამაშებს ესწრება ხოლმე და, ალბათ, არც ერთ გულშემატკივარს არ უნანია იმ დღეს სტადიონზე მისვლა. ეროვნული ჰიმნების შესრულებისა და სტადიონის ინფორმატორის მიერ გერმანელთა „სტუმრობის მიზნის“ კიდევ ერთხელ შეხსენების შემდეგ (სხვათა შორის, ეს ინფორმაცია მხოლოდ ქართულად ცხადდებოდა, ყველა დანარჩენი — ქართულ-გერმანულად), მატჩი დაიწყო. გუნდების სასტარტო შემადგენლობები ასეთი იყო:

საქართველო: გოგია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, სვანაძე, მანუჩარ მაჩაიძე, სულაქველიძე, ცაავა, შენგელია, ლევან ნოდია.

გერმანია: ბურდენსკი, კალტცი, ოტენი, ფიორსტერი, ჰერვეტი, შულცი, ჰოლცენბაინი, ჰერმანი, ფიშერი, შუსტერი, სიპელი.

გერმანელებს სულ 14 ფეხბურთელი ჰყავდათ ჩამოყვანილი (სასტარტო შემადგენლობის თადარიგში ვორმი, ვოტავა და დიორნერი იყვნენ), ქართველებს კი, ორი სრული გუნდის დაკომპლექტებაც შეეძლოთ — ბუნებრივია, ახალგაზრდობის გახსენება და მონატრებული მაყურებლის მინდვრიდან დანახვა ბევრ ჩვენს ვეტერანს სურდა. ამ რიცხობრივი უმცირესობის გამო, მატჩის არბიტრმა — სოხუმელმა ანატოლი მილჩენკომ გერმანელებს უფლება მისცა, — თითოჯერ უკვე გამოცვლილი ფეხბურთელები, მცირე სულის მოთქმის შემდეგ, ხელმეორედ ჩაერთოთ თამაშში.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მოედანზე ნამდვილი ბრძოლა იყო — ყოველგვარი „მეგობრული ანგარიშებისა“ და შეთანხმებების გარეშე: იყო შეხლა-შემოხლაც, პატარ-პატარა უხეშობებიც და ცოტ-ცოტა მსაჯთან კამათიც.

გოლი კი, ტაიმის ბოლოს გავიდა — კლაუს ფიშერმა უძლიერესი და უზუსტესი დარტყმით დააფიქსირა საბოლოო ანგარიში — 1:0.

მეორე ტაიმში ჩვენი „ბიჭები“ ბევრს ეცადნენ, მაგრამ მიუხედავად შედარებით გაახალგაზრდავებული შემადგენლობისა, ანგარიშის გათანაბრება ველარ მოახერხეს.

მაყურებელმა გულწრფელი ტაშით გადაუხადა მადლობა ორივე გუნდს, რომლებმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ ერთ დროს ქართველებსაც შეეძლოთ ფეხბურთის თამაში.

გერმანელთა სტუმრობა „კვირის პალიტრის“ დაარსებიდან ხუთ წლისთავს დაემთხვა. ერთ-ერთი პირველი, ვინც მოგვილოცა, თავად ბერნდ შუსტერი გახლდათ.

***ზვიად გურული***




გულითადად ვულოცავ 5 წლისთავს და ბედნიერებას ვუსურვებ ყოველკვირეულ „კვირის პალიტრას“
**ბერნდ შუსტერი**

# როგორ „გააცოცხლა“ აბესალომ ლორიამ მიცვალებული

რესტორნებითა და ბარებით გაძეძგილ პეროვსკაიას (თბილისელები ისევ ასე მოიხსენიებენ ელენე ახვლედიანის სახელობის ამ ცნობილ ქუჩას) და კოსტავას ქუჩებს შორის, ერთი პატარა ქუჩაა მოქცეული. ვერაფერს გეტყვით, ამ ადგილზე ხარობდა თუ არა ოდესმე ვაშლის ხეები, რადგან დღევანდელ ვითარებაში ამის კვალიც კი არა ჩანს, თუ არ ჩავთვლით ხანდახან ბორდიურთან მიყრილ, ზოგჯერ საფუძვლიანად და ხანაც ზერელედ შემოჭმულ ვაშლის ნარჩენებს. მიუხედავად ამისა, მას დღესაც ვაშლოვანის ქუჩა ჰქვია... ისე, ამ ორი მტკაველი მონაკვეთის ქუჩად მოხსენიება ცოტა უხერხულიც კია, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში ასე მოიხსენიება და რა უფლება გვაქვს, არ დავეთანხმოთ.

აი, ამ ქუჩის ერთ-ერთ ძველთბილისურ ეზოში ცხოვრობს ძველი თაობის საყვარელი მსახიობი, ბატონი აბესალომ ლორია. ამას წინათ მან ერთი საინტერესო შემთხვევა მიამბო თავისი არტისტული მოღვაწეობიდან. ვფიქრობ, ეს ამბავი ჩვენს მკითხველსაც გაართობს.

რეჟისორი ნოდარ მანაგაძე იღებდა ფილმს „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს ზურაბ ქაფიანიძე — იგი ამჟამად პოლიტიკაშია ჩართული და კანონშემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა ბლოკ „აღორძინებიდან“, სოფლის მღვდელს ასახიერებს ბატონი აბესალომი, რომელიც არ არის პოლიტიკაში ჩართული და ისევ ამ სფეროში მოღვაწეობს.

ფილმს იღებდნენ მესხეთში.

შემოქმედებითი ჯგუფის ბაზიდან, გადაღების უშუალო ადგილი ანუ ზევით, მთის სოფელი, რომელშიც ფილმის სიუჟეტი ვითარდება, რამდენიმე კილომეტრით იყო დაცილებული და მსახიობებს ამ მანძილის გავლა ფეხით უხდებოდათ.

ერთ მშვენიერ დღეს, აბესალომ ლორია და ზურაბ ქაფიანიძე უკვე გრიმგაკეთებული და როლების შესაბამის კოსტიუმებში გამოწყობილები, ჩვეულებისამებრ ფეხით მიუყვებოდნენ სოფლის ბილიკს. ქაფიანიძე საკმაო მანძილით დაწინაურებულა.



— კაციშვილის ჭაჭანება არ იყო გარშემო — ჰყვება ბატონი აბესალომი, — უცებ ორი კაცი დავინახე, მოუყვებოდა ზევიდან ბილიკს. ზურას წყნარად ჩაუარეს გვერდზე. მე რომ მომიახლოვდნენ, ერთმანეთს გადახედეს და ისე ამესვეტა წინ ეს ორი ზორბა, გრძელხანჯლებჩამოკიდებული მესხი, რომ მთელი ბილიკი ჩაკეტეს და შემომაჩერდნენ პირქუში სახეებით. ცოტა არ იყოს, შეჩქვიფებულმა, ის იყო, გვერდის აქცევა დავაპირე, რომ გამაჩერეს და ერთ-ერთი ბრძანების კილოთი მეუბნება, — მამაო, ჩვენი სიდედრის მამიდა მოკვდა მეზობელ სოფელში და უნდა წამოხვიდე, წესი უნდა აუგოო. მე ვუთხარი, რას ამბობთ, კაცო! რა წესი, რის წესი, მართლა მღვდელი კი არ ვარ, მსახიობი ვარ-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ერთ ყურში რომ შეუშვეს, მეორეში გაუშვეს — ვერც მიხვდნენ ალბათ რას ვეუბნებოდი. მაინც თავისაზე იდგნენ — გინდა თუ არა, უნდა წამოხვიდეო. თან ეს ფუთიანი მკვლავები ისე ავად აქვთ ხანჯლის ვადებზე ჩამოდებული, რომ ცოტა არ იყოს, შევშინდი. ვცდილობ ავუხსნა, თან ხმას ვუწევ იქნებ ზურამ გაიგონოს და მომეშველოს-მეთქი. კიდევ კარგი, მოაბრუნა თავი და იმ წუთში ჩამოროხროხდა, — რაშია საქმეო. ასე და ასე, კაცო, მიცვალებულისთვის წესია ასაგები და არაფრით არ მოგვყვებაო. ზურაც სასწრაფოდ ჩაერთო საქმეში და ძლივს გავაგებინეთ, ვინ ვიყავით სინამდვილეში. ძალიან გაუფუჭდათ გუნება. ის იყო, ჩვენ-ჩვენ გზას უნდა გავდგომოდით, რომ ერთ-ერთი მომიბრუნდა და მეუბნება: კაცო, ისედაც ამხელა გზა გამოვიარეთ, ახლა მღვდელი სად ვიშოვოთ, შენს გახარებას, გამოგვყევი, ვინ რას გაიგებს, ნამდვილი მღვდელი რომ არ ხარო. ზურა მეუბნება, — შენი სცენა ჯერ მაინც არ არის და ცოდოები არიან, წაყევი, რა უჭირსო. კაცო, შენ გიჟი ხომ არა ხარ, სად უნდა წავყვე, სასულიერო პირი არ ვარ და ამხელა ცოდვა როგორ დავიდო-მეთქი. ბოლოს, იმდენი ქნეს, დამიყოლიეს მაინც.

მიმიყვანეს სადღაც მიყრუებულ სოფელში. ერთ ეზოში ხალხია შეკრებილი. შემიყვანეს პატარა მიწურში. ვხედავ, ვიღაც მიხრჩუებული მოხუცი წევს ტახტზე, სანთელი ბჟუტავს თავთან. რომ შევედი, შიგნით მყოფნი ფეხზე წამოდგნენ და მომესალმნენ. უკვე თავბედს ვიწყევლიდი, ეს სად წამოვედი-მეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოკლედ, გავუშვი ყველა გარეთ და ვფიქრობ, ახლა რა ვქნა? რაღაც-რაღაცები გამახსენდა (მღვდლის შვილიშვილი ვარ, ბოლოს და ბოლოს) და დავიწყე: „შეუნდე უფალო მხევალსა შენსაა...“ და ასე გავაბი. თან ვცდილობ, მიცვალებულს არ შევხედო. ვარ ამ ამბავში და გამექცა მაინც თვალი. გამექცა და ისეთი რამ დავინახე, იქვე თუ არ გამისკდებოდა გული, ნაღდად არ მეგონა — წამომჯდარა ეს „მკვდარი“ ბებერი, დაუჭყეტია თვალები და მომჩერებია. გული გახეთქვაზე მაქვს და არ ალაპარაკდა კიდეც? შენაო, რაღაც არა ჰგევხარ მღვდელსაო. ეს მინდოდა? ელდაცემული გამოვვარდი გარეთ, ვეცი ამ ჩემს მომყვანებს და ვეუბნები, — ცოცხალია ის თქვენი სიდედრის მამიდაა თუ ვიღაცა-მეთქი. რას ამბობ, კაცო, ხომ არ გაგიჟდი, რა ცოცხალი, დეკეული დავკალით უკვეო. კინაღამ გავგიჟდი, — ესენი ვინ ყოფილან, დეკეულზე ფიქრობენ-მეთქი. შეცვივდნენ სახლში — მართლა ცოცხალია! ატყდა ერთი ამბავი... სულ თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი იქედან.

სიცილს რომ მოვრჩი და მეგონა, ამბავიც დასრულდა-მეთქი, მეუბნება: ყველაზე საინტერესო ახლა იწყება: მოკლედ, მესხეთში ხმა გავარდა, — ვიღაც მღვდელია ჩამოსული ქალაქიდან და მკვდრებს აცოცხლებსო. დამიწყო ხალხმა ძებნა. გრიმით და მღვდლის კოსტიუმით ჩემი გამოჩენა სოფელში უკვე სახიფათო შეიქნა.

ერთხელაც ვიღაც ახმახი მოვიდა და მიკითხა — ის მღვდელი სად არის, მკვდრებს რომ აცოცხლებსო. გაღმა სოფელში წაიყვანეს მიცვალებულის გასაცოცხლებლადო, — გაეშაყირა ერთი ჩვენი ჯგუფის წევრი. იმ კაცმა კარგა ხანს იცადა და რომ არ გამოვჩნდი, დაიბარა (არადა იქვე ვარ უგრიმოდ და ვერ მცნობს), — რომ მოვა, ასე უთხარით, რომა გიგუა იყო, ზემოსოფლელი-თქო, ასე დაგიბარა: ერთი მეზობელი მყავანდა, ოცი წელი მიწას მედავებოდა, როგორც იქნა, მოკვდა და არ გააცოცხლო, თორემა დაგაკლავ ზედა-თქო.

მერე ეს კაცი მართლა მეძებდა თურმე. რა ვიცი, რა ჭკუაზე იყო. ნოდარ მანაგაძეს შევეხვეწე, — თუ ძმა ხარ, დროზე გადამიღე და გამიშვი, თორემ ნაღდად მომკლავს აქ ვიღაცა-მეთქი.

***მამუკა გიორგაძე***

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით
ფურცლებში და რულონებში

71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

სანაპიროს 2ა, ტელ.: 98 24 98, 37 64 46

## №14 (183) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 524 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 189 ქალმა და 330-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„შესაძლებლობა რომ გქონდეთ, სად გაატარებდით თავისუფალ დროს?“**

აღმოჩნდა, რომ მკითხველთა 37 თავისუფალ დროს სიამოვნებით გაატარებდა ბუნებაში, **6,17** საშუალო ქულით „ბუნება“ პირველ ადგილზეა. მხოლოდ შვიდმა მკითხველმა (1,35) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. შემდეგ ადგილზეა „შოუ-პროგრამა“, საშუალო ქულაა 5,42. მკითხველთა 14-ს, შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, თავისუფალ დროს დაესწრებოდა კონცერტებს, მოდების ჩვენებას და სხვა ამგვარ პროგრამას. როგორც ჩანს, ჩვენი მკითხველებისათვის ასევე სასიამოვნო იქნება თავისუფალი დროის რესტორანში გატარება, 5,14 საშუალო ქულით „რესტორანი“ მესამე ადგილზეა.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა „კაზინომ“ დაიმსახურა, თუმცა, საერთო ქულების რაოდენობით სულ ბოლო ადგილზე „კინოა“, მას ყველაზე ცოტა მაქსიმალური ქულა (0,96) ხვდა წილად.

აღსანიშნავია, რომ 30 წლამდე მკითხველები პირველ რიგში შოუ-პროგრამას დაესწრებოდნენ, შემდეგ კი რესტორანსა და ბუნებას მიაშურებდნენ. მათთან სულ ბოლო ადგილზე საკუთარი სახლია; 30-50 წლის მკითხველები — ბუნებას, შემდეგ შოუ-პროგრამასა და სპორტულ სანახაობას დაესწრებოდნენ, სულ ბოლოს — კინოს. 50 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს კი, ბუნებისა და სპორტული სანახაობის მერე ყველაფერს თეატრი ურჩევნიათ. რაც შეეხება კაზინოს, იგი მათთან სულ ბოლო ადგილზეა.

მამაკაცებმაც და ქალებმაც უპირატესობა ბუნებას და შოუ-პროგრამას მიანიჭეს; მამაკაცებთან მესამე ადგილზე სპორტული სანახაობაა, ქალებთან — თეატრი.




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 36 წლის თბილისელი **ვლადიმერ ფოფხაძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 11 აპრილს, 17 საათზე.

## №15 (184) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში.

**№15 (184) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 12 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 13 აპრილის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №15 (184) —

**ამომრჩევლის მოლოდინი**

**ყველაზე მეტად რას ელით ახალი პრეზიდენტისაგან** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 — და ა.შ. 1-მდე.

№15(184) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კორუფციის აღმოფხვრა | |
| 2 | ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | |
| 3 | სამუშაო ადგილების შექმნა | |
| 4 | ხელფასებისა და პენსიების გაცემა და გაზრდა | |
| 5 | ფინანსური დახმარებები საზღვარგარეთიდან | |
| 6 | 24 საათიანი ელექტროენერგია | |
| 7 | 1991-92 წლების საქართველოში მიმდინარე პროცესების შეფასება | |
| 8 | ეკონომიკის აღორძინება | |

მკითხველის რეიტინგი *

**ყველაზე მეტად რომელი ტელეწამყვანი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას?**

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________

ასაკი ________ ტელეფონი ________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 453 რესპონდენტი მონაწილეობდა. მათ უნდა დაესახელებინათ **საყვარელი ქართული სპექტაკლი.** მკითხველთა დაახლებით 1-ს გაუჭირდა არჩევანის გაკეთება.

**რესპონდენტთა საყვარელი სპექტაკლების პირველი ათეული ასე გამოიყურება:**

| | | |
|---|---|---|
| 1 | „კავკასიური ცარცის წრე“ | 17,9% |
| 2-3 | „ხანუმა“ | 9,9% |
| 2-3 | „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“ | 9,9% |
| 4 | „საბრალდებო დასკვნა“ | 9,5% |
| 5 | „ძველი ვოდევილები“ | 7,7% |
| 6 | „ეზოში ავი ძაღლია“ | 6,4% |
| 7 | „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ | 5,5% |
| 8 | „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ | 4,1% |
| 9 | „ჭინჭრაქა“ | 2,9% |
| 10 | „ყვარყვარე თუთაბერი“ | 1,8% |

ახალგაზრდა მკითხველების საყვარელი სპექტაკლია „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“; 30 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს კი, ყველაზე მეტად „კავკასიური ცარცის წრე“ უყვართ.

***ორიგინალური პასუხები:*** დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია კარგად დადგმული სპექტაკლია — გვპასუხობს ერთი მკითხველი; რამდენიმემ კი „არჩევნები“ და „პარლამენტის სხდომა“ დაასახელა, როგორც საყვარელი ქართული სპექტაკლები.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

____________

____________

____________

____________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________



ზურაბ ჟვანია და ხათუნა გოგორიშვილი



თემურ ჭყონია და ვაჟა ლორთქიფანიძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 139 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ვ.ლ.** — ჩემო თემურ, ახლავე გავარკვევ, მთვრალები ვართ თუ არა. რამდენ თითს ხედავ?
**თ.ჭ.** — ოთხს!
**ვ.ლ.** — მეც ოთხს ვხედავ, ესე იგი ფხიზლები ვართ.

***შოთა, რუსთავი***

**თ.ჭ.** — ბატონო ვაჟა, სიგარეტი დაგივარდათ.
**ვ.ლ.** — ჩუმად, ბიჭო, ედუარდმა არ დაინახოს. 35 წელია ვუმალავ...

***ლევან ჟორჟოლიანი, თბილისი***

**ვ.ლ.** — თემურ ბატონო! კოკასი არ იყოს, ვერც მე გამიგია „რა ხდება“.
იმასთან ორჯერ მეტი რომ მიგქონდა, მე რა, თვალში ხომ არ გეპატარავები?

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

**თ.ჭ.** — ბატონო ვაჟა, რას ნიშნავს კომბინატორი ან კომბინაცია?
**ვ.ლ.** — კომბინატორი შენისთანა კაცს ჰქვია, და ამ ორ თითშუა თუ ცერა თითს გავუყრი ეს უკვე სამი თითის კომბინაციაა.

***მურმან გიგანი, თბილისი***

**ვ.ლ.** — შევარდნაძე გაიმარჯვებს, ეს ისეთი ნაღდია ყმაწვილო, როგორც ორჯერ ორი არის ო... ო...
**თ.ჭ.** — „ორი“

***გიგა მეგრელაძე, თბილისი***

**ვ.ლ.** — თემურ, ხომ იცი, ორი თვალი რომ ჯობს ერთს? ჰოდა, ორი კრიშაც ჯობია, ნიკოს წილი ორად გაყავი და მიშიკოსთან მე უფრო კარგად ჩაგიწყობ საქმეს. სახეზე არაფერი შეიმჩნიო, ბიჭო, ნიკო გვიყურებს.

***დათო, თბილისი***

**ვ.ლ.** — მე მინდა ვიყო პრეზიდენტი და ვაკეთებდე იმას, რაც სწორად მიმაჩნია.
**თ.ჭ.** (ფიქრობს) — სპრაიტის წარმოება უნდა შევწყვიტო, თორემ დავიღუპებით.

***თემური მებონია, ზუგდიდი***

**ვ.ლ.** — თემურ, ეს სასმელი, ღვინის გარდა ყველაფერია, ორი ბოთლი გამოვცალე და წვეთიც არ მომეკიდა!
**თ.ჭ.** — სხვათა შორის, ეს ღვინო იმ ვაჟბატონების ფირმის ჩამოსხმულია, რომლებსაც ბ-ნმა პრეზიდენტმა წლის საუკეთესო ბიზნესმენების წოდება მიანიჭა, მე კი რატომღაც არავის გავხსენებივარ.

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***

**ვ.ლ.** (თითებით აჩვენებს) — ხომ იცი, თემურ, რამდენი ლიმონი უნდა ჩადო არჩევნებში?
**თ.ჭ.** — ვხედავ, ბატონო ვაჟა, ეგ ორია...
**ვ.ლ.** — არა, ეს ორი კი არა, ხუთია... რომაულად!

***ანდრო ჩაჩანიძე, ჭიათურა***

**ვ.ლ.** — ვერ გავიგე, ეს ორი სათაური რა საჭიროა, ან „კოკა“ დატოვე და ან „კოლა“.
(კ/ფ „ცისფერი მთები ანუ არაჩვეულებრივი ამბავი“)

***დავით რატიანი, თბილისი***

**თ.ჭ.** — ბატონო ვაჟა, ერთ ორთქლმავალს უფრო მეტი ძალაა აქვს თუ ორს?
**ვ.ლ.** — გააჩნია რომელ ორთქლმავალში ზის ბატონი ედუარდი.

***რამინ ზაზაძე, ქუთაისი***

## მერაია კერის ახალი სიმპათია ჰყავს



ამერიკელი თოფ-ვარსკვლავი მერაია კერი ამ დღეებში სინგაპურში ჩაფრინდა მსოფლიო ტურნეს დასასრულებლად. ვარსკვლავი მგზავრობის შემდეგ დასვენებას აპირებდა, როცა შეიტყო, რომ შეიძლებოდა ვარდისფერი დელფინების კომპანიაში ცურვა. რამდენიმე წუთში კერი უკვე ლაგუნაში ერთობოდა 200კგ-იან ჯუმბოსთან ერთად. ახალგამომცხვარ ნაცნობს ვარსკვლავი ძალიან მოეწონა, თუმცა ის ალბათ ვერ მიხვდა, ვისთან ერთად ცურავდა.

## იცით თუ არა რომ...

1999 წელი ყველაზე თბილი იყო ბოლო 500 წლის მანძილზე.

* * *

დედამიწის მოსახლეობის 15% ფრჩხილებს იკვნეტს.

* * *

კანადის სახელწოდება — ინდური წარმოშობისაა და ნიშნავს „დიდ სოფელს“.

* * *

ვეშაპის გული წუთში 9 დარტყმას აკეთებს, ხოლო ზღარბისა — 300-ს.



— ბებოს პენსია მისცეს...

* * *

—სკოლაში აღარ წავალ — გააპროტესტა პირველკლასელმა...

— რატომ?

— წერა არ ვიცი, კითხვა არ ვიცი და ლაპარაკს მიშლიან.



**„კვირის პალიტრა“ თანაუგრძნობს თამარ მახარობლიძეს და იუწყება, რომ გარდაიცვალა**
**შოთა ალექსის ძე მახარობლიძე.**
დაკრძალვა ხუთშაბათს, 13 აპრილს 2 საათზე.
*მისამართი: ქ. გორი, გურამიშვილის ქ. №102*




## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *ქუთაისი, წყალტუბო, რუსთავი, მცხეთა, დუშეთი, ჟინვალი, კასპი, გორი, ქარელი; ხაშური; სურამი; ზესტაფონი; თერჯოლა, სამტრედია, ხონი, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, გურჯაანი, თელავი, წნორი, ახმეტა,* ***- არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

(15) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)***
***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№15 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 13 აპრილს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.






## უცყაფონიზმები

პენსიონერმა პენსიონერს საკუთარი პენსია გადაულოცა: — არც შენ გაკლია, არც მე, მაგრამ რა აზრი აქვს, მაინც ვერცერთი ვერ ვიღებთო.

***

შარო, საიდან მოდიხარო? ...ქართველი ავტოინსპექტორიდანო!

***კობა ხატისაშვილი, საგარეჯო***

რაც მოგივა დავითაო,
ამ მთავრობის თავითაო.

***გურმონი, თბილისი***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**
**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.